


780
1977



ప్రపంచం

1977 4



მსუენჭე



გზატკრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერ-
თობების საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგია

შინაარსი

პროზა


გოფრედო კარიჯე. კატრონი. რომანი. დასაწყისი. იტალიურიდან თარგმნა მერი ტიტვინიძემ	5
ვალენტინ კატაევი. ია. მოთხრობა. რუსულიდან თარგმნა ლილი ზედგინიძემ	57
ივო ანდრიჩი. ღრინის ხიდი. რომანი. გაგრძელება. თარგმნეს მედეა კახიძემ და ზაქარია მამისაშვილმა	176
რასულ გამჟათოვი. ჩემი დაღესტანი. წიგნი მეორე. დასასრული. თარგმნეს თამარ ჩიჯავაძემ და შოთა ნიშნიანიძემ	198

პოეზია

კარლ სენდბერგი. გადაეცით ეს წერილი დიმიტრი შოსტაკოვიჩს. ლექსი. თარგმნა დილარ ივარდავამ	83
---	----

ლიტერატურული მემკვიდრეობა

ჯეიმზ ჯოისი. ულისე. ინგლისურიდან თარგმნა ნიკო ქიქოძემ	88
--	----





(19)

**მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი**

ივლისი
აგვისტო

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

1977

შინაარსი

კვანძი

ნგუენ ზუ. ლექსები. თარგმნა მურმან ჭგუბურიაშ	123
შილიამ შექსპირი. ტიმონ ათენელი. პიესა. დასაწყისი. ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ	137

კრიტიკა. პუბლიცისტიკა

აბრამ ხეზელი. ვინ არის ალამიანი? თარგმნა თამაზ ჩხენკელმა	229
---	-----

სხვადასხვა ამბები

ზაზა გაჩეჩილაძე. თეატრალური დაღმეები შექსპირის სამსოგლოში	233
--	-----

ჩვენი ავტორები	239
----------------	-----

გარეკანზე: ალბერ მარკე. ნეაკოლი.



საქართველოს
საქართველოს



კ. ს. ს. ს.

მთავარი რედაქტორი: კონსტანტინე ლორთქიფანიძე.
სარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, გარანა ბრეგვაძე, ნანა
დარჩია (პასუხისმგებელი მდივანი), ვახალი თოდუა, ნოდარ
კაკაბაძე, კარლო კალაძე, ვისვილ კვესელაძე, ზურაბ
კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომან მიმინოშვილი,
ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხეიძე.

რომანი

იტალიურიდან თარგმნა პერი ტიტინიკა

I

დღეს პირველად ვარ დიდ ქალაქში. აქ მე სამუშაო ვიშოვე. რა დასამალია, ცოტა აღელვებული ვარ. დღეის შფობილი ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვლება; გუშინდლამდე ერთი სოფლელი ბიჭი ვიყავი, სადღაც გადაკარგულში ვცხოვრობდი, მშობლების ხარჯზე, არავითარი საარსებო წყარო არ გამაჩნდა. დღეს კი კაცი ვარ, სამუშაო მაქვს, თავის რჩენა შემიძლია. უფრო მეტსაც ვიტყვი, უკვე დაოჯახებაზეც ვფიქრობ. მოვადრო და თქვენც გაგიმართავთ ხელს, ჩემო ძვირფასო მშობლებო!

მშობლიური ქალაქიდან თქვენი მოცემული ხუთასი ათასი ლირის ანაბარა წამოვედი. მოვუფრთხილდები, დავზოგავ, ვიცი, რა წვითა და დავით გაქვთ მონაგარი, ტყუილუბრალოდ არ გავანიავებ. ძვირფასო დედ-მამავ, მალე ალბათ ნახვასაც დაგიძვირებთ. ამასობაში გაჭალარავდებით, ჩემზე ფიქრითა და ჩემი მომავლის რწმენით იგახივოსნებულ პირისახეზე სიბერე აშკარად დაგასვამთ თავის დაღს. ვიცი, რომ თქვენ მე უფრო გიყვარვართ, ვიდრე მე თქვენ, მაგრამ განა ეს ჩემი ბრალია, ასეთია ბუნების კანონი, შთამომავლობის კანონი. მთელი დღე მაინც თქვენზე ვფიქრობდი, მაგონდებოდა ჩვენი ქალაქი, დიდდა და პაპა, დეიდები და მამიდები, ყველა ჩემი ახლობელი, წარმომიდგება თქვენთან გატარებული წლები და თვალზე ცრემლი მადგება. გავართმევ კია სამუშაოს თავს, ან ამ ქალაქურ ცხოვრებას შევიფერებ? იქნებ ასეც მოხდეს! ღმერთმაც ქნას, ეს ლიტონი სიტყვები არ იყოს, საქმით დაგიმტკიცოთ, თქვენც მოესწროთ ჩემს წარმატებას და სიბერის ჟამს ნუგეშად მოგვევლინოთ.

დღეს დილასვე უნდა გამოვცხადებულიყავი ფირმაში და, რაღა თქმა უნდა, არ დავაყოვნებ. ახლოს რომ მივედი, გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ფირმის შენობა ერთ პატარა, ძველ ქუჩაზე დგას; ასეთი შუკები ჩვენს ქალაქშიც ბევრია და თავი ლამის შინ მეგონა. ვერ დავიჯერებ, რომ ამხელა სავაჭრო ფირმა

ამ დუქნების, სახელოსნოებისა და ტრაქტორების — ამ იაფფასიან სასაუზმეებისა და ქორვაჭართა უბანში იყო მიკუნჭული. მალე მივაგენი № 21 სახლსაც, მისამართზე რომ ეწერა, მაგრამ მაინც განვაგრძე გზა, ქუჩის ბოლომდე გავედი. ვიფიქრე, იქნება ფირმის შენობა სადღაც ამ სახლებს მიღმა დგას-მეთქი. მაგრამ არა, ძველი კედლების გარდა იქაც არაფერი დამხვედრია; ვინ იცის, იქნება ფირმის შესასვლელი სწორედ ერთ-ერთ ამ ჩაყამებულ შენობაშია? დაყინებით ვიყურებოდი ხან წინ, ხან აქეთ-იქით, მაგრამ ვერა და ვერ შევამჩნიე ისეთი სახლი, მთელი ჩემი სიცოცხლე თავშესაფრად რომ უნდა დამეგულებინა.

ამ ფიქრებში გართული და თანაც გუჟანით წაქეზებული (იმ უგუნური გუჟანით, იმედი რომ ასაზრდოებს და არა სინამდვილე), რამდენჯერმე ფეხის წვერებზე ავიწიე, სახურავებსა და წყალსადინარების მიღმა გადავიხედე. მაგრამ ვერავითარი ბროლის სასახლე იქ ვერ აღმოვაჩინე და უკანვე გავბრუნდი, № 21 სახლისკენ.

ფირმის ოთხსართულიანი შენობა არაფრით განსხვავდებოდა სხვა სახლებისგან, ოღონდ შედარებით შნოიანად გამოიყურებოდა — კედლები არც დამსკდარი იყო და არც ჩამორეცხილი. სახლი მუქყვითლად შეეღებათ; მეორე, მესამე და მეოთხე სართულის დარაბები მიეხურათ და ვინმე ბატონის დროებით მიტოვებულ სახლს მოგაგონებდათ. იფიქრებდით, ფართო შესასვლელს ამწვანებული ბაღი აკრავსო, მაგრამ სინამდვილეში არც ბაღი და არც ხეები არ შემიმჩნევია; შესასვლელის ერთი კედელი მთლიანად მჭრქალი მინისა იყო; კედლის მიღმა სიმწვანე კრთოდა, ამან ბოტანიკური ბაღი გამახსენა, სადაც სულ გრილი სიო ჰქრის და ჩიტები ფრთხილებენ.

შევედი შენობაში და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი; დიდი თალის მარჯვენა მხარეს კიბე აღიოდა; გავიფიქრე, ქუჩის ხმაური ალბათ აქ არასოდეს შემოაღწევს-მეთქი. ირგვლივ ბინდბუნდი იდგა და სიჩუმე სუფევდა. ჩემი ვარაუდი გამართლდა, — მინის კედლიდან ფოთლების შრიალის და შადრევნის რაკრაკის ხმა შემოდინდა, ჩიტებს ყვილ-ხივილი გაჰქონდათ. მაშინვე გავარჩიე შაშვის სტვენა. ერთხანს გარინდებული ვიდექი კიბესთან. მერე დავინახე, რომ ვესტიბიულის ერთ-ერთ კედელში დატანებული სარკმელი გაიღო და ლოდვიით გასიპული თავი გამოჩნდა. როცა ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა, ის მელოტი კაცი სარკმელს მოსცილდა, მაშინვე გააღო მომცრო კარი და ჩემკენ გამოემართა. თვალმა არ მიმტყუნა: უცნობს ბრტყელი, შეუვალი პირისახე ჰქონდა, შავი, დაფანჩული წარბები თვალეებზე ჩამოხურვოდა; ორმოცდაათს გადაცილებული უნდა ყოფილიყო. კარგა მაღალი გახლდათ, აღნაგობით მოჭიდავეს მოგაგონებდათ, თუმცა მისთანა ბრგე, მხრებში ოღნავ მოხრილი სხეული უფრო ტანმოვარჯიშეს შეიძლება ჰქონოდა. ბოხი ხმა უფრო მეტ ვაჟკაცობას აძლევდა მის ისედაც შთამბეჭდავ შესახედაობას. მოახლოებისთანავე მკითხა, რა გინდაო; მეც ვუპასუხე, სავაჭრო ფირმას ვეძებ-მეთქი. მოკლედ მომიგო, მეორე სართულზე არისო. ოღნავ მოიხარა და ხელი კიბისკენ გაიშვირა. ამ მოძრაობითა და ამ ბუბუნა ხმით გამოიცნობდა კაცი მის ბუნებას, თუმცაღა თვალეებზე ჩამოხურულმა წარბებმა უფრო ადრე მიმანიშნეს, რომ ნამდვილი მაიმუნი იყო, მაიმუნი მთელი თავისი ბუნებით. მან გაღიმებაც კი სცადა, რაღაც ადამიანური გამომეტყველება რომ მიეცა თავისი პირისახისთვის, ანდა გულითაღობა თუ თავაზიანობა გამოეხატა, მაგრამ უფრო ამხილა

თავისი ავი და უხუმური ზნე. თვალებში თითქოს სასოწარკვეთილებამაც კი გაუელვა, რალაც ქვეშეცნეულმა, იდუმალმა ნალველმა, ზოობარკში ბრგე, ბებერი ორანგუტანგებისთვის რომ შემომჩნევია.

ამბობენ, ამ ორგანგუტანგებს სევდა ტყვეობაში მოერევათ ხოლმე, რადგან თავის მშობლიურ სტიქიაში, ტყეში თავისუფალ ცხოვრებაზე დარდობენო. მაგრამ ცდებიან; ორანგუტანგს მაშინ მოეძალება სევდა, როცა დიდხანს ცხოვრობს ადამიანებს შორის, როცა დაინახავს, რაოდენ ჩამოჰგავს მათ და ქვეშეცნეული სურვილი უჩნდება, ადამიანად იქცეს. წლების განმავლობაში უნებურად ჰბაძავს მათ, მაგრამ მერე თანდათან ხვდება ადამიანის უპირატესობას, ნელ-ნელა ავიწყდება თავისი წინაპრები, ტყის ლალი ცხოვრება და იმედი უღვივდება, რომ სულ მალე მოარღვევენ ამ რკინის ჯებირებს და ისიც შეერევა ჭრელ ბრბოს, ვინც დილიდან საღამომდე მის თვალწინ ირევა და ვისგანაც ქცევა და მიხრა-მოხრა შეითვისა. რაკი თავის თანამოძმეთა შორის იგი ყველაზე უფროსია და ამასთან გამოცდილიც, ამიტომ სიძულვილით იმსჯვალება ყველა თავის მსგავსთა მიმართ, თითქოსდა ეს იდუმალი ოცნება მართლაც შეიძლება აუხდეს. ამასობაში დრო მიდის, ოცნებას კი ახდენა არ უწყდება; ორანგუტანგიც გრძნობს, რომ ჯანი აღარ მოსდევს, რომ აღსასრული კარს მოსდგომია, რომ ადამიანად ქცევა აღარ ეღირსება და მის თვალებში არასოდეს იკიაფებს ის სინათლე და სიღრმე, ასე რომ იზიდავდა ყოველთვის. ამათ და მატყუარა ყოფილა გარეგნული მსგავსებაც. ჰოდან, ორანგუტანგიც ერთიანად მოეშვება, დაძაბუნდება, ცნობისმოყვარეობა უჩლუნგდება, აღარც მომრავლებულ პარაზიტ მწერებს ებრძვის და აღარც მნახველთა ძღვენს ეტანება, — მცირეოდენს თუ მოციცქნის, ვინაიდან სიცოცხლეს მაინც ვერ ელევა. აი, რა ფიქრები ამიშალა ფირმის კარისკაცის ნახვამ, მისმა ლოდივით გასიპულმა თავის ქალამ, ქვეშ-ქვეშა გამოხედვამ და ხელის აუჩქარებელმა, უხალისო მოძრაობამ.

ერთი სიტყვით, ავყევი განიერ კიბეს, ავედი მეორე სართულზე და აღმოვჩნდი ფართო ბაქანზე. იქ სამი კარი დავინახე; შუა კარზე სპილენძის დაფა ეკიდა და ზედ ფირმის სახელწოდება ეწერა. აჰა, მოვედი კიდეც! გული კვლავ ამიფრთხილდა. როგორ წარმოვიდგენდი, ოცი წლის ღლაპს თუ ბედი გამიღიმებდა და ცხოვრებაში გზას გავიკვლევდი! კარი გამოვალე და დიდ ოთახში შევედი; ბინდბუნდი იდგა და ისეთი უბრალო და ღარიბული ჩანდა, უნებლიეთ მონასტრის მოსაცდელი გამახსენდა. კედლები და ჭერის თეთრად შეედებნათ, იატაკი ნაცრისფერი ფილებით მოეგოთ, ფანჯრის ახლოს მაგიდასთან შიკრიკი იჯდა. ოთახი, იატაკი, სკამი და შიკრიკი ისე შეერწყმოდნენ ერთერთს, როგორც ერთი და იგივე მასალისაგან შეკოწიწებული საგნები. მაგიდა უბრალო ხისა იყო, ჩვეულებრივი, შიკრიკიც ასევე ჩვეულებრივი და უძრავი, — წყნარად იჯდა და ხელები მაგიდაზე დაეწყობ; შემომხედდა ნალვლიანი, ლამის არამქვეყნიური მზერა რომ არა, შეიძლება კეთილიც კი მოგჩვენებოდათ, თუმცა სინამდვილეში იგი ისეთივე უძრავი და უწყინარი იყო, როგორც სკამი, მაგიდა და თვით ოთახი. რატომღაც გავიფიქრე, რომ ეს ვაცოან მუნჯი იქნება, ან პარამხანის მსახურივით დასაჭურისებული ამეთქი. მაგრამ მაშინვე ამოვიგდე თავიდან ეს უაზრო ფიქრები, სულ რომ არ შეშვენოდა ჩემს პირველ სამუშაო დღეს! ფიქრთა ამგვარი მდინარება იმით უნდა ამეხსნა, რომ ჩემ წინ იჯდა კაცი და ხმას არ იღებდა, თანაც იმდენად ფიქრებს

არ წაელო, რამდენადაც რაღაც უტყვი არსების გარინდებას შეეპყრო. მაგი-
დას მივუახლოვდი; მაშინლა გახსნა ერთმანეთს გადაჭდობილი თითები, იდაყ-
ვებზე წამოიწია, თითქოს მისალმებას აპირებსო, მაგრამ არკი ამდგარა. მერე
მის პირისახესა და სხეულს რომ შეეფერებოდა, ისეთი მიღებული და უმეტე-
ველო ხმით მკითხა:

— რა გნებავთ?

მაშინვე სარეკომენდაციო ბარათი ამოვიღე ჯიბიდან, ამ ფირმის წარმო-
მადგენელმა სავაჭრო აგენტმა რომ მომიცა.

— დოქტორ დიაბეტესთან ვარ დაბარებული, — სმადაბლა ვუპასუხე,
მაგრამ ჩემი ხმა ისე გაისმა, თითქოს მე კი არა, ვიღაც სხვა ლაპარაკობდა.
თუმცა ეს სხვა თვითონ ვიყავი, ოღონდ უკვე სავაჭრო ფირმის მუშაკი, იმ
ფირმისა, ვისზეც დამოკიდებული იყო ამიერიდან მთელი ჩემი მომავალი. ხმაც
სწორედ ჩემი ფირმაში მოსვლის დასტურად გაისმა, თითქოს დიდი ოთახის
თავისებური ნახმევის წყალობით ეს ბგერები კედლებმა შეისრუტა და ამით
ჩემი სამსახურში გამწესება მოახდინა.

კაცი წამოდგა (იგი მაღალი და გამხდარი იყო, თითქოს ოდნავ მარცხნივ
დაგვერდებულს; მუქი შალის კოსტუმი ისე ადგა, ჭეგონებოდათ, საკიდარზე
ჰკიდიაო). სკამი გასწია, სწრაფად გადაფერთხა არარსებული ნამცეცები მაგი-
დიდან და, არც კი შემოუხედავს ჩემთვის, ისე თქვა:

— მობრძანდით! — იგი მუქი ფერის მაუდით აკრული კარისკენ გაემარ-
თა, მეც ფეხდაფეხ მივდიე. მაშინლა მივაქციე ყურადღება მის დაბრეცილ,
ვაქსის ზედმეტი ხმარებით სულ ერთიანად დამსკდარ ფეხსაცმელს. ეტყობა,
უჭირდა ამ მახინჯი ფეხებითა და დაჯღანული ფეხსაცმლით სიარული; ცდი-
ლობდა სწრაფად ევლო, რომ კიდურებს სხეულის სიმძიმე არ ეგრძნოთ, მაგ-
რამ ძლივს კი მიჩლახუნობდა, კეგლის კოჭივით მიიწეოდა და კოსტუმის
კალთებს აქეთ-იქით მიაფრიალებდა. ბოლოს, როგორც იქნა, მიჩანჩილდა კა-
რამდე, გააღო, შეიცადა, სანამ შევიდოდი, და თქვა:

— ახლავე მობრძანდება.

მომცრო ოთახში იდგა რბილი სავარძელი, დაბალი მაგიდა და იგი ექი-
მის მისაღებს მოგაგონებოდათ. უხალისოდ გადავიხედე ფანჯარაში და ისეთი
რამ კი დავინახე, გული შემეჩანდა; ეს გრძნობა ალბათ მთელი ჩემი სიცო-
ცხლე გამყვება. ცხვირით შინას მივეკარი. ჩემ წინ, რამდენიმე მეტრის მოშო-
რებით, ელვარებდა შინისა და ლითონის დიდებული კედელი. დაბლა ვიდექი
(მეორე სართულზე), თანაც ფანჯარა პატარა იყო და რიგიანად ვერ შევათვა-
ლიერე ვერც ზემო სართულები და ვერც გვერდის კედლები. სამაგიეროდ
კარგად დავინახე ფოლადის განიერი სალტეები, რკინის ურდულები, კანტო-
რების მოწყობილობაც და იქ მოფუსფუსე მოსამსახურე ქალები და კაცები.
მერე ქვემოთ გადავიხედე და დავინახე სქელი, მქრქალი შინის დიდი გუმბა-
თი, ძველსა და ახალ შენობას რომ აერთებდა. მაშინლა მივხვდი, რომ, რო-
გორც ვვარაუდობდი, დირექცია დარჩენილიყო ძველ შენობაში, ხოლო ადმი-
ნისტრაციული განყოფილებები და, კერძოდ, სავაჭრო სექციები ჩემ წინ აღ-
მართულ ახალ შენობაში გადაეტანათ. შინის გუმბათი, ილუმინატორის მსგავ-
სი სარკმელები რომ ჰქონდა დატანებული, მოსამსახურეთა ცნობისმოყვარე
თვალთაგან მაღავდა ბაღს; მაგრამ ფანჯრიდან გადახედვის ნება მაინც თუ
ჰქონდათ ნეტავი? ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ დამძლია (ახლა კიდევ

მცხვენია ამის გახსენება), ვიფიქრე, ფანჯარას გამოვალე და თვალს მაინც შევაგლებ ამ თავბრუდამხვევ სიმაღლეზე აზიდულ შენობას და მაშინვე მივხურავ-მეთქი. მივიხედ-მოვიხედე (ყარი გარედან იღებოდა და ყოველ წამს შეიძლება ვიღაც შემოსულიყო), ფანჯარა გავხსენი, გადავიხარე და მზეზე აელვარებულ ფირმის შენობას ავხედე. მისმა ბრჭყვიალმა ერთბაშად თვალი მომჭრა; ეს იყო და ეს. ანაზღად რომ მოვიხედე, გვერდით სქელი, ტანმორჩილი კაცი მედგა და საყვედურით შემომცქეროდა.

— მოგწონს, არა? — მკითხა მან, გაიღიმა და მხარზე ხელი მომითათუნა, — კმარა, კმარა! ახლა კი დახურეთ, გეყოფათ!

მეც გავიღიმე და სწრაფად მივხურე ფანჯარა, მაგრამ ჩარჩომ საბრალობლად დაიჭრიალა და არ დამემორჩილა, ეტყობა, ფანჯარას აქ არავინ აღებდა. კვლავ ვცადე საგდულები დამეპირისპირებინა, მაგრამ უფრო მეტად აჭრიალდა. შესაძლოა კილოები იყო დაჭმული. როცა მეორეჯერაც ვერაფერი გავაწყე, იმ ტანმორჩილ კაცს მოთმინება გამოვლია.

— მიმიშვი, მე ვცდი, — მითხრა მან, განზე გამწია, ორივე ფანჯარა ფართოდ გააღო, გამოცდილი თვალი სწრაფად შეავლო ჩარჩოების კიდეებს, თითები ჩამოუსვა, ფრთხილად მოსწავა ზემოდან ქვემოთ, მერე ხელი მოაშორა და ერთბაშად ბრახუნით მიხურა. თითებშუა ორი-სამი სანტიმეტრის ფოლადისა თუ ალუმინის ნატეხი ეჭირა.

— მშვენიერი კია ნამდვილად, მაგრამ მხოლოდ მათთვის, ვინც იქაა, ჩვენ წილად, ვინც აქ, ამ ნანგრევებში ვზივართ, მარტო ესლა რჩება. ამას ხედავ? ამისთანა ნატეხები ქარიან დღეებში სეტყვასავით გვაცვივა თავზე. შენობა, რა თქმა უნდა, მშვენიერია, მაგრამ მყარი მაინც არ არის... დაჯექი, დაჯექი, — და სავარძელზე მიმითითა. მეც დავჯექი.

— მე დოქტორი დიაბეტე გახლავარ, როგორც მოგეხსენებათ, განვაგებ საგარეო ურთიერთობის განყოფილებას. — სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ კვლავ გაიღიმა და მკითხა, — რამდენი წლისა ხარ?

— ოცის, — მივუგე მე.

ლოყაზე ხელი მომითათუნა, ის იდგა, მე ქვემოდან შევყურებდი.

— წავიკითხე ჩვენი სავაჭრო აგენტის სარეკომენდაციო ბარათი, მაგრამ უამისოდაც შეგეძლო მოსვლა, — განაგრძო მან, — მამაშენს ალბათ არც კი ახსოვს, რომ ერთ დროს კარგად ვიცნობდით ერთმანეთს... თუმცა ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ... ცოტა ამ ნაცნობობამ შეგიწყო ხელი, ცოტა მე მოგეხმარე, მოველაპარაკე სავაჭრო აგენტს, დეპეშაც გავაგზავნე სოფელში და პირადად ველაპარაკე შენზე დოქტორ მაქსს. მასაც ახლავე ნახავ.

თვალეები კმაყოფილებით გაუნათდა. თითქოს ის უფრო ბედნიერად გრძნობდა თავს, ვიდრე მე, და ამან გული ამძიწყა. ან როგორ არ ამძიწყებოდა, როცა კაცმა პირველად მნახა და ასე კეთილად, ასე ალერსიანად კი შემხვდა. პირდაპირ მითხრა, მფარველობას გაგიწევო. როცა თვალზე ცრემლი მომადგა, მხარზე ხელი მომითათუნა და მკითხა:

— კმაყოფილი ხარ? გიხარია, რომ დოქტორ მაქსს ნახავ?

— არც კი ვიცი, როგორ გადავიხადოთ მადლობა! მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, დოქტორი მაქსი ვილაა?

ამის გაგონებაზე დიაბეტეს ხველა აუტყდა; თვალეები ხან ბაყაყივით დაკუსა, ხან მოწურა, სიგარეტი იატაკზე დაადგო და რამდენჯერმე მოსრისა პა-



ტარა, გაპრიალეზული ჭვინტიანი ფეხსაცმლით, თან ცდილობდა რაღაც ეთქვა.

— ვინ არისო? როგორ თუ ვინ არის? — მეკითხებოდა იგი ხველებ-ხველებით. ნერწყვის წვრილი ნაკადი ნელ-ნელა ეწვეთებოდა იატაკზე. — მე მეკითხები, ვინ არისო? — დიდი გაჭირვებით მანიშნა, სავარძელი დამითმეო. რა თქმა უნდა, იმ წუთშივე წამოვხტი და დავსვი. მერე ძლივს მიმახვედრა, ბეჭებზე ხელი დამარტყიო. რამდენჯერმე დავარტყი ზურგზე ხელი და ხველაც ერთბაშად შეწყვიტა. იგი შემომყურებდა, თავს აქნევდა და ნელა, ღრმად სუნთქავდა, ხელით კი მანიშნებდა, დაიცადეო. მეც ვიცდიდი. სული რომ მოითქვა, დიაბეტემ კვლავ დაილაპარაკა:

— დღეში ორმოცამდე სიგარეტს ვეწევი, ავადმყოფი კაცი კი ვარ! არ ვიცი, რატომ არ დავანებებ თავს... რაებს გიყვები, არც კი გეკითხები, გაინტერესებს თუ არა!

ისე დავიბენი, პასუხის გაცემაც ვერ მოვახერხე, მაგრამ დიაბეტემ ჩემს პასუხს არც დაუცადა, ისე განაგრძო:

— ეს რა მკითხე, დოქტორი მაქსი ვინააო?! ნუთუ მართლა არ იცი?! არ ვიცი-მეთქი, ვუპასუხე.

ალბათ ჩემმა კილომ ან ხმამ მიახვედრა დიაბეტე, რა მიამიტი და გამოუცდელიც ვიყავი. მან კეთილი, შემწყალე ღიმილით შემომხედა და წყნარად, მაგრამ გარკვევით ჩაიჩურჩულა:

— დოქტორი მაქსი პატრონი გახლავთ!

გამიკვირდა: ნუთუ პატრონი, ისიც ამისთანა სავაჭრო ფირმისა, შეიძლება მოცდეს ისეთ უმნიშვნელო და თითქმის უკვე გადაწყვეტილ საქმეზე, როგორც სამსახურში გამწესებაა! ნუთუ იმის დრო რჩება, რომ წვრილმანი საქმეებით დაინტერესდეს! ეს ვკითხე დიაბეტესაც. მის თვალეში წყენის მსგავსი ჩრდილი გამოკრთა, თითქოს ჩემმა კითხვამ თვითონ ისიც კი დააკნინა.

— უპირველეს ყოვლისა, დოქტორი მაქსი ჩემი მეგობარია, თუმცა კი მამად შევეფერები. სწორე გითხრა, მე იგი მართლა მიყვარს და შვილივითაც ვექცევი. შესანიშნავი ბიჭია, რამდენიმე წლით თუ იქნება შენზე უფროსი.

დამაინტერესა და ვკითხე — ჩემი ტოლი ამხელა ფირმის უფროსი როგორაა-მეთქი!

— სინამდვილეში ფირმის პატრონი მამამისია, მაგრამ იგი ძალზე მოხუცდა, იშვიათად მოდის ხოლმე აქ; ვეშაპებზე ნადირობს. ასე რომ პატრონი შვილია. დოქტორი მაქსი ვაჭრობის დაგეგმარებას, ანუ ფირმის ყველაზე მთავარ განყოფილებას განაგებს. ხოლო დანარჩენი განყოფილებები, ახალი შენობის რამდენიმე სართული რომ უკავიათ, თითქმის ყველა დამოუკიდებლად მუშაობს, ხელმძღვანელსაც არ საჭიროებს. იმ განყოფილებებში მეტნაკლებად თანაბარი უნარის მუშაკები სხედან და პატრონს შეუძლია ყველას ერთად მიადევნოს თვალი. ესენი არიან მოანგარიშე მუშაკები და ის ხალხი, ვალის დაფარვისა და განვადების საქმეს რომ განაგებენ. ხომ იცი, რომ წარმოება ერთია, ნაწარმის გასაღება კი — მეორე. შენ ისეთ განყოფილებაში მოხვდი, ამ ამბებში თვითონვე გაერკვევი. დოქტორ მაქსს რომ ხშირად შეხვდები, მალე დარწმუნდები, რომ იგი ცოტა ფიცხი, მაგრამ კეთილი კაცია. მე უკვე ველაპარაკე შენზე და სურვილი გამოთქვა გაგიცნოს. დიდ ანგარიშს მიწევს, თითქმის ყველა ჩემს სიტყვას ყურად იღებს. სწორედ ამის წყალობაა, რომ

დღეს შეხვდები. თუმცა ამაზე მე რე ვილაპარაკოთ; ახლა კი ჩემთან წამოდი, კაბინეტში!

დოქტორი დიაბეტეს კაბინეტი პატარა იყო და მაგიდები ერთმანეთის-თვის მიედგათ. კედლის გასწვრივ წიგნის თაროები ჩაემწკრივებინათ, თაროებს მტვერი დასდებოდა; მაგიდაზე და ოთახში დახვავებული იყო გაზეთები. დოქტორი დიაბეტე ოხვრით მიუჯდა თავის მაგიდას. ერთბაშად ვერ შევამჩნიე, რომ მეორე მაგიდას ახალგაზრდა კაცი უჯდა. მას სქელშუშიანი სათვალე ეკეთა; ალმაცერად შემომხედა და თითქოს მაგრძნობინა, რომ მე აქ უცხო ვიყავი. დიაბეტემ ჩვენ ერთმანეთს გაგვაცნო; იმ ახალგაზრდა კაცმა ხელი გამომიწოდა და ისე მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა, თითქოს უნდოდა ჩემთვის ისეთი რამ გაეგებინებინა, რაც დიაბეტეს არ უნდა სცოდნოდა; შემდეგ დაჯდა და თავისი საქმე განაგრძო.

ნეტავი რას აკეთებს-მეთქი, ვიფიქრე; რალაცას ხაზავდა გულმოდგინედ, სახაზავსა და გონიოს იშველიებდა, წარამარა შლიდა, მე რე კი მთელი ძალით უბერავდა ნახაზს.

— ტროპია დიდი წესრიგის მოყვარული კაცია, მე კი არა მგავს! — თქვა დიაბეტემ და ჩემკენ გამოიხედა; მაგრამ მე როდი მიუხრებდა, მზერა სადღაც შორს მიეპყრო, წარმოთქმული წინადადებაც თითქოს ჰაერში გამოეკიდა, უპასუხოდ დარჩა.

რამდენსამე ხანს ოთახში სიჩუმე იდგა. ვინ იცის, იქნება დიაბეტე აზრებს იკრეფდა, ჩემზე ფიქრობდა. ფანჯრიდან ფართო, აყრიამულეებულ ქუჩას გადავყურებდი. როდის-როდის დიაბეტემ ყურმილი აიღო და დოქტორი მაქსი იკითხა. მცირე ღუმილის შემდეგ მხიარული, თამამი ხმით აუწყა, რომ მე აქ ვიყავი, დოქტორ მაქსის სამსახურად. შემდეგ გამომეტყველება კვლავ შეეცვალა, დადინჯდა, თითქოს დანადვლიანდა კიდევ და ყურმილი დადო.

— დოქტორ მაქსს ველაპარაკე, — მითხრა შთაგონებით, — ძლივს დავითანხმე ნაშუადღევს შეგხვდეს. ხედავ, რას არ ვაკეთებ შენი გულისთვის! იმედი მაქვს, ამას არ დამივიწყებ...

შემრცხვა ტროპიასი, რადგან მან ამ სიტყვებზე ჩაიღიმა. ვუპასუხე, რა თქმა უნდა, არ დაგივიწყებთ-მეთქი.

— ახლა კი წავიდეთ, ვისადილოთ! დღეს ჩემი სტუმარი ხარ. ნასადილევს კი ოთახს გაჩვენებ, შენთვის რომ გამოვძებნე, არც ისე შორსაა აქედან. ხედავ, ამაზედაც კი ვიზრუნე. ჩემოდანი სად დატოვე?

— სასტუმროში.

— რატომ?

— არ მუგონა, თუ დავრჩებოდი.

— გამოდის, რომ არ მენდე... დეპეშაში ხომ გარკვევით იყო ნათქვამი!

— დიახ, მაგრამ მაინც ვეჭვობდი და...

— ჰო, კმარა, კმარა, ყველაფერი გასაგებია. თუკი ოთახი მოგეწონება, წახვალ სასტუმროში და ჩემოდანსაც გადმოიტან. ახლა კი დროს ნულარ ვკარგავთ, წავიდეთ, უკვე შუადღეა. შესვენებამდე რამდენიმე წუთილა დარჩა; თუმცა ცოტა ადრეც კი შემიძლია წასვლა, მე ხომ ნებართვა არ მჭირდება.

ეს უკანასკნელი სიტყვები დიაბეტემ განგებ ხმამაღლა და გამომწვევად წარმოთქვა, აშკარა იყო, ტროპიას გასაგონად; მას კი თავიც არ აუწევია, მხოლოდ მეოცნებესავით გაიღიმა.

მე და დიაბეტემ კვლავ გავიარეთ მისაღები ოთახი, სადაც ისევ ისე უძრავად, მაგიდაზე ხელებდაწყობილი იჯდა ფეხებმოქცეული კაცი. ჩავიარეთ კიბე — ლოდისთავა კარისკაცმა თავისი სარკმლიდან შეგვათვალიერა, განსაკუთრებით ყურადღებით გამოხედა დიაბეტეს, მერე რაღაცას ახედა მის ზემოთ, შესაძლოა საათს — და ქუჩაში გავედით.

დიაბეტეს ოჯახში ვისადილე, მის ცოლსა და ქალიშვილთან ერთად. ათასმა წვრილმანმა მიმახვედრა, რომ მას არც ცოლი და არც ქალიშვილი დიდად არ ეფონებოდა გულზე და, ეტყობა, ზედმეტ ტვირთადაც კი მიაჩნდა. ცოლი, პატარა ფუსფუსა ქალი, ძალზე თავაზიანად შემოგვეგება და თანაგრძნობით ჰკითხა ქმარს, თავს როგორ გრძნობო. ქალიშვილიც ასევე ალერსიანი მეჩვენა, თუმცა რიგიანად ცერც შეგათვალიერე, რადგანაც დიაბეტემ მაშინვე თავისი კაბინეტისკენ გამაქანა და ზედაც არ შეხედა ქალებს. თანაც ვინემ დერეფნიდან კაბინეტამდე მივიდოდით, სულ წუწუნებდა, ოჯახში ანგარიშს არ მიწევინ, წესრიგი ვერ დამიმყარებიაო. ასე დაბნეული და უყურადღებო რომ ვიყავი, აბა რა გასაკვირია: ტვინი სულ ერთიანად ამერია. ეს ხომ ჩემი პირველი დღე იყო ამ დიდ ქალაქში! რამდენმა უცნობმა სჯემ გამიელვა თვალწინ. ჯერ ტროლეიბუსში, მერე ტრამვაიში (ჩვენ ორი ტრამვაი გამოვიცვალეთ). ამ ორომტრიალით დარეტიანებულმა, გზადაგზა მანაც შეგათვალიერე მინისა და ფოლადისაგან ნაგები შენობები, მაღაზიები, ცათამბჯენები, ფართო, აყრიამულეებული ქუჩები და, რაც მთავარია, ხალხი, ზღვა ხალხი; ჩემს დღეში ამდენი ხალხი ერთად არ მენახა. კარგა გაბრუებული ვიყავი, როცა დიაბეტეს სახლს მივადექით. პაწაწინა აივნებზე ქმრებისა და მამების მოლოდინში ქალები და ბავშვები გამოფენილიყვნენ და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ იმზირებოდნენ. კიდევ გამიხარდა, როცა დიაბეტემ მტკიცე ნაბიჯით პირდაპირ თავის კაბინეტს მიაშურა და უყურადღებოდ დატოვა ცოლი და ქალიშვილი, დამნაშავეს შეშინებული მზერით რომ გააცილეს. მან სავარძელზე მიმითითა. დავჯექი, შივაშტერდი წიგნის თაროებს, რომ თვალები ცოტა დამესვენებინა. ეტყობა, დიაბეტეც დაღლილიყო. მან თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ „დოქტორი მაქსიო“ დაიწყო თუ არა, თავი მკერდზე ჩამოუვარდა და ჩასთვლიმა.

მეც ვისარგებლე და ფიქრით ჩემს მშობლებს მივწვდი. ეჭვი არაა, ამ წუთს ისინიც ჩემზე ფიქრობდნენ. დედაჩემი ალბათ მაგიდასთან ჩემს დაცარიელებულ ადგილს მისჩერებია, მამაჩემი კი ეუბნება: „რა გაეწყობა, ბიჭი უკვე წამოიზარდა, დროა ქვეყანა ნახოს. კიდევ კარგი, სამუშაო იშოვა! თუკი იმ სავაჭრო ფირმაში მოეწყო, მომავალი უზრუნველყოფილი ექნება. ნუ დავიწყდება, რომ ჩვენი შვილი ჰკვიანია და ნებისყოფაც აქვს. შესაძლოა, უფრო მალე გაიკაფოს გზა, ვიდრე ბევრმა სხვამ. სიბერე კარს მომდგომია, მალე მუშაობასაც ვეღარ შევძლებ, პენსიას კი ალბათ ისე ცოტას მომცემენ, რომ ამ ბინასაც ვერ შევინარჩუნებთ. ბიჭი კი ზრუნვას არ მოგვაკლებს, ამაგს დაგვიფასებს! ეგებ ეს ჰერიც შეგვინარჩუნოს და სიბერის ჟამს გვიპატრონოს. ვინ იცის, იქნება დადგეს დრო და ისეთ ფუფუნებაში ვიცხოვროთ, რომ ზღვაზე ან მთაშიც კი გვეღირსოს წასვლა... ასე მშვიდად, წყნარად ვიცხოვ-

რებთ სიკვდილამდე, რაც მთავარია, ჩვენ საკუთარ ჭერქვეშ ვიქნებით და არა სადმე მოხუცთა თავშესაფარში, სადაც ალბათ ერთმანეთსაც დაგვაშორებდნენ. ასეთი შვილი რომ არ გვყოლოდა, განა ამის იმედი გვექნებოდა?!”

ამ ვითომ დედაჩემისა და მამაჩემის აზრებმა უფრო მეტად განშიშტიკიცა რწმენა, ნამდვილად ბედმა გამიღიმა-მეთქი, და გადავწყვიტე, პატრონს რომ შევხვდები, საკუთარი ღირსებისა და თავმოყვარეობის შეულახავად ვეტყვი: არაფერს დავიშურებ ფირმისთვის და მიმსახურეთ, როგორც გენებოთ-მეთქი.

ამ ფიქრებში გართული შევყურებდი ღიაბეტეს; ნეტავ ასეთ ხმაურში როგორ დაეძინა! გვერდიდან, ზემოდან თუ ქვემოდან გარკვევით ისმოდა მამაკაცთა მხიარული, აღტაცებული ხმები: ეს ოჯახის მამები, ფეხდაფეხ რომ მოგვყვნენ და მთელი სახლი ააჟრიამულეს, თავიანთ ცოლებსა და შვილებს მოუთხრობდნენ, როგორ ჩაიარა სამუშაო დილამ სავაჭრო ფირმაში, უყვებოდნენ თავიანთ კოლეგებთან, უფროსებთან, პატრონთან დამოკიდებულების ამბავს.

ზემო სართულიდან ოჯახის უფროსის აღტაცებული ხმა ისმოდა; იგი უამბობდა ოჯახის წევრებს, თუ როგორ მოახერხა რომელიღაც შორეული მთის სოფელში ახალი მუშტრის პოვნა. იმ საცოდავს თურმე სულ არაფერი გაეგებოდა სავაჭრო საქმეებისა, მით უმეტეს, განვადებითი გაყიდვის შეღავათიანი პირობების, და საქონელში თურმე მთელი თანხა ნაღდად გადაიხადა. ამას მოაყოლა, თუ როგორ დატენა ჩანთა ფულებით, როგორ დაბრუნდა ფირმაში და მთელი ფული სწორედ იმ დროს გადმოყარა მაგიდაზე, როცა ოთახში პატრონის სახემოქმედო წარმომადგენელი შემოვიდა; ერთი სიტყვით, იმავე ნაშუადღევს იგი კარგ ამბავს ელოდა და მოუთმენლობისაგან ადგილი ვერ ეპოვნა. ისე რომ ბოლოს ცოლმა სიტყვა გააწყვეტინა და უბრძანა, დისტონიუმის აბი გადაყლაპეო. ოჯახის თავი, ეტყობა, დაეთანხმა, ერთხანს კიდევ მიჩუმდა, მაგრამ ისევ მალე მოჰყვა მხიარულ ტარტარს; მერე ცოლმა ისევ შეაწყვეტინა, ახლა ხმები უკვე ყრუდლა ისმოდა. ასევე გარკვევით გაიგონებდით ლაპარაკს ქვემო სართულიდანაც და გვერდიდანაც, მაგრამ ისე მიიპყრო ჩემი სმენა ზემო სართულის ბინადარმა, რომ დანარჩენებს ყური ვეღარ მივუგდე. სანამ ზემო სართულის ოჯახის თავი აბს ყლაპავდა, მივხვდი, რომ ქვემო სართულზე უარესად უნდა ყოფილიყო საქმე; ცოლი, ეტყობა, აცრემლდა, ამ დროს სწორედ სიჩუმე ჩამოვარდა და ამკარად გავიგონე, ქმარმა რომ უთხრა: „კარგი, ლუჩანა, რა გატირებს? მე ხომ დამნაშავე არა ვარ! ღმერთმანი, დამნაშავე არა ვარ!“

ამ ხმებს პირველად ვისმენდი და ისინი რაღაც საამო გრძნობას მგვრიდნენ. ასე მეგონა, მეც გავხდი-მეთქი ამ საზოგადოების წევრი, ამ მშრომელი კოლექტივის ნაწილი, რასაც დღემდე მოკლებული ვიყავი. ამ აქამდე განუცდელმა, საამო შეგრძნებამ, ცოტა არ იყოს, გული ამიჩქროლა. ოცნებამ წამიღო, იქნება მეც მეღირსოს ღიაბეტესნაირი ბინა, ცოლი, შვილი, მეზობლები. მეც მოგვყები-მეთქი ჩემს წარმატებებზე, ისინი მე მომისმენენ, მე მათ. მაგრამ ამაზე ფიქრი აღრე იყო. ოღონდაც ერთი რამე კი ვიწამე: თუ რაიმე ძალიან მოინდომე კაცმა და ძალა და ცდა არ დააკელი, შეუძლებელია ბოლოს და ბოლოს შენსას არ მიაღწიო.

ფიქრები ღიაბეტემ შემაწყვეტინა.

— ხომ ნახე ის ტროპია, მე რომ გაგაცანი? — მკითხა მან, — დაიხსომე ჩემი სიტყვა, მაგ ადგილს ეგ ვერ შერჩება. ჩვენთან ნაცნობობით მოეწყო, დოქტორი მაქსი კი ასეთ ხალხს არ წყალობს. სულ არ გამიკვირდება, შენ რომ მაგის ადგილზე დაგნიშონ. იცი, ვინ გაუწია შუამდგომლობა? დოქტორი მაქსის მამამ. ასე რომ შეგიძლია წარმოიდგინო...

— დოქტორი მაქსის მამა ხომ ფირმის პატრონია, მაშასადამე...

— სწორედ მაგიტომაც. დოქტორი მაქსი ახალგაზრდაა, შენ გგონია, გააჩერებს იმ კაცს, მამამისმა რომ მოახვია თავს? აი, ნახავ, ტროპია დიდხანს ვერ იბოგინებს. სწორიცაა. სავაჭრო ფირმაში ვიღაცის შუამდგომლობით კი არ უნდა მოაწყონ ხალხი, არამედ უნარიანი და ჭეშმარიტად საქმიანი თვისებების გამო აირჩიონ. იმედია, შენ ეს უნარი გააჩნია. როგორც კი სავაჭრო აგენტმა შენი ამბავი მითხრა, მაშინვე გადავწყვიტე, მასაც ხელს გავუმართავ და დოქტორ მაქსსაც ვაამებ, ვეტყვი, ტროპიას შემცვლელი გამოჩნდა-მეთქი. ის მაინც დიდი ვერაფერი მუშაკია. ამით ერთხელ კიდევ დავუმტკიცებდით მამამისს, ვინცაა ფირმის ნამდვილი პატრონი. დაბოლოს, შენ სოფლიდან ჩამოხვედი, ცნობისმოყვარეობა მეტი გაქვს, გწყურია შეიცნო სამყარო; თან მოკრძალებული ხარ, სიკეთესაც დააფასებ; ეს თვისებები კი დღეს მხოლოდ მიყრუებული სოფლიდან ჩამოსულს თუ შემორჩენია. რაც მთავარია, ახალგაზრდა ხარ, ძალზე ახალგაზრდა, თითქმის ბიჭი. მე შენთვის ალალი გულით ვცდილობ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მამაშენს ვიცნობ, მეორეც — უბრალოდ მომეწონე. კარგად დაიხსომე ყველაფერი, რაც გითხარი; შენ სწორედ ის თვისებები გაქვს, რასაც აქ ითხოვენ, ეს კი არც ისე პატარა ამბავია. ასეთი შესაძლებლობა ყოველდღე როდი ეძლევა კაცს. იცოდე, სიფხიზლე გმართებს, გასაგებია? ახლა კი წავიდეთ და ვისადილოთ!

ამ სიტყვებით დიაბეტე სავარძლიდან წამოდგა და გამიძღვა სასადილო ოთახისკენ, სადაც მისი ცოლი და შვილი გველოდა. ცოლი მაშინვე წამოხტა, სამზარეულოს მიაშურა და მალე მობრუნდა; ხელში საწვინე ჯამი ეჭირა და იქიდან ოხშივარი ამოდიოდა. დიაბეტემ პირველმა გადაიღო კერძი, გემო გაუსინჯა და ცოლს ანიშნა, ჩემთვისაც დაეჭხა.

— ჩემი ცოლი დღენიადაგ ავადაა, ასე რომ ტვირთად მაწევს, სამაგიეროდ კარგი დიასახლისია. წვენი გასინჯე და თავად დარწმუნდები!

კერძი გავსინჯე და დიაბეტეს მეუღლის კულინარული ნიჭი შევაქე; ქალი კვლავ ფეხზე იდგა. ამ მეტისმეტმა თავგამოდებამ, ეტყობა, დიაბეტე გააბრაზა და უბრძანა დამჯდარიყო. იგი დაჯდა და ბოლოს თავისთვისაც დაისხა კერძი. კარგად დავაკვირდი, მაგრამ მის პირისახეს სილბო და მორჩილება ვერ შევამჩნიე; ძვალ-რბილში გამჯდარი ნერვიულობის დაღი უფრო აჩნდა. მისი სენის მიზეზიც ალბათ ეს იყო. ათას რამეზე ვისაუბრეთ. მე ჩემი ოჯახის ამბები მოვყევი, ჩემი მშობლიური, პატარა ქალაქიც ავწერე და ქალაქის შთაბეჭდილებებიც გავუზიარე. დიაბეტემ ქალიშვილი დატუქსა; როგორც მივხვდი, თურმე ცუდად სწავლობდა და საღამომობით მამა ამეცადინებდა იმის მაგივრად, რომ დოქტორი მაქსის დავალებები შეესრულებინა და საზღვარგარეთიდან მიღებული სავაჭრო ანგარიშები დაემუშავებინა.

ბოლოს ყავა და ლიქიორი მოგვართვეს; უარი არ გამივიდა. ამის შემდეგ დიაბეტემ ბინა დამათვალიერებინა. გაქათქათებული, ნიკელით აბჭყვიალებული სამზარეულო საოპერაციოს მოგაგონებდათ; მაჩვენა ძვირფასი ავეჯით

გაწყობილი საძინებელი ოთახი, მერე ისევ კაბინეტში დავბრუნდით. ყველაფერი შევუქე; ბინა ნამდვილად მყუდრო და მოხერხებული იყო, მაგრამ დიაბეტეს უნდოდა ცოტა უფრო დიდ ფართობზე გადაეცვალა, რომ გოგონას საკუთარი ოთახი ჰქონოდა. მე ხომ ასეთ რამეზე ვერც კი ვიოცნებებდი, ცოლიც რომ მყოლოდა; დიაბეტე კი ჩემზე უფროსი იყო და, ბუნებრივია, ჩემზე დიდ ბინაც უნდა ჰქონოდა. ყველა კუნჭული რომ დავათვალიერე და დავრწმუნდი, შინამოსამსახურე არ ჰყავდათ, ვიფიქრე, ვინ იცის, იქნებ არც ისე დიდი პატივისცემით სარგებლობს დიაბეტე ფირმაში, თორემ მოსამსახურე ეყოლებოდა და დოქტორ მაქსთან მეგობრობაზე ამდენს არ ილაპარაკებდამეთქი. მაგრამ ვინაიდან საქმეებში ჯერ არ ვიყავი კარგად გარკვეული, პირველსავე დღეს გამოტანილი დასკვნებიც პირობითად და სავარაუდოდ უნდა მიმეჩნია. ალბათ ფირმას თავისი მოსაზრებები აქვს იმის თაობაზე, თუ ვის რამდენი გადაუხადოს და დიაბეტესაც ისეთი ადგილი უკავია და ისეთ ხელფასს იღებს, რისიც ღირსია-მეთქი.

ბინის დათვალიერების შემდეგ მის ცოლსა და შვილს თავაზიანად დავემშვიდობე და დიაბეტესთან ერთად ჩემთვის მოძებნილი ბინის სანახავად გავემართე; ტროლეიბუსში ჩავსხედით, რამდენიმე გაჩერების შემდეგ ჩამოვედით და ცოტა ფეხით გავიარეთ. გზად შევამჩნიე, რომ სახლები აქ არც ისე ახალი და მრავალბინიანი იყო, როგორც დიაბეტეს უბანში; აქ უმეტესად ძველი, ორმოცდაათიოდე წლის წინათ აგებული, ულაზათო, ოთხ და ხუთსართულიანი შენობები იდგა. ერთ-ერთ ასეთ სახლში შევედით, ბოლო სართულზე ლიფტით ავედით; დიაბეტე შემინული კარის წინ გაჩერდა და თქვა:

— კარგი ხალხია, აქამდე არც გაუჭირავებიათ ოთახი. მისამართი ტროპიამ მომცა; თვითონაც ამ სახლში ცხოვრობს, პირველ სართულზე. ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ თვეში ათი ათასი ლირა უნდა გადაიხადო. ვფიქრობ, არც ისე ძვირია. ამიტომაც დავიბევე.— მერე ზარი დარეკა.

კარი შუახნის ქალმა გაგვიღო. ასაკის მიუხედავად, ჰალზე ვნებიანი მომეჩვენა; დიდრონი, შავი წყლიანი თვალეები და მუქად შეღებილი ტუჩები ჰქონდა, პირისახეზე წინადლის ფერუმარლის კვალი აჩნდა. საშინაო ხალათი ეცვა, სხეულიც დონდლო ჰქონდა, მაგრამ რაღაც მიფერფლილი ცეცხლი მაინც ღვიოდა მის არსებაში. ისე შემოგვეგება და შეგვიპატიჟა, რომ დავრწმუნდი,— ბინა მართლაც არასოდეს გაეჭირავებინა და კიდევ ეუხერხულებოდა, რომ ახლა აჭირავებდა. მაშინვე მაჩვენა ჩემთვის განკუთვნილი პატარა ოთახი; კედელთან ტახტი იდგა, ტახტის პირდაპირ ორი პატარა მაგიდა, ერთი — კუთხეში, მეორე კი ფანჯარასა და უზარმაზარი ტანისამოსის კარადას შორის. ოთახის კარი აივანზე გადიოდა.

ოთახი მომეწონა და დიასახლისს ვუთხარი, საღამოს ჩემოდნით მოვალ-მეთქი. მან ყავაზე მიგვიწვია და ჩვენც ფეხდაფეხ შევყევით სამზარეულოში. დიასახლისმა საგანგებოდ ჩვენთვის გამოალაგა ფაიფურის ფინჯნები, ვერცხლის სინი და ვერცხლისავე საშაქრე; თან ფუსფუსებდა და თან სისუფთავესა და წესრიგზე გველაპარაკებოდა (უნდა ვაღიარო, რომ ბინა მართლაც დაწკრილებული ჰქონდა). მისი ხმა ხან პირფერულად, ხან კი ქედმაღლურად ჟღერდა, თითქოს უნდოდა ჩვენთვის ემცნო, რომ უკეთესი ცხოვრების მომსწრე იყო და უცხო კაცი ბინაში არც არასდროს შეეშვა. დიაბეტეს, ეტყობა, წასვლა არ უნდოდა, ყავას წრუპავდა და თან დიასახლისს თვალს არ აშორებ-

და. ჰკითხა, თქვენი ქმარი და შვილი რა საქმიანობას ეწევიანო. გამოიჩინა, რომ ორივე სავაჭრო ფირმაში მუშაობდა, მაგრამ როცა იგი იძულებული გახდა დაესახელებინა, რითი ვაჭრობდა მისი ქმარი, ქალმა კიდევ დაირცხვინა, რადგან იმ საქონელს დიდი გასავალი არა ჰქონდა. გამოიკვირდა, როგორ შეიძლება იარსებოს ასეთმა ფირმამ, ჰქონდეს განყოფილებები, ბუღალტერია, ჰყავდეს თანამშრომლები, კარისკაცები და შიკრიკები, მომხმარებლისათვის კი ამისთანა უვარგისი, დრომოჭმული საქონლით ვაჭრობდეს-მეთქი; მაგრამ შემდგომი საუბრიდან გამოიჩინა, რომ ფირმის მფლობელი, მისი თანამშრომელი, კარისკაცი და შიკრიკი მხოლოდ ერთი კაცი გახლდათ და ეს კაცი დიასახლისის მეუღლე იყო.

მთელ ფირმას კი ერთი ოთახი ეკავა. თითქოს ამ უსიამო შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად, რაც შეიძლება ამ ცნობას ჩემზე მოეხდინა, ქალმა ახლა შვილზე გადაიტანა საუბარი. ის თურმე ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო ფირმასთან არსებულ ვაჭრობის მუშაკთა დახელოვნების კურსებზე სწავლობდა. დიასახლისმა გვიამბო, თუ რა თანამდებობას დაიკავებდა მისი შვილი კურსების დამთავრების შემდეგ. მაგრამ დიაბეტემ საათს დახედა და თქვა, კარგა დრო გასულა და სჯობია ჩვენც წავიდეთო. გეგონებოდათ, ან დიასახლისის ვაჟი-შვილისა შემურდა, ან იმ ფირმისა, სადაც იგი სწავლობდა. დიასახლისი სავარძლიდან წამოდგა და კარებამდე მიგვაცილა. მე ვუთხარი, თუ საჭიროა, ბეს დავტოვებ-მეთქი. მან გაიღიმა იმის ნიშნად, ასეც არის წესადო. ქისიდან ხუთი ათასი ლირა ამოვიღე და მივეცი. სინიორამ ფული გამომართვა და უკვე ისეთნაირად გამიღიმა, ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ მეტისმეტად ვნებიანი იყო.

გზად ორი ავტობუსი გამოვიცვალეთ და ფირმაში მისვლისთანავე დიაბეტეს ოთახს მივაშურეთ. ტროპია ჯერ არ დაბრუნებულ იყო. დიაბეტემ თავის მაგიდასთან დამსვა, ჟურნალ-გაზეთების ზვინის მეორე მხარეს. ტელეფონზე დარეკა და დოქტორი მაქსი იკითხა. ეტყობა, უთხრეს, ჯერ არ დაბრუნებულაო. ამიტომ სთხოვა, შეახსენეთ, ესა და ეს კაცი ჩემს ოთახში უცდისო. მერე მომიბრუნდა და შეშინებულადაა, ჟურნალ-გაზეთებს გადახედე, უცხო აღარა ხარ, აღარც არაფერია შენგან დასაფარავიო. თავად დიაბეტემ შუბლი ხელის გულს დააყრდნო, მსხვილი თითები ყურებზე შემოიწყო და რაღაც მოხსენების კითხვა დაიწყო. ქალაქების ზვინი მეფარებოდა და მე ვერ ვხედავდი. მაგრამ რაკილა ფურცლების შრიალი არ მესმოდა, ვიფიქრე, ალბათ ჩასთვლილა-მეთქი.

ნახევარ საათზე მეტი გავიდა. ვიჯექი და არ ვიცოდი, რა მექნა. განძრევასაც ვერა ვხედავდი, დიაბეტე არ შევაწუხო-მეთქი. შევატყვე, ძალზე ფხუკიანი კაცი იყო და მეშინოდა, არ გაჯავრებულიყო. დიაბეტეს მართლაც ჩასძინებოდა, რადგან არც კი განძრეულა, როცა ოთახში ვიდაც უცხო ყმაწვილი შემოვიდა და ტროპიას მაგიდას მიუჯდა. მერე შემომხედა, უაზროდ გამიღიმა, მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო, ლოყა ხელისგულს დაანდო და ღრმა, ნაღვლიან ფიქრებს მიეცა. აშკარა იყო, ჩემი იქ ყოფნა აინუნშიაც არ ჩააგდო, ან შესაძლოა ვერც შემამჩნია. ყმაწვილს ბებრულად შეკერილი თალხი კოსტუმი ეცვა, პატარა, მუშტისოდენა, ფერმკრთალი პირისახე ჰქონდა, იფიქრებდით, რაღაც უკურნებელი სენი სჭირსო. წყლისფერი, ცივი თვალები თითქოს ქუთუთოების ჭუჭრუტანებიდან იმზირებოდნენ. ან იქნებ თხე-

ლი ბაგის გარშემო, განსაკუთრებით ტუჩის კილოებში, უცნაური თეთრი ლაქები იყო მისი სევდის მიზეზიც. და მაინც ასეთი პირისახე, თვალები, ხელები, ასეთი გარეგნობა შეიძლება ძალზე ფაქიზი სულის ადამიანს ჰქონოდა — რომანტიკოს სტუდენტს ან ვინმე მეოცნებე ჭაბუკს, კლასიკური ჰარმონიის მაღალი იდეალებისკენ რომ ისწრაფვის. არ ვიცოდი, ვინ იყო, და რატომღაც მომეწონა.

სწორედ ამ დროს (უცნობის მოსვლიდან ათიორდე წუთის შემდეგ), დიაბეტემ თავი ამოჰყო ქალღმერთის გროვიდან და ის-ის იყო რაღაც უნდა ეთქვა, რომ უცხო ყმაწვილი შეამჩნია. სათქმელი უმალ პირზე შეეყინა, კვლავ თავის მორევში ჩაყვინთა, თან აქეთ-იქით ისე აცეცებდა თვალებს, გეგონებოდათ, იხრჩობა და საშველად კი ვერავისთვის მოუხმიაო. ბოლოს, როგორც იქნა, ამოყვინთა და რაღაც მანიშნა, მაგრამ რომ ვერაფერს მივუხვდი, ჩაახველა და წარმოთქვა:

— ოჰ, დოქტორ მაქს, რა ხანია გელოდებით...

მაშასადამე, ეს რომანტიკული და მელანქოლიური გარეგნობის ყმაწვილი თვით დოქტორი მაქსი ყოფილა! აბა რას წარმოვიდგენდი! მე კი ვზივარ ჩემთვის ჩუმად და, რაკი ერთმანეთისთვის უცხონი ვართ, არც კი ვიყურები მისკენ. ნეტავ რა იფიქრა ჩემზე?! უზის ჩუმად სხვის მაგიდას, სხვის კაბინეტში და არც უცდია თავად მაინც გამცნობოდაო... კარგს რას იფიქრებდა. თუმცა მეც სულ სხვანაირი წარმომედგინა; ახლა კი, როცა გავიგე, რომ იგი თავად დოქტორი მაქსი გახლდათ, ჩემი პირველი შთაბეჭდილება რაღაცნაირად გაუფერულდა, მისი პირისახე თვალდათვალ გაიცრიცა და მის მაგივრად წარმომიდგა სულ სხვა ადამიანი, ოდნავადაც რომ არ ჰგავდა ადრინდელს. ბაგის გარშემო ახლა უფრო აშკარად დააჩნდა თეთრი ლაქები, ტუჩპირიც რომელიღაც დაშავებული მწერის ხორთუმს დაემგვანა. მისმა სუსტმა და შიშინა ხმამ ხომ სულ ერთიანად განმიმტკიცა ეს შთაბეჭდილება. ასე გაკაპასებით ალბათ მხოლოდ დაშავებული მწერი წივის. დოქტორი მაქსი ერთბაშად გამოერკვა სევდიანი ფიქრებიდან (თუმცა ისიც საკითხავია, ეს მართლა ჩაფიქრება იყო თუ გარინდება, დასნეულებულ მწერებს რომ მოერევათ ხოლმე და ეს საძაგელი ლაქებიც მაშინ უჩნდებათ?); მან საოცრად გამყვიანი ხმით წამოიძახა:

— სადაა ტროპია, ეგ მოხარშული თევზი? იაპონელებთან ოთხშაბათამდე რომ არ მოგვარდეს საქმე, ყველაფერი გათავდება, დავიღუპები, გასაგებია?

ბოლო სიტყვები განსაკუთრებით მჭახედ გაისმა; ეს უკვე წრიპინი კი არა, შიშინი იყო. ბაგის გარშემო თეთრი ლაქებიც უფრო გამოეკვეთა, მაგრამ მის ხმაში ამასთან რაღაც სასოწარკვეთა და უძლურებაც გაისმა.

დიაბეტე ფეხის წვერებზე წამოიწია, თვალები გადმოკარკლა და წამოისროლა:

— მაგას არ ვამბობდი? ნუთუ დაგავიწყდათ, დოქტორ მაქს, მე პირველმა ვითხარით ეს...

მაგრამ დოქტორი მაქსი უკვე აღარ უსმენდა; იგი ისევ იდაყვით დაეყრდნო ტროპიას მაგიდას, კვლავ ხელისგულს დაანდო ლოყა და კვლავ არცთუ სასიხარულო ფიქრებს მიეცა; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა ჩემკენ მომართა მზერა; ვიფიქრე, ვაითუ ადრეც მითვალთვალებდა ქუთუთოების სო-

როდნ და ისეთი დამინახა, როგორც აქ მოვედი-მეთქი, — გამოუცდელი, მია-
მიტი, ვისაც მხოლოდ თავისი ასაკი თუ გამოადგებოდა ფარად.

დიაბეტემ მაგიდას შემოუარა, მომიახლოვდა, მამობრივი ალერსით გადა-
მისვა თავზე ხელი, მერე დოქტორ მაქსს მიუბრუნდა და უთხრა:

— ეს გახლავთ ის სოფლელი ჭაბუკი, ვისზედაც ჩვენი სავაჭრო აგენტი
გელაპარაკათ; მგონი, თქვენვე ისურვეთ მისი ნახვა. მის მშობლებს კარგად
ვიცნობ და, თქვენის ნებართვით, მინდა ერთგვარი პატრონობა გავუწიო, მაგ-
რამ თუკი თქვენ ამას არ ინებებთ, ხელი ამიღია, სულ თქვენთვის მომინდვია,
ვინაიდან თქვენი მფარველობა, უეჭველია, უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს.

ესა თქვა და გულიანად ჩაიხითხითა; მაგრამ თვითონვე მიხვდა, რომ სიცი-
ლიცა და გადაკრული სიტყვებიც უადგილო იყო და გადაწყვიტა, ეს უსიამო
შთაბეჭდილება როგორმე მიეფუჩეჩებინა. ამიტომ ჩემი დახასიათების დასა-
გვირგვინებლად დიაბეტემ განაცხადა:

— მით უმეტეს, ორივეს მამად შეგეფერებით.

დოქტორმა მაქსმა ხელი გამომიწოდა (დონდლო, დანაოჭებული ხელის-
გული ჰქონდა) და ისე უნდოდ ჩამომართვა, თითქოს უნდოდა ჩემთვის ეჩვე-
ნებინა, რომ ხელის ჩამორთმევა სულელურ პირობითობად მიაჩნია და, რაკი
ასეა მიღებული, ისიც უნებურად დაჰყვება ამ წესს (მართლაც, კაცმა რომ
თქვას, ვინ ვიყავი მე, მისი ნათესავი, ამხანაგი თუ ახლობელი?). როცა ხელი
უკან წაიღო, მის პირისახეზე, რაღაც ღიმილის მსგავსი დაცურდა. ამ ღიმილშიც
იგივე იგულისხმებოდა.

— დიახ, უკაცრავად, უკაცრავად, ამ დილას ხომ გელაპარაკეთ ტელეფო-
ნით! რაღაც კარგად ვერ გავიგე. ჩვენი სავაჭრო აგენტი მართლაც შესაუბრა
თქვენზე.

— დაგეგმარების საკითხი ბავშვობიდანვე იტაცებდა... — კვლავ ჩაერია
დიაბეტე, თან თავზე ხელს მისვამდა და ისევ ისე ხითხითებდა. — ძალზე ჭკვი-
ანი ყმაწვილია. ახლა ოცი წლისაა... გისურვებთ, სულ ასე გეგლოს ცხოვრება-
ში. თქვენ რას იტყვით, დოქტორ მაქს?

— აქ მუდმივ სამუშაოზე აპირებთ მოწყობას? ჩვენს ქალაქში იცხო-
ვრებთ? — მკითხა დოქტორმა მაქსმა, თითქოს არც დიაბეტეს სიტყვები გაუ-
გონია და არც ხითხითიო.

— დიახ, ბედნიერი ვიქნებოდლი, ამ ქალაქში რომ დავსახლდე, — მტკი-
ცედ მივუგე მე.

დოქტორმა მაქსმა გაიღიმა; ამ ხნის განმავლობაში ეს მისი პირველი გა-
ღიმება იყო.

— მერედა რატომ? განა სოფელში ცხოვრება არა სჯობია? რატომ მოის-
წრაფის ყველა ქალაქისკენ? რა ახირებაა. მე რომ თქვენ ადგილზე ვიყო,
ერთი წუთითაც არ შევყოყმანდებოდლი. საუბედუროდ, არ შემიძლია...

შესაძლოა, დოქტორ მაქსს უნდოდა ამ სიტყვებით ჩემთვის ეგრძნობინე-
ბინა, რომ უკვე გარკვეული აზრი შეექმნა ჩემზე და ფირმის შესაფერისად
მაინცდამაინც არ მივაჩნივარ. ანდა იქნებ უნდა მივეხვედრებინე, ჭერჯერობით
გარკვეულს გერაფერს დაგპირდებო.

— თავი ხომ უნდა გავიტანო როგორმე, — მივუგე მე, — ჩემი მშობლები
უკვე მოხუცდნენ, სოფელში კი რა გზას ვეწიო, რა გავაკეთო? იმის გარდა,
რაც თქვენ მოგახსენეს, უკვე ცოტა რამ გავაკეთე კიდევ სავაჭრო დაგეგმა-
რების საქმეში...

სიტყვები კარგად ავწონ-დავწონე; ჩემი ნათქვამი სრულ ჭეშმარიტებას შეეფერებოდა. და მაინც, როცა ამას ვამბობდი, ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს სადღაც დაბლა ვეშვებოდი. სიტყვას „დაბლა“ ზუსტად ვერც განვსაზღვრავდი, უბრალოდ, შინაგანად ვიგრძენი ასე, მაგრამ ერთი კი აშკარა იყო: დოქტორი მაქსი მაღლა იდგა, მე კი დაბლა, უფრო მეტსაც ვიტყვი, რაც არ უნდა მეთქვა, როგორც არ უნდა მეთქვა და რა აზრიც არ უნდა ჩამედო ამ სიტყვებში, ის აზრიცა და სიტყვებიც სადღაც ქვემოთ დარჩებოდნენ, მაშინ როცა დოქტორ მაქსს დუმილიც კი ამაღლებდა. უკვე მაშინვე ვიგრძენი, რომ ჩვენი დამოკიდებულების ყველაზე დიდი განმასხვავებელი ნიშანი იყო პატრონის მაღალი და ქვეშევრდომის დაბალი მდგომარეობა. ეს ისევე ვიგრძენით ორივემ, როგორც წინასწარ ცნობილი ზუსტი განტოლება. მდილს იმიტომ სჭირდება ჭიანჭველა, რომ წვეთი გამოყოს, ასევე ვჭირდებოდი მეც დოქტორ მაქსს. მაგრამ ამავე დროს იმასაც ვგრძნობდი, რომ ამ დამდაბლებაში (თუმცა ამას უკვე აღარც კი შევიგრძნობდი დამდაბლებად) ჩემი მომავლის საიდუმლოებაც იმალებოდა და სავაჭრო ფირმაში ჩაბმის სიტკბოებაც. ეს საწინდარი იყო იმისა, რომ მეც ვიცხოვრებდი ისეთსავე სახლში, როგორშიც დიაბეტე, და გავხდებოდი თუნდაც სულ პატარა ნაწილაკი იმ დიდი დამცველი გარსისა, შრომა რომ ჰქვია და ასერიგად სჭირდება კაცთა მოდგმას. ფიქრით წარმოვიდგინე ისიც, რაც ჯერ კიდევ არ ვიცოდი, მაგრამ გუმანით ვხვდებოდი. ეს იყო გადარჩენის ერთადერთი საშუალება, არსებითად ჩემი სოციალური ყოფის დასაწყისის ერთადერთი მიზანი. და ჩემთვისაც კი მოულოდნელად ვალიარე:

— ამის გარდა, ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, დოქტორ მაქს, რომ თქვენდამი აღმეძრა შურის გრძობაც, ასე დიდ საქმეს რომ ეჭიდებით, და ამასთან დიდი ნდობაც.

— გმადლობთ! — მომიგო დოქტორმა მაქსმა და გაიცინა. მის ღრჭიალა სიცილს მაშინვე დიაბეტემაც ააყოლა თავისი ბუყბუყა, მამობრივი, თვითკმაყოფილი ხითხითი. — მეც მომეწონეთ. ახალგაზრდა ხართ, სოფლიდან ჩამოსული, თუკი რამ შემიძლია, დაგეხმარებით!

დიაბეტე გათამამდა.

— თუკი რამ შეგიძლიათ?! — დაცინვით გაიმეორა, თითქოს ამით სიტყვა გადაუკრა, ასეთი უფლების პატრონს თავმდაბლობა არ გეკადრებათო. დოქტორ მაქსს არ გამოპარვია ირონია, დიაბეტეს მიუბრუნდა და ღიმილით აუხსნა:

— მე ვთქვი, თუკი რამ შემიძლია-მეთქი; თქვენ მაინც იცით ჩემი მდგომარეობა... მამაჩემი თავნება კაცია; დიახ, შებორკილი ვარ, რაც მიინდა, იმას ვერ ვაკეთებ. ამას თავი დავანებოთ, რამდენი გეყოფათ თვეში? რა თანხაზე დათანხმდებოდით?

— არ ვიცი, — ვუპასუხე მე.

დოქტორმა მაქსმა კვლავ განაგრძო:

— პირდაპირ გეტყვით, ბევრის გადახდა არ შემიძლია, თანაც დიდი-დიდი, რამდენიმე თვით თუ გაგიმართავთ ხელს. ამასობაში სადმე მოეწყობით, გაიხედ-გამოიხედავთ ქალაქში, ნაცნობებს გაიჩენთ... — მან მკლავში ხელი გამომდო და დერეფანში გამომიყვანა; დიაბეტემაც დააპირა გამოგვეყოლოდა, რამდენიმე ნაბიჯიც გადმოდგა, თითქოს ამით უნდოდა ეჩვენებინა, საუბარში

ჩარევის უფლება მეცა მაქვსო, მაგრამ რაკი დოქტორმა მაქსმა ხელკავით გამიყვანა, აშკარა იყო, განმარტოებით უნდა გველაპარაკა. იგი მართლაც მიუბრუნდა მომღიმარე დიაბეტეს და უთხრა:

— გმადლობთ, დიაბეტე, მაპატიეთ, ერთი წუთით დაგტოვებთ, სულ მალე უკანვე გამოგიგზავნით.

მივუბრუნდი დოქტორ მაქსს, რომ მეთხოვა, თუ შეგიძლება დიაბეტეს წამოვიდეს-მეთქი, მაგრამ მოხუცი უკვე მიბრუნებულყო და თავჩაქინდრული მიჰყვებოდა დერეფანს. დოქტორმა მაქსმა თავის კაბინეტში შემეყვანა; მისი ოთახი დიაბეტეს კაბინეტისაგან დიდად არ განსხვავდებოდა; მხოლოდ ცოტა უფრო მოზრდილი იყო და ნაკლები ავეჯიც ეწყო; საწერ მაგიდასთან ჩვეული მოწყენილობით გატანჯული კაცივით მოკალათდა და ღრმა ფიქრებს მიეცა.

— ორმოცდაათი, სამოცი ათასი ლირა გეყოფათ თვეში?

— როგორ არა, — დავეთანხმე მე. მაგრამ ჩემი პასუხი ყურადღაც არ იღო, თავისი განაგრძო; გეგონებათ, წამდაუწუმ ცვალებადი მისი ფიქრები გამოსავალს სიტყვებში ეძებნო.

— ჯერჯერობით ამის მეტს ვერ მოგცემთ. ეს ისე ჩათვალეთ, თითქოს ამხანაგურად გაგიწიეთ დახმარება, როგორც სოფლიდან ჩამოსულ ყმაწვილს. მაგრამ მე დიდი გეგმები და იდეები მაქვს, სწორედ თქვენისთანა კაცი უფრო გამომადგება. უნდა როგორმე მოგაწყობთ, კაბინეტიც გამოგიჩინოთ, სულ ერთია, სად და როგორ, გინდაც სორო იყოს. გულახდილად რომ ვთქვა, ადგილის დიდი გაჭირვება გვაქვს. კარგი იქნება, თუკი სადმე ჩემთან ახლოს მოგათავსებთ, თვალწინ მეყოლებით; ფირმის ახალი შენობა თუ ნახეთ? სიგიჟეა, ნამდვილი სიგიჟე და უზნეობა, ვერაფერს იტყვი! ეს ელექტრული გამომთვლელი მოწყობილობებიც უზნეობა და სიგიჟეა. მთელი ქვეყანა გადაირია და სირცხვილი დაკარგა. მერწმუნეთ, ბედნიერი კაცი ხართ, რომ სოფელში დაიბადეთ, თუკი მოისურვებთ, შეგიძლიათ უკანვე დაბრუნდეთ, მე თავად არც არასდროს შეგზულუდავთ და არც დაგაკავებთ. რასაკვირველია, თუ კაცს ვაჭრობის დაგეგმარების საკითხები იტაცებს... მაგრამ ღირს კი ამ საქმეს მოჰკიდო ხელი? ჩემი აზრით, ამან თავისი ღრე მოჭამა. ვაჭრობის დაგეგმარება გასული საუკუნის ბაზრებისა და ეკონომიკისათვის ვარგოდა, დღეს კი ყოველგვარი აზრი დაკარგა; ახლა მთავარია ფილოსოფია, მაპატიეთ, მე მაინც ვერ ვთქვი ჩემი სათქმელი. არც ფილოსოფიაა დიდი ბედენა. აბა, ვის რაში წაადგება? მე მხოლოდ საკუთარ თავზე მოგახსენებდით. თავისუფალი რომ ვიყო, წავიდოდი სოფელში და მშვიდად ვიკითხავდი ძველ ფილოსოფოსებს; ზოგჯერ მგონია, დიდი მოაზროვნე ვიქნებოდი. თუმცა რას ვამბობ! დიდი კი არა, პატარა, სულ პატარა მოაზროვნე, უფრო სწორად, ფილოსოფოსი კი არა, უბრალო მკითხველი, თანამედროვეობის დიდი ფილოსოფიური აზრების ამხსნელი და განმმარტებელი. კარგ ფილოსოფიურ წიგნსა და სოფლის სიმყუდროვეს რა სჯობია! ცხოვრება ხომ ბრძოლაა, ამო და თანაც უზნეო ბრძოლა. ეს შუშის სასახლეც უზნეოა, ისევე, როგორც უზნეობაა ის ამბავი, რომ მე გახლავართ მისი პატრონი. რისთვის ავაშენეთ ეს ახალი შენობა? იმიტომ, რომ წარმოება გავზარდოთ? კარგი, დავუშვათ, რომ ეს აუცილებელია, უფრო მეტიც, ეს ჩვენი ვალია, ან კიდევ უბრალოდ, ნეგატიური მორალის მოთხოვნილებაა. თუ ჩავუფიქრებთ, ყველაზე დიდი უზნეობა კერძო საკუთრების პრინციპია. მაპატიეთ, რომ ასე გელა-

პარაკებით, მაგრამ მითხარით, მაინც რატომ დაგაინტერესათ ვაჭრობის დაგეგმარების საკითხმა? გამოგიტყდებით და ვერ გამიგია...

— მართალი რომ ვთქვა, ეს საკითხი დიდი ხანია მიტაცებს... თითქოს ჩემდა უნებურად... — დავიწყე მე, მაგრამ დოქტორმა მაქსმა წინადადების დამთავრება არ მაცალა, თავისი განაგრძო:

— რასაკვირველია, თუკი ამ საქმეს გულსუფრით მოეკიდებით, კიდევ დაგაინტერესებთ. ეს ერთგვარი მოწოდებაც კია, რაც მე სულ არ გამაჩნია. იქნება სჯობდა ამ საქმეში მეცადა თავი, მაგრამ როგორ? უნდა ვალიარო, რომ ძალზე მიჭირს თავს ძალა დავატანო და საქმეს ჩავუჭდე. ყოველთვის მშურდა იმ ადამიანისა, ვისაც შეუძლია დაჯდეს და სავაჭრო პროექტები შეადგინოს. ამისთვის უპირველეს ყოვლისა, ფანტაზია უნდა გქონდეს, რაც არასოდეს გამაჩნდა. მე უფრო სპეკულაციური აზროვნებისკენ ვიხრები, სწორედ მოაზროვნის ხასიათი მაქვს და არა შემოქმედისა. ვინც სავაჭრო პროექტებზე მუშაობს, იგი შემოქმედიცაა; უნდა ვალიარო, ეს თვისებები მაკლია. სამაგიეროდ, მშვენივრად შემიძლია სავაჭრო პროექტები გავანადღო ბაზარზე. აი, უკვე ორი წელიწადია ამ ფირმას განვაგებ და ალბათ თქვენც დარწმუნდებით, რომ გარკვეულ წარმატებებსაც მივალწიე. თუმცა შეიძლება ეს ჩემს დამსახურებად არ ჩათვალონ... უკაცრავად...

ტელეფონმა დარეკა და დოქტორმა მაქსმა ყურმილი აიღო.

— რაო, რაო? — გაიმეორა ზედიზედ, — შენა ხარ, ძვირფასო? როგორა ხარ, დედიკო? — მერე ყურმილს ხელისგული დააფარა და მე მომიბრუნდა: — მაპატიეთ, გეთაყვა, ხომ არ გეწყინებათ, ერთი წუთით დერეფანში რომ დამელოდოთ?

ავდექი, ჩუმად გავაღე კარი და მისაღებ ოთახში გავედი. იქ, ჩვეულ ადგილზე უწინდებურად ოდნავ მარცხნივ გადახრილი, ფეხებდაბრეცილი კაცი იჯდა, ისევ ისე დაეწყო ხელები მაგიდაზე და თითები ერთმანეთზე გადაეჭდო. რომ მეთხოვა, მოსაცდელ ოთახში წამიყვანე-მეთქი, ალბათ წამიყვანდა, მაგრამ ლაპარაკის თავი არ მქონდა და ისევ მისაღებ ოთახში ვამჯობინე ლოდინი. არც ის მინდოდა დიაბეტეს შევჩეხებოდი, ალბათ მელოდებოდა კიდევ, მაგრამ არც მასთან შეხვედრას ვჩქარობდი; ჯერ აზრები უნდა მომეყრიბა. შიკრიკმა შემომხედა და ლმობიერად გამიღიმა; მერე აუჩქარებლად გაშალა ხელები და თითი დამიქნია. ვერ მივხვდი, რაზე მიქნევდა თითს და ისეთი სახე მივიღე, ვითომ ვერც შევამჩნიე; მერე ცალი თვალით გავხედე, ის კი ისევ ისე ღიმილით მიყურებდა და ისევ ისე მიქნევდა თითს.

— სიგარეტს ეწევი? — მკითხა მან.

მაინც ვერაფერს მივხვდი და ღიმილითვე მივუგე, ვეწევი-მეთქი.

— ასეც ვიფიქრე. აბა შეხედეთ, — ამ სიტყვებით იგი ადგა, ჩლახუნით მომიახლოვდა, მშრალი ხელი იდაყვზე მტაცა და იატაკზე დამახედა; ნაცრისფერ ფილებზე ფერფლი ეყარა.

— არა მგონია, მაგრამ თუ... — ვიუარე მე. შიკრიკმა ისე მაგრად მომიჭირა ხელი, მეტკინა.

— თქვენ, დიახ თქვენ, აბა სხვა ვინ იზამდა! როცა დოქტორ მაქსთან ერთად მოდიოდით... სწორედ ამ ადგილას გაიარეთ... — მეუბნებოდა და თან მკლავში ჩაფრენილი, იატაკზე მიმითითებდა, დამნაშავე ლეკვივით ლამის ცხვირი დამახლევიანა იატაკზე. — ხომ ხედავთ? ახლა რაღას იტყვით?

— ჰოო, რაღა მეთქმის, — ვუპასუხე მე, — მაგრამ განგებ ხომ არ მიქნია...

— ვიცი, ვიცი! — მომიგო შიკრიკმა, — მე მხოლოდ მინდოდა ყურადღება მიგექციათ. დოქტორ სატურნოს არ უყვარს, როცა იატაკზე ფერფლსა და ნამწვავებს ყრიან, — ჩურჩულით გამანდო მან, — პაპიროსის მწვევლები ძალზე აღიზიანებს; თავად კარგა ხანია აღარ ეწევა. ეცადეთ, სიგარეტი ხელში არ დაგინახოთ. შეგიძლიათ კაბინეტში მოსწიოთ, ისიც იმ პირობით, თუ იატაკზე არ დააფერფლებთ და არც ნამწვავებს დაყრიოთ. განა სწორი არაა?

— რასაკვირველია, სწორია, — უნებურად დავეთანხმე მე. რატომღაც ძალზე უსიამო გრძნობა მომგვარა შიკრიკის საქციელმა, განსაკუთრებით კი მისმა ღიმილმა თუ გაფაციცებულმა ბავშვურმა ანცობამ.

— აი, ყოჩაღ, — წარმოთქვა მან, ხელი გამიშვა და ისევ თავისი ადგილისკენ წაფრატუნდა. — აქაურობას მე თვითონ ვასუფთავებ. მწვევლთათვის საფერფლეები გვაქვს, აი, შეხედეთ! — მან უჯრა გამოსწია, საფერფლე ამოიღო, დამანახვა და ისევ ჩაკეტა.

— ერთი თქმა და...

ამ სიტყვებით მან ჩვეულებისამებრ დააწყო ხელები მაგიდაზე, თითები ერთმანეთს გადააჭდო და პირისახეც ისე ჩაუქრა და ჩაეფერფლა, როგორც ცეცხლმოკიდებული ქალადის ფურცელი, უკანასკნელად რომ აბრიალდება და დაინავლება. შევხედე და კვლავ საჭურისი გამახსენდა. იქნებ მართლაც დაკოდილი იყო, ან იქნებ რაიმე ხიფათი შეემთხვა, ანდა ომში დასახიჩრდა (შიკრიკად ბევრი ხეიბარი მუშაობს) და ახლა მის უმეტყველო მზერას აუხდენელ ოცნებად გადაქცეული შიშველი ქალის სურათები ეხატება.

ამ დროს, თითქოს ქარმა კარი შემოჰგლიჯაო, ოთახში ჯამბაზივით ხტუნვა-ხტუნვით შემოიჭრა კაცი; ღიმილით გაციისკროვნებული, გაბადრული ვარდისფერი სახე ჰქონდა და თვალისმომჭრელ თეთრ კბილებს აელვარებდა; ჩაცმულობით გონდოლიერს მოგაგონებდათ; ბაფთასავით გამონასკული დიდი ჰალსტუხი ეკეთა, ფართოფარფლებიანი თეთრი პანამა ოთახში შემოსვლისთანავე ხელის ერთი მოქნევით მოიშვლია. ილღიაში ნახატებით სავსე სქელი საქალაღდე ამოეჩარა; მანჭვა-გრეხით მიუახლოვდა შიკრიკს, პანამა მკერდზე მიიკრა და მდაბალი სალამი მისცა.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, გამარჯობათ! — მხიარული, მყლერი ხმით წარმოსთქვა მან, მერე დოქტორი მაქსი იკითხა.

— ახლავე მოგახსენებ! — უპასუხა სახეგაბრწყინებულმა შიკრიკმა, მაგრამ სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ დოქტორი მაქსი თავად გამობრძანდა კაბინეტიდან. გრძელი, ქერა კულულები საფეთქლებზე და ყურებზე ჩამოშლოდა; მან ხელები გაშალა და გონდოლიერის შესახვედრად გამოეშურა.

— მასხარავ, ჯამბაზო, არლექინო! — შეჰყვირა დოქტორმა მაქსმა და მაგრა მოეხვია გონდოლიერს. ის კი ვითომ შეეცბა, რადგან ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა, ერთში სურათები ეჭირა, მეორე ხელში — პანამა; მერე ერთიცა და მეორეც იატაკზე დაყარა და ახლა თავად ჩაიკრა მკერდში მაქსი, თან ღონივრად დაჰკრა ბეჭებზე ხელი.

არ ვიცი, მათმა აღტაცებულმა შეძახილებმა, გონდოლიერის მხიარულმა სიცილმა და შიკრიკის წიკვინმა თანამშრომელთა ყურადღება მიიპყრო თუ

სტუმრის მოსვლა მათ უფრო აღრეც გაიგეს, დერეფანში ერთბაშად გამოეფინა მომღიძარე ხალხი, მათ შორის დიაბეტეც; იგი თავისი შოკლე ფეხებით ისე სწრაფად მოცუნტულვებდა, რომ ყველას მოასწრო.

— ერთი კოცნა ჩემთვისაც გაიმეტე, შე გადარეულო! — უთხრა მან ახალმოსულს, ფეხის წვერებზე წამოიწია, ძლივს შესწვდა, ხელები კისერზე შემოაჭდო და მაგრად აკოცა. ამასობაში სხვებიც მოცვივდნენ, ქალები, კაცები, მოხუცები, ყველა ერთხმად გაჰყვიროდა:

— მხატვარო ორაციო! მხატვარო ორაციო! როდის დაბრუნდით?

სალხი გარს შემოეჯარა მხატვარს და კითხვები დააყარეს.

ორაციო მართლაც ჯამბაზივით ხტოდა; აკისკისებულ ქალებს ხელებზე ჰკოცნიდა, მამაკაცებიდან ვის ხელს ართმევდა, ვის მეგობრულად ლოყაზე უტყაპუნებდა. ეს მიჩუმებული შენობა, სადაც ყველა თავჩაქინდრული მუშაობდა და ერთ უსაქმო კაცსაც ვერ მოჰკრავდით თვალს, მისმა მოსვლამ ერთბაშად გამოაცოცხლა, ხალხმა თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა. დოქტორი მაქსიც თითქოს გაახალგაზრდავდა და პატარა ბიჭს დაემსგავსა; მელანქოლია, ასე რომ მოერეოდა ხოლმე, როცა მიმქრალი ხმით გრძელ მონოლოგებს წარმოთქვამდა, ერთბაშად გაუქრა, სახის გამომეტყველებაც და მიხრა-მოხრაც ერთიანად შეეცვალა; კარის წირთხლს მიეყრდნო და ნათელი ღიმილით უსმენდა მხატვარ ორაციოს, ხუმრობით და ოხუნჯობით ყველას რომ თავბრუ დაახვია. დოქტორ მაქსს მხიარული მზერა ერთი წამით განზე გაექცა, თითქოს რაღაც აზრმა გაფრენილი ჩიტის ფრთასავით ჩაუქროლა და ყურადღება მოსწყვიტაო. ესეც საკმარისი იყო, რომ კვლავ მძიმე, სევდიან ფიქრებს წაეღო, მაგრამ ამ წუთას მე მოვხვდი თვალში, მზერა კვლავ აენტო და ჩემკენ გამოქანდა.

— ოჰ, ორაციო, ჩვენ შენი თანამემამულე გვესტუმრა! აი, ვისთან გამოხახავ საერთო ენას! ისიც ხომ სოფლიდან არის, სწორედ დღეს ჩამოვიდა... — აუწყა მან მჭახე ხმით, ხელი მტაცა და მხატვართან მიმიყვანა. მხატვარმა ღიმილით გამომიწოდა სული, მაგრამ თვლებში ერთბაშად ჩაუქრა მხიარული სხივი; თვალი თვალში გამიყარა. ეს ყველაფერი ელვის უსწრაფესად მოხდა და არავის არაფერი შეუმჩნევია. მერე დაიხარა და ჩვენებურ კილოკავზე ყურში ჩამჩურჩულა:

— დაიხსომე, აქ, ამ დიდ ქალაქში, ფხიანი კაცი თვალზე ლიბრივით ედებათ!

ვერ გავიგე, რას მოასწავებდა ეს უსიამო, მუჭარით სავსე მზერა და ეს სიტყვები, ან ჩვენებურ კილოკავზე რატომ მითხრა! დამსწრეთ რომ არ გაეგოთ? ან იქნებ გამაფრთხილა კიდევ! ნეტავ ვის უნდა მოგრიდებოდნი? იქნებ თვითონ მას! ან იქნებ მაგრძნობინა, მე და შენ მეგობრული კავშირი შევკრათო. ან რატომ მომმართა შენობით? ვითომ ამით თავიდანვე უნდოდა ეჩვენებინა (როგორც ამას დიაბეტე სჩადიოდა, მაგრამ უფრო მორიდებით), ასაკითაც და თანამდებობითაც შენზე მეტი უფლებები მაქვსო. ვერაფერი გავიგე და ვერც ვერაფერი ვკითხე, თანამშრომლები კვლავ მის გარშემო ტრიალებდნენ და სეტყვასავით აყრდნენ კითხვებს. ქალები მის უცნაურ ჩაცმულობას ათვალყურებდნენ და თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ; დოქტორი კი დროდადრო გაიძახოდა:

— ამისთანა მასხარა თუ გინახავთ! აი, საყვარელი ჯამბაზი!

დიაბეტე კი თავს აქნევდა და ამბობდა:

— მაგას რა უჭირს, მხატვარია, როგორც უნდა ისე ჩაიცივამს, ვინ რას ეტყვის; მე რომ ასე გავიდე ქუჩაში, მაშინვე საგიჟეთში მიკრავენ თავს.

— იმიტომ რომ მხატვარი არა ხართ, — შეეპასუხა დოქტორი მაქსი, თითქოს ადრე ნათქვამი არც გაეგონოს.

დიაბეტეც მაშინვე დაეთანხმა:

— სწორედაც! სწორედაც!

ის აღტაცება, მხატვარ ორაციოს გამოჩენამ რომ გამოიწვია, ცოტა მინელდა და ხალხიც მიჩუმდა, აღარავინ იღიმებოდა. დოქტორი მაქსი ახლა აღმაცერად, მკაცრად უყურებდა მხატვარს, თითქოს ნანობდა, ასეთი აღფრთოვანება რად გამოვიჩინეო. ორაციომ კი გაბრწყინვებული თვალი მოავლო ყველას სათითაოდ, მერე ჯამბაზივით ხელები წინ გაიშვირა, თითქოს უნდოდა ეთქვა, მაცალეთო.

— შეჩერდით, შეჩერდით, ერთი წუთით, — შესძახა მან და მართლაც ჯამბაზივით მიიჭრა საქალღდესთან (შიკრიკს იგი იატაკიდან აეღო და მაგიდაზე დაედო), თითების ტკაცუნით გახსნა ზონრები, ამოიღო მუყაოს დიდი ფურცელი და გულზე მიიჭრა, გეგონებოდათ, გარეშე თვალს არ უნდა დაანახვოსო. ამან ყველას ცნობისმოყვარეობა გაუღვიძა, იფიქრეს, რაღაც ახალინს გვიმზადებსო, თან ცალი თვალით დოქტორ მაქსს გაჰყურებდნენ, რა ნიშანს მოგვცემს — დავრჩეთ თუ წავიდეთო. ამასობაში მხატვარი ორაციო ხტუნვა-ხტუნვით და ცეკვა-ცეკვით მიიჭრა კედელთან, თავისი გონდოლიერის ქურთუკის ჯიბიდან ჭიკარტები ამოიღო, მუყაო გადმოაბრუნა და კედელზე მიაკრა.

შევხედეთ და იმდენად უბრალო, არაფრისმთქმელი, ჩვეულებრივი პლაკატი დავინახეთ, ოთახში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა: ხასხასა წითელ ფონზე პატარა თეთრი ასოებით სავაჭრო ფირმის სახელწოდება ეწერა. მხატვარმა კი თითქოს უფრო მოილხინა, თვალები გაუბრწყინდა. ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და ხმამაღლა ხარხარს მოჰყვა; კარგა ხანს იხარხარა ასე, მუცელი ხელით ეჭირა და წინ და უკან ქანაობდა.

რაც უფრო მეტს ხარხარებდა, მით უფრო დამთრგუნველი ხდებოდა ოთახში ჩამოვარდნილი სიჩუმე. ზევრმა შეშინებული თვალებით გადახედა ერთმანეთს, ერთი ქალიშვილი აღელვებით იმტვრევდა თითებს. დოქტორი მაქსი მოიღრუბლა, უფრო გაყვითლდა. დიაბეტეს კისერი მთლად მხრებში ჩაუძვრა და უჩუმრად გაიძურწა დერეფნისკენ. სწორედ ამან გახსნა ამ უცნაური პლაკატის საიდუმლოებაც; ცოტა რომ გაიარა, მან აღმაცერად, თითქოს საყვედურით გამოხედა მხატვარს და მის ნამუშევარს, გამოხედა და ადგილზე გაშეშებულს, გოცების ყვირილი აღმოხდა... ჯერ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, ისე რომ პლაკატისათვის თვალი არ მოუცილებია, ისევ შეჰყვირა, მერე განზე გადგა, შემდეგ ახლოს მიიჭრა და ცხვირი ლამის ზედ მიაჭყლიტა პლაკატს. დაბოლოს ეს ერთი ციციქნა კაცი მთელი სიმაღლით გაიჭიმა და მოულოდნელად მხატვარს ხელი გაუწოდა.

— მომილოცნია! ნამდვილი ოსტატი ყოფილხარ! გულითა და სულით მომილოცნია! — წარმოსთქვა დიაბეტემ და ცრემლი მოერია.

ესა თქვა დიაბეტემ და ყველა დანსწრე, თვით დოქტორი მაქსიც კი, სუნთქვაშეკრულნი დაიძრნენ კედლისკენ, რათა კარგად დაეთვალიერებინათ პლაკატი. მეც მივედი. მიახლოებისას წითელმა ფონმა ნელ-ნელა იცვალა ფე-

რი, ჯერ იისფერი გახდა, შემდეგ ცისფერი, ბოლოს შავი. ფერთა ეს თამაში მართლაც გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა; გეგონებოდათ, ვილაც უჩინარი ჩვენ თვალწინ ცვლიდა ერთ ფურცელს მეორეთი; უკან რომ დახვედით, კვლავ იწყებოდა ფერთა ცვალება, წითელს ნარინჯისფერი ენაცვლებოდა, ნარინჯისფერი ყვითელში გადადიოდა, ყვითელს თეთრი ცვლიდა, თეთრ ფონზე კი გარკვევით იკვეთებოდა შავი ასოებით გამოყვანილი ფირმის სახელი; იგივე მეორდებოდა, თუ გვერდიდან შეხედავდით. საოცარი ისიც იყო, რომ ეს პატარა წარწერა, ჯერ ასე მკვეთრად გამოხატული, შემდეგ ნელ-ნელა უჩინარდებოდა და სხვა ფერზე უკვე სხვა ფერით კიაფობდა; ასე რომ პლაკატს თუ ჩაუვლიდით, ფერთა ამ ცვალებადობით გაოცებული ჯერ იფიქრებდით, ვცდებიო, მერე გადაწყვეტდით, ეს უცნაური მოვლენა მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენება არისო. გამვლელი უნებურად შედგებოდა, თვალი ხომ არ მატყუებსო, დააკვირდებოდა წითელ ფონს, ერთი წამის წინ რომ აშკარად იისფერი იყო, გადადგამდა ნაბიჯს — ფონი უკვე შავი ხდებოდა, კიდევ ერთ ნაბიჯს და უკვე ნარინჯისფრად ეჩვენებოდა. შესაძლოა კიდევ ეფიქრა, ცუდად ხომ არ ვარ, ჩემს შრომისუნარიანობას ან იქნებ სიცოცხლეს საფრთხე ხომ არ ემუქრებაო რამე. შიში აიტანდა, ვაითუ ჯანმრთელობა შემერყაო (გული მართლაც აუჩქროლდებოდა), ნამდვილად სიმსივნე მაქვს თავში, სიკვდილი თუ მიახლოვდებაო. მოერეოდა შემზარავი წინათგონობა, დაიწყებდა აქეთ-იქით ყურებას: თითქოს არაფერი შეცვლილა, ქუჩაც და მალაზიებიც ისევ ისე კაშკაშებს, ტროლეიბუსები მწვანე ფერისაა, ცა — ლურჯი. მაშინ ისევ პლაკატს დააკვირდებოდა (პლაკატი ამ დროს უკვე სხვა ფერისა იყო). ბოლოს მიხვდებოდა, რაშიც ყოფილა საქმე, მაშინვე გადაავიწყდებოდა ეს უსიამო ფიქრები სიკვდილზე და ფირმის სახელწოდებაც დიდხანს ჩარჩებოდა გონებაში. ასეთი იყო ჩემი აზრთა მდინარე და დარწმუნებული ვარ, ყველა იქ მყოფიც ამასვე ფიქრობდა.

სიჩუმე ისევ დოქტორმა მაქსმა დაარღვია:

— მშვენიერია, დიდებულია... შესანიშნავად მიგიგნიათ! — გაიძახოდა იგი. თუ აქამდე ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და კარის წირთხლს მიყრდნობილი, დაჟინებით იყურებოდა წინ, ახლა პლაკატისკენ გაექანა და ცხვირი ლამის ზედ მიადო.

— ყოჩაღ! — დაასკვნა მან ბოლოს. დოქტორმა მაქსმა, მართალია, შეაქო მხატვარი, მაგრამ არც მისი ხმა და არც მზერა დიდ აღტაცებას არ გამოხატავდა. თუ გავითვალისწინებთ, რა გადატრიალებას მოახდენდა მხატვრის ეს მიგნება, ანდა რა ამბით წარმოგვიდგინა მან ეს თავისი ნახატი, დოქტორი მაქსის წრიპინა ხმა მეტისმეტად მშვიდად და შეკავებით ყღერდა. მზერაში უეცრივ მოწყენილობა და დაღლილობა გაუკრთა, თითქოს რაც შეიძლება სწრაფად უნდა სხვა საქმეზე გადავიდესო.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — გაიმეორა მან კიდევ ერთხელ. — მაგრამ დარწმუნებული კი ხართ, რომ აქამდე ქვეყანას არ მოსდებია? გჯერათ, რომ რეკლამის პირობაზე ჯერ არ მოძველებულა? თითქოს რაღაც ამის მსგავსი კიდევ მინახავს; არ მახსოვს სად, მაგრამ უდაოდ მინახავს.

მხატვარმა ორაციომ შეხედა დოქტორ მაქსს, ერთხანს დაჟინებით უყურა, მერე დაცინვა შეეპარა თვალებში და აუჩქარებლად ამოაძრო ჭიკარტები. პლაკატი იატაკზე ჩაცურდა. ორაციომ აიღო, საქაღალდეში ჩადო, ალერსით

გადაუსვა ხელი და ზონრები შეკრა, მერე ღიმილით მიუბრუნდა დოქტორ მაქსს (ამასობაში თანამშრომლები ისევ მარდად მიიმალნენ თავთავიანთ კაბინეტებში, როგორც გამოცვივდნენ):

— თუ ასეა, მოდი ისე ჩავთვალოთ, თითქოს არც გვექონია ამაზე ლაბარაკი. ამას M-ს წარვუდგენ, — მან დაასახელა ერთი დიდი სავაჭრო ფირმა, — თქვენთვის კი რაიმე სხვას გავაკეთებ.

ამის გაგონებაზე დოქტორი მაქსი კვლავ კარის წირთხლს მიეყრდნო (ალბათ ასეთი ჩვევა ჰქონდა), შუბლზე ჩამოშლილი თმა გაისწორა და თქვა:

— როგორც გენებოთ, ორაციო; თქვენ კაცი ვერაფერს გეტყვით, ყველაფერი გწყინთ. მე ხომ გითხარით, შესანიშნავი რამ გააკეთეთ-მეთქი. კარგად იცით, ყველაზე დიდ და სახელოვან მხატვრად მიმაჩნებართ ჩვენს თანამედროვე მხატვართა შორის, არაერთხელ დამიმტკიცებია კიდევ ეს ამბავი. რა იყო საწყენი, უბრალოდ გითხარით, მგონი, სადღაც ამის მსგავსი მინახავს-მეთქი. იქნება კიდევ მინახავს, მაგრამ სად, არ მახსოვს, იქნება სიზმარშიც. აზრად არ მომსვლია, რომ თქვენ ან ვიღაცას ბაძავთ, ან ვიღაცის გავლენას განიცდით, პირიქით, ყველა მხატვარი თქვენა გბაძავთ, მაგრამ არაფერი გამოსდით, რადგან თქვენ გენიოსი ხართ, ისინი კი — არა; ჩემზე უკეთ მოგესვენებათ, რომ ახლანდელ დროში ხელოვნება, გარკვეული აზრით, ყველასთვის მისაწვდომია; მიბაძვების მეტი რაა! მთელი ქვეყანა და, განსაკუთრებით ჩვენი ქალაქი, საგსეა ცრუმხატვრებით, ანუ იმისთანა მხატვრებით, არაფერი რომ არ ესაქმებათ მხატვრობასთან. თუ მართლა ნაწყენი ხართ, სწორე გითხრათ, არ ვიცი, რა ვიღონო. ჭეშმარიტად ძალიან გაფასებთ და ტყუილად მეზუტებით, მაგრამ თუ სხვა ფირმაში ფიქრობთ წასვლას, გზა დამილოცნია; ისევ როგორც ყველა ჩვენი მუშაკი, თქვენც თავისუფალი ბრძანდებით. ძალით არავის ვიჭერ და არც თოკით ვაბამ, მით უმეტეს, თქვენისთანა თავისუფალ მხატვარს!

ამ დროს დოქტორი მაქსის კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა და ისიც ფართო, მსუბუქი ნაბიჯით იქით გაეშურა.

სანამ იგი ლაბარაკობდა, ორაციოს კრინტი არ დაუძრავს, იდგა თავდაბრილი, ნაღვლიანად იღიმებოდა და საქალაქის ზონრებს წიწკნიდა. ვერა და ვერ მივხვდი, დოქტორი მაქსი ასე რად მოექცა მხატვარს. ერთბაშად გამიღვდა, ალბათ მისი ნიჭი შურს-მეთქი. ჰოდა, მივედი ორაციოსთან და ვუთხარი:

— ჩემი აზრი იქნებ თქვენთვის ბევრს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ნება მიბოძეთ ჩემი აღტაცება გაგიზიაროთ, დიდებული რამ გააკეთეთ! გულს ნუ გაიტეხთ! დოქტორმა მაქსმაც ხომ პირველმა აღიარა ეს.

მხატვარმა არაფერი მიპასუხა, არც კი შემოუხედავს ჩემთვის, მშვიდად გადაიწია უკან პანამა და ფართო შუბლზე ჩამოყრილი ხუჭუჭი თმა გამოაჩინა. თუ დააკვირდებოდით, ყველაფერი — მრგვალი, ვარდისფერი პიროსახე, ფუნჩულა თითები, ჩამრგვალებული ხელ-ფეხი მართლაც დიდ ბავშვს უგავდა; ოღონდაც პატარა შავ თვალელებში ჯერ კიდევ უკიაფებდა ის ეშმაკური, მხიარული ნაპერწკლები, იმ უცნაური და გაუგებარი სიტყვების თქმისას რომ უკიაფებდა, კიდევ მეტიც, გეგონებოდათ, აი ამ წუთს რაღაც ოინს ჩაიდენს, ან შეიკუნტრუშებს, ან გადაიხარხარებსო. თვალეებს აქეთ-იქით აფეთებდა, წარამარა კაბინეტის ღია კარისკენ გაუბრბოდა მზერა, საიდანაც გარკვევით ისმოდა დოქტორი მაქსის ხმა; იგი საუბარს ამთავრებდა. დოქტორი

მაქსი მართლაც მალე გამოვიდა კაბინეტიდან, ხელით მსუბუქად გამწია განზე და წარმოთქვა:

— უკაცრავად, ორაციო, მომიტევეთ, ორაციო! რა ვქნა, იქნებ დაგიხლო-ქოთ კიდევ?

დოქტორმა მაქსმა მართლაც მხატვრის მსგავსად ცალ მუხლზე წამოიხი-ქა და მდაბლად დახარა თავი.

— როგორ გეკადრებათ, დოქტორ მაქს! — მხატვარმა მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად უწოდა მას დოქტორი მაქსი. — საქმე ეგ კი არ არის, ჩვენ ხომ ბავშვები არა ვართ! კაცი ნემსის ყუნწში ვძვრები, სულ იმას ვფიქრობ, როგორ ვაამო ფირმასაც და თქვენც... თქვენ რომ არა, განა დავთან-ხმდებოდი ფირმაში შტატის მხატვრად შემუშავნა, რა თანხაც არ შემოეთავაზე-ბინათ! მე განა მაგის კაცი ვარ. თუ რამე არ მოგეწონებათ, გავიხურავ კარს და მშვიდობით. ასე არ არის? მაშასადამე, საქმე პატიება კი არ არის, მთავა-რია, კაცს გაუგოთ, ერთმანეთს გავუგოთ...

მაგრამ დოქტორი მაქსი უკვე აღარ უსმენდა. თმაზე ხელი გადაისვა, სწრაფი ნაბიჯით კარისკენ გაემართა და განწირული ხმით დაიძახა:

— ბომბოლო, სად არის ბომბოლო? — მერე უეცრად შეიკრიკს მიუბრუნ-და: — ბომბოლო ხომ არ გინახავთ?

შეიკრიკი წამოხტა, პირისახე ტკივილისაგან დაემანჭა, ეტყობა, ვერ მო-ასწრო ჩვეულებისამებრ მაგიდას ხელებით დაყრდნობოდა და ფეხები ეტკინა.

— დოქტორი ბომბოლო? ვერ მოგახსენებთ... იქნებ მალლა გახლავთ, — უპასუხა შეიკრიკმა.

დოქტორი მაქსი ოთახიდან გავიდა, მაგრამ კვლავ შემობრუნდა და თქვა:

— მაპატიეთ, ორაციო, მოდი ბომბოლოსთან ავიდეთ, მისი აზრიც გავი-გოთ! — მერე მე მომიტრიალდა და მითხრა: — უკაცრავად, სულ დამავიწყდით! წამოდით, თქვენც წამოგვყევით მალლა.

მან ორივეს ხელი გამოგვდო და ოთახიდან გაგვიყვანა. ერთი კარი, დი-ლით რომ მივაქციე ყურადღება, ღია იყო და ლიფტის განათებული კაბინა ჩანდა. დოქტორმა მაქსმა ორივე შიგ შეგვაგდო (მხატვარმა ცოტა ფეხი აით-რია, სურათებით სავსე დიდი საქალაქო ძლივს შემოატია კაბინაში) და ღი-ლაკს თითი დააჭირა; ლიფტში გრილოდა. ალბათ ან ვენტილატორი იყო ჩარ-თული, ან კონდიციონერული ჰაერის დანადგარი იდგა. მხატვრის პანამის ფარფლები ისე ფარფატებდა, გვგონებოდათ, ზღვის სიო არხევსო. ლიფტი უცბად ასრიალდა ზემო სართულზე.

— ახალ შენობაში მივდივართ? — დაუფიქრებლად ვიკითხე მე. ჩემს მზერასა და ხმას ალბათ პროვინციელის გულუბრყვილო შიში დაეტყო, რად-განაც დოქტორ მაქსს გაეღიმა.

— ჰო, მართლა, თქვენ ჯერ არ ყოფილხართ ახალ განყოფილებაში! ახლა პირველად აღიხართ, არა?

— დიახ, — უბრალოდ მივუგე მე.

მხატვარმა ორაციომ ჩემს ამ მარტივ პასუხზე მხოლოდ უნდობი მზერა მესროლა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „მშვენივრად ვხედავ, საითაც უმიზნებ, ეგრე უცოდველ კრავად რომ გვაჩვენებ თავს. გინდა ნდობა მოიპოვო, აქა-ოდა მიამიტი სოფლელი ვარო, მაგრამ სცდები, აქ ერთბაშად მიგიხვდებიან

ფანდებს. მერე შენ თავს დააბრალე ყველაფერი“. — ხმამაღლა და უსიამოვნებით კი სულ სხვა რამ წამოიძახა:

— ასეა საქმე? მაშინ გირჩევ, როგორც კი ზემოთ ახვალ, დედაშენს ბარათი გაუგზავნე! — ამ სიტყვებით იგივე დაადასტურა, რაც ერთი წუთის წინ მისმა მზერამ მიიხრა.

ჩვეულებისამებრ ფიქრებში ჩაძირულმა დოქტორმა მაქსმა, საბედნიეროდ, ვერც ეს გამოხედვა შეამჩნია და ვერც გადაკრული გაიგო. ბოლოს ლიფტმაც დაასრულა თავისი გიჟური სრბოლა (დროდადრო მეგონა, მაღლა კი არ ავდივარ, ბუმბულივით დაბლა ვეშვები-მეთქი), გორგოლაჭიანი კარი მსუბუქად გაიღო და თვალწინ წარმომიდგა მზის შუქით განათებული ფართო დარბაზი. მისი ორი კედელი მომწვანო-მოცისფრო მინისა იყო და ამ მინაში შავად მოჩანდა მზე. იატაკიც მინისა ან შავი მარმარილოსი გეგონებოდათ. ფრთხილად მივაბიჯებდი, თუმცაღა დოქტორი მაქსი ჩქარობდა და მეც მაჩქარებდა. უეცრად იგი გაჩერდა და ყურში ჩამჩურჩულა:

— ახლა ეს ყველაფერი ძალზე ლამაზად გეჩვენებათ, იმიტომ რომ პირველად ხართ, მაგრამ ეს უაღრესად უზნეოა და ამორალური. განა უზნეობა არაა, ასე მოსწყვიტო ადამიანი ბუნებას! გეგონება, თვითმფრინავში ზიხარო. მე აქ ერთი წუთითაც ვერ გავჩერდებოდი, გამოხედვაც არ მინდა, თუმცა ყველას აქეთ მოუწევს გული.

— რა დიდებულია! — წამომცდა მე. ფეხი ავითრიე, რომ ცოტა ხანს შევჩერებულიყავი დარბაზში და ამ ვეება მინის კედლებიდან ქვემოთ გადამეხედა. აქედან მოჩანდა ქალაქი, შენობათა დაბალი სახურავები, გადამწვანებული უზარმაზარი ბაღი, ცაზე მოცურავე ღრუბლის ქულები (თუმცა იმ წუთში მეგონა, ჩვენ თვითონ მივცურავთ-მეთქი).

— რა საოცრებაა! — გავიმეორე მე. ამ ზღვად მომსკდარმა შუქმა, ამ შეუდარებელმა სურათმა ერთბაშად თვალი მომჭრა. წამით ვიგრძენი, რა ბედნიერებას ვეწიე; რამდენი რამ მოხდა ამ ერთ დღეში! სამუშაო ვიშოვე, გავიცანი სავაჭრო ფირმის პატრონი დოქტორი მაქსი (ვისაც ამ დროს ისე მაგრად ჩაებლუჯა ჩემი ხელი, რომ აზრმაც კი გამკრა, რაიმე ხაფანგში არ გამაბას-მეთქი), ვნახე ბევრი სხვა ხალხიც, მათ ალბათ კიდევ დავუახლოვდები; ახლა კი ფირმის ახალი შენობის ყველაზე მაღალ სართულზე ვიმყოფები. განა ამ დილით ბედნიერი არ ვიყავი იმითაც, რომ დაბლიდან შევყურებდი ამას და ესეც დიდ კადნიერებად მიმაჩნდა! ახლა კი? მაგრამ დოქტორი მაქსი უკვე დარბაზის სიღრმისკენ მიმათრევდა. ეტყობა, მიხვდა თუ ჩემს თვალებში ამოიკითხა, რამდენად აღმაფრთოვანა ნანახმა, და გაგულისებით წაიბურტყუნა:

— არც იფიქროთ აქ ამოსვლა, არ გაიბინძუროთ სული სხვებივით. თქვენ მხოლოდ ამ დილას ჩამოხვედით სოფლიდან, ჯერ სუფთა და უმწიკვლო ხართ. დაე, თქვენი თვალები ყოველთვის გამოხატავდნენ იმას, რასაც ახლა გამოხატავენ — უბიწო სულს. თუმცა მე თავად ვიზრუნებ ამაზე. ქვემოთ იმუშავეთ, ძველ შენობაში, ჩემ გვერდით, მეორე სართულზე!

— ნებას მომცემთ ხანდახან მაინც ამოვიდე ხოლმე აქ? — ვკითხე და თვითონვე გამაოცა საკუთარმა გამბედაობამ, მაგრამ დოქტორმა მაქსმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, იმავე წუთს დარბაზის უკანა კედელში დატანებული უზარმაზარი კარი ჩვენს მისვლამდე გაიღო და მკრთალი შუქით განა-

თეზული დერეფანი გამოჩნდა, ორივე მხარეზე უამრავი კარი რომ ჰქონდა დატანებული. დოქტორმა მაქსმა „ბომბოლო, ბომბოლოს“ ძახილით ერთ-ერთი კარი გამოაღო. მომცრო კაბინეტში შევედით; კაბინეტის წინა კედელი ერთიანად მინისა იყო. ლითონის პატარა მილებისაგან აწყობილ საწერ მაგიდას მსუქანი მამაკაცი უჯდა და რაღაცას კარნახობდა მდივან ქალს, ჩვენი შესვლისთანავე პეპელასავით რომ გაფარფატდა გარეთ. მამაკაცმა გაიციხა. მისი სიცილი ჭყვიტინსაც ჰგავდა და ცხენის ჭიხვინსაც. გულიანად იცინოდა და თან ბურთივით ხტოდა სავარძელში, თვალებიდან კურცხალ-კურცხალი ცრემლი სცვიოდა, ისე რომ ჯიბიდან ცხვირსახოციც კი ამოიღო მათ შესამშრალებლად.

— The little big boss¹, — მიესალმა იგი წრიპინა ხმით დოქტორ მაქსს, ვისაც მაშინვე მოვლუშა პირისახე. — რა ქარმა გადმოგაგდოთ ამ ჩვენს უზნეობის ოლიმპზე?

— მასხარავ! მაინც რომელ საათზე მობრძანდით სამუშაოზე?! რამდენი გეძებეთ! — შეაწყვეტინა დოქტორმა მაქსმა, მაგრამ თვითონვე მოსხიპა სიტყვა. — ვიცი, ვიცი, უფლება გაქვთ, როცა გნებავთ, მაშინ მოხვიდეთ და როცა გნებავთ, მაშინ წახვიდეთ, მაგრამ კაცი მაინც ვერასოდეს დაგიჭერთ.

— სასიყვარულო ამბები, herr doktor Max². Même l'amour c'est un commerce³, — განაგრძო კოხტაპრუწამ, — ვიხუმრე, ვიხუმრე! განა ხუმრობაც არ შეიძლება? გაიხსენეთ, რომ ახალგაზრდა ხართ, ცხოვრება კი მშვენიერია. მართლა... — ბომბოლომ ხმას დაუწია, კილო დაუდინჯდა, თითქოს ის, რის თქმასაც აპირებდა, ღრმა და ლამის მოწიწებულ ყურადღებას ითხოვდა, — მთელი დღე ბიბენდუმთან ვიჯექი. მისი სავაჭრო პროექტი ბრწყინვალე რამაა. თავის საქმეში ბადალი არა ჰყავს; დიდი სტილისტი და დიდი პოეტი გახლავთ.

— მაშ ასეა? — დაინტერესდა და თან შეშფოთდა დოქტორი მაქსი. — როდის წარმოგვიდგენს?

— თუ საქმე კარგად წავა, ერთ თვეში დაამთავრებს...

— ცოტა ხომ არ აჩქარებულა? თუმცა თქვენ ამბობთ, დიდი სტილისტი-აო. რა მეთქმის.

ბომბოლომ მხოლოდ ახლალა შეგვამჩნია მე და ორაციო.

— ყველაფერი კარგად იქნება... ოჰო! *voila le grand maitre!*⁴ — და მან ხელი გაუწოდა ორაციოს. ისიც მყისვე მიიჭრა მასთან და თავისი ხელი შეაგება; მერე ჩემკენ მომართა მზერა, მაგრამ რაკილა ამ დროს ისევ ცრემლებს იწმენდდა სველი, დაჭმუჭნული ცხვირსახოცი, რიგიანად ვერც დამინახა.

დოქტორი მაქსი მდივნის ადგილზე დაჯდა და მის მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს ცნობისმოყვარეობით დაუწყო თვალიერება. უცბად ერთ ფურცელს წამოავლო ხელი და შეჰყვირა:

— თუკი ამ დილას ნახეთ, წერილის მიწერა რალად დაგჭირდათ?

ცხადზე ცხადი იყო, რომ ბომბოლომ იმიტომ იცრუა და ბიბენდუმთან შეხვედრის ამბავი იმიტომ მოიგონა, სამუშაოზე დაგვიანება გაემართლებინა.

1. პატარა დიდი პატრონი (ინგლ.)

2. ბატონო დოქტორ მაქს (გერმ.)

3. სიყვარულიც ხომ კომერციაა (ფრანგ.)

4. აგერ ჩვენი დიდოსტატიც (ფრანგ.).

დოქტორი მაქსი კი ისეთი თვალთ შეჰყურებდა, ახლაც საკბენად ჩასაფრებულ მწერი მომაგონდა. იგი გაყვითლდა, თვალები მოეწკურა, ქუთუთოების სორთებში მიემალა, ტუჩის კუთხეებში თეთრი ლაქები უფრო მკვეთრად დააჩნდა; სკამზე მოიკუნტა, კეფიდან დაწყებული მთელ სურგში ყრუოლამ დაუარა.

დოქტორი ბომბოლო გაწითლდა, ცრემლით დანამული თვალები გაოცებით დაჭყიტა. ოთახში ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რომ კონდიციონერული ჰაერის დანადგარის ნელ სისინსაც გაიგონებდით.

— რა წერილი? რომელი წერილი? — როგორც იყო, წაილულლულა სირცხვილისაგან ნირწამხდარმა ბომბოლომ.

დოქტორმა მაქსმა უსიტყვოდ ესროლა ფურცელი, თითქოს სილა გააწნაო. დოქტორი ბომბოლო შეკრთა, პირისახეზე ხელი აიფარა; მერე ხვნეშახვნეშით დაიხარა, იატაკზე დავარდნილი ფურცელი აიღო, ზედ თვალებთან მიიტანა (ეტყობა, ბეცი იყო) და რამდენჯერმე გადაიკითხა, ამასობაში აზრიც მოიკრიბა და ბრალდების გასაქარწყლებლად ისეთი სიცილი ასტეხა, მთელმა სხეულმა თახთახი დაუწყო.

— იჰ, იჰ, ეს ხომ კერძო წერილია, — არატრატდა იგი, — VOUS, VOUS permetez⁵, mein doktor⁶, ჩემს პირად მიმოწერაში ჩაიხედოთ; იჰ, იჰ, იჰ, უკაცრავად და, ვერაფერი კარგი ჩვევია...

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ უსაზღვროდ გაშმაგებული და მთელი ტანით აცახცახებული დოქტორი მაქსი (იგი კიდევ უფრო საოცრად დაემგვანა ამ წუთს მწერს) სკამიდან წამოიჭრა და მთელი ქალღლები, რაც კი ხელში მოხვდა, პირისახეში შეაყარა ბომბოლოს.

— აქ უფროსი მე ვარ, გასაგებია? — იწივლა მან. — დიახ, დიახ, მე ვარ!.. მომბეზრდა ჩემს ხელქვეითთა მონად ყოფნა, ამ გაიძვერებსა, მეღიებსა და სინდიოფალებში ტრიალი! მეტი აღარ შემიძლია, ყველას გაგყრით აქედან... საზიზღრად იქცევით. მე თქვენ ფულს გიხდით და სამაგიეროდ პატივისცემას მოვითხოვ. საქმე ფული არაა, მიმიფურთხებია ფულისათვის, უამისოდაც მშვენივრად გავძლებ, მთავარია სინდისი და ნამუსი. ეს კი უზნეობაა, უზნეობა, უზნეობა, გესმით? ნეტავ რატომ არ გსჯით ღმერთი, მაგრამ მაცალეთ, მე თვითონ მოგივლით! გასაგებია თქვენთვის? გასაგებია? — წიოდა იგი, თან აქეთ-იქით ისროდა ქალღლებს, პირისახეში აყრიდა ბომბოლოს, მერე გავარდა დერეფანში და ისეთი ძალით გაიჯახუნა კარი, რომ იგი ხელახლა გაიღო. მისი ჩახრინწული კივილი კიდევ დიდხანს ისმოდა შორიდან, მაგრამ სიტყვებს უკვე ვეღარ ვარჩევდით.

მეც მაშინვე გავყევი უკან დოქტორ მაქსს. ბომბოლოს კაბინეტში დაუბატიყებელი სტუმარივით ვგრძნობდი თავს, მით უმეტეს, ერთმანეთს არც გაგვაცნეს. რა უნდა მექნა? ჩემი იქ დარჩენა უფრო გააღიზიანებდა ბომბოლოს, რადგან მე, ვილაც შეუღინღლავი ყმაწვილი, ასეთი უსიამო ამბის მოწმე გავხდი. ცხადია, დამნაშავე ის იყო. ეტყობა, არც მხატვარ ორაციოს ეპიტნავებოდა ჩემი იქ ყოფნა. ალბათ ბომბოლოსთვის უნდოდა პლაკატი ეჩვენებინა და თავი მოეწონებინა. მაშასადამე, მე ხელს ვუშლიდი. ახლა ისინი სჯა-ბაასს მოჰყვებოდნენ მომხდარზე, ერთი თავისას იტყოდა, მეორე —

⁵ როგორ კადრულობთ (ფრანგ.).

⁶ ჩემო დოქტორო (გერმ.).

თავისას და სულაც არ ეხალისებოდათ, ამის შემსწრე დოქტორი მაქსის თან-მხლები კაცი ყოფილიყო. მეც ამ წუთიერი დაბნეულობით ვისარგებლე და გამოვედი; გავიარე გრძელი დერეფანი, ოქროსფერ-მომწვანო სინათლით გა-ჩახჩახებული დარბაზი (მინის კედლის მიღმა მზე უკვე დასალიერს უახლოვ-დებოდა) და მივევარდი ლიფტს, მაგრამ იგი დაკავებული აღმოჩნდა. ალბათ თავად დოქტორი მაქსი თუ ჩადიოდა. უნდა დავლოდებოდი.

უსაზღვრო ბედნიერების გრძნობა, სულ ცოტა ხნის წინათ რომ განვიც-დიდი, ნაწილობრივ თითქოს ჩამიშხამა მომხდარმა ამბავმა. ნეტავი რას იფიქ-რებდა ჩემზე დოქტორი ბომბოლო (ეტყობა, ფირმაში კარგი თანამდებობა უკავია), ასეთ უსიამოვნო ამბავზე რომ შევესწარი? ვინ იცის, როგორც მან, ისევე მხატვარმა ორაციომ (ისიც, ეტყობა, გამოჯავრებისა და დაცინვის დი-დი ოსტატი ბრძანდება) დოქტორი მაქსის ხელქვეითად, მრჩევლად ან სუ-ლაც საიდუმლო ჯაშუშად ჩამთვალეს. მე რომ მათ პირველად და უკანასკნე-ლად ვხედავდე, ყიდევ არაფერი, მაგრამ რამდენადაც შეიძლება ითქვას, უკვე სამსახურში მიმიღეს, უახლოვს დღეებში, რასაკვირველია, ორივეს შევხვდები და მათი ეჭვი თუ ვარაუდიც გამართლდება, რაკი დოქტორმა მაქსმა გარკვე-ვით განმიცხადა, რომ არა სურს ახალშენობაში ვიყო და სადმე თავისთან ახლოს მიმიჩნევს ადგილს.

ერთი პირობა ვიფიქრე, დავბრუნებულიყავი უკანვე დოქტორი ბომბო-ლოს კაბინეტში და ამეხსნა ამ ხალხისათვის, რომ შემთხვევით მოვხვდი იქ, რადგან დაუფიქრებლად, ქარაფშუტულად დავყევი დოქტორი მაქსის მიპატი-ყებას, ჩვენთან ერთად წამოდიო. დავბრუნდი კიდევ, მაგრამ შუა დარბაზამდე რომ მივედი, ორმა მოსაზრებამ გამაჩერა. ჯერ ერთი, ჩემი შეუკავებელი სურ-ვილი, ამეხსნა ვითარება და დამერწმუნებინა ისინი ჩემს პატიოსნებაში, შე-საძლოა აბეზრობაში ჩამოერთმიათ, მეორეც, საკუთარი სინდისი მაკავებდა: დოქტორი მაქსი ხომ ამ ამბავში მართალი იყო, დოქტორი ბომბოლო კი ნამ-დვილი მატყუარა გამოდგა. ჰოდა, ისევ ლიფტისკენ გავბრუნდი; იმავე წამს დაიჭრიალა რელემ, მაშასადამე, ლიფტი განთავისუფლდა. კარი გაიღო, შევე-დი და მეორე სართულის დილაკს დავაჭირე თითი. ჩავდიოდი და თან ჩემს თავს ვკიცხავდი: რას ვიჭყლეტ ტვინს, თუ რა იფიქრეს ჩემზე ბომბოლომ და მხატვარმა ორაციომ. არ მერჩივნა შემინული დარბაზიდან მზის ჩასვლის ყუ-რებით დავმტკბარიყავი, ვინ იცის, იქ მოხვედრას ვეღარც კი ველირსო-მეთქი. ხოლო დაბლა რომ ჩამოვედი, თავს ვუსაყვედურე, რას ვწუწუნებდი მთელი გზა, არა სჯობდა დავმტკბარიყავი იმის შეგრძნებით, რა ნელა ეშვება ლიფტი სადღაც ქვემოთ (ეს შეგრძნება მაშინაც განვიცადე, როცა ლიფტმა ზემოთ ამაჩანა და განვსაზღვრე კიდევ, უწონადობის გრძნობაც ასეთი იქნება-მეთქი).

სამწუხაროდ, ამ დროს ლიფტის კარი გაიღო და მეორე სართულზე გა-მოვედი. შიკრიკი თავის ადგილზე არ იჯდა და დიაბეტეს კაბინეტში შევედი. იქაც არავინ დამხვდა. შეიძლება დიაბეტე უკვე წავიდა; იქნებ ძველი და ახა-ლი შენობა სხვადასხვა გრაფიკით მუშაობდა და აქ, ქვემოთ, სამუშაო დღე უკვე დამთავრდა. ავღეჭი და უკან გავბრუნდი, კიბე ჩავიარე და ქუჩაში გავედი.

თითქმის სულ დაბნელდა. იქ, ზემოთ, ჯერ ისევ ჩახჩახებდა დაისი, მაგ-რამ აქედან სახლები ეფარებოდა და აღარ ჩანდა. ცაზე რამდენიმე ვარდის-ფერი ღრუბლის ფთილა დაცურავდა, მათი კიდევები ჩამავალი მზის უკანასკ-

ნელ სხივებს გაენათებინა. მაგრამ აი, მუქ-ისფერი ცის ტატნობზე უკვე ვარსკვლავები აკიაფდა, ქუჩებსა და მალაზიებში კი ნეონის ნათურები აჩახახდა.

როგორც იქნა მარტო დავრჩი, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი; ჩემ თვალწინ გაშლილიყო კეთილი ქალაქი, ასე მალე რომ შემომთავაზა სამუშაო.

მეც მივდიოდი და მივდიოდი, ვათვალისწინებდი სახლებს, ქუჩებს, მალაზიებს, კინოთეატრებს, მანქანების გაუთავებელ ნაკადს, მხიარულად რომ აგუგუნებდნენ საყვირს. ვათვალისწინებდი ადამიანებს, ჩემ გვერდით რომ მიაბიჯებდნენ. რაღაც-რაღაცეები ვიყიდე; შევედი მზა ტანსაცმლის მაღაზიაში და ვიკითხე, ვიტრინაში გამოფენილი ყავისფერი ლაბადა რა ღირს-მეთქი. ერთ-ერთი გამყიდველი მომიახლოვდა, დაბრძანდითო, მითხრა და დახლთან სავარძელზე მიმითითა.

ჩავჯექი წითელი ტყავის სავარძელში, ეს კია, ფასის კითხვა ხელმეორედ ვერ გავბედე და დავუწყე ლოდინი, როდის გამომიტანდა გამყიდველი ლაბადას. ლაბადა კიდევ უფრო ლამაზი აღმოჩნდა, ვიდრე შორიდან მეჩვენა. გამყიდველს არ შეუქია საქონელი და არც კრინტი დაუძრავს. ხმადაბლა კი თქვა, „პარაშუტის აბრეშუმიაო“, მერე ლამაზი ხელებით უცბად მოჭმუჭნა და მალე ააგდო. ლაბადა მართლაც პარაშუტივით გაიშალა ჰაერში და ნელა დაეშვა მის გაწვდილ ხელისგულზე. მგონი, თვითონაც მოეწონა თავისი სიმარდე და გაეღიმა. თვალისმომჭრელი თეთრი კბილები ჰქონდა. სხვა გამყიდველებსაც ასეთივე ქათქათა კბილები ჰქონდათ და კიდევ ვიფიქრე, ღვიძლი ძმები ხომ არ არიან-მეთქი. თვალი რომ მიაყოლეს, როგორ ნარნარად დაეშვა ლაბადა, დანარჩენებმაც გაიღიმეს და კბილები გამოაჩინეს. თითქოს უნდოდათ ეჩვენებინათ, იმის გარდა, რომ ყველას ერთნაირი, ოქროსფერდილებიანი ლურჯი პიჯაკები გვაცვია, ერთნაირი თეთრი კბილებიც გვაქვსო. „ბედი ჰქონიათ, რომ მაღაზიაში მოწყობილან, სადაც მათი პატრონი არა მარტო ტანსაცმელზე, ხელქვეითთა კბილებზეც კი ფიქრობს-მეთქი“, ვიფიქრე. ვინ იცის, ბევრ ამ სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდას უვარგისი, ჭიანი და დაღრეცილი კბილები ჰქონდა, რაც ჩვენს ხალხს ახასიათებს, ახლა კი მზრუნველი პატრონის წყალობით ორი თანაბარი, უნაკლო თეთრი კბილების წყება უბრჭყვიალებო. „ასეთი კბილები ხომ მხოლოდ ზანგებს აქვთ-მეთქი“, გავივლე გუნებაში.


გამყიდველმა შემომთავაზა ლაბადის მიზომება. მეც ავდექი და მისი დახმარებით სარკესთან ჩავიცვი. დიდებული ლაბადა იყო და ხელახლა ვიკითხე ფასი. გამყიდველმა ღიმილით, ძლივს გასაგონად მითხრა. ძალზე ძვირი მეჩვენა. ჩემს ცხოვრებაში აშდენი ფული არაფერში გადამიხდია და არ ვიცოდი, რა მეღონა. ეტყობა, მიმიხვდა დაბნეულობის მიზეზს და უკვე დინჯად მირჩია:

— თუკი ყიდვა გინდათ, შეგიძლიათ განვადებით წაიღოთ: ნაწილს ახლა გადაიხდით, დანარჩენს კი მერმე.

— ძალიან მომწონს, — მივუგე პასუხად. დავაპირე ზრდილობის გულისთვის ორიოდ სიტყვა კიდევ მეთქვა და იქაურობას გავცლოდი, მაგრამ გამყიდველმა არ მაცალა, პირმოკუმულმა გამოსცრა:

— როგორც გენებოთ.

— კარგით, ვიყიდი, — განვაცხადე მტკიცედ და ასევე მტკიცედ დავძინე, — ოღონდაც განვადებით.



გიორგი ვაშითელი

ძველი ქალაქი



ზაურ დვისაძე

— ძალიან კარგი. გმადლობთ! — გამოცოცხლდა გამყიდველი და იმავე წუთს მალაზიაში გამეფებული საზეიმო სიჩუმე საანგარიშო ელექტრული მანქანის ჩხაკუნმა დაარღვია.

— ახლა, თუ შეიძლება, ეს პირადობის ფურცელიც შეავსეთ! — განაგრძო გამყიდველმა, — აქ დაბრძანდით, გეთაყვა, ამასობაში ვეტყვი, რომ ლაბადა შეგიხვინონ. — მან ერთ-ერთ ქალიშვილს რაღაც ანიშნა.

იმ ფურცელს რომ ვავსებდი, საანგარიშო მანქანაც ჩხაკუნ-ჩხაკუნით იმასვე ბეჭდავდა, რასაც მე ვწერდი. მერე სამ ბლანკს მოვაწერე ხელი, სამივე შესატანზე რომ იყო გათვალისწინებული. ბოლოს ერთი დაბრკოლება მაინც გამოჩნდა: თურმე სოფელში მცხოვრებ კაცზე განვადებით გაყიდვა არ შეიძლებოდა, რადგან ყოველ პროვინციაში ამ მალაზიას თავისი წარმომადგენელი ჰყავდა. ნაღდ ანგარიშზე ყიდვა კი სხვა საქმე იყო.

— ნაღდად ვერ გადავიხდი, არ შემიძლია, — ვუბასუხე მე, რადგან მიწოდოდა ჩქარა გადაჭრილიყო ეს რთული საკითხი, — იქნება სხვა დროს შემოვიარო...

— დაბრძანდით, დაბრძანდით! — მითხრა გამყიდველმა, როცა ასადგომად წამოვიწიე. მერე უშებლზე ხელი მიიღო, ცოტა ჩაფიქრდა, კვლავ გაიღიმა და დასძინა: — ეგ შეუძლებელია, ბლანკები დაბეჭდილია, ხელიც უკვე მოაწერეთ.

— მერე რა?

— ის, რომ ლაბადა უკვე თქვენია.

— არ შესმის, — მივუგე, გაკვირვებით. მართალი გითხრათ, პირველად გყიდულობდი საქონელს განვადებით და ამ საქმის ასე შემოტრიალება მუშტრის უპატივცემულობად მეჩვენა.

— უკაცრავად, ერთი წუთით შეიცადეთ, ახლავე გავიგებ, რა შეიძლება მოხერხდეს, — მითხრა გამყიდველმა და ტელეფონისკენ გაემართა. ვილაცას მოელაპარაკა (იქნება სულაც პატრონს) და გაბადრული სახით კვლავ ჩემთან მოვიდა. — თქვენ აქ გავლითა ხართ თუ რამდენიმე დღე დარჩებით?

— ვფიქრობ, სამუდამოდ დავრჩები, — გულუბრყვილო სიამაყით მივუგე; გამყიდველმა ერთმანეთს გადახედეს.

— მაშინ ყველაფერი რიგზეა. დაგვიტოვეთ თქვენი ტელეფონის ნომერი და აქაური მისამართი, უწყებები რომ გამოგიგზავნოთ.

დავუტოვე ჩემი ახალი ბინის მისამართი, გადავიხადე ბე, ავიღე ჩემი ლაბადა და წამოვედი.

გზად კიდევ ერთ მალაზიაში შევიარე: ვიყიდე ქალაღი, კონვერტები, და მელანი მუდმივი კალმისთვის. მერე ერთხანს კიდევ ვიყიადე ქუჩებში.

სულ არ მახსოვს, რა ქუჩებით ვიარე ქალაქში ამ ჩემი პირველი გასეირნების დღეს. მაგრამ ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ტაძარი, შენობებით შემოჯარული დიდი მოედანი, ნეონის წარწერებით აჭრელებული, ფოლადისა და მინისაგან ნაგები გაჩძრადნებული ცათამბჯენი (ჩემი ფირმის ახალ სამყოფელზე გაცილებით დიდი), გარს რომ აუზი შემოევლოთ და ამ აუზში დიდრონი ფოთლები და ღუმფარები დაცურავდა. შიგნით, მგონი, ვრცელი საგამოფენო დარბაზები იყო და სტენდებზე ფოლადისა და შუშის ნივთები გამოეწყოთ.

ერთ-ერთ ხმაურიან ქუჩაზე (უფრო სწორად, მის მოსახვევში, სადაც დიდი სისწრაფით დაქროდნენ მანქანები), თვალში მეცა ბარზე გაკრული ნეონის დიდი აბრა: „სექსი-ჯინი“. როგორც ჩანს, ეს უზარმაზარი რეკლამა-ბლომა ხალხს იზიდავდა. თეთრ პიჯაკებში გამოწყობილი ოფიციანტები პირველივე ნიშანზე ასხამდნენ ამ ჯინს მთელი დახლის გასწვრივ ჩამწკრივებულ ჭიქებში, კიდევებზე რომ თეთრად აჩნდა შაქრის ზოლი. მეც გადავიხადე სალაროში ფული. ღმერთო, რა ძვირი ყოფილა ამ ქალაქში ყველაფერი! ვინანე, რად დავნებდი ცნობისმოყვარეობას და ამ სახელგანთქმულ ლიქიორს თავი რად შევაცდენინე-მეთქი. ერთი შეხედვით დიდი არაფერი იყო, ჩვეულებრივი მწვანე ფერი დაჰკრავდა, მაგრამ გემო და სუნი კი ვერაფერს შევადარე. რაღაც ხავსის, ნესტიანი ფესვებისა თუ რძის სუნი ასდიოდა და რატომღაც ლამაზ ყმაწვილ ქალს გაგახსენებდათ. სქელი არა, მაგრამ ცოტა ბლანტი კი იყო და თან მძაფრი სუნიც ჰქონდა.

ბარიდან რომ გამოვედი, თავი მიბრუოდა, მაგრამ კმაყოფილი ვიყავი, რომ არ ვიძუნწე და ეს საყოველთაოდ განთქმული „სექსი-ჯინი“ ვიგემე. მალე ვიგრძენი, რომ სასმელი მომეკიდა, რაღაც აუხსნელი შინაგანი აღგზნება მომერია. ჰოდა, ავდექი და ტროლეიბუსიდან ტროლეიბუსში და ავტობუსიდან ავტობუსში მოვყევი ხტუნვას. იქამდე ვიხტუნე, ვინემ დიდ ცენტრალურ ვაგზალზე არ ამოვყავი თავი. შევედი, ჩემოდანი გამოვიტანე და ისევ თავიდან დავიწყე ტროლეიბუსებით და ტრამვაებით ყიალი. გზაც ამეზნა, რადგან ერთ-ერთ ტრამვაიში შეუმჩნევლად ჩამძინებოდა. როცა გამეღვიძა, კიდევ დიდხანს ვიხეტიალე დღის შუქის ლამპიონებით გაჩირაღდნებულ ბაღში, მერე დავიჭირე ტაქსი და შინ წავედი. გასაღები არ მქონდა. ვერც ის მოვიფიქრე, ტელეფონით დამერეკა დიასახლისისათვის. მეტი რა გზა მქონდა, გავაღვიძე ისევ მეკარე ქალი და თან ავიყოლიე. კარგა ხანს ვრეკე ზარი. როდის-როდის გამიღო კარი ზორზოხა და ყოყლოჩინა ჩემი ხნის ყმაწვილმა, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია შინ შევეშვი. მაშინ საწოლი ოთახიდან დიასახლისი გამოვიდა და მიცნო. იცოცხლე, მე ბოდიშები ვუხადე. როგორც იყო, ჩემს ოთახს მივაღწიე და აჰა, ახლა აქა ვარ.

ძალზე დავიღალე, ძილით კი არ მეძინება. ერთმანეთში ამერია ყველაფერი, რაც ვნახე. ძალზე აღელვებული ვარ. ალბათ ამის გამოა, რომ აზრები ვერ დავალაგე, ერთი ამბავი მეორეს ვერ დავუკავშირე და ჩემი მომავლისთვის სასარგებლო დასკვნა ვერ გამოვიტანე. ავიღოთ თუნდაც დოქტორი მაქსი! რითი უნდა ავხსნა მისი მეგობრული განწყობილება ჩემდამი? ან რა ურთიერთობა აქვს ჩემს მფარველ დიაბეტესთან? რას ნიშნავდა მხატვარ ორაციოს სიტყვები? როგორ გამეგო თან მბრძანებლური და თანაც ნაღვლიანი მზერა იმ მაიმუნი მეგარისა? (ანდა იქნება არც იყო ნაღვლიანი და მხოლოდ თვალთმაქცობდა? აღარც კი მახსოვს უკვე!) როგორ დავიჭირო თავი ბომბოლოსთან მას შემდეგ, რაც მოხდა? აშკარაა, რომ ბიბენდუმთან მეგობრული ურთიერთობა აქვს; ის კი სავაჭრო დაგეგმარების საქმის ერთ-ერთი დიდი მცოდნეა ჩვენს დროში; ყველას გენიოსად მიაჩნია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი განაგებს ბაზარზე მოზღვავებული საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილის ბედს. ნუთუ დადგება ისეთი დღე, როცა იგი გაიგებს ჩემი არსებობის ამბავს და იმასაც, რომ მე ფირმაში ვმუშაობ? როგორ გადავიხდი ლაბადის ვალს? ერთიც ვნახოთ და ანგარიში ფირმაში გამომიგზავნეს! რას

იტყვიან იქ? ყურადღების ღირსად არ ჩათვლიან, თუ, დოქტორი მაქსის თქმისა არ იყოს, ჩემს ამ უგუნურ ხელგაშლილობას უზნეობაში ჩამომართმევენ? აქაოდა ჩამოსვლა და სამსახურში მოწყობა ვერ მოასწრო, რომ უკვე ვალესა ც იღებსო! კაცმა რომ თქვას, რა ტყუილუბრალოდ ვიმტვრევ თავს! სულ ერთია, ყველა ამ კითხვაზე პასუხს მაინც ვერ გავცემ, მით უმეტეს ახლა. ამიტომ მირჩევნია, წინ კი არა, უკან გავიხედო. მეც ფიქრებით ჩემს მშობლიურ ქალაქს დავუბრუნდი, სადაც დავტოვე დედ-მამა და ჩემი საცოლვე მარია. მთელი ეს დღე ერთხელაც რომ არ გამხსენებია. მაპატიე, მარია! რომ იცოდე, ეს რა დღე გამითენდა! არ გეგონოს, რომ აღარ მიყვარხარ, შენ ხომ მაინც გესმის, რომ აქ, ამ დიდ ქალაქში მარტო იმიტომ ჩამოვედი, სამუშაო ვიშოვო და რაც შეიძლება მალე მოვიხადო ჩემი ვალი შენს, შენი ოჯახისა თუ ყველა იმათ წინაშე, ვინც კი იცის, რომ უკვე სამი წელიწადია დანიშნულები ვართ. ახლა სამუშაო ვიშოვე და იმედია, ყველაფერი კარგად წარიმართება.

გონების თვალთ წარმოვიდგინე ჩემი მშობლიური ქალაქი, დედ-მამა, მთავარი მოედანი, უეცრად რომ ჩამოაბნელებს ხოლმე აფრენილი მტრედების გუნდი; მდორე, შლამიანი მდინარე, ოდესღაც სანაოსნო რომ ყოფილა, ახლა კი რუხი ფერის დელედ ქცეულა და მამა-პაპათა და სხვა ჩვენ წინაპართა მომწვანო წვერებს მოატივტივებს. მათი ნეშტი და ძვლები ხომ ათასგვარ სიმკვავეებისგან გაბინძურებულმა მდინარის წყალმა წალეკა. ვხედავ, როგორ გამოდიან მოხუცი კაცები და ქალები ეკლესიის ჩაბნელებული კარიდან, სადაც თითქოს სამუდამოდ ჩამქრალა ლიცლიცა სანთლები. მათ შორის არიან ჩემი მშობლებიც; აგერ, წინ მოდის დედა, მამა ნახევარი ნაბიჯით ჩამორჩება; გადასწიეს ტყავის მძიმე ფარდა ეკლესიის კარზე და გარეთ გამოვიდნენ. მოფრატუნობენ ხეივანში და ბაასობენ, არ ვიცი კი რაზე, იქნებ იმაზე, გავამართლებ თუ არა მათ იმედებს. რას იზამთ, ჩემო კარგებო, ახლა ჩემს ნათქვამს ვერ გაიგონებთ, მაგრამ იცოდეთ, რომ ბედნიერი ვარ და თქვენც ტყუილუბრალოდ არ გაქვთ ჩემი იმედი. მარტო ამ ერთ დღევანდელ დღეს რამდენი რამ გავაკეთე... ბევრი, გაცილებით ბევრი, ვიდრე თქვენ მოელოდით ჩემგან მთელი თქვენი სიყვარულის მიუხედავად!

I I

აი უკვე სამსახურშიც გამამწესეს, ბედნიერება მეწია, ახალ კაბინეტში ვზივარ — სავაჭრო ფირმის საწარმოო კოლექტივის ერთი პატარა ნაწილაკი ვარ. დოქტორი მაქსიც სიტყვის კაცი აღმოჩნდა და მართლაც თავისთან ახლოს მიმიჩინა ადგილი. ჩემი ოთახი მისი კაბინეტის პირდაპირ არის, მხოლოდ ვიწრო დერეფანი გვყოფს. ძალზე პატარა ოთახი კია — ადრე აქ დოქტორი მაქსის პირადი საპირფარეო ყოფილა. უნიტაზი და პირსაბანი აიღეს და მათ მაგივრად ახლა აქ ვიმყოფებით მე, სკამი, მაგიდა, საფერფლე და კარჩხა. ეს კი უნდა ვთქვა, რომ ჯერჯერობით ნამდვილი საქმე არა მაქვს, დოქტორმა მაქსმა მითხრა, სრულიად სხვადასხვა საქმეებში გამოგიყენებო, პირველ ხანებში, რა თქმა უნდა, მხოლოდ დამხმარედო; მაგრამ აღმითქვა კი, რომ დადგება ჩემი ჯერიც და მაშინ მომთხოვს ძალის უკიდურეს დაძაბვასა და თავდადებას.

მეც მხოლოდ ამაზე ვოცნებობ, ამისათვის ვემზადები. უფრო სწორად, უკვე მზადაც ვარ, მოუთმენლობაც მომერია, რადგან საათობით უქმად ვზივარ მაგიდასთან და მხოლოდ და მხოლოდ მომავალზე ვფიქრობ.

მშვენივრად ვიცი, რომ ხმა გამივრცელეს, სულ კი ბომბოლოს წყალობით, დოქტორმა მაქსმა თავისი რჩეული საპირფარეოში დასვა, მაგრამ მე ვუბრალებას არ ვაქცევ ამ ჭორებს; მთლიანად ვეთანხმები დოქტორ მაქსს, ახალშენობას უზნეობის ბუდედ რომ თვლის და ყველა იქ მომუშავეს უზნეოს ეძახის; თუმცა დიდი არაფერი განსხვავება არ არის (თუ არ ჩავთვლით ხელფასში სულ იმცირე სხვაობას) ჩემსა და იმ მოსამსახურეთა შორის, მინისკედლებიან, გაპრიალებული ავეჯით მოწყობილ დიდ კაბინეტებში რომ სხედან და კონდიტორებულნი ჰაერით სუნთქავენ. საბრალო კაცუნებს არც კი ესმით, რანაირ კაბინეტებშიც არ უნდა ისხდნენ, ისინიც ჩემსავით მთლიანად არიან დამოკიდებულინი ფირმაზე, რომ მათი დიდება და უფლებების გამომხატველი ნიშნები არაფრად არ ღირს; პირიქით, უფრო მკვეთრად აჩენს მათ არარაობას უცხო ხალხისა და დოქტორი მაქსის თვალშიც. დოქტორი მაქსის დიდი მადლიერი თუნდაც იმიტომ ვარ, რომ ჩემი გულისთვის პირად საპირფარეოზე თქვა უარი და ყველას დაანახვა, რამდენად თანმიმდევრულად ატარებს თავის შეხედულებებს ცხოვრებაში. აი, სიტყვასიტყვით რამითხრა მან:

— რატომ უნდა მქონდეს პირადი საპირფარეო? ეს ხომ უზნეობაა, მქონდეს მე და სხვას არა? განა არა სჯობს, თქვენს კაბინეტად გადავაკეთო? მგონი, იმდენად გონიერი ხართ, რომ ამას არ იუკადრისებთ. რას ისურვებთ, აქ, მეორე სართულზე ჩემ გვერდით იყოთ, სადაც ყოველთვის შეგვეძლება ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი მოსაზრებები, და მეც მხიარულად ვიგრძნოთ თავი, თუ ზემოთ მიიღოთ კაბინეტი? თქვენი ნებაა, არჩევანი თქვენზეა.

არც კი დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე:

— თავად გადაწყვიტეთ, დოქტორ მაქს! (გუმანით ვიგრძენი, რომ შემეძლო პირდაპირ ასე მიმემართა) ჩემთვის მთავარია, მუშაობა დავიწყო. რა თქმა უნდა, სასურველია, ჩემი კაბინეტი შეეფერებოდეს ჩემს მომავალ სამუშაოს, მაგრამ სად ვიქნები, აქ თუ იქ, ამას ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

ვერ გეტყვით, ეწყინა თუ ეამა, მაგრამ ჩემმა პასუხმა კი აშკარად გააოცა დოქტორი მაქსი.

— როგორ? თქვენთვის სულ ერთია? ბევრისთვის ეს ძალზე მტკივნეული საკითხია. მეტი რა გზაა, ყველას ხელი უნდა შევუწყო. მაგრამ როცა ვისიმე მორიგ თხოვნას ვაკმაყოფილებ, ჩემთვისაც ვასკვნი, თუ რას წარმოადგენს ეს ადამიანი. დასკვნა კი ასეთი გამომაქვს: რაკი დაუინებით მოითხოვ ბრწყინვალე კაბინეტს, მაშასადამე, გარკვეული მოსაზრება გამოძრავებს; ან შენ ამას თხოულობ ჩემგან ანუ ფირმის პატრონისაგან პატივმოყვარეობის ნიშნად, თითქოს ამით გინდა თქვა, ასეთ კაბინეტში რომ ვმუშაობ, ხელფასიც შესაფერისი უნდა მქონდესო, ან არადა მიისწრაფი ეზიარო საკუთრებას, შენი ბუნება მოითხოვს დღეში რვა საათი მაინც იგრძნო თავი ფირმის მფლობელის თანამონაწილედ. ეს მესაკუთრული სწრაფვა ერთი მხრივ უსიამოვნოა, მეორე მხრივ — ტრაგიკული, ვინაიდან რამდენიც არ უნდა ეცადონ, ასეთი ადამიანები მესაკუთრეები მაინც ვერ გახდებიან. მხოლოდ ის უნდა იკმარონ, რომ წამოიჭირონ ამ კაბინეტებში და იქამდე დატკბნენ თავიანთი თავის ჭკრეტით, სანამ თავ-

ვადაც ამ კაბინეტს არ შეერწყმიან. ამ ხალხს ავიწყდება, რომ კაბინეტი მე მე-კუთვნის და თუ ისინი შეერწყმიან ამ მინის კედლებს, ავეჯს, კონდიციონერულ ჰაერს და, რაც ყველაზე უარესია, ამ საგანთა არსს, თავისთავად იქცევიან ჩემს საკუთრებად. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ისინი იყვნენ და დარჩებიან ჩემს ხელქვეითებად, არც მეტი და არც ნაკლები. სხვა ყველაფერი სიზმარია; რაც პირადად თქვენს ამბავს შეეხება, ფრიად მაღლობელი ვარ, რომ ამ ოთახში შემოსვლაზე დათანხმდით. დიდი ტვირთი მომხსენით, რადგან ცალკე საპირფარეშოს დაპატრონება უზნეობაა, თუმცადა თქვენთვის ნაცნობი ბომბოლოსა და დიაბეტესთანა ადამიანები მხოლოდ ამაზე ოცნებობენ.

— მაგრამ რამდენად მოსახერხებელი იყო თქვენთვის, რომ პირდაპირ, კაბინეტის წინ... ჩემი გულისთვის კი...

— მერე რა, რომ მოსახერხებელი იყო? თუ კაცი ვერაფერს შეეღია, თუ მთელი ცხოვრება კეთილმოწყობაზე იფიქრა, სადამდე მიგვიყვანს ეს? მშვენივრად გავივლი ორიოდ ნაბიჯს. მივალ დერეფნის ბოლოს და საერთო საპირფარეშოთი ვისარგებლებ. თუნდაც ამის გულისთვის დამჭირდეს ჩემს თავს ფსიქოლოგიურად ძალა დავატანო და თუნდაც ეს ჰიგიენური თვალსაზრისით მავნებელი იყოს (როცა საპირფარეშო საერთოა, არასდროს არ იცი, ვინ შედის და ვინ გამოდის. ამიტომაც დეზინფექციის მიუხედავად, იგი ყველანაირი დაავადების ბუდეა), მაინც სიამოვნებით გავიღებ ამ მსხვერპლს. აი, რაში მდგომარეობს არსებითად ჩემი პოლიტიკა ხელქვეითთა მიმართ: თქვენ გჭირდებათ ბრწყინვალე კაბინეტები და ცალკე საპირფარეშოები? ჩინებულია, თუ ასე გინდათ, აჰა, გაძლევთ; მე კი უბრალო, უზნო ოთახშიაც კარგად მოვეწყობი და საერთო საპირფარეშოთიც ვისარგებლებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე მოვიქცევი როგორც ხელქვეითი, თქვენ კი — როგორც დიდი მოღვაწენი ან თუნდაც როგორც პატრონები. თუმცა ჩემსა და თქვენ შორის სულ მცირე განსხვავება მაინც არის: სინამდვილეში მე ვარ პატრონი, თქვენ კი ხელქვეითები! და მაინც ვერ ჭამიგია, რატომაა თქვენთვის სულ ერთი, სად იქნებით...

— ეს ხომ თქვენ თვითონ ამიხსენით, დოქტორ მაქს! მე ვიცი, რომ პატრონი თქვენა ბრძანებით და ფიქრადაც არ მომივა, ვითომ თქვენი საკუთრების მონიარე ვიყო. ამთავითვე ვაცხადებ: რაკი თქვენს ფირმაში მიმიღეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მეც, ისევე როგორც სხვა ყველაფერი, რაც კი აქ მოიძვევება, თქვენ ვეკუთვნით. თუ გაინტერესებთ, რა უფრო მაამებს, ნება მიბოძეთ გითხრათ, ყველაფერს ისევე ამ კაბინეტში დარჩენას ვამჯობინებ. ჯერ ერთი, პატარა, მყუდრო და წყნარი. როგორც კი ამ სკამზე დავჯექი, იმავე წუთს კარგად გიგრძენი თავი. ესეც არ იყოს, თუ ნებას დამრთავთ დავუბრუნდე ჩვენი საუბრის მთავარ საკითხს — საკუთრების საკითხს, უნდა მოგახსენოთ, რომ, ჩემი აზრით, პატრონისთვის უფრო ხელსაყრელია, თუ მისი ხელქვეითი იქვე, თვალწინ ეყოლება.

— განა ჩემს საკუთრებად თვლით თავს? — ღიმილით შემაწყვეტინა დოქტორმა მაქსმა.

— დიახ, ყოველ შემთხვევაში იმ დრომდე, ვინემ ამ თქვენს სავაჭრო ფირმაში ვიქნები. ხოლო რაკი ვიმედოვნებ აქ სამუდამოდ დავრჩები...

დოქტორი მაქსი უეცრად ზიზლით დაიმანჯა და მეც სიტყვა პირზე შემაშრა.

— ყვეყჩი ყოფილხარ, გრცხვენოდეთ! რა მონური, რასისტული, საძავე-

ლი აზრები გქონიათ! როგორ შეიძლება ერთი ადამიანი მეორის საკუთრება იყოს? რა სისულელეებს ჩმახავთ!

— მე ხომ... — წავიბუტბუტე მე.

— თქვენ თავისუფალი ადამიანი ხართ, გასაგებია? და ამის საკადრისა-
დაც უნდა მოიქცეთ. თქვენ მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნით და სხვას არა-
ვის, ყველაზე ნაკლებ კი მე. ესლა მაკლია! — ამ სიტყვებით თავისი გამხლარბი,
გრძელფრჩხილებიანი ხელი მაგიდას დაარტყა (პირველად ახლა მივაქციე მის
ხელებს ყურადღება). — და მოეშვით ამ სიგარეტს! ისე გაბოლეთ აქაურობა,
რომ კაცი დაბრმავდება! — იგი გავარდა და კარი გაიჯახუნა.

— დოქტორ მაქს! — შევძახე აღელვებისაგან ხმაჩახლეჩილმა და უკან
გავედევნე. მაგრამ დოქტორი მაქსი უკვე მიიძალა თავის კაბინეტში; კარის
გვერდით ანთებული ნათურა კი იმას იუწყებოდა, რომ მისი შეწუხება არ შე-
იძლებოდა. ერთიანად აფორიაქებული ისევ კაბინეტში დავბრუნდი და ფან-
ჯარა გამოვადე. ოთახი ერთბაშად განიავდა, კვამლი ღრუბლებად აცურდა ზე-
მთ, მალლა სართულების შუშების გასწვრივ, და გაიფანტა. ფანჯარა დავხურე,
დავჯექი ჩემს ადგილზე და თავი ხელებში ჩავრგე.

სასოწარკვეთილებამ შემიბყრო, რა ვქნა, როგორ მოვიქცე? ჯერ ვიფიქრე:
ნეტა რა მინდა ამ კაბინეტში, რად ვზივარ ამ სკამზე (უკვე ასე რომ მივეჩვიე,
ახლა კი უფლება აღარ მაქვს ვიჯდე), იმის მაგივრად, რომ გავალო კარი, გავია-
რო მისაღები, დავეშვა კიბეზე და ქუჩაში გავვარდე? არა, ახლავე ავდგები. აი,
გაივლის ერთი წუთი და ავდგები. ვცადე კიდევ ადგომა, მაგრამ ვერ შევძელი,
თითქოს მილურსმული ვიყავი. შეიძლება შეცარი სისუსტის ბრალი იყო. და
მაინც ვერ ვდგებოდი და ვერა. ვიჯექი და ვფიქრობდი:

რა იქნება, რომ ადგილიდან არ დავიძრა? რა იქნება, რომ წასვლაზე უარი
ვთქვა? დოქტორ მაქსს ხომ ოფიციალურად არ მოვუხსნივარ, არ გავუგდივარ,
არაფერი ისეთი არ უთქვამს. იქნება ყველაფერი მოგვარდეს... რაზე ვიჩქარო?
საკუთარი ღირსება რომ არ შემებლალოს? მაგრამ რა უფრო ღირსეული იქნე-
ბა, წავიდე და ამით სულელური ამოუთმენლობა გავამჟღავნო, რაც სიკეთეს
სულაც არ დაშაყრის, თუ პირიქით, გამოვიჩინო სიმტკიცე და ვიჯდე ასე? ყო-
ველ შემთხვევაში ასეთი უკმეხი მოქცევის შემდეგ, საბოლოო და გამოუსწორე-
ბელ განხეთქილებას რომ მოასწავებს, ჩემს ადგილზე რომ დავრჩე, საკუთა-
რი თავის ერთგულებას მაინც დავამტკიცებდი. ჯერ ხომ მაინც დოქტორი მაქ-
სის საკუთრებად ვითვლები. მე რომ თავიდან მომიშოროს, როგორც უსარ-
გებლო რამ ნივთი, ან თვითონ ან სხვა ვინმემ მისი დავალებით, კინწისკვრით
უნდა გამაგდოს: ჯერ ამ სკამიდან წამომაგდოს (ამასთან მე, ისევე როგორც
რაიმე უსულო საგანი — თუნდაც ეს საფერფლე, სკამი თუ კარხხა — არავი-
თარ წინააღმდეგობას არ გავუწევ), მერე კარი გამიღოს და ქუჩაში მისროლოს.
ვნახოთ, რა იქნება! მე მაინც შევასრულებ, რაც ჩემს მოშობლებს დავპირდი: მო-
ვეწყობი ფირმაში, ვიმუშავებ, მივიღებ ხელფასს, შევირთავ ცოლს, მოვეკიდე-
ბი ოჯახს, ვიზრუნებ ბინაზე, ვიყიდი თანამედროვე ავეჯს, რადიომიმღებს,
ტელევიზორს, მაცივარს, სარეცხ მანქანას — ყველაფერს, რაც საჭიროა. ზაფ-
ხულში კი ავიღებ (თუ მომცემენ) კანონიერ ოცდლიან შვებულებას და წავალ
დასასვენებლად, როგორც ყველა ადამიანი ამ ქვეყანაზე. არა, ამ ადგილიდან
ფეხს არ მოვიცვლი. ვიჯდები ასე, კრიჭაშეკრული, არავის არ მოვუსმენ, ყო-
ველ შემთხვევაში, საკუთარი თავის ერთგული მაინც დავრჩები. რაკი დოქტორი

მაქსის საკუთრება ვარ, მაშასადამე, მანვე უნდა გადაწყვიტოს და არა მე. ჩემი საქმეა — ვიჯდე აქ და ისევე შევასრულო ჩემი მოვალეობა, როგორც ასრულებენ თანამშრომელი კაცები და ქალები, ეს ავეჯი, ძველი თუ ახალი ნიმუშის საბეჭდი მანქანები და სხვა დანარჩენი...

ამ დროს გაიღო კარი და დოქტორი მაქსი გამოჩნდა.

— მაპატიეთ, ალბათ უკვე შეამჩნიეთ, რა ფიცხი ვარ. უფრო სწორად, ფიცხი არა ვარ, მაგრამ იმდენი საფიქრებელი და საზრუნავი მაწევს, განსაკუთრებით მორალური, რომ აღარ ვიცი, რა ვქნა. სულ რაღაც საკითხზე ვიმტვრევ თავს. იყო ადამიანი და ამავე დროს იყო პატრონიც, ძნელია. ესეც მორალური პრობლემაა: ორივეს ხომ თავთავისი და თანაც ურთიერთსაწინააღმდეგო კანონები აქვს. ასე რომ უნდა მაპატიოთ. რაც შეეხება თამბაქოს, რამდენიც გინდათ, იმდენი ქაჩეთ, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ეცადეთ, მამაჩემმა არ დაგინახოთ, ბოლს ვერ იტანს. პირადად მე აღარ ვეწევი. ადრე ორმოცამდე სიგარეტი არ მყოფნიდა დღეში, მერე კი თავი დავანებე, რადგან მივხვდი, რომ იმდენად სიამოვნებისათვის არ ვეწეოდი, რამდენადაც მამაჩემის ჯიბრზე. მართლა მწეველი რომ ვყოფილიყავი, ხომ არ დავანებებდი თავს! თქვენ რას იტყვით?

— დიახ, თამბაქოს წვევა ცუდი ჩვევაა და ვერც ადვილად დააღწევ თავს, — ანგარიშმიუცემლად წავილულულუდე.

— ესეც არ იყოს, თქვენი პასუხი მომეწონა. ისე თანმიმდევრულად მსჯელობთ, აქ, ჩვენთან იშვიათად გაიგონებ. ერთი კი დაიხსომეთ: თუნდაც სამართლიანად მიგაჩნდეთ თავი ჩემს საკუთრებად, სინამდვილეში ასე არ არის — თქვენ თავისუფალი ადამიანი ხართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორად იტყევით, თავი ჩემს საკუთრებად რომ მიგაჩნიათ; ეს თქვენს პრაქტიკულ ჭკუაზე მეტყველებს, რაც თქვენს ასაკში მე არ გამაჩნდა. ამის მიუხედავად, მაინც შეგიძლიათ თავისუფალ ადამიანად ჩათვალოთ თავი. სხვათა შორის, რა მინდოდა მეთქვა: აუცილებელი არ არის, დილაობით ჩაანიშნინოთ თქვენი გამოცხადება. დაე, ამისთვის სხვები გაისარჯონ. თქვენ ნუ შეწუხდებით. სხვებისაგან განსხვავებით ეს მოგცემთ მორალურ უფლებას გინდა თავის დროზე მოხვიდეთ სამსახურში, გინდაც ადრე, განა იმის შიშით, რომ დაგაჯარიმებენ, არამედ საკუთარი სურვილით.

— დიდი მადლობელი ვარ თქვენი, დოქტორ მაქს, მაგრამ რაში მჭირდება ეს თავისუფლება? მე მინდა ისე ვიყო, როგორც ყველა, ისეთივე უფლება და მოვალეობა მქონდეს.

— ოჰო, მაშ თქვენც გაიძახით „უფლება და მოვალეობაო!“ რა საძაგელი სიტყვებია!

— მართალი ბრძანდებით, უნებურად წამომცდა. ის მინდოდა მეთქვა, მეც სხვებივით ვიქნები და არავითარი უპირატესობით არ მინდა ვისარგებლომეთქი, ბოლოს რომ სანანებელი არ გაგვიხდეს არც მე და არც თქვენ.

— რაკი თქვენვე აღიარეთ, რომ ეს სიტყვები უნებურად წამოგცდათ, როგორც გენებოთ, ისე იყოს, ჩემთვის სულ ერთია. მაგრამ იცოდეთ, სიტყვა „უპირატესობა“ არ მომწონს. ოცი წლის ჭაბუკს ეს სიტყვები არ შეშვენის. ახალგაზრდა ხართ და იმედია, არ გეწყინებათ, რასაც გეტყვით. აბა რაში ეკითხება ჭაბუკს „უფლება, მოვალეობა“ თუ „უპირატესობა“? თვალი სულ ფეხბურთისაკენ უნდა ეჭიროს. მე, მაგალითად, ფეხბურთს ვთამაშობდი, თქვენ?

— მეც! — ვუბასუხე სახეგაბრწყინებულმა. აი სასწაული! ეს-ეს იყო სა-
სოწარკვეთილი ვიყავი კაცი, ახლა კი სპორტზე ვესაუბრები დოქტორ მაქსს.

— რაკი ასეა, თუ გეცლებათ, კვირას ერთად წავიდეთ ფეხბურთზე.
დავეთანხმე. დოქტორმა მაქსმა ღიმილით გააღო კარი და თავისი კეთილ-
განწყობა რომ ეჩვენებინა, დამშვიდობებისას გამომაჯავრა, ჩემსავით წინ
წაიგდო ხელი (როცა ავღელდები, მარჯვენა ხელს წინ წავიგდებ და თან დამა-
სლოკინებს ხოლმე).

ამ დღის შემდეგ დოქტორ მაქსს არც ისე ხშირად ვხვდებოდი, სამაგიეროდ
დამატებითი ცნობები ერთ-ერთი მისი მდივანი ქალის — სელენესაგან შევიტყე.
სელენეს მიზეზები არ ელეოდა და თითქმის ყოველდღე შემოიხედავდა ხოლმე
ჩემს კაბინეტში. პირველ ხანებში ჩუმად დამიკაკუნებდა კარზე (მქრქალ მინაში
ერთბაშად ვიცნობდი ხოლმე), მერე კი ისე დაეჩვია, დაუკაკუნებლადაც შემო-
დიოდა; სწრაფად დაზვერავდა ხოლმე დერეფანს, ხომ არავინ არისო; ამან და-
მაეჭვა, ყოველთვის საქმეზე არ შემოდის და იმიტომაც იყურება-მეთქი აქეთ-
იქით, არავინ დამინახოსო. შემოდვრებოდა ოთახში და კარჩხასთან დადგებოდა,
რადგან დერეფანში გამვლელი თუ შეავლებდა ჩემს კარს თვალს, კარჩხასთან
ვერც დაინახავდა. სელენე ისე ახალგაზრდა და ლამაზია, მისი ასე ხშირი
სტუმრობის მიზეზი ვერ ამიხსნია; ბევჯერ მიფიქრია, ვაითუ შესაცდენად მო-
მიგზავნეს, რომ მერე, ვისაც ჯერ არს, ყველაფერი მოახსენოს-მეთქი. შეუმ-
ჩნევლად გამოგვკითხე დიაბეტეს მისი ამბავი; იგი ზიზღით დაიმანჭა და მითხრა,
ამისი და ამისი საყვარელიაო (იმათ მე არ ვიცნობ, სხვა განყოფილებებში მუ-
შაობენ). სელენე ძალიან ახალგაზრდაა, თანაც ძალიან გამომწვევი გარეგნო-
ბისა. დარწმუნებული ვარ, შავი ატლასის ხალათის შიგნით ტრუსებისა და
ლიფის გარდა არაფერი აცვია. სწორედ ამან მაფიქრებინა, საეჭვო ვიღაც უნდა
იყოს-მეთქი; ყოველ შემთხვევაში, საბეჭდ მანქანაზე კაკუნით დატანჯულ
დამჭკნარ მდივნებს არა ჰგავს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამ ქალებს სა-
ლათებს შიგნით პერანგებიც აცვიათ და შესაძლოა ქვედა კაბაც და ჯემპრებიც.
სელენეს, ჩემი აზრით, არაფერი აცვია. გასაკვირი კია, რადგან ჩვენს განყოფი-
ლებაში მუშაობენ დოქტორი მაქსის დედა და კიდევ სხვა იმისთანა ხალხი,
ვისაც დოქტორი მაქსის ნახევრად შიშველი მდივანი აშკარად შეაცბუნებდათ.
იქნება დოქტორი მაქსის საყვარელიც კია? ვერაფერს ვიტყვი; დიაბეტე ამაში
არ მეთანხმება. სხვათა შორის, ბოლოს მეც ასე ვიფიქრე. ჩემი აზრით, დოქ-
ტორ მაქსს არც დრო და არც სურვილი არ უნდა ჰქონდეს ამისთანა ამბებისა.
უნდა ვაღიარო, არც მე მაქვს ამის სურვილი და არც მინდა მქონდეს. ჯერ ერთი
იმიტომ, რომ სამუშაოზე უნდა ვიფიქრო, მეორეც, არ მინდა დოქტორ მაქსს
ნდობა გავუმტყუნო, მესამეც იმიტომ, რომ სელენეს არ ვენდობი. ამას წინათ
უცნაური რაღაც მკითხა, აშკარა იყო, გამოტეხის მიზნით.

— ნიძლავს ვღებ, რომ უკვე დალიეთ „სექსი-ჯინი!“ — მითხრა აღელვე-
ბულმა და კარჩხას მიეკრა. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს ყელში რა-
ღაცამ წამიჭირა, შევხედე, მან თვალეზი დახარა. შემდეგ სელენემ მითხრა, ამ
ცოტა ხნის წინათ ზღვაზე ვიყავიო; მართლაც, კიდევ არ ვადასვლია მზის სიშავე.
მის კანსაც სწორედ „სექსი-ჯინის“ სურნელება ასდის. ამაზე ლაპარაკიც ალბათ
ამიტომ წამოიწყო. კარვა ხანს ვუყურე. წელზე მაგრად შემოეჭირა ქამარი; ჩა-
მოქნილ ტანზე ხალათი მჭიდროდ შემოტმასნია. კალენდრის ყდაზე დახატულ
სარეკლამო სურათს მაგონებს: გრძელი ფეხები, მაღალი, მკვრივი მკერდი; პა--

ტარა. ბრტყელი მუცელი სუნთქვისას ოდნავ ებურცება. იმ დღეს აშკარად რა-
ღაცით აღელვებული თუ დარცხვენილი იყო. აჩქარებული სუნთქვისგან მუცე-
ლი უთრთოდა; ისე ჰქონდა ხალათი შემოტმასნილი, რომ ჭიპიც კი ემჩნეოდა.
პირისახე მოგრძო აქვს, სულ ბავშვური, ტუჩები, ცხვირი და ყურები პაწაწინა.
თვალები ნუშისებური, ნათელი, თმა მოკლედ შეჭრილი და ხვეული. გამომეტ-
ყველებაზე ეტყობა, გულჩათხრობილი უნდა იყოს. მართლაც, ცოტას ლაპარა-
კობს, თანაც ტკეპნით. სამაგიეროდ სხეული აქვს ძალზე მოძრავი, სულ ერთია-
ნად უთრთის და უცახცახებს, გეგონებათ, ქარში ტიტველი დგასო.

— „სექსი-ჯინსაც“ სწორედ თქვენისთანა სუნი აქვს, — წავიბუტბუტე მე.

სელენეს ხმა არ გაუღია, ნელა შეიყო ხელი ხალათში და, როგორც შე-
ვატყვე, მზით გარუჯული გრძელი თითები მკერდზე მოიჭირა. მოჭუტული
თვალები და ოდნავ გაბუტული ტუჩები პატარა მძინარე ბავშვს უგავს, წამიერი
ზმანება რომ შეაკრთობს ხოლმე ძილში. ერთხანს ასე იდგა, კედელს მიყრდნო-
ბილი, თავი გვერდზე გადაეხარა და მუცელი წინ წამოეზიდა (თითქოს ამ წუთ-
შიც სიზმარში იყო და რაღაც ელანდებოდა). უეცრად აღმურმა აჰკრა სახეზე
და რაღაც გაუგებარი სიტყვები წაბუტბუტა. მერე, თითქოს გამოფხიზლდაო,
დარცხვენითა და დაბნევით გამომხედა. მე ავდექი და მთვარეულივით მასთან
მივედი. იგი კუთხეში მიიკუნტა, ლამის კედელს აეკრა, აცახცახებული ხელებით
უცბად შეიხსნა ხალათი და შიშველი სხეული გამოაჩინა. ერთ წამს თვალთ
დამიბნელდა... გონს რომ მოვეგე, შემრცხვა, სელენესაც დამნაშავე ბავშვის სა-
ხე ჰქონდა; აღმურმოკიდებული იდგა და აცახცახებული ხელებით ხალათს
იკრავდა. ისე გავიდა, თავი არ აუწევია. ოთახში კი თავისი სურნელი დამიტოვა.

ფანჯარა გავადე. ძალიან შემრცხვა იმისი, რაც მოხდა; ათასმა აზრმა გამი-
ელვა თავში, ისიც ვიფიქრე, ახალი შენობიდან ხომ არავინ დაგვინახა-მეთქი.
გადავწყვიტე შემემოწმებინა და სელენეს ადგილზე დავდექი. არა, დანახვით
ვერ დაგვინახავდნენ, რადგან ახალი შენობის ფანჯრებიდან ჩემი სოროს სწო-
რედ ის საპირისპირო კუთხე მოჩანდა, სადაც მე ვიჯექი. ეტყობა, სელენემ
იცის, რადგან ჩემს კაბინეტში რომ შემოდის, მაშინვე იმ კუთხეში აიტუზება
ხოლმე, კარჩხასთან. იმ დღიდან ჩვენს შორის არაფერი მომხდარა, არ მინდა.
არაფერი მომხდარა-მეთქი, ვამბობ, მაგრამ კიდევ ერთი შემთხვევა მახსენდება.
სელენე შემოვიდა, დიდხანს მიყურა, მაგრამ როცა ავდექი, ახლოს არ მიმიშვა.
მაჯაში რომ ხელი ვტაცე, ტუჩები აუთრთოლდა და ორი მსხვილი ცრემლი ჩა-
მოუგორდა ლოყებზე. თავი ვერ შევიკავე და ვაკოცე. კვლავ რძისა და ბავშვის
სუნი ვიყნოსე.

სელენეს გამო სინდისი მქენჯნიდა და თავში ათასი აზრი მერეოდა. მიგხვდი,
რომ იგი ჩემთან არავის მოუგზავნია. ვინ იცის, იქნებ კიდევ შევუყვარდი. მაშა-
სადამე, შემიძლია მშვიდად ვიყო. მაგრამ თუკი გაცნობის პირველ დღეს ჩემთან
ასე მოიქცა, მაშინ სხვა დროს რას აკეთებს, განყოფილებიდან განყოფილებაში
რომ დადის? დიაბეტეს რომ მოუსმინოს კაცმა, უამრავი საყვარელი ჰყავსო, მაგ-
რამ არა მჯერა. თუმცა სელენე ვნებიანი კია, მაგრამ მაინც უბიწო უნდა იყოს.
როცა მის გამობურცულ შუბლს ვუყურებ, ასე მგონია, შუბლი კი არა, საფეთ-
ქლიდან საფეთქლამდე გადაჭიმული სქელი სარქველია, შიგნით კი სრული სი-
ცარიელე სუფევს-მეთქი. ძალიან მინდა ჩაქუჩით მივუკაკუნო და გავიგო, რა იმა-
ლება ამ სარქველს მიღმა; მაგრამ როცა სელენე რაღაც ვნების ბურანში ეხვევა
(უეჭველია, აქ იმალება მისი უცნაური ხასიათის საიდუმლოებაც), შუბლი

უთუთრდება, ისე მკვირივი აღარ უჩანს, ჩვილი ბავშვივით ლამის გამჭვირვალე უხდება. პირისახეც მოეთენთება ხოლმე, ნესტოები გაუთეთრდება და ფერ-მკრთალი, უსისხლო ქუთუთოები, ასე გგონია, ეს-ეს არის სამუდამოდ დაეხუჭებაო.

არ ვიცი, რას აკეთებს სელენე და რა საქმე აბარია ჩვეულებრივად იგი თვითონ მოდის ჩემთან; ისიც არ ვიცი, აქვს თუ არა მუდმივი სამუშაო ადგილი, ან რომელ განყოფილებაშია, ჩვენთან თუ სადმე ახალ შენობაში. ერთხელ ფანჯარასთან მივედი და შუშის კედელს რომ ავხედე, მეოთხე სართულზე სელენე დავინახე, კედელს მიჰყრდნობოდა. ფეხებით ვიცანი და გული შემეჩანდა. იმავე წუთს ჩვეულებისამებრ გაბუტული შეტრიალდა და ფანჯარაში გაიხედა. ვერ გავარჩიე, ლაპარაკობდა თუ დუმდა, რადგან შუშა სინათლეს ირეკლავდა. უცრად ქვევით ჩამოიხედა და, ეტყობა, შემამჩნია. პატარა ცხვირი და ხელის-გულები შუშას მიაბჯინა, რათა უკეთ დავენახე, რამდენსამე წუთს ასე იდგა (თუმცა შუშა მაშინვე დაიორთქლა და პირისახე აღარ მოუჩანდა), მერე ერთ-ბაშად გაქრა, იფიქრებდით, ვიღაცამ ხელი სტაცა და კედელს მოაშორაო. არასდროს არაფერს ჰყვება არც თავის თავზე და არც სამუშაოზე, არც გამოკითხვას აქვს რაიმე აზრი. ერთხელ ვკითხე, რას აკეთებ-მეთქი, და მიპასუხა:

— მემანქანე-სტენოგრაფისტად ვმუშაობ.

— დოქტორი მაქსის მდივანი ხართ?

— არა, მისი მდივანი რომ ვიყო, ქვემოთ, მეორე სართულზე ვიქნებოდი. მაგრამ დოქტორი მაქსი დროდადრო გამომიძახებს ხოლმე, რადგან ჩემზე სწრაფად ვერავინ სწერს კარნახით.

— მაშ რომელიმე ერთ განყოფილებაზე არა ხართ მიმაგრებული?

— არა, სადაც დამიძახებენ, იქ მივდივარ. ასე სჯობია, უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს.

— მართლა, მოცალეობის დროს სად დადიხართ?

არაფერი მიპასუხა და თვალები დახარა.

— ჰო, მითხარით, სად?

იგი ჯიუტად დასცქეროდა იატაკს და დუმდა. მივხვდი, რომ არ უნდოდა ამაზე ლაპარაკი და მეც სხვაზე გადავუტანე სიტყვა.

— რამდენი გაქვთ ხელფასი?

— დაქვითვის შემდეგ ოთხმოცდარვა ათას შვიდასი ლირა მრჩება.

— რაში ხარჯავთ ამ ფულს?

— თითქმის სულ მე მრჩება. ჩემს ოჯახს არც ისე უჭირს, მხოლოდ მცირე ნაწილს ვაძლევ.

— აქ ყველას იცნობთ?

— ყველას არა, მაგრამ ბევრს კი ვიცნობ. მაგალითად, ხშირად ვარ ხოლმე დოქტორ ბომბოლოსთან. სწორედ იქ მოვისმინე, ისა და დოქტორი მაქსი რომ ლაპარაკობდნენ თქვენზე.

— რას ლაპარაკობდნენ?

— დოქტორი ბომბოლო დაგცინოდათ, დოქტორი მაქსი კი გაბრაზდა და გამოგეჟომაგათ; ასე თქვა, ბრწყინვალე კარიერას შეიქმნის, რადგანაც ჰკვიანი არისო.

— კიდევ რა თქვა?

— კარგად აღარ მახსოვს. მარტო ის ვიცი, რომ ბომბოლოსაგან ვიცავდათ.

პო. გამახსენდა, როცა დაობდნენ, დოქტორმა ბომბოლომ დოქტორ მაქსს უთხრა: „კიდევაც ინანებთ, მფარველობა რომ გაუწიეთ ამ... ამ „უფერულ სპიროქეტას“. კარგად მახსოვს რომ ასე თქვა.

— დოქტორმა მაქსმა რაღა უპასუხა?

— გუნება გაუფუჭდა, ჯერ ჩვეულებისამებრ ჩაფიქრდა, მერე უცბად გავარდა და იმ დღიდან აღარც შემოსულა დოქტორ ბომბოლოსთან.

— საიდან იცი, რომ აღარ შემოსულა?

— ვიცი, ამდენს ნუ მეკითხებით.

— მაშასადამე, დოქტორ ბომბოლოსთან მუშაობთ... მთელი ეს დღეები და იმ დღესაც. როცა ერთმანეთი ფანჯრიდან დავინახეთ, იქ იყავით.

— კმარა, — მუდარით მითხრა.

მე მისკენ წავედი. სელენემ ხელები გაასავსავა, თითქოს თავდასხმას იგერიებდნენ, მკლავიდან დამისხლტა და ოთახიდან გაძვრა. ცოტა ხნის შემდეგ მობრუნდა: კარი ოდნავ გამოაღო, ჩვეულებისამებრ დერეფნის მარცხენა და მარჯვენა მხარეს გაიხედა და თავი შემოიყო. თმები ასწეწოდა, პირისახე ანთებოდა, ცხვირთან ორი თეთრი ზოლი აჩნდა.

— რა მოხდა? — ვკითხე და ხელში ჩავაფრინდი, ვცადე, ოთახში შემომეტრია.

მაგრამ მან ჩუმად დაიკვნესა, გამისხლტა და კვლავ დაიკარგა.

გონს რომ მოვეგე (კარგა ნახევარი საათით კი დამაკარგვინა ამ ამბავმა წონასწორობა), კვლავ ჩემს საქმეებსა და მომავალს ჩავუფიქრდი. მიუხედავად ხან აღმაფრენისა და ხან სასოწარკვეთისა, დოქტორი მაქსის გამოუცნობი ხასიათის წყალობით რომ იგანვიცდი, მიუხედავად იმისა, რომ ფირმაში ცალი ფეხი მიდგას, მაინც თითქმის ბედნიერი ვარ. თითქმის და არა სავსებით. ის ბედნიერება, ფირმაში მოსვლის დღეს რომ განვიცადე — მშობლებისადმი სინაზითა და ბავშვური აღტაცებით გამოწვეული, ფირმაში მოვეწყვე და მალე მივიღებ-მეთქი ჩემი შრომის საზღაურს, მეტად აღარ მიგრძენია. ჩემი ახლანდელი ბედნიერება სულ სხვაა: უფრო გაცნობიერებული და ამავე დროს ფიქრებით, სინდისის ქენჯნით და შიშით ცოტა არ იყოს მოწამლული.

ავიღოთ თუნდაც ბომბოლოს მაგალითი: რაში დასჭირდა ჩემთვის „უფერული სპიროქეტა“ ეწოდებინა? რა გასაკვირია, რომ დოქტორ მაქსს ეს გამოთქმა ეჩოთირა. აკი სელენემაც მითხრა, ჯერ ღრმად ჩაფიქრდა, მერე კი ოთახიდან გავარდაო. აგერ უკვე რამდენიმე დღეა არც დიაბეტესთვის მომიკრავს თვალი. მე არაფერ შუაში ვარ. ყოველ ცისმარე დღე მივდივარ მასთან მისასალმებლად, ის კი ათას რამეს მოიმინეზებს და კარებში გამაჩერებს, ხან ვითომ ტელეფონზე აქვს დასარეკი, ხან ვილაცას ელოდება, ხანაც დაკავებულია და მპირდება, შენთან მოგვიანებით შემოვალო... მაგრამ შევამჩნიე, საკმარისია თავისი კაბინეტის კარებში დამინახოს, მაშინვე ტელეფონის ყურმილს სტაცებს ხოლმე ხელს, თუმცა ისევეა დაკავებული, როგორც სხვა დროს. თანაც მისი პასუხის შემდეგ ყოველთვის გარკვევით მესმის ტროპიას ქირქილი. რასაკვირველია, „უფერული სპიროქეტა“ ბოროტი და ორაზროვანი ნათქვამია. თავისუფლად შეიძლება ეს ყველას დაუძახო — გინდაც დოქტორ მაქსს, გინდაც მის ფირმას და გინდაც იმ დროს იქ მყოფ სელენეს. თავად სელენეს წარმოდგენაც არა აქვს, რას ნიშნავს ეს ვენერიული ავადმყოფობის აღმნიშვნელი სიტყვა (იქნება თავსაც იკა-

ტუნებს, ვითომ არ ვიცოდ, ან ეს ყველაფერი მისივე შეთხზულია). არა, ასეთ სიცრუეს იგი ვერ მოიგონებდა.

არც გასაკვირია, რომ იმ ღამეს ძალზე მოუსვენრად მეძინა. მთელი ღამე ბომბოლო მეღანდებოდა. ეს მოუსვენარი სიზმრები (აღრე რომ არასოდეს მი-
ნახავს, ყოველ შემთხვევაში არ მაგონდება), აგრეთვე ათასი საზრუნავი და
საფიქრალი სიმშვიდეს მირღვევს და ხელს მიშლის, რომ ვიჯდე მშვიდად, ბედ-
ნიერად ჩემს კაბინეტში და ვიმუშაო. მთელი ამ ხნის განმავლობაში წერილი არ
მიმიწერია არც მშობლებისათვის, არც მარიასთვის, სულ რამდენიმე დღე გა-
ვიდა, რაც ისინი დავტოვე და რა შორეულად მეჩვენებიან! რა შორს მეჩვენება
მშობლიური ქალაქი! რომ მომენდომებიან, შემეძლო პარასკევე საღამოს სა-
მუშაოს შემდეგ დავმჯდარიყავი მატარებელზე და გავმგზავრებულიყავ წინ.
კარგა ხანს ვიფიქრე ამაზე, მაგრამ გადავწყვიტე, არ ღირს-მეთქი და დავრჩი.
ამის მაგივრად პარკში წავედი და უზარმაზარი შადრევანის გვერდით დავჯექი
სკამზე. ბავშვები აფრიან ნავებს უწვებდნენ. უცბად ყვირილი ატყდა, ვიღაცამ
თავკომბალა დაიჭირა. თავში უსიამო აზრმა გამკრა. ავდექი, შადრევანთან მი-
ვედი და ვნახე, რომ მღვრიე წყალი სავსე იყო თავკომბალებით. გამახსენდა
ბომბოლო, მისი ნათქვამი „უფერული სპიროქეტა“, სიზმარი, ათასი სხვა რამ
და საშინლად წამიხდა გუნება. რასაკვირველია, არც ბავშვები და არც თავ-
კომბალები არაფერ შუაში არ იყვნენ, მაგრამ ისეთი სევდა მომერია, გადავ-
წყვიტე, საღმე განმარტოებით, ხეების ძირას მომენახა სკამი. გადავჯექი და
მზეს დავუწყე ყურება, როგორ ჩადიოდა იგი ფირმის შენობის მიღმა; ცა-
თამბჯენი ცარიელი და გამჭვირვალე ჩანდა. როცა მზე მისი შუშის კედლებს
მოეფარა, ნარინჯისფერ შენობას რაღაც მოშავო ფერმა გადაჰკრა. იმავე წამს
პარკი, ხეები, შადრევანი და ბავშვების ტანსაცმელიც კი ერთიანად ჩამუქდა,
მრუმე ჩრდილები გაწვა; ჩიტებმა ერთბაშად შეწყვიტეს ჭიკჭიკი და ჟღერ-
ტული, მხოლოდ აქა-იქა ისმოდა მათი გამკივანი სტვენა. ბავშვებსაც და მათ-
თან ერთად პატრონებსაც შეეცვალათ გუნებ-განწყობა—ბავშვები აწრილდნენ,
გაჭირვეულდნენ; დედებმა და აღმზრდელებმა ისინი შადრევანს მოაშორეს და
ზოოპარკისკენ წაიყვანეს. იქ ჯერ კიდევ არ მიედწია შუშის სასახლის ცისფერ
ჩრდილს და ჩამავალი მზის სხივები ისევ ციალებდა. და მაინც, როცა პატარ-
პატარა სახლებს შორის განმარტოებით აწოწილ შუშის სასახლესა და ალუმინ-
ის ბრჭყვიალა ქერცლით დაფარულ მის წვეროს შეგყურებდი, მეჩვენებოდა,
რომ საოცრად სპეტაკი და ლამაზი იყო, რომ მიზიდულობის საოცარი ძალა
ჰქონდა, ისევე როგორც ეკლესიას. და თუმცა ფირმას არ გააჩნდა ეკლესიის
იდუმალეობა, მაინც მიხმობდა თავისკენ, მთელი ჩემი ცხოვრება ამიერიდან
მას ეკუთვნოდა.

III

თანდათან უფრო და უფრო ვეჩვევი წესრიგს. იმის წყალობით, რომ ფირ-
მაში სამუშაო დღე ორად იყოფა, ოთხი საათი დილას და ოთხი სადილის შემ-
დეგ, ჩემი ცხოვრებაც კალაპოტში ჩადგა. ვამჩნევ, რომ სამუშაოსთან დაკავში-
რებით ბევრ ისეთ რამეს ვაკეთებ, რაც აღრე არ მიკეთებია; მაგალითად, ვიღ-
ვიძებ დილის შვიდ საათზე, შევდივარ სააბაზანოში, ვიცვამ, ვსვამ ყავას, დიასა-
ხლისს ჩემი საწოლის გვერდით რომ დაუდგამს. და ქუჩაში გავდივარ. ტრო-

ლეიბუსის გაჩერებამდე ორასიოდე მეტრია და ფეხით მივყვები გზას. შემდეგ ვდგავარ და ვუცდი ტროლეიბუსს. თუ ისეა გაჭედილი, რომ სახელურებს ჩაჭიდებული ხალხი კიბეებზე ჰკიდია, მაშინ მეორეს ველოდები, სადაც მეტი ხალვათობა იქნება. ფირმამდე ჩვიდმეტი გაჩერებაა; ზეპირად ვიცი უკვე ჩემი ტროლეიბუსის გზა, თუმცა იმ ქუჩაზე სულ ერთნაირი სახლებია ჩამწკრივებული; გზაზე თვალს მიჭრელებს ათასნაირი რეკლამა, ზეპირად ვიცი ისინიც და კარგ გუნებაზე მაყენებს ხოლმე. აგერ ჩემი გაჩერებაც ბულვართან, სადაც ფირმის შესახვევია; დავადგები ამ შესახვევს და მივდივარ ფირმის შენობისაკენ (ფირმას სხვა შესასვლელიც აქვს ახალი შენობის მხრიდან და იქიდანაც შეიძლება ჩემს კაბინეტში მოხვედრა, მაგრამ მე ძველ შესასვლელს ვამჯობინებ). შესახვევში ბარია, სადაც ვსაუზმობ ხოლმე — გეახლებით ერთ ფინჯან რძიან ყავას, ნამცხვარს და ვყიდულობ სიგარეტს. ოცი, ოცდახუთი წუთის შემდეგ უკვე ფირმის შენობაში ვარ. მართალია, ჩანიშვნა არ მჭირდება, მაგრამ, როგორც სამართლიანად მიწინასწარმეტყველა დოქტორმა მაქსმა, სწორედ ამიტომ არ ვაძლევ თავს უფლებას დავიგვიანო. ავდივარ კიბეებზე, გავივლი მისაღებს, სადაც უკვე თავის ადგილზე ზის შიკრიკი და შევდივარ ჩემ კაბინეტში, გვიდებ ლაბადას და მაგიდასთან ვჯდები. სხვა მოსამსახურეთაგან განსხვავებით, გაზეთებს არ ვყიდულობ; ახლა, როცა სავაჭრო ფირმაში ვმუშაობ, აღარც ის საქმეები მეპიტნავება, რაც მის კედლებს მიღმა ხდება. ბომბოლო ამაზეც დამცინის, იგი რეაქციონერობას მწამებს (რა სულელური სიტყვა კია); მაგრამ ის კი ვერ გაუგია, რომ რამდენიც არ უნდა იკითხოს გაზეთები, მის ცხოვრებაში, სულ ერთია, არაფერი არ შეიცვლება. პირველის ნახევარზე ვტოვებ ჩემს კაბინეტს და ფირმიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით სასადილოში მივდივარ. ამ სასადილოში სიარულის უფლება არცა მაქვს, რადგან სულ სხვა ფირმის მოსამსახურეთათვის არის განკუთვნილი, ჩვენს ფირმასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და შესაძლოა მეტოქეობასაც კი უწევს. იქ სადილობა ერთმა ყმაწვილმა მირჩია, პარკში რომ გავიცანი და დავუმეგობრდი. იგი IMB⁷-სთან არსებულ სავაჭრო კურსებზე სწავლობს, მაგრამ განსაკუთრებული წარმატებით ვერ დაიქადნის. მისი ჭეშმარიტი მისწრაფებაა მუსიკა, ოცნებობს რადიოში ან ტელევიზიაში მუსიკალური პროგრამების შემდგენლად მოხვედეს. ამ სასადილოში თვითონაც ასევე უკითხავად შეიპარა, ნაცნობების მეშვეობით; ახლა კი თავის მხრივ მეც გამიკაფა გზა. იქაც ვითომ ვერ მამჩნევენ, ალბათ იმიტომ, რომ სასადილოს სასულიერო პირები განაგებენ და დაწესებულებაც სახელმწიფოშია. კერძო რომ იყოს, რასაკვირველია, არ შემიშვებდნენ. სასადილოს შენობა ოთხი სამყოფისაგან შედგება და ჯვრის ფორმა აქვს. შუაში დგას სალარო, მაგიდები ოთხ კაცზეა გაშლილი, მოაქვთ წვნიანი, მერე ხორცის კერძი, პური რამდენიც გინდა, და ღვინო. სადილის შემდეგ ფირმაში ვბრუნდები, შესვენების დამთავრებას არ ველოდები. ჩვეულებრივად სელენეც ამ დროს მესტუმრება ხოლმე. სამის ნახევრამდე ვზივარ. შვიდის ნახევრიდან ვახშობამდე დავსეირნობ. ვვახშობ იმავე სასადილოში. საღამოობით იქ თითქმის არავინ დადის, რადგანაც უმეტესობა ქალაქგარეთ ცხოვრობს და მატარებლით ან ტრამვაით მიემშურებიან შინ. სასადილოში ვხვდები ჩემს ახალგაზრდა ჯაზისტს — კლარინოს. მოგყვებით ამ მთისას, იმ მთისას და მერე კინოში მივ-

⁷ გამომთვლელი მანქანების ცნობილი ფირმა.

დივართ. ასე, თერთმეტის ნახევარზე შინ ვბრუნდები, ვმეცადინეობ, ან არა-
და სახლის პატრონს ვესაუბრები. იგი ძალზე შეფიქრიანებულია (და არცთუ
უსაფუძვლოდ) თავისი საწარმოს საქმეებით; მერე ვწვები.

ფირმისა და დოქტორი მაქსის წყალობით სულ დაძაბული რომ არ ვიყო
(ეს ჭეშმარიტი ბრძოლა გახლავთ არსებობისათვის), ჩემს ახლანდელ ყოფას
იდეალურად ჩავთვლიდი. არის წუთები, როცა ბრბოში გათქვეფილსა და მისი-
ვე კალთას საიმედოდ შეფარებულს, მაგალითად, ტროლეიბუსში, სასადილო-
ში თუ სამუშაოზე ყოფნისას (როცა ჩემ ირგვლივ თავისი ბედით შეფიქრიანე-
ბული ჩემნაირი ხალხი ფუსფუსებს) უდიდესი ბედნიერებით დამთვრალი კა-
ცის გრძნობა მერევა. საკუთარ პიროვნებასა და სახელზე ხელაღება თითქოს
რალაც ბუნებისეულ, რალაც რელიგიურ ნეტარებას ანიჭებს კაცს. ასეთივე
შეუცნობელი აღგზნება მოიცავთ ხოლმე ალბათ ჭიანჭველებს, როცა თავიან-
თი ბუდიდან საკვებამდე გაფაციცებით და შეუსვენებლივ მიდი-მოდიან. მეც
სწორედ ერთ ასეთ ჭიანჭველად ვგრძნობ თავს, მზად ვარ ყოველ შემხვედრს
მივესალმო და ყველაში ჩემი თავი დავინახო; ვისურვებდი, სხვებიც ასევე
მოქცეულიყვნენ. ვფიქრობ, ეკლესიაც ასევე აახლოებს ადამიანებს, მაგრამ
ეკლესიაში გამეფებულ აღტყინებასა და იმას შორის, რაიც სავაჭრო ფირმებს,
სამრეწველო საწარმოებსა თუ სხვა შრომით ბუდეებს ასულდგმულებს, დიდი
განსხვავებაა. რამეთუ პირველი მიმართულია სიკვდილისაკენ, ანუ ერთგვარი
უძრავობისა და, ასე გასინჯეთ, განდგომისაკენ, მეორე, პირიქით, ყველაფრით
დაკავშირებულია ცხოვრებასა და სინამდვილესთან.

ჩემი ბედნიერება, თავდაპირველად ხანმოკლე რომ მეგონა, ახლა აშკარად
განმტკიცდა. უპირველესად იმითი ვარ ბედნიერი, რომ დოქტორი მაქსის საკუ-
თრება გახლავართ. ჩემი სიტყვები რომ გაიგოს, ალბათ გაშმაგდება, მაგრამ მე-
რე კი, როგორც არაერთხელ მომხდარა, გამიგებს და დამთანხმდება. ხშირად
ვეკითხები ჩემს თავს: რას წარმოვადგენდი ამ ქალაქში ჩამოსვლამდე, სანამ
დოქტორი მაქსის წყალობით სავაჭრო ფირმაში მოვეწყობოდი? ან რა მოეთხო-
ვებოდა ჩემისთანა უსუსურ ღლაპს? ადამიანმა თავიდანვე უნდა მონახო ცხოვ-
რებაში შენი ადგილი. მე კი არც ვცდილობდი მომენახა, ვცხოვრობდი ჩემთ-
ვის, მშობლების კალთას ამოფარებული, არაფერი მესმოდა, ვერაფერს ვხედ-
ავდი, სანამ არ ჩავჯექი მატარებელში და აქ არ ჩამოვედი. მარტო გრძნობები
მასულდგმულებდა დედ-მამის, მარისა და ძველი მეგობრების სიახლოვეს.
ახლა ეს გრძნობები მიყუჩდა, მათ გზა დაუთმეს სინამდვილეს, ეს სინამდვილე
კი, უპირველეს ყოვლისა, ფირმა და ჩემი პატრონი დოქტორი მაქსი გახლავთ.
ხშირად ამასაც ვეკითხები ჩემს თავს: რას გავაკეთებდი, პატრონი რომ არა
მყოლოდა, ანუ ის ადამიანი, თავის საკუთრებად რომ მთვლის და ყოველდღე
ისე მიხმარს, როგორც ჭიქას, ავტომობილს, სკამს თუ საწოლს მოიხმარს კაცი.
რა მომივიდოდა? ვიქნებოდი ჭიქა, ავტომობილი, სკამი ანდა საწოლი, ყოველად
გამოუსადეგარი, ყოველგვარ არსებობის აზრს მოკლებული საგანი; ჭიქას თუ
არავინ ხმარობს, არ შეიძლება იწოდებოდეს ჭიქად, ხსენებადაც არ ღირს, ეს
მხოლოდ საგანია, ადრე ჭიქად წოდებული, მერე კი სანაგვეზე გადაგდებული
და მივიწყებული.

ჩემი დღის თვითეული წუთი ანდა, უფრო სწორად, ყოველი ჩემი ნაბიჯი,
მოქმედება (დილით ადრე ადგომა, ტროლეიბუსით მგზავრობა, სმა-ჭამა, მუშა-
ობა, შესვენების შემდეგ სამუშაოზე დაბრუნება, ვახშამი, ძილი) არასდროს არ

არის თვითმიზანი, იგი დაკავშირებულია დოქტორ მაქსსა და ფირმასთან, შთაგონებულია მათ მიერ. ვიძინებ იმიტომ, რომ ვილლები, ვჭამ იმიტომ, რომ მშია, ვჯდები ტროლეიბუსში იმიტომ, რომ დროზე მივიღე სამსახურში. თანდათანობით გადავეჩვიე სხვა მოქმედებებს. აღარც კინო მომწონს, აღარც ტელევიზორი. როცა შინ ვბრუნდები და სახლის პატრონები ჭიქა ლიქიორზე მეპატიჟებიან, უარს ვამბობ, ხოლო როცა ტელევიზორს ვუყურებ, მოწყენილობა მტანჯავს. ფეხბურთზე აღარ დავდივარ, ვსეირნობ იმიტომ, რომ მუხლებში გავიმართო, წიგნებსა და გაზეთებს აღარ ვკითხულობ — ერთი სიტყვით, ისეთს არაფერს ვაკეთებ, რასაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ფირმასა და დოქტორ მაქსთან. ხელფასი ძლივძლივობით მყოფნის საარსებოდ, მაგრამ მაინც მყოფნის. რომ არ მყოფნიდეს, სულ ერთია, მაინც გავიტანდი როგორმე თავს. თუ მომიმატებენ, ბედნიერი ვიქნები — იმდენად ფულის გამო არა, რამდენადაც იმიტომ, რომ, მაშასადამე, დოქტორი მაქსი ღირსად მთვლის, მაშასადამე, მაფასებს, როგორც საკუთრებას ანუ ისეთ ნივთს, კარგ მოპყრობას რომ იმსახურებს. მოკლედ, ჩემი ცხოვრება, როგორც თავიდანვე ვვარაუდობდი, ძირფესვიანად შეიცვალა. სულ სხვანაირ ცხოვრებას შევები. გარეგნულად შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ბეჯითი მუშაკი გავხდი, მაგრამ ასე როდია. არავითარი სიბეჯითის გამოჩენა არ მჭირდება, არავითარი სიბეჯითე არ მომეთხოვება იმის დასამტკიცებლად, რომ ვიყო ის, რაც ვარ. უბრალოდ, ისეთ ცხოვრებას ვეწევი, სრული ჰარმონიისა და უშფოთველი სიწყნარის შეგრძნებას რომ ანიჭებს კაცს.

ჩემი უღრუბლო არსებობა ხანდახან მაინც იმღვრევა, უპირველეს ყოვლისა, დოქტორი მაქსის ცვალებადი ხასიათის გამო. დილით ვერასოდეს ვერ გამოიცნობ, რა გუნებაზე დადგება მერმე. თუმცა არც მის გუნებ-განწყობაზეა საქმე. შესაძლოა, მისი ხასიათი მართლაც აუხსნელია მისი ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მაგრამ, ასეა თუ ისე, ეს ხასიათი მაინც გონებით წარიმართება. დოქტორ მაქსს განწყობილება კი არა, ტვინი აქვს ცვალებადი. იგი მუდმივ ტყვეობაში ჰყავს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს, რაც ბოლოს და ბოლოს გუნებგანწყობაზეც მოქმედებს. ამასთან ეს აზრები გამოხატავს ერთი საკითხის სხვადასხვა მხარეს: არის თუ არა ზნეობრივი, რომ იყო პატრონი და იქცეოდე პატრონივით?

დღედაღამ ერთი და იგივე აზრი აწამებს:

„მე პატრონი ვარ, მსხვილი სავაჭრო ფირმისა და მრავალი ფილიალის მფლობელი. მე მეკუთვნის ფირმის შენობა და სხვა უამრავი ქონება, მათ შორის საწყობები და მაღაზიები. მაქვს კიდევ სხვა საკუთრებაც. ვარ უძრავი ქონების პატრონი, ამას გარდა მაქვს საბეჭდი, გამომთვლელი თუ სხვა მანქანები, მაშასადამე, ჩემს ხელქვეითთა პატრონიც მე გახლავარ და იძულებული ვარ გადავუხადო მათ იმაზე მეტი, რაც აუცილებელია არსებობისათვის. ყველაფერს, რასაც ვფლობ, შემიძლია ისე მოვექცე, როგორც მომეპრიანება: მინდა შევიწარჩუნებ, მინდა მოვსპობ, დავამსხვრევ ან მოვუფრთხილდები. ასეც ვიქცევი. იმ საკითხს, თუ როგორ მოვიხმარო ჩემი ქონება, რომ მეტი შემოსავალი მომცეს და ერთიორად გავზარდო იგი, რასაკვირველია, ვწყვეტ მე და არა ჩემი მუშამოსამსახურეები; არც იმ ჭკუაზე ვარ, რომ რაიმე მოვსპო და გავანადგურო, თუმცა სურვილი რომ მქონდეს, ამასაც ვიზამდი. რა მაკავებს? ზნეობრივი საწყისი, სინდისის ხმა. ის მეუბნება: „შენ ყოვლისშემძლე ხარ, რასაც მოისურ-

ვებ, იმას გააკეთებ და შენზეა დამოკიდებულ იმის გადაწყვეტაც, რა დატოვო და რა არა. მშვენივრად იცი, თუ მოინდომებ, ფირმაც შეგიძლია დადუპო და მასთან ერთად შენი ხელქვეითებიც მოსპო. როგორც ინებებ, ისე მოიქცევი. რას ირჩევ?" ჩემი არჩევანი კი ეს იცხლავთ: ვფიქრობ შევეინარჩუნო ფირმა. დიდიდან სადამომდე იმას ვადევნებ თვალს, რომ ჩემმა ხელქვეითებმა თავისი დაუდევრობით თუ არაკეთილსინდისიერი საქციელით ფირმას ზიანი არ მიაყენონ, მთელი მათი ცხოვრება ხომ ამ ფირმაზეა დამოკიდებული! და მაინც სულაც არა მაქვს უფლება რაიმე გადაწყვიტო ანდა მხოლოდ ჩემს ზნეობრივ შეხედულებათა შესაბამისად ვიმოქმედო. იძულებული ვარ ვიგიყო, ყური ვუგდო ჩემს ხელქვეითთა თუ პროფკავშირთა მოთხოვნებს, ანგარიში გავუწიო ვილაცხეების პოლიტიკურ მაქინაციებს და სხვა ათას რამეს. ესეც არ კმარა. რაკი პატრონი ვარ, ლამის ჩემს ხელქვეითთა ხელქვეითიც კი გავხდე, ისინი მთხოვენ დიდებულ კაბინეტებს, დიდ ხელფასებს და სხვა ათასგვარ სიკეთეს. როგორ მოვიქცე? გამოვიყენო ჩემი უფლებები და ჩემივე სურვილით დავსაჯო ხალხი, თუ ყველაფერზე თვალები დავხუჭო და მათ დონეზე, ან მათზე დაბლა დავდგე?"

ამისთანა აზრებმა სულ ერთიანად აურიეს დოქტორ მაქსს ტვინი. საკმარისია შეხედოთ, რომ მაშინვე იგრძნოთ, როგორ იტანჯება იგი. ზოგჯერ პირის გარშემო იმდენი თეთრი ლაქები დააჩნდება ხოლმე, რომ ცხვირსახოციტაც კი იწმენდს. ეს ლაქები და გუნებ-განწყობის ხშირი ცვალებადობა აშკარად მოწმობს, როგორ აწამებს ამ კაცს ერთმანეთის საპირისპირო აზრები.

ერთხელ ვუსმინე, ვუსმინე და ვუთხარი:

— ასე ახლოს არ უნდა მიიტანოთ ყველაფერი გულთან, დოქტორ მაქს. რაც არ უნდა იყოს, პატრონი ხართ, ხოლო ყველა დანარჩენი თქვენი ხელქვეითნი არიან. სანამ როლები არ შეიცვლება (ეს კი არ მოხდება, რადგან ასეთია საგანთა ლოგიკა), თქვენ იქნებით პატრონი, ისინი კი ხელქვეითები და ისე უნდა მოიქცეთ, როგორც პატრონს შეეფერება!

დოქტორი მაქსი სკამზე გვერდულად იჯდა და ისე მისმენდა. მისი ეს ჩვევა, ნახევრად იჯდეს ან იდგეს მაგიდასთან, ანდა კარის წირთხლს ისე მიეყუდოს, თითქოს შემთხვევით შემოიხედა ოთახში და ეს-ეს არის წავაო, — აშკარა დასტურია იმისა, როგორ სტანჯავს ამ კაცს საწინააღმდეგო აზრები, როგორ უხერხულად გრძნობს თავს, როგორ უნდა ხალხს აჩვენოს, რომ სულაც არ არის ამ სკამებისა და კარების პატრონი, რომ ბოროტად სულაც არ იყენებს მათ და იმდენად არ თვლის თავის საკუთრებად, რომ ცდილობს რაც შეიძლება ნაკლებად ისარგებლოს ამ ნივთებით.

— მაშასადამე, ის გინდათ თქვათ, რომ მხოლოდ ჩემი სინდისის კარნახით ვიმოქმედო და მორჩა?

— რასაკვირველია.

— ჩემი სინდისის მიხედვით რომ ვიმოქმედო, მაშინ ყველა უნდა გავრეკო!

— ჰოდა, გარეკეთ!


— სისულელეებს ჩმახავთ, გესმით?! — დაიღრიალა უცბად დოქტორმა მაქსმა. მაგრამ მის სიფიცხეს თითქმის მივეჩვიე და, როცა ცოფების ყრას მოჰყვება ხოლმე, აღარც მეშინია.

— ნუ ბრაზობთ, დოქტორ მაქს! — მშვიდად ვუთხარი მე.

— როგორ თუ ნუ ვბრაზობ? ვერ ხვდებით, რა გაუგონარ სისულელეებს



ერაზმის
სიბუნების




სპაპი თეზაძე

დასვენება



ეროვნული
სივრცითი



სპანო თივზაძე

68

ჩმახავთ? გესმით კი, რას ნიშნავს, ყველა რომ გავრეკო? ეს ნიშნავს გადავიხადო მილიონობით ჯარიმა, გაუთავებლად ვედავო პროფკავშირებს; ამას-მოჰყვება გაფიცვები, გარდა ამისა, უნდა შევცვალო ძველი მოსამსახურეები სრულიად უცხო, ახალი ადამიანებით, ისინი კი შესაძლოა უარესნი აღმოჩნდნენ, ძველებზე გაცილებით უარესნი. ეს ნიშნავს, რამდენიმე თვით გამოვიყვანო ფირმა წყობიდან, ვინ იცის, მთელი წლითაც. აი, რა ფასად დამიჯდება ეს. ამასთან არც საქმის მორალური მხარე უნდა დაივიწყოთ; თქვენ მიკარნახებთ, რომ ხალხი გავყარო ქუჩაში. მათ ხომ თავიანთ კმაყოფილებაზე ჰყავთ ცოლები, შვილები? გესმით, რას ამბობთ?

— მშვენივრად მესმის, დოქტორ მაქს, მაგრამ თავად არ ბრძანეთ, ყველას გავრეკავდიო? რა უფრო ზნეობრივი იქნებოდა?

— უფრო ზნეობრივი იქნებოდა, ამ ხალხს შეეგნო, რომ ისინი მე მეკუთვნიან და, როგორც მსურს, ისე მოვექცევი. ეს რომ მათთვის როგორმე შთაგვგონებინა, დიდ საქმეს გავაკეთებდით.

— ამისათვის სულ ცოტა კმარა, სულ უმნიშვნელო რაღაც.

— მაინც რა?

— ისეთი უმნიშვნელო რაღაც, შეშფოდებადაც არ ღირს. ეს ხალხი, როგორც ყველაფერი ამ კედლებს შორის, ხომ თქვენ გეკუთვნით. ისე რომ თქვენთვის სულ ერთია, მათ ესმით თუ არა ეს.

— მე კი მინდა, რომ შეიგნონ! ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს!

— პირიქით, სულაც არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა. მაგრამ თუკი მაინც აქვს, შეგიძლიათ დამიჯეროთ: მათ მშვენივრად იციან, რომ თქვენს საკუთრებას წარმოადგენენ და მხოლოდ თავს იკატუნებენ, ვითომ არ ვიცითო.

— მაშ ასეა? თქვენ გგონიათ, რომ ასეა?

— არათუ გგონია, დარწმუნებულიც ვარ, მაგალითისათვის მეც გეყოფით. თავის მოკატუნება რაკი არ შემიძლია, პირველსავე დღეს მოგახსენეთ ყველაფერი, რასაც ვფიქრობ, ანუ თქვენს საკუთრებად ვცანი თავი. მაშ რატომღა გამირისხდით?

— იმიტომ, რომ არ მინდა ამაზე ხმამაღლა ილაპარაკონ.

— რატომ არ გინდათ?

— რაკი თავს ჩემს საკუთრებად აცხადებთ, განსაზღვრულ მორალურ ვალდებულებასაც მაკისრებთ და მაიძულებთ გელოლიავოთ, ყურადღებით ვიყო თქვენდამი, ხმა ვერ ამოვიღო. . .

— ეს უკვე სხვა საკითხია და მხოლოდ თქვენ გეხებათ. იძულებული ხართ გელოლიავოთ და ყურადღება გამოიჩინოთ იმიტომ, რომ არ გინდათ გამოიყენოთ თქვენი უფლებები. დილით გამოცხადებისა არ იყოს, იგივე ამბავი მეორდება; ხომ მითხარით, ნებას გაძლევ, როცა გინდა, მაშინ მოდიო, მე კი ამ უპირატესობით არ ვსარგებლობ, ყოველთვის დროზე ვცხადდები. თქვენ ასევე უნდა მოიქცეთ. თუკი ხელქვეითმა ერთხელ და სამუდამოდ აღიარა თავი თქვენს საკუთრებად, თქვენ ეს ბოროტად არ უნდა გამოიყენოთ. განა ასე არ არის?

— ასეა.

— სულ სხვაა, როცა კაცს პატრონისაგან დამოუკიდებელ პიროვნებად მოაქვს თავი, როგორც მაგალითად, მხატვარ ორაციოს. უცნაური ჩაცმულობითაც კი ცდილობს იგი წარმოაჩინოს თავისი დამოუკიდებლობა. . . მაგრამ სი-

ნამდვილეში მე ათასჯერ უფრო თავისუფალი ვარ, თუმცა ჩაცმულობით არ გამოვიჩინებ.

— არა, ორაციო მხატვარია, მხატვარს კი მართებს უცნაური იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხატვარიც არ იქნებოდა.

— მაგრამ თავისი დამოუკიდებლობის გამოჩენის სურვილი მაგასაც აქვს, თორემ რად დაგემუქრებოდათ, პლაკატს სხვა ფირმაში წავიღებო?

— ჰო, ძალზე ულამაზოდ მოიქცა.

— ასე რომ მოეშვით, როგორც უნდა, ისე მოიქცეს. დაე სხვა ფირმას მიაკითხოს.

— მერე ჩვენ რა ვქნათ?

— ჩვენც სხვა მხატვარი მოვიყვანოთ, არ დაგვაყვედრის მაინც და თქვენც აღარ შეგაწუხებთ ზნეობის საკითხები.

— მაგრამ ორაციო ყველას სჯობია.

— თუ ყველას სჯობია, მაშინ სხვებზე მეტი ფული მიეცით და ისე შეაქეთ, რომ სხვა ფირმაში წასვლა აზრადაც არ მოუვიდეს!

— კარგი, მაგრამ მე რომ ცოტა ძუნწი ვარ, — ღიმილით აღიარა დოქტორმა მაქსმა. — თუმცა, როგორც უკვე აგიხსენით, ეს ჩემი სიძუნწეც ზნეობრივი მოსაზრებებითაა ნაკარნახევი. ამდენი ფული ნეტავ რაში სჭირდება?

— არ ვიცი, მაგრამ თუ ეგ კაცი გჭირდებათ, მაშინ ზნეობრივი კი არა, რეალური მოსაზრებებით უნდა იხელმძღვანელოთ.

— მართალი ხართ, მართალი... ვიცი, რომ მართალი ხართ, მაგრამ ტვინი თითქოს გაორებული მაქვს. სხვათა შორის, ეგ აზრი თქვენზე აღრე მე მომივიდა თავში.

— შეიძლება, მაგრამ ხმამაღლა არ გითქვამთ. პირველად მე ვთქვი.

— არა, პირველად მე ვთქვი.

— არა, სამწუხაროდ, მე ვთქვი.

— რაკი ვამბობ, არა-მეთქი, მაშასადამე, არა!

— არა, მე!

— კმარა, ვინ არის აქ პატრონი, თქვენ თუ მე? თქვენ ხომ თვითონ აღიარეთ, რომ მე ვარ, მაშასადამე, აზრებიც მე მეკუთვნის.

— სწორია.

— ახლა კი წადით, მარტო დამტოვეთ.

დოქტორი მაქსი ჩვეულებისამებრ წამოხტა, აფუსფუსდა, ვითომდა მადლობის ნიშნად თავისი საცეცი-თათი გამომიწოდა და კარისაკენ მკრა ხელი.

მე და დოქტორი მაქსი ხშირად ვსაუბრობთ. დროდადრო თავისთან მიხმობს ხოლმე, არცთუ იშვიათად შინაც მირეკავს, ზოგჯერ გვიან საღამოთიც და ჩვენ ვარჩევთ ჩემი მომადლი სამუშაოს ზოგიერთ წვრილმანს.

ხმაზე ვატყობ ხოლმე ტელეფონში, რა გუნებაზე არის, უფრო სწორად, რა სასოწარკვეთამდეა მისული. ხანდახან მისი ხმა რომელიღაც მწერის წრიბინს მაგონებს, რასაც ვერა და ვერ შევჩვევივარ. წერაც ლაპარაკივით გაურკვეველი იცის. მისი ხმის ჩაწერა რომ შეიძლებოდა, ბგერათა რხევის დიაგრამა უეჭველად მის ხელნაწერებს დაემთხვეოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ლაპარაკის ან წერის დროს ბგერები ხელს უშლიან და არც მათ ხმარებას მიიჩნევენ აუცილებლად. ამიტომ მისი ლაპარაკი ზოგჯერ შეიძლება მაღალ და დაბალ ბგერათა მონაცვლეობად ჩავთვალოთ (უფრო

ხშირად მაღალ), რაც ჭრიჭინს უფრო წააგავს, ხოლო ნაწერი კი — ერთ წაგრძელებულ, გაუგებარ დაკლაკნილ ხაზს.

ხშირად მოწყენილობის გამოც მეძახის ხოლმე, თუმცა მოსაწყენად სადა სცალია: ხელქვეითებს უნდა ადევნოს თვალყური, მათი ზნეობრივი სახე და შრომის ნაყოფიერების დონე შეისწავლოს. მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობის დროსაც ვერ გაუგებ თავსა და ბოლოს: თუ ხელქვეითი ბევრს შრომობს, მაშინ, დოქტორი მაქსის აზრით, ეს ზნეობრივი ბიძგია იმისა, რომ ამ მუშაკის მატერიალური უზრუნველყოფა შემოწმდეს და პრემია მიეცეს; ეს კი თავის მხრივ სხვა ზნეობრივ ბიძგს წარმოშობს — ანუ იმ მუშაკის ხელში შესაძლოა მეტი სმეტი დიდი თანხა დაგროვდეს, და ასეა გაუთავებელივ. სხვათა შორის, ეს ბიძგები, ეს საკითხები, ეს ზნეობრივი ტანჯვა-წამება რომ არა, არ ვიცი, როგორ იცხოვრებდა იგი, ალბათ იძულებული გახდებოდა გამოეგონა ისინი, თუმცა ხშირად იგონებს კიდეც. მაგალითად, რომელიმე ხელქვეითს მხოლოდ იმიტომ სჯის, რომ შემდეგ საკუთარი თავი აწამოს. იგი მართლაც უბედურია და ჩემს ბედნიერებასაც ჩრდილს აყენებს, ვინაიდან მე მისი საკუთრება ვარ. ყოველთვის, როცა კი საკუთრებასთან დაკავშირებით ეჭვები და ჭოჭმანი აიტანს, ფეხქვეშ ნიადაგი მეცლება, ვგრძნობ, რომ ჩემ ირგვლივ ყველაფერი ირყევა, აღარაფერი მესმის; აწყობილი საქმე, ჩვეულებრივი გეგმა — ყველაფერი თავდაყირა დგება და, შიშით შეპყრობილი, იმაზე ვფიქრობ, ვაითუ სხვა პატრონის ძებნა დამჭირდეს-მეთქი.

ესეც არ იყოს, დოქტორი მაქსი ძალიან ადვილად განიცდის სხვათა გავლენას. ეს რომ არ მოხდეს, საათობით უნდა ვუჯდე და გაუთავებლად ვესაუბრო, რათა ნელ-ნელა გავუქარწყლო ეს გავლენა. მაგალითად, ვიცი (ისევე იმავე სელენესაგან), რომ ყველაზე დიდი გავლენა მასზე ორ ადამიანს აქვს — დედასა და ბომბოლოს. დედამისს ჯერ არ ვიცნობ, ამდენად მისი გავლენის თაობაზე ვერაფერს ვიტყვი იმის გარდა, რომ ზოგჯერ გუმანით რაღაც-რაღაცებს ვხვდები ხოლმე დოქტორი მაქსის გადაკრული სიტყვებიდან. სამაგიეროდ, ბომბოლოს მეტი სმეტად კარგად ვიცნობ, თუმცა იშვიათად ვხვდები (მასთან თავად არასოდეს დავდივარ, მაგრამ ხშირად ვხედავ ხოლმე სავაჭრო თათბირებზე). დოქტორ მაქსზე მისი გავლენა დედის გავლენის სულ საწინააღმდეგო უნდა იყოს. ეს უკიდურესად უარყოფითად ვლინდება როგორც დოქტორ მაქსზე, ისე ჩემზე. ჯერ ერთი, ბომბოლო წამდაუწუმ მახსენებს, რომ მე (იგი მხოლოდ დოქტორ მაქსის პროტეჟეს სახელით მიხსენიებს) ყოფილ საპირფარეოში ვმუშაობ, მახსენებს იმიტომ, რომ დოქტორ მაქსს უფლებამოყვარეობა გაუქილიკოს. ბომბოლო თვით დოქტორი მაქსისა და სხვა თანამშრომლების თანდასწრებითაც კი ხუმრობს, ასე რომ დოქტორი მაქსი ჩვეულებრივად მისგან ნირწამხდარი გამოდის; ზოგჯერ ბომბოლო ისე გააცოფებს ხოლმე, რომ დოქტორი მაქსი შინ გარბის და ლოგინში წვება. ის ტუტუცი ბომბოლო კი ვერც მიმხვდარა, ასეთი გაცოფების შედეგად დოქტორ მაქსს რომ განსაკუთრებით ვძულვართ მეც და ისიც. მე იმიტომ, რომ ადამიანი-ნივთის ნიმუშს წარმოვადგენ, ის იმიტომ, რომ თუმცა სინამდვილეში ჩემსაგით ადამიანი-ნივთია, თავი ისე უჭირავს, ვითომ სულაც არ იყოს ასეთი.

ამ დროს კი იგივე ბომბოლო დოქტორ მაქსს სხვანაირად არ უწოდებს, თუ არა „the big boss“ — „დიდ ბოსს“, მაშინ როცა მე მოწიწებით, მაგრამ

უბრალოდ დოქტორ მაქსს ვეძახი! როცა იგი უეცრად გაგვერიდება და მიგვატოვებს ხოლმე, ჩვენ ორივე დიდ გასაჭირში ვართ: ჩვენი პატრონი დალის სხვა სართულებზე, სხვა კაბინეტებში, ჩვენთან კი ფეხსაც არ დგამს. ერთი განახათ, რას განიცდის ხოლმე ამ დროს ეს უბედური ბომბოლო! სადღაა მისი დიდგულობა, მოჩვენებითი თავისუფლებისმოყვარეობა! აცრემლებულ თვალებზე ცხვირსახოცს მიიფარებს და თავივით შეძვრება ლიფტში. ეშინია ან მე ან დოქტორ მაქსს არ შეგვეფეთოს სადმე, მერე შეიკეტება კაბინეტში და მოჰყვება ტელეფონზე რეკვას. კომპუტატორი მაიმუნი-მეკარის გომურში დგას და ყველას საუბარს ისმენს. ასე რომ მალე დაირხევა ხოლმე ხმა, ბომბოლო მთელი დღე სად და სად არ რეკავდა სხვა პატრონის მოსაძებნადო. უკეთესს რომ ვერაფერს აღმოაჩენს (რაც მე და დოქტორმა მაქსმა უკვე ვიცით), იგი საცოდავი ღიმილით შემოიძურწება კარებში და პირმოთნე ხმით დაიწრიპინებს: „Her doktor, mein doktor!“

მე კი ამგვარ შემთხვევაში თითსაც არ ვანძრევ. რაც იქნება, იქნება-მეთქი, ვფიქრობ. სხვა პატრონს არ ვეძებ, რადგან უკვე ერთს ვეკუთვნი და ისიც მეყოფა. დარწმუნებული ვარ, რომ გული მოუბრუნდება, იმიტომ, რომ უსაზღვროდ, სულით ხორცამდე ერთგული ვარ მისი და ამ ერთგულებას არც დაცინვა და არც საკუთარი ღირსების შენარჩუნების სულელური სწრაფვა არ ჩრდილავს. მართლაც რამდენიმე დღის შემდეგ დოქტორი მაქსი კვლავ ისე შემოდის ჩემთან, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო.

დოქტორ მაქსზე დიდი გავლენა აქვს მამამისსაც, მოხუც დოქტორ სატურნოს; ჯერ არც ის მინახავს. თუმცა უფრო სწორი იქნებოდა, გავლენა კი არა, დიდი ძალა აქვს-თქო, მეთქვა. საქმე ის არის, რომ დოქტორი სატურნო გახლდათ და დღესაც გახლავთ ფირმის მთავარი და სრულუფლებიანი პატრონი. ეტყობა, იგი არასოდეს გაუტანჯავს ეჭვებს (სხვა ათასი მიზეზის გარდა იმიტომაც, რომ სხვა თაობას ეკუთვნის). მაგრამ, როგორც ჩანს, იგი საქმეებმა მოქანცა და, ხანდაზმულობის მიუხედავად, მხოლოდ ვეშაპებზე ნადირობას არჩევს. დოქტორ მაქსს მისი ძალიან ეშინია, კიდევ სძულს და, როგორც ამგვარ შემთხვევაში ხშირად ხდება, კიდევ უყვარს. საკმარისია დოქტორ სატურნოს სურათს დახედოთ, რომ მაშინვე მიხვდეთ, რა ძალას, პატრონის უფლებამოსილების რა შარავანდედს ასხივებს, რაიც დოქტორ მაქსს არც დაესიზმრება.

რასაკვირველია, დოქტორი მაქსი არ შეიძლება ბედნიერი იყოს, რადგან ძალზე ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, ძალზე სტანჯავს ზნეობრივი ეჭვები და აწამებს თეთრი ლაქები ბაგის გარშემო. მის ადგილზე მეც უბედურად ვიგრიძნობდი თავს. ისევ ისა სჯობია, ისეთი ვიყო, როგორიც ვარ, მის ადგილზე ყოფნას არ ვისურვებდი.

იგი განსაკუთრებით იმას განიცდის, რომ ყველას არ მიაჩნია სრულუფლებიან პატრონად, როგორც სინამდვილეში არის. საკმარისია შეამჩნიოს, რომ ვინმემ მისი ძალაუფლება საეჭვოდ ჩათვალა, ჯერ გაშმაგდება და მერე ღრმა სასოწარკვეთილება შეიპყრობს. ამასთან უნდა არათუ ყველა სცნობდეს მის ძალაუფლებას (ნამდვილად კი სცნობენ, რამდენიც არ უნდა იხუმრონ ამ საგანზე), არამედ სულ პატარა საქმეზეც მას მიმართონ. ასე მაგალითად, ამას წინათ მან დაინახა, რომ დიაბეტეს ახალი კოსტუმი ეცვა. დოქტორი მაქსი მოიღუშა და ჰკითხა:

— ახალი კოსტუმი გაცვიათ? ალბათ რა ძვირი დაგიჯდათ!

დიაბეტემ იფიქრა, პატრონს ვასიამოვნებო, და დაწვრილებით მოჰყვა, თუ როგორ დაუკვეთა ეს კოსტუმი, რა დაუჯდა; რომ ეს ინგლისური ქსოვილია, რომ ქალაქში ერთ-ერთმა საუკეთესო მკერავმა შეუკერა და მშვენივრად შეუკერა. ერთი სიტყვით, დიაბეტემ იმდენი იტრაბახა, რომ დოქტორმა მაქსმა ველარ მოითმინა:

— გეტყობათ, მდიდარი ბრძანდებით, რახან ასე ანიავებთ ფულს.

— როგორ თუ ვანიავებ? — გაუკვირდა დიაბეტეს, როცა დაინახა დოქტორი მაქსი მართლა განრისხდაო (დოქტორ მაქსს კი გაბრაზებას ყველა ამჩნევს, გამოუცდელელებიც კი). — ასეთ კოსტუმზე და ასეთ ნამუშევარზე სულაც არ ითქმის, ძვირიაო.

— მაშასადამე, ფულებს არ ანიავებთ? მაშ თავად დარწმუნდებით მალე! — წაისისინა დოქტორმა მაქსმა.

— რაში? რა დავაშავე? — საგონებელში ჩავარდა დიაბეტე.

— რამდენს იღებთ?

— თავად მოგეხსენებათ: ას ოთხმოცი ათას ლირას, თუ არ ჩავთვლით საოჯახო დახმარებას. ეს კი არც ისე ბევრია, დოქტორ მაქს! — ჩაიხითხითა მან.

— ჰოო, ას ოთხმოცი ათას ლირას. ეგ კოსტუმი კი რამდენი დაგიჯდათ?

— ხომ გითხარით, სამოცი ათასი-მეთქი. — დიაბეტე ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, სად უმიზნებდა პატრონი, და გაოცებული, ტუჩებმოკუმული, ხან მე მიყურებდა, ხან შიკრიკს, თითქოს თან ჩვენი დამოწმება უნდოდა და თან გვეკითხებოდა: „თქვენ თუ გესმით რამეო?“ მე კრინტი არ დამიძრავს, შიკრიკიც არარსებულ ნამცეცებს ფერთხავდა მაგიდიდან.

— მაშინ მოდით და ვიანგარიშოთ! თქვენი ხელფასია ას ოთხმოცი ათასი ლირა, კოსტუმი დაგიჯდათ სამოცი ათასი, გამოდის, რომ ხელფასის მესამედი დაგიხარჯავთ. ასე არაა?

— ასეა, — დაუდასტურა დიაბეტემ. იგი ჩაფიქრდა და სცადა გამოეცნო დოქტორ მაქსის აზრთა მსვლელობა.

— თქვენ გგონიათ, რომ თქვენისთანა კაცს უფლება აქვს თავისი ხელფასის მესამედი ახალ კოსტუმში დახარჯოს? თქვენ ეს მართებულად მიგაჩნიათ? გგონიათ, ეს ზნეობრივი საქციელია, გონივრული? ერთი მე შემომხედეთ, მე მგონი, თქვენზე მეტი შესაძლებლობა მაქვს...

სიბრაზისგან გონდაკარგულმა დოქტორმა მაქსმა ფეხი ასწია და დიაბეტეს ლანჩამოხეული ფეხსაცმელი დაანახა. დიაბეტე კი თავისი ბრიყვული პატივმოყვარეობის წყალობით მაინც ვერაფერს მიხვდა.

— მაგრამ... მაგრამ... — ბუტბუტებდა იგი.

დოქტორი მაქსი კარისკენ გაემართა და მეც თან გამიყოლია.

— ჰოდა, დაფიქრდით, ცოტა დაფიქრდით, ტვინი გაანძრიეთ... — მოუბრუნდა იგი დიაბეტეს კარებთან და რამდენჯერმე გაუმეორა. დიაბეტე კი ერთ ადგილზე გაშეშდა, ქუდის მოხდაც კი ვერ მოახერხა. ხელში ქოლგა ჩაეხლუჯა. სანამ ლიფტის კარი არ დაიხურა, ჩვენ გვიყურებდა.

ბულალტერიაში ავედით და დოქტორმა მაქსმა განკარგულება გასცა, ამ თვეში დიაბეტეს ხელფასის ერთი მესამედი დაუკავეთო. მთავარმა ბულალტერმა გაიღიმა, რადგანაც დოქტორი მაქსი თითქმის ყოველდღე მიმართავს

თავის ხელქვეითთა დასჯის ამგვარ ხერხს, რაც ფსიქოლოგიურად ფრიად დიდ გავლენას ახდენს. მართლაც ხელფასის დღეს, 28 რიცხვში, დამნაშავე გახსნის კონვერტს, მხიარული ლაპარაკით გაშლის მაგიდაზე თავის კუთვნილ თანხას (ამ დროს ყველა რატომღაც კარგ გუნებაზე დგება), გადათვლის ფულს — ჩვეულებრივ თანამშრომელთა თვალწინ, და უცხად აღმოაჩენს, რომ ხელფასი დაუკავებიათ. იფიქრებს, ალბათ რალაცაში დამიქვითესო, გადახედავს დაქვითვების სიას, მაგრამ ეს თანხა იქ არ სწერია. კვლავ გადათვლის ფულს. ხან ერთი მეოთხედი აკლია, ხან ერთი მესამედი, ზოგ შემთხვევაში კუთვნილი ხელფასის მთელი ნახევარიც კი. იგი მიდის ბუღალტერიაში, ითხოვს, აუხსნან საქმის ვითარება. არც მოლარემ და არც ბუღალტერიის მუშაკებმა არა იციან რა ამ საქმისა. მაშინ მოსამსახურე მთავარ ბუღალტერთან ან მის მოადგილესთან შესვლას ითხოვს. ისინი ადგილზე არ უხვდებიან. კვლავ მიდის, მაგრამ ვერაფერს არკვევს, არ იღებენ. მაშინ (თუკი ამ მოსამსახურეს არ შეუძლია უშუალოდ დოქტორ მაქსს მიმართოს) იგი ცდილობს ტელეფონით დაუკავშირდეს მთავარ ბუღალტერს, ანდა წერილს მისწერს. მაგრამ წერილი უპასუხოდ რჩება. გადის დღეები, ამასობაში ისიც დაფიქრდება, „ტვინს გაანძრევს“, ბოლოს მთავარი ბუღალტრის ნახვასაც მოახერხებს (ან მის კაბინეტში, ანდა ვითომც უეცრად დერეფანსა თუ ქუჩაში პირისპირ შეეჩხება), მთავარი ბუღალტერი ხელეხს გაასავსავებს, დოქტორ მაქსის ბრძანება გახლდათო. დოქტორი მაქსის დაჭერა კი არც ისე იოლი საქმეა. ხომ არ შეუძლია მართლაც ყველას ემსახუროს. და მაინც საბრალო ყველგან დასდევს და დაეძებს; თუ ბედი გაუღიმებს, შემთხვევით შეეფეთება დერეფანში, ლიფტში ან სხვაგან სადმე. დოქტორი მაქსი კი ჯერ წყნარად, მერე თანდათან აუმაღლებს ხმას იმის მიხედვით, როგორ გაიხმიანებს მისი ხმა დერეფანსა თუ ლიფტში, ან რამდენი კაცია ამ ამბის შემსწრე, და მოჰყვება ლანძღვასა და ყვირილს:

— უუჰ, ეს უტვინო, ისევ აქ არის? ისევ ფეხებში მეზღანდება? ბოლოს და ბოლოს როდის მოშორდება აქედან?

ამ დღიდან ის უბედური მეტად აღარ მოხვდება თვალში, დაიკარგება.

ხელქვეითს ორი გზა დარჩენია: ან ბოლომდე მიიყვანოს საქმე, მოითხოვოს, რომ კადრების განყოფილების გამგემ ან მთავარმა ბუღალტერმა დაწვრილებით აუხსნან საქმის არსი, რაც ძალზე ძნელი მისაღწევია, ან პირადად ეცადოს გაერკვეს მომხდარ ამბავში (მაგრამ არც ეს გამოსდის), ანდა იურისტს მიმართოს. როგორც მოგეხსენებათ, ეს კიდევ უფრო ართულებს საქმეს. უპირველეს ყოვლისა, იურისტის საქმეში ჩარევა დამქირავებლის წინააღმდეგ იმას ნიშნავს, უკიდურეს საშუალებას მიმართო. ამას აუცილებლად მოსდევს საბოლოო განხეთქილება და შეიძლება სერიოზული შედეგიც მოჰყვეს. ამასთან იურისტი მოითხოვს დროსა და ფულს (განა დასაშვებია, რომ მოსამსახურის ოჯახურსა თუ პირად გასავალში „ვექილის ხარჯებიც“ შევიდეს, თანაც ეს საქმე მისივე დამქირავებლის წინააღმდეგ იყოს აღძრული? ეს კი არათუ უზნეური, ყოვლად უაზრო საქციელია), მოითხოვს, რომ თქვენ მთლიანად და უდაოდ გჯეროდეთ თქვენი სიმართლის, მაგრამ ამისთანა საქმეს ყოველთვის გამოეძებნება საეჭვო მხარეები და არც მოპასუხეს შეიძლება ჰქონდეს სრული რწმენა; თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქმე ეხება ისეთ დამქირავებელს, როგორც დოქტორი მაქსია, ვისაც ყველგან იცნობენ, მაშინ

თქვენს დაცვასაც არავინ იკისრებს; და თუ მაინც იკისრა, მაშასადამე, რალაც სხვა ბნელი მოსაზრებები აქვს, მაშასადამე, სურს გამოგიყენოთ პოლიტიკური ხრიკებისთვის; ამ ამბებიდან კი სჯობია თავი შორს გეჭიროს; საკუთარი პატრონის ყბაში ხომ ჩავარდები და ჩავარდები, მაგრამ სხვა ადგილზე მოწყობის ყოველგვარი საშუალებაც მოგესპობა და ჯიბეცარიელიც ღარჩები!

თუ დაზარალებული ჭკუადამჯდარი კაცია, როგორც კი დანაკლისს აღმოაჩენს, უმალ მიხვდება, რა შეიძლება ამას მოჰყვეს, წარბსაც არ შეიხრის და ისევ ისე გაუღიმებს კოლეგებს (გეგონებათ, ხელფასი კი არ შეეკვეცოთ, არამედ მოემატებინოთ). იგი მოისაზრებს, რომ ეს ორივე საშუალება, პირველ წუთებში შესაძლებლად რომ ეჩვენა, სინამდვილეში განუხორციელებელია. რაკი ასე განსჯის (ხოლო ვინც აპყვება ცხოველური თავდაცვის ინსტიქტს, ყველა სწორედ ასე განსჯის), იგი მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას და შვებით ამოისუნთქებს, თითქოს გარდაუვალ უბედურებას დაადწიაო თავი. ყველა შესაძლებელი გადაწყვეტილებიდან ერთადერთი ნამდვილი გადაწყვეტილებაა, რომ იჯდეს ჩუმად და ისე მოაჩვენოს თავი, ვითომც არაფერი მომხდარა, შეურიგდეს ამ ამბავს ან არადა მიზეზების გარკვევა სხვა დროისთვის გადადოს. ეჭვი არ არის, დროთა განმავლობაში გონებით თუ არა, ალღოს მეშვეობით მაინც მიხვდება.

რაკი დიაბეტე არაერთხელ გაბმულა ასეთ ხათაბალაში, მაშასადამე, ეცოდინება კიდევ, როგორ მოიქცეს, როცა თვის ბოლოს ხელფასს მიიღებს. ფირმაში თხუთმეტი წლის მუშაობის მანძილზე მას ბევრჯერ გამოუკვლევია მიზეზები და მიუღია გადაწყვეტილებანი. და თუმცა ალღოთი დიდად ვერ დაიკვეხნის, მაინც ისე მოიქცევა, როგორც თავდაცვის ინსტიქტი უკარნახებს.

როგორც ვიცი, ბომბოლოც გაბმულა ამგვარ ხათანგში, მაგრამ ვინაიდან იგი სხვებზე უფრო ეშმაკია, ყოველთვის მოუხერხებია და დაუბრუნებია გამოქვითული თანხა. ყველა თვის ბოლოს მას, როგორც განყოფილების გამგეს, შეუძლია წარადგინოს ანგარიში არა ცალ-ცალკე, არამედ თვიდან თვემდე ერთიანად.

მე ასეთი სასჯელი არ მომეღის. რატომ ვარ დარწმუნებული? იმიტომ, რომ ამ საკითხზე დიდხანს ვიფიქრე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ დოქტორი მაქსი მე არასოდეს არ დამსჯის, ვინაიდან ვიცი ჩემი ადგილი. დოქტორი მაქსის დაჟინების მიუხედავად (წმინდა ტაქტიკური, თვალთმაქცური ხერხი საიმისოდ, რომ გამოარკვიოს, მართლა მაქვს თუ არა რაიმე მიზანდასახულობა), არ მინდა ოფიციალურად ჩამრიცხოვნი ფირმის შტატში. ვთხოვ, რომ მომცენ ყველაზე დაბალი ხელფასი, თუმცა დოქტორი მაქსი ცდილობს ორჯერ და სამჯერ მეტი ხელფასი დამინიშნოს. უარი ვთქვი ყოველგვარი საკუთრების შექმნაზეც (არ მინდა არც ბინა, არც ავეჯი, არც ტელევიზორი, არც სარეცხი მანქანა თუ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, არც ავტომობილი), არც განვადებით ვყიდულობ რაიმეს (ლაბადის ვალი, ჩემი გამოუცდელიობით რომ ვიყიდე, სამ შეტანაზე დავფარე). მთელ ჩემს ქონებას შეადგენს ორი კოსტუმი და რამდენიმე პერანგი — მაშასადამე, დასასჯელი მიზეზიც არა მაქვს. დოქტორი მაქსი დღითიდღე უფრო დაჟინებით მიმეორებს თავის წინადადებას და სულის სიღრმეში კიდევ შურს ჩემი თავისუფლება. ეს ერთადერთია, რასაც შეუძლია შეაშფოთოს იგი. მშვენივრად ხვდება, რომ ასე პატარა ხელფასითა და უბადრუკი ოთახით განა იმიტომ ვკმაყოფილდები, რომ სიბრალული გამოვიწვიო.



კარგად ესმის, რომ ჩემი საქციელით მე მას ზნეობრივად ვეზაექრები. იგი ვერასოდეს ვერ შესძლებს უზნეობა დამწამოს და ვერც ჩემს დასჯას ეღიროსება, უმალ პირიქით (შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ სიმართლეს სად გაექცევი) ეშინია, მე თავად არ დავსაჯო. რასაკვირველია, ჩემს სასჯელს საერთო არაფერი აქვს იმ ზემოქმედების საშუალებებთან (როგორც, მაგალითად, ხელფასის დაკავებაა), თვითონ რომ მიმართავს ხოლმე, სამაგიეროდ წმინდა ზნეობრივი ხასიათისა კი გახლავთ; მაგალითად, ერთი შეხედვით ვაგრძნობინებ ხოლმე, რომ შევამჩნიე მისი ახალი კოსტუმი და, ასე გასინჯეთ, ახალი მანქანა.

ამ ზნეობრივ პაექრობასა და მეტოქეობაში იგი ყველაზე მწარედ მაშინ დამარცხდა, როცა ერთ კითხვაზე გადაჭრით მომთხოვა პასუხი. ვსაუბრობდით იმაზე, თუ რა ხელმოკლედ ცხოვრობენ ჩემი მშობლები, ხოლო როცა მაშინვე პენსიაზე გავა, კიდევ უფრო მეტად რომ გაუჭირდებათ ცხოვრება. ჩემი საცოლვე მარია რომ ვახსენე, მისი გაცნობის სურვილიც კი გამოთქვა. თუმცა მოეწონება კია (ამ საკითხზე მეც უნდა ვიფიქრო და რაღაც გადაწყვეტილება მივიღო)? სხვათა შორის, გავარჩიეთ ჩემი მდგომარეობაც, უფრო ზუსტად ჩემი ხელფასის საკითხი: რასაკვირველია, თუკი ცოლის შერთვას გადავწყვეტიდი და მშობლებსაც დავეხმარებოდი, ეს ხელფასი არ გამწვდებოდა. მე სულ ჩუმად ვიყავი და არც არაფერი მითხოვია. როცა დაინახა, რომ არც ერთმა საკითხმა მაინცდამაინც დიდად არ ამაღელვა, დოქტორი მაქსი პირდაპირ შემეკითხა:

— რისკენ ისწრაფვით? რაღაც იღუმალი მიზანი ხომ უნდა გაგაჩნდეთ? თქვენც ალბათ სხვებივით გინდათ რამე წაგლიჯოთ ან ამ ცხოვრებას, ან მე. ანდა იქნებ ჯერ კიდევ ფიქრობთ, აკვირდებით, არჩევთ, რას ჩაეჭიდოთ და, მაშასადამე...

პირველი შემთხვევა იყო, რომ სიტყვა გავაწყვეტინე და ვუთხარი:

— მართალი ბრძანდებით, მეცა მაქვს მიზანი.

— მაინც რა მიზანი გაქვთ, საიდუმლო თუ არ არის, მითხარით!

ძალიან მინდოდა გამეხარებინა და ვუპასუხე:

— ჩემი მიზანია სიკვდილი!.. — მაგრამ მაშინვე მწარედ გავიფიქრე, რომ მართალს ვამბობდი.

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა ლილი ზაღბინიკაძე

მლექტრომატარებლის ვაგონიდან გამხდარი ბერიკაცი გადმოვიდა, გაუბედავად შედგა ბაქანზე და უცნობი სააგარაკო ადგილის თვალიერება დაიწყო. მერე ნელი ნაბიჯით გასწია რკინიგზის გადასასვლელისაკენ, სადაც ავტომატური შლაგბაუმის ახლოს გზის დარაჯის ჯიხურთან ტალახში ერთიანად ამოსვრილი პატარა ავტობუსი იდგა, მის გვერდით კი — თეთრი სანიტარული მანქანა, მქრქალ მინაზე წითელი ჯვარი რომ ეხატა და, როგორც ჩანდა, სადგურზე ადგილობრივი სანატორიუმიდან გამოეგზავნათ.

ავტობუსისა და სანიტარული „ვოლგის“ მძღოლები თავთავიანთ მანქანებთან იდგნენ და ერთმანეთს აზრს უზიარებდნენ იქვე მომუშავე მხრებგანიერ და მოკლეფეხება გოგოებზე; გოგოებს სრული, ღია ნარინჯისფერი ყილეტები ეცვათ. მათი ტანსაცმელი მზის სხივებივით ანათებდა გვიანი შემოდგომის ამ ცივ, წვიმიან დღეს. გზებზე წყლის გუბეები იდგა, შიგ კი მოსკოვის გარეუბნებისათვის დამახასიათებელი უძრახელას გაშიშვლებული ბუჩქები არეკლილიყო.

გოგოებს ბრეზენტის დიდი ხელთათმანები წამოეცვათ და ხელები ნიჩბებს მიუგავდათ. ჩქარობდნენ, მეორე მატარებლის მოსვლამდე უნდა მოესწროთ და ხის ძველი განძელები ბეტონის განძელებით შეეცვალათ. სამუშაოთა მწარმოებელს ყვითელი სანიშნე ალამი ილღიაში ამოეჩარა და თვალს ადევნებდა მათ საქმიანობას.

გოგოებს მუშაობისაგან ლაწვებზე ალი მოსდებოდათ, ზოგიერთი მათგანი მართლაც რომ მშვენიერი სანახავი იყო.

— ინტერნატის გზას ხომ ვერ მიმასწავლით? — იკითხა ბერიკაცმა და სალმის ნიშნად ხელი გაქუცულ ბეწვის ქუდთან მიიტანა.

— ამ ხეივანს რომ აივლით, პატრიარქის საცხოვრებლის ჭიშკარს მიადგებით. მარცხნივ სასაფლაოა, იქით არ შეუხვიოთ, მარჯვნივ იარეთ, იქ კი გზას ყველა მიგასწავლით.

— თქვენი მანქანით ხომ ვერ წამიყვანდით? — მიელაქუცა ბერიკაცი. — მაღარიჩი ჩემზე იქნება.

— სულ ახლოსაა, აქედან ორასი მეტრი თუა, მეტი არა.

ბერიკაცმა ქუდი შეისწორა, ცოტა შეყოყმანდა და მერე ბებერი ნადვების ხეივანს გაუყვა.

შოფრებმა თვალი გააყოლეს ბერიკაცს. მისი გარეგნობა ყურადღების მისაქცევი იყო, მაგრამ რით, ასე ადვილად ვერ მიხვდებოდი — ეს გახლდათ ნაზავი გარდასული დიდკაცობის, ძველი რიხისა და სილატაკის კარს მისული ახლანდელი უმწეობისა.

ბერიკაცს სამხედრო ფარაჯისაგან გადაკეთებული პალტო ეცვა და ზედ ძვლის მსხვილი ღილები ეკეთა. გამხდარ კანჭებზე განიერი შარვალი უფართხუნებდა, ფეხთ ყვითელი, არაერთხელ დაკერებული, ზონარგანასკული ფეხსაცმელი ეცვა. ოდესღაც ზორბა ტანისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა მეტისმეტად გამხდარი ჩანდა. ჩამომხმარი პირისახე, საკმაოდ ლამაზი, კეხიანი ცხვირი და სუფთად გაპარსული, მაგრამ ავადმყოფურად ფერმკრთალი კანი ჰქონდა, უკბილო პირის გარშემო დანაოჭებული.

ერთი სიტყვით, ამ კაცის გარეგნობა მნახველის სიბრალულსა და, თუ გნებავთ, ზიზღის გრძნობასაც კი იწვევდა, რაც აშკარად არ შეეფერებოდა იმ თავშესაფრის ღირსებას, სადაც ახლა მიემართებოდა და ზურგზე მოგდებული ბადურით ორი დამჭკნარი ფორთოხალი მიჰქონდა.

დაახლოებით ასეთი აზრი დაებადათ ავტობუსისა და „ვოლგის“ მძღოლებსაც, თვალი რომ გააყოლეს მოხუცს, მერე კი კვლავ დიდი გულისყურით მიუბრუნდნენ გზის შემკეთებელ გოგონებს...

...ავტომატური შლაგბაუმი ნელი ჭრიალით ეშვებოდა ძირს...

ბერიკაცი ქოშინ-ქოშინით მიადგა რკინის ყრუ ჭიშკარს და იქ, ორ მაღალ, თავწამახულ ქვის ბოძთან ოდნავ მოითქვა სული. მარცხნივ, ხეებს მიღმა სასაფლაო მოჩანდა. იქვე, გალავნის წინ, შუა მინდორზე ეყარა წითელი ბაფთის ნაკუწები, გამხმარი ყვავილები თუ გვირგვინის ძველი დაჟანგული მავთულები...

უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა ბერიკაცს და მაშინვე შებრუნდა, გზა დაუთმოთ თეთრ და შავთავსაფრიან დედაკაცებს — მონოზვნებსა თუ მლოცველებს, ერთმანეთის კვალდაკვალ რომ მიცუხცუხებდნენ, აგურის გალავანს ეკვროდნენ და თან მშრალ ადგილებს არჩევდნენ, ფეხი არ დაგვისველდესო. ქალებს ხელში სეფისკვერიანი ბოხჩები ეჭირათ. პატრიარქის ჭიშკარს მიუახლოვდებოდნენ თუ არა, მაშინვე მიბრუნდებოდნენ ოქროსფერი გუმბათისაკენ, ძველი ეკლესიის მესერს შიგნით რომ მოჩანდა, და პირჯვარს იწერდნენ, მერე კი ქვედა კაბებს აიკრეფდნენ და სადგურისაკენ მიიჩქაროდნენ, ელექტრომატარებელზე არ დაგვაგვიანდესო.

ბერიკაცმა მარჯვნივ შეუხვია, ჩაუარა რამდენიმე ხუთსართულიან ახალ შენობას, სამი თუ ოთხი ძველებური ძეგური სახლი რომ დაეჩაგრათ. ეს სახლები უძრახელასა და იასამნის ბუჩქებში შეყუჟულიყვნენ, თითქოს ახალი ცხოვრების შემოტევისაგან თავს იცავენო. როგორც კი ამათ გასცდა ბერიკაცი, გრძელი ყვითელი ორსართულიანი შენობის წინ აღმოჩნდა, რომლის მთავარ შესასვლელს თეთრი თაბაშირის ის ცრუკლასიკური, პროვინციული სტილის სვეტები ამკობდა, ერთ დროს სადარბაზო შესასვლელის არქიტექტურის კუთვნილებად რომ ითვლებოდა. შენობის ზოგად იერს არ შეესაბამებოდა უზარმაზარი, სამსაგდულიანი, ეგრეთ წოდებული იტალიური ფანჯრები. ფანჯრებს მიღმა მოჩანდა ნემსიწვერის, გვიმრისა და ალოეს ქოთნები. ხის რგოლებზე ფერადი ფარდები ეკიდა. ბრინჯაოს ლამპიონების მოოქროვილი ვარაყი კი გარშემო საამო შუქს ჰფენდა. ერთ ფანჯარაში ბერიკაცმა შვედური კედელი შეამჩნია და მიხვდა, იქ სავარჯიშო დარბაზიაო.

ბერიკაცს ეგონა, დავრდომილთა ღარიბული თავშესაფარი, უბადრუკი სახლი დამხვდებოთ, მის წინ კი აღმართულიყო სასახლის მსგავსი შენობა, ძველი რომაული გემოვნების შესაფერი სპილენძის უზარმაზარსახელურიანი მძიმე კარი რომ ამშვენებდა.

ბერიკაცმა ერთბაშად დიდი მოწიწება იგრძნო და დიდხანს უსვა ფეხი მავთულის ფეხსაწმენდ ბადურას. როტა დარწმუნდა, ფეხსაცმელი საკმაოდ გავიწმინდეთ, მძიმე კარს მიაწვა და ძლივძლივობით შეაღო.

— ეკატერინა გერასიმოვნა ნოვოსელოვას ნახვა სად შეიძლება? თქვენი ავადმყოფი გახლავთ, — შეეკითხა იგი გასახდელის წინ პატარა მაგიდასთან მჯდარ ჩაპუნტულეებულ, ხანში შესულ მორიგე მომვლელ ქალს, სამუშაო ხალათში რომ გამოწყობილიყო.

— ჩვენთან ავადმყოფები კი არა, მოხუცებულები არიან, — შეუსწორა მომვლელმა ქალმა, — რაც შეეხება ეკატერინა გერასიმოვნა ნოვოსელოვას, ის ჩვენთან მართლაც ირიცხება.

— სად შემიძლია ვნახო?

— თქვენ დღეისთვის დაგიბარათ?

ბერიკაცი შეცბა.

— არა, არ დავუბარებივარ, თვითონ მოვედი მის სანახავად.

— ჩვენთან უცხო პირის მოსვლა მოწვევის გარეშე აკრძალულია.

— მე უცხო როდი ვარ, — მიუგო მოხუცმა.

— რა ხართ მისი?

— ნათესავი.

მომვლელმა ტუჩები აპრუწა და ეჭვით შეათვალიერა ბერიკაცი.

— ეკატერინა გერასიმოვნას ნათესავები არა ჰყავს. სახლის დაარსების დღიდან ჩვენთან ცხოვრობს და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთ ნათესავსაც არ მოუკითხავს. ნათესავები რომ ჰყავდეს, ჩვენ გვეცოდინებოდა. ამდენ ხალხში ეგ ერთია მარტოხელა.

— მე უცხო არა ვარ, — თქვა ბერიკაცმა და ერთბაშად პირისახე გაუფითრდა, შუბლი ოფლით დაენამა. დანისლული თვალები ისე მოავლო იქაურობას, თითქოს რაიმე დასაყრდენს ეძებსო, — ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ თუ შეიძლება, ცოტა ხანს ჩამოვჯდები, — ძლივს წარმოთქვა და მძიმედ დაეშვა სკამზე.

...სკამი შეირყა და მოხუცი იატაკზე ჩაცურდა...

მხოლოდ ახლა მიხვდა მომვლელი ქალი, რომ მოხუცი მძიმე ავადმყოფი იყო. მან მარჯვედ ამოსდო ხელი ილიებში, ნელა წამოაყენა და სკამზე დასვა. მერე მაღალი სურიდან ნადუღარი წყალი ჩამოასხა, ქლორის სუნი რომ ასდიოდა. ბერიკაცი ხელის კანკალით ეცა ჭიქას და ისე ხარბად დაეწათა, ბავშვივით შეეკრა სუნთქვა. წყალი გაპარსული ტუჩ-პირის გარშემო დანაოჭებულ კანზე ჩამოედვარა.

— რა ამბავია? — მკაცრად იკითხა ჭალარათმიანმა კარგად შენახულმა დიასახლისმა, ცალი ხელით მხრებზე წამოსხმულ პალტოს რომ იმაგრებდა. ეტყობოდა, ეზოდან ბრუნდებოდა, იქ იყო მოთავსებული მთელი მისი დამხმარე მეურნეობა.

— ეს მოქალაქე ცუდად გახდა.

დიასახლისი ბერიკაცთან მივიდა და მაჯა გაუსინჯა.

— უკეთ ვარ, — მოუბოდიშა ბერიკაცმა და იატაკიდან ფორთოხლებიანი ბადურა აიღო, გულის წასვლისას რომ ძირს დავარდნოდა. — ზოგჯერ მემართება ასე.

— ვისთან ხართ მოსული? — ჰკითხა დიასახლისმა, თან თვალს არ აშორებდა პატარა ოქროს საათს, მსუქან ხელზე რომ უბრწყინავდა.

— ეკატერინა გერასიმოვნასთანაა, — უპასუხა მომვლელმა ქალმა. — ამბობს, ნათესავი ვარო.

დიასახლისმა მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცოდი, თუ ეკატერინა გერასიმოვნას ნათესავები ჰყავდა.

ბერიკაცს შერცხვა და დაიბნა, ბოლოს ძლივს წარმოთქვა:

— მე მისი ქმარი ვარ. გვარიც იგივე მაქვს, რაც ეკატერინა გერასიმოვნას — ნოვოსელოვი. მისი ყოფილი ქმარი ვარ, — დასძინა მან. გადაწყვიტა არაფერი დაემალა, სრული სიმართლე ეთქვა. — დიდი ხნის გაყრილები ვართ.

დიასახლისმა ცნობისმოყვარეობით შეათვალღერა მოხუცი, ვინც, თურმე ნუ იტყვიტ და, ერთ დროს ნოვოსელოვას, ინტერნატის ერთ-ერთი პატივსაცემი მკვიდრისა და პარტიული ორგანიზაციის მდივნის ქმარი ყოფილა.

— თქვენ, ამხანაგო, უდროოდ დროს მობრძანდით, — უთხრა დიასახლისმა თავაზიანად, — ეკატერინა გერასიმოვნას ყოველი საათი განაწილებული აქვს, ასე რომ, არ ვიცი, რით დაგეხმართ. ახლაც პედინსტიტუტის აქტივს ამეცადინებს ისტორიაში, მასთან მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოვიდა თორმეტი კურსდამთავრებული. დეიდა მაშა, სადა აქვთ მეცადინეობა?

— მეორე კორპუსში, სამკითხველო დარბაზში, — უპასუხა მომვლელმა ქალმა თავმომწონედ. ჩანდა, ეამაყებოდა, რომ მათ ინტერნატს სამკითხველო დარბაზიც ჰქონდა.

— აი, ხომ ხედავთ, — უთხრა მოხუცს დიასახლისმა, — ვინ იცის, როდის დაამთავრებენ მეცადინეობას. დღის მეორე ნახევარში კი ეკატერინა გერასიმოვნას პარტიუროს სხდომა აქვს. იქნებ სხვა დროს მობრძანდეთ, უფრო მოხერხებული დღე შეარჩიოთ.

— გამიჭირდება სხვა დროს აქ ამოსვლა, ან, ვინ იცის, იქნება კია ეს სხვა დრო? თუ ნებას დამრთავთ, მირჩევნია დაველოდო.

— დღეს მიღების დღე რომ არა გვაქვს? თანაც გარეშე პირის აქ გაჩერება არ შეიძლება.

— მე გარეშე არა ვარ, — მიუგო მოხუცმა, — არა ვარ გარეშე, თუ გნებავთ, საბუთსაც გიჩვენებთ.

გულჯიბეში ხელი ჩაიყო და დაქექილი ქალაღების დასტა ამოიღო, ისეთი, როგორსაც მუდამ ატარებს დავას მიჩვეული კაცი. ფაციფუცით გადაქექა ქალაღები და იქიდან საპენსიო წიგნაკი ამოაძვრინა.

დიასახლისმა ხელში გადაატრიალ-გადმოატრიალა წიგნაკი, მერე გადაფურცლა და ამოიკითხა, რომ წიგნაკის პატრონი, მეტად მცირე პენსიის მქონე, ნამდვილად ივანე ნიკოლოზის ძე ნოვოსელოვი იყო.

— კეთილი, ივანე ნიკოლაევიჩი, რახან ასეა, დაელოდეთ ეკატერინა გერასიმოვნას. რა თქმა უნდა, პალტოს გაიხდით, რადგან ჩვენთან პალტოთი ჯდომა არ შეიძლება. ეს ხილი რაღაა? — შეეკითხა, როცა ბერიკაცის ფეხთან დაგდებული ბადურა შეამჩნია.

— ეკატერინა გერასიმოვნას მოვუტანე... ვიტამინები...

— ეგ სულ ზედმეტია! — შიშით წამოიძახა დიასახლისმა; — რა საჭიროა. ჩვენს ბინადრებს ყოველთვის საკმაოდ აქვთ ახალი ხილი. ეგ ფორთოხლები თქვენთვის შეინახეთ.

მომვლელმა ქალმა ნოვოსელოვი გასახდელში შეიყვანა, სადაც პლასტმასის ნომრებიან ნიკელის საკიდრებზე ქალისა და მამაკაცის პალტოები იყო ჩამწკრივებული, როგორც თეატრში. ეტყობოდა, მათი პატრონები ხელმოკლეთა რიცხვს არ ეკუთვნოდნენ.

ნოვოსელოვმა თავისი პალტო და ბაწრის ბადურა, აქ რომ განსაკუთრებით უბადრუკი ჩანდა, მათ გვერდით ჩამოჰკიდა, მერე გახუნებული, მეტად გრძელმკლავებიანი პიჯაკის გულჯიბიდან ქერტლით გავსებული ვარდისფერი სავარცხელი ამოიღო და რამდენიმეჯერ გადაისვა გამელოტებულ თავზე. ნოვოსელოვს ბებერი ცხენივით ღრმად ჩამჯდარი თვალები ჰქონდა.

მომვლელმა ქალმა იგი მიიყვანა იმ კუთხეში, სასტუმროს მოვალეობას რომ ასრულებდა და მძიმე, ადგილიდან ძნელად დასაძრავ სავარძელში ჩასვა. სავარძელი მასავით მძიმე, წითელი პლუშის სუფრაგადაფარებული მრგვალი მაგიდის წინ იდგა.

...ნოვოსელოვი მოთმინებით დაელოდა ეკატერინა გერასიმოვნას...

შენობას ორივე მხარეს ლინოლეუმდაგებული გრძელი დერეფანი მიუყვებოდა. დერეფნის აქეთ-იქით თეთრი კარები მოჩანდა. კარებზე მიკრული იყო მობინადრეთა გვარების აღმნიშვნელი ფირფიტები. ფანჯრებზე რომ ამდენი ყვავილის ქოთანნი არ მდგარიყო და კარებზეც ფარდები არ ყოფილიყო ჩამოფარებული, აქაურობა კაცს კარგ პოლიკლინიკას უფრო მოაგონებდა.

...დრო ტაატით მიიზღაზნებოდა...

ნოვოსელოვმა ისევ იგრძნო გულისრევა. ყელში რაღაც მოაწვა და კრიჭა შეუკრა. ჩვეული მოძრაობით პირში ნიტროგლიცერინის ორი პატარა ნამცეცხე ჩაიგდო და გულის რევამაც თანდათან უკლო. მართალია, საქმე გრძნობის დაკარგვამდე არ მისულა, მაგრამ გვერდი ისევ მტკივნეულად ჩხვლავდა.

მის გარშემო კი ინტერნატი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. მიმოდრიოდნენ მომვლელი ქალები, გაუთოებელი ზეწრების მთელი გროვა მოჰქონდათ და თან ნიკაპს აჭერდნენ, არ გადმოგვიცვივდესო. ამ ზეწრებს ქლორის სუნი ასდიოდა; დერეფნის ბოლოში, ექიმის კაბინეტის წინ, სკამებზე, კედლის გასწვრივ ისხდნენ სანდომიანი სახის მოხუცი ქალები და მამაკაცები, ისინი მოთმინებით ელოდნენ თავიანთ რიგს; ზევიდან, მეორე სართულიდან, სადაც ფარდაგდაგებული განიერი კიბე ადიოდა, დერეფანში მოსეირნეთა ხმა და რადიოს ლილინი ისმოდა. საიდანღაც სამზარეულოს საამური თბილი ჰაერიც აღწევდა და ნოვოსელოვმა შურით გაიფიქრა: საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერები რა კარგად და უზრუნველად ცხოვრობენო.

... სანიტარმა დერეფანში ბორბლებიანი სავარძელი ჩაატარა. სავარძელში იჯდა მუხლებზე პლედწაფარებული დამბლადაცემული მოხუცი. მას პირისახის ერთი მხარე გაქვავებოდა, თაფლისფერი თვალები კი ხალისით, ირონიითა და იუმორით ჰქონდა სავსე.

ნოვოსელოვს თითქოს სადღაც ენახა ეს თვალები. ადრე, დიდი ხნის წინათ, როცა იგი ეკატერინა გერასიმოვნას წინააღმდეგ თავის ყალბ ჩვენებას იძლეოდა, გამომძიებელი მუქ თაფლისფერ თვალებს არ აშორებდა. მისი გამგმირავი გამოხედვა ფარულ ირონიასა და უნდობლობას გამოხატავდა.

შესაძლებელია, ეს სწორედ ის გამომძიებელი იყო. რატომაც არ შეიძლებოდა? ნოვოსელოვმა ახლაც ისეთივე უხერხულობა იგრძნო, როგორსაც მაშინ გრძნობდა — შიშნარევი მწვავე სირცხვილი და დამორგუნველი შეგნება უპატიოსნო საქციელისა.

მკვირცხლმა თაფლისფერმა თვალებმა წუთით შეაჩერეს ნოვოსელოვზე მზერა, მერე კი სანიტარმა ლინოლეუმზე ოდნავი ჭრიალით ჩაატარა სავარძელი და ფარდის იქით გაუჩინარდა.

ნეტავი თუ იცნო გამომძიებელმა? თუნდაც ეცნო, მერე რა? მაშინ ნოვოსელოვი ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა, რათა გზიდან ჩამოეცილებინა ცოლი, ვინც, როგორც მას ეგონა, ხელს შეუშლიდა, რომ სხვა ქალი შეერთო. თუმცა, სულ ტყუილად ჩაიდინა ასეთი საძაგლობა, ეკატერინა გერასიმოვნა თვითონვე ჩამოსცილდა გზიდან.

...მაგრამ ეს ამბავი ხომ დიდი ხნის წინათ მოხდა...

იმხანად ნოვოსელოვი, როგორც იტყვიან, სისხლხორცილ სახეს მამაკაცი გახლდათ. უკვე სიმსუქნეც დასტყობოდა, წარმოსადეგი იყო, კარგი თანამდებობა ეკავა, დიდი მომავალიც ჰქონდა და კარგად შეეთვისებინა თავისი როლი — დადიოდა მედიდურად, ლაპარაკობდა ხმადაბლა, იცოდა მრავალმნიშვნელოვანი გამოხედვა, ჰქონდა ცივი, მიბნედილი, ლამაზი გლახური თვალები და ხშირი ოქროსფერი წარბები, ასე ძლიერ რომ მოსწონდათ ქალებს.

ეკატერინა გერასიმოვნა ათი წლით უფროსი იყო ნოვოსელოვზე. ქალი არასოდეს გამოირჩეოდა სილამაზით, მაგრამ ნათელი, ცოცხალი პირისახე, გულდია სიცილი, ქალური სინაზე და სანდომიანი გარეგნობა სილამაზის მაგვირობას უწევდა. ბოლოს მაინც იჩინა თავი ასაკით განსხვავებამ და ნოვოსელოვების ოჯახში დატრიალდა დრამა, ფრიალ დამახასიათებელი მსგავსი ვითარებისათვის.

ნოვოსელოვი გაიტაცა ახალგაზრდა, მაცდურად ლამაზმა და ადვილად ხელში ჩასაგდებმა ქალმა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაუცხოველა ვნება ნოვოსელოვს, თუმცა ლამაზმანს სიქალწულე კარგა ხნის დაკარგული ჰქონდა და მტაცებელთა იმ ჯილაგს ეკუთვნოდა, ვისთვისაც სიყვარული ერთადერთი და უტყუარი საშუალებაა ბავშვობიდანვე ნანატრი ძალაუფლებისა და სიმდიდრის მისაღწევად.

ძალიან ადვილად გახდა ნოვოსელოვის საყვარელი და მაშინვე მიიღო მისგან სამაგიეროდ ყოველივე, რაც კი შეეძლო მიეცა ხანში შესულ ცოლიან კაცს ახალგაზრდა ლამაზი ქალისათვის. თავისი ახალგაზრდობისა და სილამაზის მოიმედე ქალმა, ვინც სინდისის ქენჯნას არ ეჩაგვრინებოდა, გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ნოვოსელოვის კანონიერი მეუღლე გამხდარიყო. ნოვოსელოვმა თავიდან სუსტი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მანაც დაკარგა ჰკუა და ცოლად შეირთო. ასე გახდა იგი ნოვოსელოვის ოჯახის სრულუფლებიანი დიასახლისი. მალე ახალგაზრდა მეუღლე ნოვოსელოვმა ყველა თავის მეგობარს წარუდგინა.

ახალგაზრდა ქალი, როგორც კი საზოგადოებაში შედგა ფეხი და მიიხედ-მოიხედა, მაშინვე მიხვდა, ნოვოსელოვი ოცნების მწვერვალი სრულებითაც არ ყოფილაო. მრავლად არიან ისეთებიც, ვისაც ნოვოსელოვზე მაღალი თანამდებობა უჭირავს, თუმცა ისინი კარგა ხანია ოჯახს მოჰკიდებიან და შვილებიცა ჰყავთ და შვილიშვილებიც. მაგრამ ახალგაზრდა ნოვოსელოვა, ვისაც უკვე საკმაოდ გამოეცადა თავისი ქალური ხიბლი მამაკაცზე, მიხვდა, რომ დრო ამაოდ არ უნდა დაეკარგა და პური მანამ უნდა ჩაეკრა, ვიდრე თონე ცხელი იყო.

ცხრამეტი წლისა იგი საოცრად გაიფურჩქნა, შეიძინა შავი მელიის წამოსასხამი, ბრილიანტის საყურე, თუმცა არცთუ ისე დიდი, და როცა იგი ყვავილებიანი შავი ხავერდის გრძელ კაბაში გამოეწყობოდა, ფრჩხილებსაც წითლად შეიღებავდა და დიდი თეატრის პარტერში ნოვოსელოვის გვერდით გამოჩნდებოდა, მისი შიშველი მკლავები, ოდნავ გაპობილი მომხიბვლელი ვარდისფერი ბაგე, მუდამ რომ ცბიერი ღიმილი დასთამაშებდა, და ცისფერი ელვარე თვალები მამაკაცთა მზერას იზიდავდა. მას თითქოს გარს ერტყა მაგნიტური არე მამაკაცთა ავხორცული ყინისა და ქალთა ზიზღისა, მათთვის ხომ იგი ფრიალ საშიშ მეტოქეს წარმოადგენდა.

კარგად უწყობდა თავისი ძალა. მისი ქმარი — ნოვოსელოვი კი ბრიყულ სიამაყეს განიცდიდა, ხელთ ეს რა გემრიელი ლუკმა ჩავიგდეო, მაგრამ მტანჯველ ეჭვიანობასაც შეეპყრო. გულის სიდრმეში გრძნობდა, რომ ეს ნორჩი, მაცდური, ადვილად ხელში ჩასაგდები ქალი ყოველ ნაბიჯზე გაცვლიდა სხვა უფრო ხელსაყრელ მამაკაცზე, რათა კიდევ ერთი საფეხურით ამალღებულიყო საზოგადოებაში. მალე ხალხში მათი ერთად ყოფნა ნოვოსელოვისათვის ნამდვილ წამებად იქცა. ქალი კი ჯიბრზე ცდილობდა ხში-

რად გამოჩენილიყო ხალხმრავალ ადგილებში — თეატრებში, კონცერტებზე, სტადიონზე, არ აკლდებოდა საღამოებს, ხშირად დაიარებოდა სტუმრად — უფრო სწორად რომ ვთქვათ, ცდილობდა კი არ გამოჩენილიყო, თავი გამოეჩინა. ამავდროს ხარბად ზვერავდა მომავალ მსხვერპლს, რათა ხელში ჩაეგდო და ცოლად გაჰყოლოდა.

ნოვოსელოვისათვის ცხოვრება სამოთხისა და ჯოჯოხეთის ნაზავად იქცა.

ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ შინ არ ყოფნისას, — სამსახურში იყო, კრებაზე თუ მივლინებაში, — ცოლი უზნეო ცხოვრების წუმპეში იყო ჩაფლული და არც საყვარლებს იკლებდა.

ქალი პატარა ეშმაკი ცხოველივით ფრთხილი იყო, მაგრამ იმის ჭკუა არ ჰყოფნიდა, კვალი არ დაეტოვებინა, თუმცა არც ცდილობდა ამას. იმდენად ზარმაცი და თავაშვებული გახლდათ, რომ სიფრთხილისათვის თავს არ იწუხებდა, მოსაწყყენ და საჯაფ საქმედ მიაჩნდა; რაც უფრო გაუტევეს, მით უკეთესი! ხშირად განგებაც აეჭვიანებდა.

ეჭვიანობისაგან თავგზააბნეული ნოვოსელოვი მთლად უბადრუკი ხდებოდა და, აი, სწორედ მაშინ ატრიალებდა ახალგაზრდა მეუღლე თავის ნებაზე.

მაგრამ უფრო მაღალი რანგის ახალი ქმრის შოვნა არც ისე იოლი აღმოჩნდა.

მათმა ერთად ცხოვრებამ რამდენიმე წელს გასტანა. ჯოჯოხეთი იყო მოსაგონებლად ნოვოსელოვისათვის ის დრო. დაითრგუნა არა მარტომისი თავმოყვარეობა, სამსახურებრივი მდგომარეობაც შეერყა. ქალმა სახელი გაუტეხა ქმარს, ქვეყნის მასხარად აქცია. ათასგვარი ანეკდოტი დადიოდა ახალგაზრდა ქალზე. ნოვოსელოვი იქამდე მივიდა, რომ უკვე საჯაროდ უტეხდა აყალმაყალს ცოლს. ერთხელ ცოლ-ქმარმა დიდ თეატრში „ივანე სუსანიჩის“ განახლებულ დადგმაზე იჩხუბა...

...ნოვოსელოვმა მალულად, ისე რომ მეზობლებს არაფერი შეენიშნათ, ცოლს გამეტებით ჩაართყა ქუსლი ფეხებში; ქალმა მწარედ წამოიკივლა და თითზე უკბინა, მერე კი განგებ ხმაშალალ ხარხარსა და ტირილს მოჰყვა, ლამაზ თვალთაგან გაქვავებულ პირისახეზე, ატამივით ფაფუკ ბუსუსიან ლოყებსა და პატარა უზადო ცხვირზე ცრემლები ჩამოედინა. ამ დროს სცენიდან კი ზარივით გაისმოდა ანტონიდას არია, გვერდითა ლოყის ალისფერი აბრეშუმის ფარდიდან კი ვილაც აღშფოთებით ანიშნებდა, გაჩუმდითო...

მართალია, კარგა ხანია მიატოვა ნოვოსელოვი ახალგაზრდა ცოლმა, ორჯერაც გათხოვდა და, როგორც იქნა, იშოვა ისეთი მეუღლე, ვინც მისი პატივმოყვარე ოცნება დააკმაყოფილა, მაგრამ ქმარყოფილი მაინც ვერ განთავისუფლებულიყო დამცირების მქენჯნავი გრძნობისაგან, მწარედ განიცდიდა გარდასულ ვნებას და ბოლოს უბადრუკ დღეში აღმოჩნდა.

მძიმე ავადმყოფი იყო — წუთით არ უყუჩდებოდა ნაწლავების ავბედითი ტკივილი. არც ახლახანს გაკეთებულმა ოპერაციამ მოუტანა შევება. ახ-

ლა იჯდა ინტერნატის უზარმაზარი ფანჯრის წინ და გაჰყურებდა ხეხილის ბაღში მდგარ გაშიშვლებულ მონაცრისფრო ვაშლის ხეებს, ნაძვებს, ნახევრად გამჭვირვალე ყვითელი პლასტიკის დაღარული ფილებით გადახურულ გისოსიან ტალავებს, სადაც ზაფხულობით ინტერნატის მკვიდრნი კითხვით ირთობდნენ თავს ან ჭადრაკს თამაშობდნენ, გაჰყურებდა საზამთროდ გულმოდგინედ შეფუთულ ყვავილნარს.

გაშიშვლებული ხეები განსაკუთრებით ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ ამ მოქურუხებული ცის ქვეშ. შორს წიწვიანი ტყე მოჩანდა, ტყისა და აგურის წყალსაწევი კოშკის თავზე აღმა-დაღმა დაფრინავდა ჭილყვავების გუნდი. შორიდან სააგარაკო ელექტრომატარებლის გუგუნიც გაისმოდა.

...ირგვლივ ისეთი ბინდი ჩამოწოლილიყო, როგორც საღამოობით იცის...

ფანჯრის წინ სველ ასფალტზე ჩქარი ნაბიჯით ჩაიარა ჩია ტანის, წელში მოხრილმა მოხუცმა ქალმა. მოხუცს თავზე ნაქსოვი ქუდი ეხურა, ხელთათმანებიც ნაქსოვი ეკეთა... ხელში თავისივე გამოჩორკნილი კაკლის ჯოხი ეჭირა და სიარულისას კი არ ეყრდნობოდა, არამედ თავისი ნაბიჯის ხმაზე იქნევდა. გარს ახალგაზრდების ჯგუფი ეხვია, ისინი ცდილობდნენ ფეხი აეწყოთ მოხუცის მსუბუქი, სწრაფი ნაბიჯისათვის. ფანჯრის წინ წამით ჩაიქროლა ბებრულმა პროფილმა, სათვალემ, ქუდში გამოჩრილმა ჭაღარა თმამ.

ნოვოსელოვს აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს ეკატერინა გერასიმოვნა იყო. გულგრილად შეჰყურებდა, როგორ გამოემშვიდობა ქალი ახალგაზრდებს, როცა კარის სახელური ჩამოსწია, განშორებისას რაღაც მიაძახა მათ, ეტყობოდა, ძალიან ენამოსწრებული, რადგან ახალგაზრდებმა ერთხმად გადაიხარხარეს. მერე კი მოხუცი ქალი შენობაში შევიდა. ნოვოსელოვმა დაინახა, როგორ ფრთხილად მიაყუდა ჯოხი კედელზე და კვერნის ვიწრო საყელოიანი პალტო გაიხადა, მერე ფეხის წვერებზე აიწია და თავისი პალტო ნოვოსელოვის პალტოსა და ფორთოხლებიანი ბადურას გვერდით ნიკელის საკიდარზე ჩამოკიდა. ქათქათა ცხვირსახოციტ გაწმინდა სათვალის დაორთქლილი გამადიდებელი შუშები, მეორე ცხვირსახოციტ ცხვირი მოიხოცა და მეტად მსუბუქი ნაბიჯით, თუმცა სვენებ-სვენებით აუყვა მეორე სართულზე ამავალ კიბეს.

უცებ თავისებური სიარულითა და ძლივს შესამჩნევი კოჭლობით ნოვოსელოვმა ამ მოხუც ქალში თავისი ნაცოლარი შეიცნო.

...ქალმა კიბე აათავა, კიბის თავში შეისვენა და მერე თვალსაც მიეფარა...

— რაო? ვერ იცანით განა? — მივარდა მომვლელი ქალი ნოვოსელოვს და ეკატერინა გერასიმოვნას რომ დასწეოდა, მეორე სართულზე ავიდა.

მომვლელი ქალი ნოვოსელოვას ფეხდაფეხ შეჰყვა ოთახში და ქოშინით უთხრა:

— ეკატერინა გერასიმოვნა, იქ, ქვევით, თქვენ გელოდებიან.

ნოვოსელოვას უკვე ყურს დაჰკლებოდა და მაშინვე ვერ გაიგონა, რა უთხრეს.



- რა მითხარით? — შეეკითხა ის მომვლელ ქალს.
- ქვევით გელოდებიან! — დაუყვირა მომვლელმა ქალმა.
- ვინ გელოდება? მე არავის ველი!
- ერთი კაცია. თქვა, ყოფილი ქმარი ვარო.

ეკატერინა გერასიმოვნას პირისახეზე ჯერ გაოცება გამოეხატა, მაგრამ მერე ბებრულ უფერულ ლოყებზე წუთით სიწითლემ გადაურბინა. უსიტყვოდ ჩადო კამოდის უჯრაში ქუდი და ხელთათმანები და ანგარიშმიუცემლად შეისწორა თმა.

— მასაც თქვენი გვარი აქვს, ნოვოსელოვი, — უთხრა მომვლელმა ქალმა.

ეკატერინა გერასიმოვნას ჩვეულებრივად ცოცხალი და კეთილი თვალები ახლა თითქოს გაუქვავდა, უცხო და ავი გაუხდა.

— სრულებით არ მესაჭიროება მისი ნახვა, — თქვა მან და თავისი შავი, ჭაღარაშერეული, შეერთებული წარბები ზეასწია.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, ნოვოსელოვის არსებობა ეკატერინა გერასიმოვნას სავსებით დაავიწყდაო. ზოგჯერ, როცა გათენებისას უძილობა შეაწუხებდა და მოხუცთა წესისამებრ მძიმე ფიქრები მოეძალებოდა ხოლმე, იგი იხსენებდა ნოვოსელოვთან გატარებულ დღეებს, მათი ურთიერთობის მთელ ისტორიას; იხსენებდა, როგორ გაიცნო: მაშინ ეკატერინა გერასიმოვნა წრის მეცადინეობას ატარებდა და აი ერთ დღეს ამ მეცადინეობაზე გამოცხადდა უბრალო სოფლელი ბიჭი. მესხიერებას ის საშინელი დღეც შემოენახა, როცა ქალმა საოჯახო ჩანთაში მხოლოდ ერთი ხელი თეთრეული, კბილის ჯაგრისი და ვარდისფერი პლასტმასის სასაპნე ჩააწყო და სამუდამოდ გამოიკეტა იმ სახლის კარი, სადაც ამდენი წელი გაეტარებინა. ნოვოსელოვი კი, საიმდროოდ უკვე სიმსუქნე რომ მორეოდა და სიქაჩლევც შეპარვოდა, ჩუსტებში ფეხგაყრილი და თივთიკის ზოლებიან პიჟამაში გამოწყობილი, კარის ამყოლს მიყრდნობოდა და მის მრგვალ, გადატკეცილ პირისახესა და ნამძინარევ თვალებში ეკატერინა გერასიმოვნამ ცუდად დაფარული მოუთმენლობა შეამჩნია.

მაშინ სიტყვაც არ უთქვამთ, ისე დაშორდნენ ერთმანეთს. მას მერე ერთხელაც აღარ შეხვედრიან.

რა თქმა უნდა, ქალის ყურამდე მოაღწია ხმამ, ახალგაზრდა ცოლთან ცხოვრება ნოვოსელოვს ჯოჯოხეთად ექცაო, მაგრამ ეკატერინა გერასიმოვნა მეტად ამაყი გახლდათ და ნაქმარევის ამბავი დაწვრილებით არასოდეს გამოუკითხავს. იგი მტკიცე ხასიათის ქალი იყო და ქმარყოფილი მისთვის უკვე აღარ არსებობდა. მაშინაც კი, როცა შეპარვითა და მორიდებით გადაუკრეს, ნოვოსელოვმა თქვენ მიმართ რა უღირსი საქციელი ჩაიდინაო, ეკატერინა გერასიმოვნამ ყური აარიდა, თითქოს არაფერი გაეგონოს.

ქალის ყურამდე მოღწეულ მითქმა-მოთქმას, — ნოვოსელოვი ახალგაზრდა ცოლმა მიატოვაო, საქმეები აეწეწა, ძლივს დაიძვრინა თავი სასამართლოდან, ხშირად სვამს და სულ უფრო და უფრო ჩამოქვეითდაო, — არავითარი სიხარული, არავითარი თვითკმაყოფილება არ მოუტანია ეკატერინა გერასიმოვნასათვის: ნოვოსელოვი უკვე მართლაც აღარ არსებობდა მისთვის.

უყვარდა ეკატერინა გერასიმოვნას ნოვოსელოვი? შეელახა ქალს თავ-
მოყვარეობა? ატკინა გული ქმრის საქციელმა? რა თქმა უნდა. მან შეურა-
ცხყოფილი და მიტოვებული ქალის ყველა ტანჯვა იწვნია, მაგრამ ყველაზე
მეტად იმის შეგნება სტანჯავდა, რომ თავის დროზე ვერ მიხვდა, რა კაცი იყო
ნოვოსელოვი, ვერ მიხვდა, რომ ის ჩვეულებრივი გაიძვერო იყო და ცხოვრე-
ბაში გზა გაიწალდა ეკატერინა გერასიმოვნას მეოხებით. ქალს უყვარდა იგი
და არც უფიქრია, მის ცხოვრებაში რაიმე როლს ვთამაშობო.

ეკატერინა გერასიმოვნა ბავშვურად ალაღმართალი ქალი გახლდათ და,
მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციონერის მკაცრი სკოლა გამოეწლო,
ანდა სულაც შეიძლება ამის წყალობით, ადამიანებში ყოველთვის კარგს
უფრო ხედავდა, ვიდრე ავს. ყოველთვის თვალწინ ედგა ხატება ხალხის წრი-
დან გამოსული უბრალო, მშრომელი და მამაცი ადამიანისა.

ახალგაზრდა ნოვოსელოვი — გლეხის შვილი — ყველაზე უფრო ეფარდებოდა
ქალის წარმოდგენას უბრალო ადამიანზე, ვისაც რევოლუციამ ცოდნის
შესაძენად გზა გაუხსნა და სოციალისტური საზოგადოების მრავალმხრივ განათ-
ლებული და სრულფასოვანი წევრი გახადა. ისეთივე ენთუზიაზმით, რო-
გორითაც ეკატერინა გერასიმოვნა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებ-
ში იბრძოდა წერა-კითხვის უცოდინარობის, ბავშვთა უპატრონობის, რელი-
გიური ცრუმორწმუნეობისა და ქალთა ჩაგვრის წინააღმდეგ, შემდეგაც ასე-
თივე ენთუზიაზმით ხელმძღვანელობდა იგი მუშფაკისათვის მოსამზადებელი
ახალგაზრდობის ათასგვარ წრეებს. ფაბრიკებსა და ქარხნებში კითხულობდა
ლექციებს ლენინის, მარქსის, ენგელსისა და პლექხანოვის კლასიკური შრომების
გასავრცელებლად. მთელი თავისი არსება ამ მოღვაწეობას მიუძღვნა და თავს
ბედნიერად გრძნობდა, როცა ხედავდა, ჩემი შრომა ამაოდ არ მიდის და ნა-
ყოფს იძლევაო. მისი წრის წევრებში ნოვოსელოვი გამოირჩეოდა კეთილსინ-
დისიერებითა და მიზანსწრაფვით. ეკატერინა გერასიმოვნა ხედავდა, რომ ნო-
ვოსელოვი დიდი აღმაფრენით სწავლობდა და ღრმად სწამდა, რომ ცოდნის
გარეშე შეუძლებელია გახდეს ნამდვილი კომუნისტი-რევოლუციონერი. ქა-
ლისათვის იგი ახალი თაობის წარმომადგენელი გახლდათ, მათი მამებისა და
პაპების მიერ დაწყებულ საქმეს რომ დიდებით დაავიზგვინებდა. ქალმა ნო-
ვოსელოვი მომავლის ადამიანად წარმოიდგინა, ამიტომაც შეიყვარა იგი. მან-
ვე მისცა ნოვოსელოვს პარტიაში შესვლის რეკომენდაცია.

ნოვოსელოვმა მასთან სამეცადინოდ შინ დაიწყო სიარული. ქალს მოს-
წონდა ვაჟის ქერა, მოკლედ შეკრეჭილი თმა, გვერდზე ჩაჭრილსაკინძიანი
სატიწის ბლუზა, რომლის საყელო ღონიერ კისერს შემოვლებოდა, მოსწონდა
ვაჟის ცისფერი თვალები.

ეკატერინა გერასიმოვნა ხედავდა, რომ ვაჟს სწავლა უჭირდა, მაგრამ ინ-
ტელიგენტი ქალი იყო და ამ გარემოებას „წყეული წარსულის მემკვიდრეო-
ბად“ თვლიდა. ქალმა მოამზადა ნოვოსელოვი, ინსტიტუტში შეიყვანა და მა-
ნაც, დიდი გაჭირვების მიუხედავად, მაინც დაამთავრა.

...ახლა ნოვოსელოვის წინ სამსახურებრივი მოღვაწეობის ფართო გზა გა-
დაიშალა.

ამ დროისათვის ეკატერინა გერასიმოვნა უკვე ნოვოსელოვის მეუღლე იყო.
ეს ამბავი რაღაც სრულიად შეუმიჩნევლად, ბუნებრივად მოხდა.

ნოვოსელოვი რამდენადაც მეცნიერებაში უნიჭო იყო, იმდენად ენერგიული და მოხერხებული ადმინისტრატორი გამოდგა. ყველგან სასარგებლო ნაცნობობა გაიჩინა. ქვეყანას ახალი ადამიანები ესაჭიროებოდა და მალე ნოვოსელოვი სწორედ იმ ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს, ერთ დროს თვითონ ასე დიდი გაჭირვებით რომ დაამთავრა. ეს სამეურნეო თანამდებობა უფრო იყო, ვიდრე სამეცნიერო და სწორედ აქ გამოიჩინა მან თავი, როგორც დიდი ნაცნობობის მქონე ადმინისტრატორმა. იმისი ჭკუა კი იყო, რომ წმინდა აკადემიური პეწი მიეცა თავისი პიროვნებისათვის: ხშირად გამოდიოდა მეცნიერული თუ პოლიტიკური ხასიათის კრებებზე. აკეთებდა მოხსენებებს, რომელთა დაწერაში ყოველთვის ეკატერინა გერასიმოვნა ეხმარებოდა, თუმცა არასოდეს ბრძადა არ ენდობოდა ცოლის ნაწერსა თუ რჩევას. ხშირად ეკატერინა გერასიმოვნას დაწერილ მოხსენებებში საკუთარი შესწორებები შეჰქონდა. მართალია, საკითხის არსს საკმაოდ ვერ სწვდებოდა, სამაგიეროდ, სრულიად დაუფლებული იყო სამეცნიერო და საზოგადო-პოლიტიკურ ფრაზებს, რაც ენციკლოპედიური ლექსიკონიდან და გაზეთების მოწინავეებიდან ჰქონდა ამოწერილი. ამის გამო იყო, რომ მის გამოსვლებს სამეცნიერო იერი და პოლიტიკური მოწიფულობა ეტყობოდა. ზოგჯერ ეკამათებოდა კიდევ ეკატერინა გერასიმოვნას ზოგიერთი ფორმულირებისას, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ საყოველთაოდ დადგენილ წესებს.

ერთხელ, როდესაც ეკატერინა გერასიმოვნას მიერ მომზადებული მოხსენება გადაიკითხა, ნოვოსელოვიმ ოდნავი საყვედურით უთხრა:

— აი, ნახე, კატია, შენ აქ წერ „თვითმპყრობელობის ოპრიჩნიკები“, მე კი ამ შენს ფორმულირებას მაინცდამაინც არ ვეთანხმები, იმიტომ რომ ის არ შეესაბამება ოპრიჩნიკის მოვლენების ისტორიულ მნიშვნელობას. მაინც ვინ იყვნენ ეს ოპრიჩნიკები? ვინ იყვნენ და ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების დასაყრდენი ძალა ივანე მრისხანეს მეფობის დროს, ვინც რეაქციონერ ბოიარებს ებრძოდა. როგორც ჩანს, ოპრიჩნიკთა თავის დროისათვის პროგრესული მოვლენა იყო და არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს სახელი გავუტეხოთ ჩვენი ხალხის თვალში.

ეკატერინა გერასიმოვნამ გაოცებულმა შეხედა ქმარს, ნოვოსელოვი კი ვერც შეამჩნია ეს და განაგრძო:

— საერთოდ, იცი, რას გეტყვი, კატერინა, საჭიროა გადავსინჯოთ ჩვენი წმინდა ინტელიგენტური შეხედულება ივანე მრისხანეს პიროვნებაზე. ჰო, მართლა, რატომ ვუწოდებთ ჩვენ მას მრისხანეს? ვისთვის იყო ის მრისხანე? ვისთვის და მთავრებისათვის, რეაქციონერი ბოიარებისათვის. უბრალო მშრომელი ხალხისათვის, ვინც მიისწრაფოდა შეექმნა ერთიანი დიდი რუსეთი, ის სრულებით არ იყო მრისხანე. მეც რომ მკითხოს კაცმა, იგი ნამდვილად არ იყო მრისხანე.

თანდათან მოუხშირა ეკატერინა გერასიმოვნას მიერ დაწერილ მოხსენებებში მან თავისი შესწორებების შეტანა. და ზოგჯერ ეს შესწორებები სასაცილოც გამოდიოდა. ერთხელ, სადაც ლაპარაკი იყო რომელიღაც საერთაშორისო კონფერენციაზე, ნოვოსელოვიმ ასეთი გამოთქმა იხმარა: „ეს წარმომადგენლობითი კოლიზიუმი...“ და ეს უცნაური გამოთქმა რამდენჯერმე გაიმეორა, როგორც

ეტყობოდა, მეტად მოსწონდა. როცა ეკატერინა გერასიმოვნამ თავისი გაკვირ-
ვება ვერ დამალა, ნოვოსელოვმა უთხრა:

— რა იყო? ნუთუ შენ არ იცი, რომ ახლა ასე ამბობენ: „წარმომადგენ-
ლობითი კოლიზეუმი“?

ეკატერინა გერასიმოვნას გაეცინა:

— შეიძლება შენ მხედველობაში კოლიზეუმი კი არა, ფორუმი გაქვს?

— რა თქმა უნდა, ფორუმი, — ჩაფიქრების შემდეგ დაეთანხმა ნოვოსე-
ლოვი. — აბა მე რა ვთქვი?

— რა და „კოლიზეუმი“.

— ალბათ წამომცდა „კოლიზეუმი“.

ეკატერინა გერასიმოვნამ ნაღვლიანად გაიღიმა. საქმე ის გახლდათ, რომ
მოსკოვში ერთმანეთის ახლოს ორი კინემატოგრაფი იყო, სადაც ნოვოსელოვს
ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში უყვარდა სიარული ჰარი პილის მონაწილე-
ობით გადაღებული ამერიკული სურათების სანახავად: ერთ კინემატოგრაფს
„კოლიზეუმი“ ერქვა, მეორეს — „ფორუმი“.

ეს შეცდომა საქვეყნოდ არ გახმაურებულა და როცა ტრიბუნაზე მდგარი
ნოვოსელოვი თავის მოხსენებას კითხულობდა, სათვალე შეისწორა, აუდიტო-
რიას თვალი გადაავლო და დიდი ზრზრებით წარმოთქვა:

— მსოფლიოს პროგრესული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის წარ-
მომადგენლობითი ფორუმი.

...ნოვოსელოვი სწრაფად მიიწევდა წინ...

ახლა, როცა ეკატერინა გერასიმოვნა თავის ზამბარებიან, რბილ საწოლთან
იჯდა სკამზე, რეზინისძირიან ფეხსაცმელს იცვლიდა და ფლოსტებს იცვამდა,
აგონდებოდა ნოვოსელოვთან გატარებული დღეები.

მსუქანი მომვლელი ქალი კი ოთახიდან არ გადიოდა, ელოდა, ეკატერინა
გერასიმოვნა თავის გულისწყრომას მოწყალებით შეცვლის და დათანხმდება
ქმარყოფილი მიიღოსო. მომვლელ ქალს ებრალებოდა ეს სამოცდაათი წლის
მოხუცი კაცი, გაცილებით ხნეირად რომ გამოიყურებოდა და სრულ ტანსაც-
მელზე ეტყობოდა, მეტად გამხდარიყო; ბერიკაცს ცუდადაც ეცვა და ვინ
იცის, იქნება შიოდ კიდევ.

ყველაზე უფრო სტუმარს ახლა თანაგრძნობა და ცხელი ჩაით გამასპინ-
ძლება ესაჭიროებოდა.

— ღმერთმანი, ეკატერინა გერასიმოვნა, ძალიან მიკვირს, რატომ ხართ
ასეთი სასტიკი. რატომ არ გებრალებათ მოხუცი ავადმყოფი კაცი. რაც უნდა
იყოს, ის ხომ თქვენი ყოფილი ქმარია!..

ნოვოსელოვა ფიქრებიდან გამოერკვა და შეხედა მომვლელ ქალს. მის
პირისახეზე ისეთი თანაგრძნობა და, რაც მთავარია, ისეთი გულითადობა აღ-
ბეჭდილიყო, შეყოყმანდა, იქნებ ჯობს, ქმარყოფილი ვინახულო.

მას ვერ წარმოედგინა ნოვოსელოვი ავადმყოფ ბერიკაცად. ქალის მეხსიე-
რებაში იგი ისეთივე ნოვოსელოვი იყო, როგორსაც იცნობდა მათი ერთად
ცხოვრების ბოლო წლებში.

...ახლაც თვალწინ დაუდგა მაღალი, ჩაფსკვნილი, ღიპიანი მამაკაცი, ახალ

კოსტუმში გამოწყობილი დიდკაცური ნაბიჯით რომ მიიწევს პრეზიდენტის მაგიდასაკენ და თავის ჩვეულ ადგილს იკავებს, ხან ერთ მხარეს მიბრუნდება, ხან მეორე მხარეს, თითქოს დიდი ადგილის დაჩემებას აპირებსო. საგანგებოდ ათვისებული მოძრაობით გულჯიბიდან ამოაძრობს ორმაგშუშიან საზღვარგარეთულ სათვალეს, სადაც ელვის სისწრაფით აირეკლება მთელი დარბაზი, თავისი ნაძერწი ჭერიტა და კაშკაშა ჭაღით, და ოდნავ დაბნეული — ესეც კარგადა აქვს დამუშავებული — იკეთებს თავის ლამაზ მსხვილ ცხვირზე. მერე დღის წესრიგს ამოიკითხავს, ღრმააზრიანი სახით ფურცლის არეზე ფანქრით რამდენიმე შენიშვნას მიაწერს და ასევე კარგად შემუშავებული მოძრაობით საჩვენებელ თითს გამოსდებს სათვალეს, მოიგლეჯს მას და ჯამბაზის სისწრაფით ჩაასრიალებს გულჯიბეში, საიდანაც ცხვირსახოცის ბოლოს ამოუყვია თავი. ყოველივე ამას ისე შთამაგონებლად და ისეთი მეცნიერული დარბაისლობით ასრულებს, რომ დარბაზში მსხდომთ აზრადაც არ მოუვათ, თუ პროფესორის გარეგნობის, დახვეწილი პირისახის მქონე კაცი სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ მარჯვე ადმინისტრატორია, ვისაც ხელი მიუწვდება მხოლოდ ინსტიტუტის მეურნეობაზე და სულ ესაა.

იგი ცნობილი მეცნიერების გვერდით ზის, როგორც ტოლი ტოლთან, და არც არავის უკვირს და არც არავინ უწყის, რომ ნოვოსელოვი ჯერ კიდევ შეცდომებით წერს და ამ ცოტა ხნის წინ მემანქანე ქალს მისი წერილის ბეჭდვისას ორი ორთოგრაფიული შეცდომის გასწორება მოუხდა — სიტყვა „მაიორის“ მაგივრად „მაეორი“ ეწერა და სიტყვა „არაყანის“ მაგივრად — „აროყანი“.

იგი პრეზიდენტში ზის. ამას ყველა მიეჩვია და აღარც არავის უკვირს...

პირველ ხანებში არც ეკატერინა გერასიმოვნას უკვირდა, მაგრამ აი ერთ მშვენიერ დღეს, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვაო, ნოვოსელოვის ფხიზელი თვალით შეხედა.

შეხედა და საოცრად შეშფოთდა.

— რას იზამთ, ეკატერინა გერასიმოვნა? — საბრალო ხმით შეეკითხა მომვლელი ქალი, ამდენი ხანი ადგილიდან ფეხი რომ არ მოეცვალა.

ამ დროს ოთახში დიასახლისიც შემოვიდა, ერთ ხელში ვაშლებითა და ნამცხვრით სავსე ლარნაკი ეჭირა, მეორეში კი — ასკილის ნაყენიანი შუშის სურა.

— ჩემი აზრით, ჯობს ნოვოსელოვი თქვენს ოთახში მიიღოს, — ურჩია მან ნოვოსელოვას.

— ოჰ, არა, არა, აქ არა! — წამოიძახა ეკატერინა გერასიმოვნამ შეშფოთებით.

როგორ უყვარს თავისი ოთახი! როგორ შეეჩვია აქაურობას, აქ მარტოდ-მარტო გაატარა მან ამდენი წელი. მცირედი პირადი ნივთები თითქოს მისი არსების ნაწილად ქცეულიყო. აქ, სარკიან კარადაში ეკიდა მისი კაბები, კოფრები, ძირს კი ყველანაირი ამინდის შესაფერისი რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი ეწყო — ყოველთვის შეკეთებული და გულდაგულ გაწმენდილი. იგი მიეჩვია ამ ნივთების გაფრთხილებას, თვითონ უვლიდა

მათ, ამხეურებდა, კემსავდა. კამოდში ეწყო თეთრეული და იქვე ინახავდა წერილებსა და ქაღალდებს, რომელთა გარეშე არსებობა ვერც წარმოედგინა: მეტრიკული წიგნაკიდან ამონაწერი — ოთხად დაკეცილი, გაცრეცილი ქაღალდი. ზედ ბეჭედი ესვა — ორთავიანი არწივი, საეკლესიო სლავური ასოებით იყო შევსებული და ხელს ივანოვო-ვოზნესენსკის ეკლესიის წინამძღვარი აწერდა. სწორედ ამ ეკლესიაში მოინათლა. დაბადების გრაფაში გაკრული ხელითა და გახუნებული მელნით გამოყვანილი იყო სახელი — ეკატერინა. მეტრიკული ამონაწერი იუწყებოდა, რომ იმ დღეს ივანოვო-ვოზნესენსკში ერთადერთი გოგო და თოთხმეტი ვაჟი მოეგლინა ქვეყანას. რატომღაც ეს ამბავი განსაკუთრებით ესალბუნებოდა ეკატერინა გერასიმოვნას გულს. კამოდის უჯრაშივე ჰქონდა შენახული ნიჟარებიანი ყუთი, იალტაში ყოფნის სამახსოვრო სუვენირად რომ ინახავდა. ყუთში ედო გიმნაზიის დამთავრების ატესტატი, მოწმობა იმისა, რომ იგი სამი წელი სწავლობდა მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებზე, მაგრამ არ დაუმთავრებია, ვინაიდან გარიცხული იქნა „კრასნაია პრესნიას“ აჯანყებაში მონაწილეობისათვის. აქვე ედო პარტილეთი, საოჯახო სურათები და ერთი-ც სამოქალაქო ომისდროინდელი ფოტოსურათი. ამ სურათზე აღბეჭდილი იყო დასავლეთ ფრონტის პოლიტგანყოფილების მუშაკთა ერთი ჯგუფი პოლონეთის პრომელიდაც სადგურის საწყობის წინ. სხვა პოლიტგანყოფილების მუშაკთა შორის ზემოდან მესამე რიგში შეამჩნევდით მამაკაცის ხალათში გამოწყობილ მეტად ახალგაზრდა შაბთვალწარბა გოგონას, ქამარზე რომ ნაგანი ეკიდა და თავზე სასაცილო, ბაფთიანი საზაფხულო ქუდი ეხურა. ეს გახლდათ ეკატერინა გერასიმოვნა, ჯერ კიდევ თავის გვარს — სკვორცოვას რომ ატარებდა, მაგრამ ამხანაგები მას უფრო პარტიული მეტსახელით — „იათი“ იცნობდნენ. ნიჟარებიან ყუთში საბჭოთა კავშირის ორდენებიანი და მედლებიანი წითელი კოლოფებიც ედო. ამ ჯილდოებს ეკატერინა გერასიმოვნა მოკრძალებისა და თავმდაბლობის გამო არასოდეს ატარებდა. გამონაკლისს მხოლოდ დიდი წითელი მედალი წარმოადგენდა. ეს გახლდათ მედალი, რაც „ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი გმირული შრომისათვის“ მიიღო. ამ ჯილდოს ყოველთვის ბავშვური სიამაყით იკეთებდა ხოლმე რევოლუციის დღესასწაულებსა და ქალთა საერთაშორისო დღეებში.

სულ ეს იყო მისი ავლადიდება. ლოგინი, პირსახოცები, ბალიშები, პიჟამოები, ჭურჭელი — ყველაფერი სახელმწიფოსი იყო, მაგრამ სიკიდილამდე მის საკუთრებად ითვლებოდა.

ამ ოთახში ეკატერინა გერასიმოვნას შეეძლო განმარტოებულიყო და მხოლოდ საკუთარ თავთან დარჩენილიყო, თუკი ზოგჯერ ინტერნატის ამხანაგთა საზოგადოებაში ყოფნა მოსწყინდებოდა.

არა, არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა ამ ოთახში შემოეყვანა ადამიანი, ვინც რა ხანია მისთვის უკვე უცხო გამხდარიყო!

— უკეთესია, მე თვითონ ჩავიდე დაბლა, — ყოყმანით უთხრა ეკატერინა გერასიმოვნამ დიასახლისს. — რა საჭიროა მისი აქ ამოსვლა.

იგი მივიდა ონკანთან, სადაც ცივი და ცხელი წყალი მოდიოდა, ხელპირი დაიბანა, შეიმშრალა, მწვანე ნაქსოვი კოფთა ჩაიცვა და თმა შეისწორა.

მერე კუთხეში მიყუდებული თავისი განუყრელი ჯოხი აიღო და ქმარყოფილის სანახავად გასწია. მიდიოდა ჩია, წელში მოხრილი, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ყოჩაღი ოთხმოცი წლის ასაკის პირობაზე. ჯოხს არასოდეს ეყრდნობოდა, ზოგჯერ ოდნავ შეახებდა ხოლმე წვერს იატაკს, უფრო მიჩვევის, ვიდრე საჭიროების გამო.

ეგრეთწოდებულ „სასტუმრო კუთხეში“ მჭდარი გამხდარი, ღარიბულად ჩაცმული მოხუცი ეკატერინა გერასიმოვნამ თავდაპირველად ვერც კი შეიცნო, ნოვოსელოვი ისე გამოცვლილიყო. მხოლოდ მაშინ, როცა გამოიხედა და სავარძლიდან ადგომისას აწრიალდა, მიხვდა, რომ ეს მისი ქმარყოფილი იყო.

— კატია, ეს მე ვარ, — უთხრა ნოვოსელოვმა და ცრემლიანი შიშხამდგარი თვალები მიაპყრო. — ხედავ, როგორ უღმობლად მომექცა ცხოვრება?

ეკატერინა გერასიმოვნაც არანაკლებ იყო შეცბუნებული.

ხმისამოუღებლად ჩასხდნენ ისინი ერთმანეთის პირდაპირ მდგარ სავარძლებში.

ქალს წარბები შეეჭმუხნა და ცდილობდა გაეგო, რამ აიძულა ქმარყოფილი მასთან მოსულიყო.

„გისმენთო“, — უნდოდა ეთქვა, მაგრამ დროზე მოიფიქრა, რომ ეს ყალბი სიტყვა იქნებოდა და გაჩუმდა.

ქალს მოეჩვენა, რომ ნოვოსელოვი ასლუკუნდა. ახსოვდა, ბილწი, ანგარიშიანი და ცბიერი ხასიათი ჰქონდა, და ამიტომაც ვერაფრით წარმოედგინა, რომ იგი მოვიდა, რათა უბრალოდ სიკვდილის წინ პატიება ეთხოვა.

ნოვოსელოვი კი სწორედ ამისათვის იყო მოსული.

მომაკვდავ, მარტოსულ, ყველასაგან მიტოვებულ ბერიკაცს უძილობის ჟამს სინდისი ქენჯნიდა ხოლმე. იმის დიდი დარდიც სტანჯავდა, რომ ასე უსახელოდ შეწყდა მისი კარიერა, და ახლა ეკატერინა გერასიმოვნასთან მილასლასდა, რათა უკანასკნელი ნავთსაყუდელი ეპოვა. ყველაზე მეტ დამნაშავედ თავს ამ ქალის წინაშე თვლიდა და ბოლო ხანებში, განსაკუთრებით კი ოპერაციის შემდეგ, გამუდმებით ტანჯავდა ის აზრი, რომ ეკატერინა გერასიმოვნას შენდობის გარეშე წავიდოდა ამ ქვეყნიდან.

ქალი გულისყურით შეჰყურებდა გამადიდებელი სათვალისაგან და ელოდა, კიდევ რას ეტყოდა ყოფილი ქმარი. სულიერი დაძაბულობის ჟამს ეკატერინა გერასიმოვნას მეტად უქვეითდებოდა ხოლმე სმენა და მაშინ იძულებული ხდებოდა სასმენი აპარატი მოეშველიებინა. ახლაც ჩაიდო ყურში პატარა თეთრი დილაკი და იქვე, ნოვოსელოვის წინ, ასანთის კოლოფის ტოლა აპარატი დადგა.

ნოვოსელოვს ჯერ ეგონა, მაგნიტოფონია და ჩემი სიტყვების ჩაწერას აპირებსო. შემკრთალმა პირი იბრუნა, მაგრამ დროზე მიხვდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ უვნებელი სასმენი აპარატი იყო, და დამშვიდდა. მაგრამ განცდილმა შიშმა დააბნია და იმის მაგივრად, რომ უბრალოდ, ადამიანურად ეთქვა: „მაპატიე, კატიაო“, ის რაღაცეებს მიედ-მოედო და თავისი უიღბლო ცხოვრების, თავისი უბედურების, სიღარიბისა და ბოლოს თავისი ავადმყოფობის ამბავი უთხრა. ექიმებს ადანაშაულებდა, ცუდად მკურნალობენო. კუჭის ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ, გასჭრეს და მაშინვე დახურეს, საშიში ვერაფერი უნახეს, სიარულის ნებაც კი დართეს. ის კი დღითი დღე იკლებს წონაში, ჯოჯოხეთუ-

რი ტკივილებით იტანჯება, ვერაფერს ჭამს და გრძნობს, რომ აღსასრულის დღე უახლოვდება. „ეშმაკმა დასწყევლოს ეგ ბეითლები, ვერაფერს მშველიან“.

მერე მის დამღუპველ ქალზე წამოიწყო ლაპარაკი, როგორ ვერაფერად ატყუებდა და ყოველ მამაკაცზე ცვლიდა, როგორ გამოძალა შემნახველ სალაროში შეტანილი მთელი თანხა, მალულად გაუყიდა ნივთები, ავეჯი და კლასიკოს მწერალთა ტომები — ერთი სიტყვით, სულით ხორცამდე გასცალა და მერე უსინდისოდ მიატოვა. წასვლამდე იმდენი მოახერხა, საჩივარი დაწერა, თითქოს ნოვოსელოვი ფულს ძალავდა ინსტიტუტში შემსვლელ აბიტურიენტებს, თითქოს მან პარტიაში შესვლისას დამალა თავისი წარმოშობა. ნოვოსელოვი თავის მართლებას არ აპირებს, მართალია, საჩივარში აღნიშნული ზოგიერთი ფაქტი დადასტურდა და პარტიულიც დაკარგა, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, საქმე სასამართლომდე არ მისულა. თუმცა ნეტავი მისულიყო, ნახავდნენ სხვები, რომ არავის დაინდობდა, მაგრამ სასამართლო არ შემდგარა, მხოლოდ ინსტიტუტიდან გამოაგდეს — „მხედველობაში არ მიიღეს ჩემი დამსახურება, ჩემი ამდენი ხნის საქმიანობა“.

— წარმოგიდგენია, კატია! — გაცეცხლებული ჰყვებოდა ის, — ვისთვის დავისაჯე? ვისთვის ვეწამე? ნამდვილი არარაობისათვის; ის ქუჩის ქალი, ისა. მე სულელი სილამაზეს დავხარბდი, სილამაზით კი, თქმა არ უნდა, მართლაც მთელ მოსკოვში განთქმული ქალი იყო. ხომ მართალს ვამბობ? ამას შენც ვერ უარყოფ. ფაქტი ჭიუტია. მაგრამ როგორი ბილწი აღმოჩნდა! ასე არ არის?

ნოვოსელოვს უკვე აღარ ახსოვდა მოსკოვის მიწეზი და ისეთი გატაცებით დაიწყო „იმ დედაკაცის“ სილამაზის აღწერა, თითქოს მხოლოდ ამას შეეძლო ეკატერინა გერასიმოვნას თვალში არა მარტო გაემართლებინა იგი, არამედ ფასიც აეწია ასეთი ვნებისათვის. მერე კვლავ მიუბრუნდა იმ ამბავს, თუ როგორ გამოაგდეს ინსტიტუტიდან, როგორ დააკარგვინეს ყველაფერი. სხაპასხუპით ამბობდა გაზეპირებულ სიტყვებს, ვიღაც მიშაკოვი დიდი ხანია ძირს მითხრიდაო. მერე სიტყვა შუაზე გაწყვიტა და თავის ქებას მოჰყვა. თან ისეთი ამპარტავანი სახე მიიღო, რომ ეკატერინა გერასიმოვნას წინანდელი ნოვოსელოვი დაუდგა თვალწინ.

ქალი მიშტერებოდა ბერიკაცს, უსმენდა მის ყბედობას და უფრო და უფრო ზიზღდებოდა იგი. ელოდა, ბოლოს და ბოლოს როდის იტყვის სრულ სიმართლეს, როგორ დამასმინაო, მაგრამ ნოვოსელოვი მოხერხებულად უვლიდა გვერდს თავისი ცხოვრების ამ შემთხვევას და მხოლოდ ერთხელ, ისიც გაკვრით, ყრუდ თქვა:

— მე, რა თქმა უნდა, კატია, მაშინ უსინდისოდ მოგექეცი, მაგრამ ჩემი მდგომარეობაც უნდა გაიგო: იმ ქალმა მომაჯადოვა... ვნებამ თავგზა ამიბნია. ის ისეთი ლამაზი ქალი იყო! — დაუმატა მან და თვალეები ცრემლით აევსო.

ეკატერინა გერასიმოვნამ უხეშად გამოიძრო ყურებიდან თეთრი დილაკი, ზონარი მიმღებზე დაახვია და კოფთის ჯიბეში ჩაიღო.

ქალი გაქვავებული იჯდა, აღარ უსმენდა ნოვოსელოვს. მისი ლაქლაქი აღარ აინტერესებდა. ბერიკაცი კი ვერაფერს ამჩნევდა და გაუთავებლად ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ბოლო არ უჩანდა მის ყბედობას. მაგრამ უცებ თითქოს გონს მოეგო, ერთბაშად გაჩუმდა, თავი მრგვალ მაგიდაზე ჩამოღო და ატირდა.

— კატია, — წარმოთქვა მერე ყრუ ხმით და სველი პირისახე ასწია, — მომიტევე...

ეკატერინა გერასიმოვნამ ვერაფერი გაიგონა და ყურთან ხელი მიიღო.

— რა მითხარი?

— მომიტევე, კატია! — დაიყვირა ნოვოსელოვმა ხმამაღლა, ეკატერინა გერასიმოვნას რომ გაეგონა.

რადგან ქალმა არაფერი უპასუხა, ნოვოსელოვმა მუქი ფერის ჭუჭყიანი ცხვირსახოცით ლოყები შეიმშრალა და ოდნავი ღიმილით გაიმეორა:

— მომიტევე, კატია, ქრისტე ხომ გვიქადაგებს, მტრებს მიუტევეთო.

ეკატერინა გერასიმოვნას სისხლი მოაწვა, ლოყებზე ალმური მოედო, სათვალის გამადიდებელი შუშით გაფართოებული თვალები აუელვარდა.

„მომწყდი აქედან, შე ბილწოო!“ — კინაღამ დაუყვირა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი.

სავარძლიდან სწრაფად წამოდგა და სხაპასხუპით მიაყარა:

— ივან ნიკოლაევიჩ, მე თქვენი ნახვა არ მსურს, თქვენთან ყოფნა არ მსიამოვნებს. გთხოვთ, მოიღოთ მოწყალეობა და ამიერიდან ნულარ შემაწუხებთ თქვენი მობრძანებით. ჩვენ შორის არ შეიძლება... არ შეიძლება საერთო იყოს რაიმე... წადი... ახლავე წადი აქედან...

მერე ხელი დასტაცა ფიკუსის კასრზე მიყუდებულ ჯოხს და თითქმის სირბილით წავიდა — გაეცალა ნოვოსელოვს. ჩია, წელში ოთხად მოკაკული ოთხმოცი წლის მოხუცი ქალი, ვერცხლისფერ თმაში რომ მკვეთრად გამოერჩეოდა თმის სარჭის შავი თავები, ფარდაგდაფენილ კიბეს აუყვა და გვერდით ჩაუარა მოოქროვილ და დიდ ჩარჩოში ჩასმულ სურათს, ზედ რომ რუსული პეიზაჟი იყო გამოსახული, არყის ხეებითა და პატარა მდინარეზე გადებული ხის ბოგირებით, მდინარეში კი ნაზად და სევდისმომგვრელად იკლავებოდა მოწითალო ღრუბლის ფთილები.

მთელ ინტერნატს მაშინვე ელვის სისწრაფით მოედო ცნობა, ეკატერინა გერასიმოვნას ყოფილი ქმარი ჩამოვიდა და პატიება სთხოვაო. ყველას აინტერესებდა, შეუნდობდა თუ არა ქალი ქმარს დანაშაულს.

ეკატერინა გერასიმოვნა, რათა ცნობისმოყვარე ხალხის მზეერა აერიდებინა, დინჯი ნაბიჯით თავის ოთახში შევიდა და კარი ჩაიკეტა.

მომვლელმა ქალმა ნოვოსელოვი გასახდელში შეიყვანა, მოეხმარა პალტოს სახელოში ხელი გაეყარა, კაკლის სიმსხო ორი დამჭკნარი ფორთოხლიანი ბადურა მიაწოდა და ინტერნატის კარებამდე მიაცილა. მერე ერთხანს ფანჯრიდან თვალი გააყოლა, როგორ ნაპირ-ნაპირ გაუყვა სადგურისაკენ მიმავალ ტალახიან გზატკეცილს გამხდარი, გულგატეხილი ბერიკაცი. სადგურთან კი ჯერ ისევ ტრიალებდნენ განძელების გამომცვლელი გოგონები, ყვითელი ჟილეტები რომ ეცვათ.

მომვლელი ქალი მეორე სართულზე ავიდა, სადაც პენსიონერები სადილის მოლოდინში დერეფანში სეირნობდნენ, და ყველას გასაგონად ჩურჩულით თქვა:

— არ აპატია, ხედავთ, როგორი ჯიუტია!

ეს ისე თქვა, ვერ გაიგებდით, უწუნებდა თუ უწონებდა საქციელს ეკატერინა გერასიმოვნას.

ამ ამბის შემდეგ გავიდა რამდენიმე თვე: ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი...

„ნაძვის სიმწვანე ხალისს მატებს ფერებით ღარიბ ტყეს და ნაზამიტრალ ველს დაჰნათის ცისფერი ხომლი, ნებდება უხმოდ თებერვალი სუსხიან ქარებს და ღარტაფებში საღამოსფრად მუქდება თოვლი...“

დასრულდა გრძელი ზამთარი, ისეთი, შუა რუსეთში რომ იცის ხოლმე. მარტის დამდეგი იყო, საუცხოო მზიანი დარები დაიჭირა. ის-ის იყო ეკატერინა გერასიმოვნამ ისაუზმა საერთო სასადილოში და გასასეირნებლად ემზადებოდა, — ფეხზე ორი წყვილი შალის მაღალყელიანი წინდა და რეზინის ბოტები ჩაეცვა — რომ შეატყობინეს, ტელეფონზე გკითხულობენო.

ტელეფონი პირველ სართულზე იყო, გასახდელში. ეკატერინა გერასიმოვნამ სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირბილით ჩაირბინა კიბე. დარწმუნებული იყო, რედაქციიდან ურეკავდნენ და სთხოვდნენ, ქალთა დღისათვის პატარა საგაზეთო სტატია დაეწერა — ძველი კომუნისტური ქალის მოგონება. ყოველ წელს ელოდა ეკატერინა გერასიმოვნა ამ სასიამოვნო ზარის ხმას. და ამიტომ წინასწარ მოისაზრებდა ხოლმე, რა უნდა დაეწერა, თან ცდილობდა, ნათქვამი არ გაემეორებინა. შარშან გაზეთის მკითხველებს მოუთხრო, საბჭოთა სახელმწიფოს გარიჟრაჟზე ქალები და, კერძოდ, თვითონ ეკატერინა გერასიმოვნა როგორ იბრძოდნენ ძერჟინსკის კომისიაში ბავშვთა უპატრონობის ლიკვიდაციისათვის. ამ წერილში ეკატერინა გერასიმოვნა ეცადა დაეხატა პორტრეტი უდრეკი ბოლშევიკი-ლენინელის „რკინის ფელიქსისა“. ამჯერად კი მან გადაწყვიტა მკითხველისათვის მოეთხრო, როგორ იჯდა თვითონ ცარიზმის დროს ბუტირკის ნესტიან განმარტოებულ საკანში, სადაც სამუდამოდ დააკლდა ყურს, და ჩვიდმეტი წლის გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს როგორ განთავისუფლა იგი აჯანყებულმა ხალხმა.

ყურმილი აიღო. გაზეთიდან როდი ურეკავდნენ, მოსკოვის რომელიღაც საბინაო კანტორიდან იყვნენ. მამაკაცის უცნობმა უსიამოვნო ხმამ ამხანაგების სახელით აუწყა, რომ გარდაიცვალა მათი სახლის მობინადრე პენსიონერი ივანე ნიკოლოზის ძე ნოვოსელოვი. სამოქალაქო პანაშვიდი ხვალ დღის თორმეტ საათზე სახლმმართველობის წითელ კუთხეში შედგება და გთხოვთ, არ დაიგვიანოთო.

— კეთილი, ვეცდები, — უპასუხა ეკატერინა გერასიმოვნამ და ყურმილი დადო.

ნოვოსელოვის გარდაცვალების ცნობას მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია, თითქოს ქმარყოფილი კი არა, ვიღაც სრულიად უცხო მოხუცი გარდაცვლილიყოს სადღაც იქ, მოსკოვში, მისთვის უცნობ ქუჩაზე, კომუნალური ბინის ოთახში, სახლის რამდენჯერმე გაცვლის შედეგად რომ ერგო ნოვოსელოვს.

ეს კაცი დიდი ხანია ეკატერინა გერასიმოვნასთვის აღარ არსებობდა

როგორც პიროვნება, ასე რომ ქმარყოფილის სიკვდილი არ შეხებია მის სულს. ამ ცნობაში მხოლოდ უსიამოვნო გრძნობა დაუტოვა და მეტი არაფერი.

კვერნის ვიწროსაყელოიანი დრაპის მოკლე პალტო ჩაიცვა, თავზე ნაქსოვი ქუდი დაიხურა და ინტერნატიდან ადრეული გაზაფხულის დამატრობელ ჰაერზე გამოვიდა, გამოვიდა და მაშინვე თვალი მოსჭრა ყინულის ლოლუების ბრჭყვიალმა, ბრდღვიალა მზემ და სიცილიურმა ლურჯმა ცამ — როგორც მხოლოდ მარტის თვეში იცის ხოლმე შუა რუსეთში — ჯერ ისევ თვალისმომჭრელი თოვლით დაფარულ უკიდევანო სივრცეს რომ გადამხობოდა თავზე.

ეკატერინა გერასიმოვნა ბუნების დიდი ტრფიალი გახლდათ და ამიტომ ყოველდღე — დარსა თუ ავდარში, სამ საათს სეირნობას ანდომებდა. თუმცა მთელი ის არე-მიდამო ხელისგულივით იცოდა, ყოველი გასეირნებისას მისთვის რაღაც საინტერესოს მაინც აღმოაჩენდა ხოლმე და ეს სეირნობა მარტო სივრცისა და დროის შერწყმას როდი წარმოადგენდა, წარსულზე, აწმყო-სა და მომავალზე ფიქრის წყაროდაც ქცეულიყო. წვრილმანი საზრუნავისა და ქვენა გრძნობებისაგან განთავისუფლებული მისი ოცნება აქ, ბუნების წიაღში ლაღად და საამოდ მიედინებოდა, ისე როგორც ეს ბილიკები, რასაც იგი დიდი ხალისით მიუყვებოდა, მიუხედავად ოდნავ შესამჩნევი კოჭლობისა — ოქტომბრის დღეებში მოსკოვის ალექსანდროვის სასწავლებლის აღების დროს დაიჭრა იგი ფეხში.

ინტერნატის ვერც ერთი ამხანაგი ვერ ბედავდა მასთან ერთად სეირნობას — იგი ისე ჩქარა დადიოდა, ფეხს ვერავინ უწყობდა. თუმცა ამ ბოლო ხანებში ისეთ სიმკვირცხლეს ვეღარ იჩენდა, მაგრამ სასეირნოდ მაინც ყოველდღე გამოდიოდა, ჩვეულებაზე ხელს არ იღებდა.

დღეს კი ისეთი გზა ამოიჩნია, ყველაზე მეტად რომ შეეფერებოდა ამ საუცხოო დილას: ეს იყო ორსაათიანი სეირნობა ინტერნატის გარშემო მრავალფეროვანი და დახლართული ბილიკებით.

ინტერნატი ახლოს იყო პატრიარქის საზაფხულო სავანესთან და რაც გინდა შორს წასულიყო ეკატერინა გერასიმოვნა, იქიდან მაინც ჩანდა ეკლესიის გუმბათი, ჯერ კიდევ ივანე მრისხანეს დროს რომ აეგოთ ბოიარ კოლიჩევების მამაპაპურ მამულში. ეს ის მეამბოხეთა გვარი გახლდათ, ვინც ივანე მრისხანეს ძირფესვიანად ამოეძირკვა.

სოფლის პატარა სასაფლაოს, სადაც ჯერ კიდევ შეხვდებით რვაას თორმეტი წლის სამამულო ომის მონაწილეთა ლოკოკინებით ამოჭმულ საფლავის ქვებს, ჩვენ დრომდე შემოუნახავს ივანე მრისხანეს მიერ დასჯილი თექვსმეტი კოლიჩევის ობელისკი.

...არავის ინდობდა მეფე ივანე...

ყოველთვის, სეირნობისას, როცა შემოგარენის თავზე ოქროში მოლივლივე პატარ-პატარა მზეებევით უცებ აღიმართებოდა საპატრიარქო ეკლესიის გუმბათები, ეკატერინა გერასიმოვნას მისთვის დამახასიათებელი სიციხოვლით თვალწინ წარმოუდგებოდა ზამთარი, ტყიანი გზა, ცხენზე ამხედრებული ბეწვის

ქუდიანი ივანე მრისხანე, გარს მუდამ თავისი მამაცი ოპრიჩნიკები რომ ეხვია, ვისაც უნაგირზე ოპრიჩნიკის სიმბოლო — ძაღლის თავი და ცოცხი ჰქონდათ მიბმული.

...გარშემო კი ასწლოვანი ნაძვები და ბებერი ფიჭვები ღრმად ჩაფლულიყო მარტის დილის ამ ადრეული გაზაფხულის ნათლით გაკაშკაშებულ ნამქერებში. ხეთა ლაყვარდოვანი ჩრდილებით გადასერილ სარკესავით მოყინულ გზაზე ისმოდა გლეხის ალაღის ჭრიალი, მოსკოვში გასაყიდად რომ მიჰქონდათ ლაფნის ყუთებში ჩაწყობილი შტოში, გაყინული ფარგა და ტყის ქათამი.

სიარულისას ეკატერინა გერასიმოვნა ადგილ-ადგილ ძველ ნათხილამურებს აწყდებოდა და ისიც ამ გზას დაადგებოდა, გზადაგზა თხილამურის ჯოხის ნაკვალევიც ხვდებოდა — თოვლზე შუაში გახვრეტილი წრეები აღბეჭდილიყო, ეს წრეები ერთმანეთს კარგა მანძილით დასცილებოდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეთხილამურეს ფართო ნაბიჯით ევლო, ეს კი ეკატერინა გერასიმოვნას მეტ ენერგიას მატებდა: თითქოს უცნობ მეთხილამურეს ეჯიბრებოდა. ზოგჯერ მოულოდნელად მუხლამდე ეფლობოდა თოვლში, მის ფეხქვეშ ასე საამურად რომ ჭრაჭუნებდა, მიდიოდა და თან გარემოს ათვალეერებდა — ტკბებოდა მოსკოვის გარეუბნების მრავალფეროვანი ბუნების სილამაზით, ღრმად ისუნთქავდა ზამთრის ტყის შეუდარებლად სუფთა და თან დამატრობელ ჰაერს, კანიფოლისა და სკიპიდარის სურნელებას რომ ავრცელებდნენ ირგვლივ.

ამჯერად მან არყის ხეივანში შეისვენა. ყოველმხრივ შემორტყმოდა კრიალა თეთრი ხეები და მათი ფერი ერწყმოდა შორეული ცის ასევე ნაზ, თეთრზე უთეთრეს ფერს.

ეკატერინა გერასიმოვნამ თავისი ხელჯოხი თოვლში ჩაარჭო და ირგვლივ გამეფებულმა სიწყნარემ ნეტარება მოჰგვარა. ეს მყუდროება მას ყოველთვის სრულყოფილი, გარდუვალი და სამარისებური ეჩვენებოდა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ასეთი სიწყნარე ბუნებაში არ არსებობდა. ეს მხოლოდ სწრაფად განვითარებული სიყრუის შედეგი თუ იყო.

ხელზე წამოცმული ხელთათმანები კბილით გაიძრო, სასმენი აპარატი ამოიღო, ყურზე მოირგო და თავი მაღლა ასწია. ირგვლივ კვლავ ღრმა და სრულქმნილი სიჩუმე გამეფებულიყო, მაგრამ ეს აღარ იყო სამარისებური სიჩუმე. ახლა ამ სიჩუმეში ათასგვარი ხმა ირეოდა.

...სადღაც კოდალა აკაკუნებდა; აი თოვლის სიმძიმით მოტეხილი ხის ტოტი ტკაცანით დაასკდა მოლიბუღ მიწას; გაისმა რომელიღაც გარეული ფრინველის მოკლე ჭახჭახი, თითქოს გადატეხილი ხის ტკაცანიაო; ბეტონის განძელებიან ახალ ლიანდაგზე რახრახითა და გრიალით ჩაიარა ბუდაპეშტის ექსპრესმა — ტოტებს შორის გამოჩნდა, როგორ გაიელვა ლითონის ვაგონებმა და თოვლზე აქეთ-იქით დამტვერილი სარკის მინების ანარეკლი ააკიაფა; აგერ ტლანქი ვერტმფრენი გამოჩნდა, თითქოს ძლივძლივობით მიარღვევდა ჰაერს თავისი მბრუნავი ნიჩბებით; ტყის თავზე ოდნავ გვერდულად ჩაიქროლა შუბის წვერის მაგვარმა სამგზავრო თვითმფრინავმა და მაშინვე სწრაფად აიჭრა მაღლა, ცაში. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც თვალს მიეფარა, ხის კენწეროები

ცოცხებით აატყლაშუნა მისი რეაქტიული ძრავის ხმაურმა. შორიდან ზარბაზნის გასროლის ხმამაც მოაღწია — ეს ვნუკოვოს აეროდრომზე ხვდებოდნენ ვილაც საპატიო სტუმარს: პრეზიდენტს, იმპერატორსა თუ ხელმწიფეს.

ეკატერინა გერასიმოვნა ამ ადგილებს ხომ ჯერ კიდევ რევოლუციამდე იცნობდა. ადვილი შესაძლებელია სწორედ აქ, ამ ადგილას ანდა სულაც სადღაც აქვე ახლოს, ეგრეთ წოდებული სამარინის ტყეში მოეწყო ის მაისობა, როცა იგი სრულიად ახალგაზრდა სტუდენტი გოგო დააპატიმრეს და ბუტირკის განმარტოებულ ნესტიან საკანში ჩააგდეს. სწორედ ამ შემთხვევის სამახსოვროდ შეარქვეს ეკატერინა გერასიმოვნას პარტიული მეტსახელი.

...იმ ხანად ტყეში უამრავი ია ყვაოდა...

დროდადრო ლიანდაგზე პატარა ორთქლმავალს მობმული სასაცილო სააგარაკო მატარებელი ჩაივლიდა ხოლმე. შავი მილიდან მყრალ კვამლს ბოლქვა-ბოლქვა უშვებდა, ტყეში მდგარ ხეებს ჭვარტლს აფრქვევდა და ქალაქის პოლიციელების თეთრ კიტელებს ნახშირის წვრილ-წვრილ მარცვლებს აყრიდა.

ეკატერინა გერასიმოვნა ერთ ადგილას იდგა და ავტომობილების ხმას უგდებდა ყურს. გზას თვალი ვერ წვდებოდა, მაგრამ ესმოდა, ტყის გადაღმა როგორ მიქროდნენ მანქანები მინსკის გზატკეცილზე. ერთ დროს ამ ადგილას გზატკეცილის მაგივრად ღორღით აქა-იქ მოფენილი გზა გადიოდა და მტვრის კორიანტელში ერთიანად გახვეული ბატონების ეტლები მიქროდა, ხრიგინ-ხრიგინით მიუყვებოდა გზას გლახთა ფორნები, ჰაერში საქონლის ოფლისა და ფუნის სუნი იდგა, ცხენების ფაფარს კი თავს დაბზუოდა ტყვიისფერი ბუზები.

საიდანღაც ბულდოზერებისა და ექსკავატორების რახრახიც შემოესმა, ერთ ადგილას, მაღლა, სულ მაღლა, ცხაურიანი ამწე ტრიალებდა. ეკატერინა გერასიმოვნამ იცოდა, რომ აქ ახლა მუშათა უბანი შენდებოდა.

რა ხანია იგი აქ ცხოვრობდა და კარგად იცოდა, სად რა შენდებოდა, სად რა იყო შესაკეთებელი, სად რა გაჰყავდათ. ერთ დროს მიყრუებული სააგარაკო ადგილი მის თვალწინ თანდათან გადაიქცა ელექტრონით გაჩახჩახებულ საცხოვრებელ უბნად, საკუთარი წყლის მილები, კანალიზაცია, ტელეფონი, სამშენებლო კანტორები, პოლიკლინიკა, მაღაზიები, საპარიკმახერო და სადგურის რესტორანი რომ ჰქონდა. ახლა აქ ყველგან მიწას თხრიან და შიგ გაზის მილებს აწყობენ. ათასობით ადამიანი უკვე ხუთსართულიან პანელიან სახლებში ცხოვრობს და ძირითადად სწორედ მათთვის მიმოქრიან სწრაფ-მავალი ელექტროვაგონები და სამარშრუტო ტაქსები.

ეკატერინა გერასიმოვნა უკვე იმდენად მიეჩვია ცხოვრების ამ ორმტრიალს, მის განუწყვეტლივ მდინარებას, რომ ზოგჯერ ვერც კი ამჩნევდა ამ ცვლილებებს, ზოგჯერ კი, როცა თითქოს უეცრივ შედგებოდა და ირგვლივ მიმოიხედავდა, რწმუნდებოდა, რა ბევრის გაკეთება მოუსწრია ხალხის საკეთილდღეოდ იმ ახალგაზრდა მთავრობას, რომლის გამტკიცებისათვისაც თვითონაც მთელი სიცოცხლე იბრძოდა. და მაშინ მისი ხანდაზმულობა, შავი ბებრული ფიქრები, — უძილობისას რომ მოეძალებოდა ხოლმე, — სმენისა

და მხედველობის დაქვეითება, სვებედური და მოუწყობელი პირადი ცხოვრება, მარტოობა, გარდაუვალი სიკვდილის შიში, ყველაფერი დავიწყებას ეძლეოდა და იგი ისეთ სულიერ აღმადრენას გრძნობდა, ისეთ სიხარულს განიცდიდა, რომ საკუთარ თავზე ბედნიერი არავინ ეგულებოდა ამ ქვეყნად.

როცა მან საკმაოდ ისუნთქა ტყის ჰაერი, დატკბა ბუნების სიმშვენიერით, მოისმინა ათასგვარი ხმა და სიარულითაც საკმაოდ დაიღალა, გამოვიდა გზაზე, სადაც თოვლი აქა-იქ გამდნარიყო და ოხშივარი ასდიოდა. გზაზე, მაღალ ფერდობს რომ მიუყვებოდა — იგი ერთიანად დაეფარა ბარდმოდებულ სასაფლაოს — მუშათა დაბიდან სადგურისაკენ მთელი ოჯახებით, დიდიან-პატარიანად მიდიოდნენ მუშები და კოლმეურნეები. ბევრ მათგანს ეკატერინა გერასიმოვნა პირადად იცნობდა.

ისინი ლამაზ, სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილნი, ესალმებოდნენ ეკატერინა გერასიმოვნას: მამაკაცები ბეწვის ქუდებს იხდიდნენ, ქალები კი უღიმოდნენ და კარს მომდგარ ქალთა საერთაშორისო დღეს ულოცავდნენ, ხოლო ბავშვები, ქეჩის ჩექმებზე ახალი კალოშები რომ ჩაეცვათ, ხელთათმანებს უქნევდნენ დიდებას — ის ხომ ხშირად ხვდებოდა ხოლმე მათ გზაზე და ზოგჯერ ირისსა და თაფლისკვერებს ურიგებდა.

...ეკატერინა გერასიმოვნა კარგა ხანია, რაც ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად იქცა...

სასაფლაო სავსე იყო ჯვრებით. აქ იდგა ძვირფასი ადამიანის სამარის წინ ჩამოსაჯდომი სკამები, შუშის ქვეშ მოჩანდა ფოტოსურათები, ვიწრო, პატარა, მოუწყვსრიგებელ სასაფლაოზე ირხეოდა ბებერი ფიჭვები, ბუჩქნარები, ჩანდა ქალაქის ხატები, ძველისძველი საფლავები თუ სულ ახლახან გაჭრილი სამარეები. სამი, ცად აწვდილი ასწლოვანი ორკაპა ფიჭვის მახლობლად მარმარილოს წვეტიანი ლოდი იდგა. იქ იყო ცნობილი პოეტის საფლავი.

ამ სასაფლაოს გადაღმა იყო კიდევ ერთი სასაფლაო, სადაც ინტერნატის პერსონალურ პენსიონერებს კრძალავდნენ. იგი ფერდობის მოტიტვლებულ მხარეს მოეწყობათ და შიგ ერთი მცენარეც კი არ დაერგოთ. სასაფლაო პატრიარქის ვაშლის ბაღს ესაზღვრებოდა და მისგან ხის ღობით იყო გამოყოფილი. მაღლობიდან ლამაზი სანახაობა იშლებოდა მდინარისა, რკალად რომ ევლებოდა ვრცელ საკოლმეურნეო მინდორს და სადღაც შორს მიედინებოდა, ბზისა და შოთხვის ბარდებ-ბუჩქებში. ერთ დროს იგი დიდ სანაოსნო მდინარედ ითვლებოდა და მათიანეებშიც კია მოხსენიებული. ამ მდინარეზე დაცურავდნენ სანაოსნო გემები. ბურლაკები ეწეოდნენ ჭვავით, ქერელითა და ნედლი ტყავით მძიმედ დატვირთულ ბარჟებს. დროთა ვითარებამ ერთ დროს წყალუხვი მდინარე გაათავთხელა, თანდათან დაილია, ახლა ძლივს შესამჩნევად მიედინებოდა და ნაკადულივით მიიკლავებოდა. იმდენად დაპატარავებულიყო, რომ ქათამიც კი გავიდოდა ფონს.

ახლა მდინარეზე უზარმაზარი გაზგაყვანილობის მიწები გაედოთ, ზედ გაფისული ქალაქის საიზოლაციო ზონრები რომ ჰქონდა შემოხვეული. მიწების

უმრავლესობა მდინარის გაყოლებაზე ეყარა, ბიტუმთან რკინას კასრებს შორის, სადაც ბუტაღდა და ხრჩოლაღდა რამდენიმე კოცონი.

ჯერ კიდევ ერთიანად თოვლით დაფარულ საკოლმეურნეო მინდვრის შუაგულში მოჩანდა ფიცრული ფარდული. მთელ მინდორზე ხენდრო მოჰყავდათ და მერე ამ ფიცრულებში ინახავდნენ.

ღია ფერის სვიტერებში გამოწყობილმა რამდენიმე მეთხილამურემ მინდორი გადაჭრა. მათი ალუმინის ჯოხებს ლაპლაპი გაუდიოდა და თვალის მომჭრელ თოვლზე იისფერი ნაკვალევი რჩებოდა.

დაისვენა, დატკბა ბუნების გაშლილი სურათის ცქერით. თითქოს განგებო, შუარუსეთის ბუნების მთელი სიმშვენიერეს აქ მოეყარა თავი: მინდორი, წიწვიანი ტყე, შერეული ტყე, ძველი არყების ჭაობისფერი ვერხვები, მარჯნისფერი მოწითალო ტირიფები, გამჭვირვალე ბუჩქ-ჯაგნარი, ძელურქოხებიანი სოფელი, ცირცელიანი ბაღები, ასწლოვანი წნორებით შემორგულა საგუბარი, მის გაღმა კი გაყინული გუბურა, ზედ ბუზის ტოლად მოჩანდნენ სოფლის პატარა ბავშვები, თვითნაკეთი ჯოხებით შაიბას რომ მიაგორებდნენ; იქით, გუბურას გაღმა, ბზინავდა სათბურების მინები, მის თავზე კი ცენტრალიზებული გათბობის ახალი მილი აღმართულიყო, ზამთრის მზის შუქზე მოწითალო სტაფილოსფერი რომ ჩანდა, ჰორიზონტზე კი მოვარდისფერო-მოლურჯო.

დაიარა ინტერნატის სასაფლაო, სადაც ტყუპისცალებივით ჩამწყრივებულიყო დაბალი ქვის საფლავები. საფლავზე ირიბად დადებულ მარმარილოს ფირფიტაზე ამოკვეთილი იყო ძველი კომუნისტების გვარები და სახელები. მათ თითქმის ყველას კარგად იცნობდა ეკატერინა გერასიმოვნა.

ყოველგვარ სამგლოვიარო ზიზილ-პიპილოებს მოკლებულ ამ სასაფლაოს რაღაც ასკეტური, მეტად მკაცრი, თითქმის პროტესტანტული იერიც კი დაჰკრავდა.

აქ დაკრძალულმა ადამიანებმა ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწიეს და თავისი ცხოვრების ნახევარი მეფის საპყრობილეში, გადასახლებაში და კატორღებში გაატარეს.

ეკატერინა გერასიმოვნამ მონახა თავისი ყველაზე ახლო მეგობრის, ბუტირკის ციხის ამხანაგის, რევოლუციონერი სონია სოკოლოვას საფლავი, იგი სამი წლის წინათ გარდაცვლილიყო. მარმარილოს ფილიდან თოვლი გადაბერტყა და ზედ სეირნობისას მოტეხილი ბზის რამდენიმე ტოტი დააწყო. ბზას უკვე კვირტები გამოეღო და ტოტზე აქა-იქ ვერცხლისფერი ღინღლებიც გასჩენოდა.

სონია სოკოლოვა ის ადამიანი და ამხანაგი გახლდათ, ვისთანაც გაიქცა ეკატერინა გერასიმოვნა იმ საშინელ დამეს, როცა მან ნოვოსელოვს ყველაფერი დაუტოვა, რათა მარტოხელა ადამიანის ახალი ცხოვრება დაეწყო.

ეკატერინა გერასიმოვნას გაახსენდა, რომ გუშინ გარდაიცვალა ნოვოსელოვი. თვალწინ წარმოუდგა, როგორ წევს იგი სახლმმართველობის წითელ კუთხეში მდგარ კუბოში, თვალწინ წარმოუდგა ბურბუშელით გატენილ ბალიშზე დადებული მისი მელოტი თავი, უფერული გამხდარი ხელები, სამუდამოდ დახუჭული თვალები, დასიებული ქუთუთოები, იქვე კუბოსთან მდგარ საკანცელარიო

სკამებზე დადებულ ხავერდის ბალიშებზე აწყვია ნოვოსელოვის მედლები, ფანჯრის მტვრიან რაფაზე კი ჭადრაკის ყუთი.

მას, რა თქმა უნდა, ებრალებოდა ნოვოსელოვი, მაგრამ ეს არ იყო ჭეშმარიტი სიბრალოე, იგი გრძნობდა, რომ გულისსიღრმეში ცივი და გულგრილი რჩებოდა იმ ადამიანის სიკვდილის მიმართ, ვინც ერთ დროს მისი ახლობელი გახლდათ, ახლა კი ასე უცხო, არა, უცხოზე უარესი: მტერი გამხდარიყო.

დიახ, მტერი, მაგრამ არა პირადად მისი, არამედ იმ წმინდათაწმინდა საქმის მტერი, რასაც ეკატერინა გერასიმოვნამ მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე შესწირა. ნეტავი დროზე რატომ ვერ იცნო ეს კაცი? იმიტომ, რომ იგი მეტად ცბიერი გახლდათ: მისი გამოცნობა არც ისე იოლი იყო. მაგრამ ლენინი ხომ ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე არაერთგზის აფრთხილებდა ყველას, ხელისუფლების სათავეში მდგარი პარტია მიტმასნილ ვიგინდარებს ყოველნაირად უნდა უფრთხოდესო.

ნოვოსელოვი რომ მიტმასნილი იყო, ეჭვს არ იწვევდა: უნდა გენახათ, რა ხარბად სარგებლობდა იგი თავისი მდგომარეობისათვის ხელმისაწვდომი ყოველგვარი სიკეთით. უნდა გენახათ, როგორ თანდათან იპოვებდა იგი ამ მდგომარეობას, რისთვისაც არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა. უნდა გენახათ, როგორ თავხედურად ეპყრობოდა იგი ხელქვეითებს, მემანქანეებს, შიკრიკებს და როგორი მლიქვნელობით, როგორი მოკრძალებით ეპყრობოდა უფროსებს — პირი ოდნავ გაეღო, თითქოს იმის შიშით, არც ერთი ძვირფასი სიტყვა არ გამომრჩესო.

...ერთხელ ეკატერინა გერასიმოვნამ თავისი თვალთ დაინახა, როგორ მიჰქონდა ნოვოსელოვს ხავერდგადაკრული საკმაოდ მძიმე სავარძელი ინსტიტუტში მოსული ცნობილი აკადემიკოსის უკან და როგორი ტკბილი და მლიქვნელური ღიმი დასთამაშებდა პირისახეზე.

ამის გახსენებაზე ეკატერინა გერასიმოვნა ერთბაშად აენტო და მაშინვე შინისკენ გასწია, ჩაუარა ბოიარ კოლიჩევის მამულს, ძველ ეკლესიას, სადაც ის-ის იყო წირვა დაემთავრებინათ და ტაძრის სტოვაზე გამოჰყავდათ ნაზარები ჩვილები, ძვირფას საბნებში რომ გაეხვიათ და ზედაც გარდიგარდმო აბრეშუმის ბაფთა მოეჭირათ.

სამრეკლოდან ზარების უკანასკნელი ხმები მოისმოდა.

...და ფართოდ გაიღო რკინის ჭიშკარი და ჭიშკრიდან დიდი მანქანა გამოვიდა, მინებზე ჩამოფარებულ ფარდებს შორის გამოჩნდა რამდენიმე მღვდელმთავარი, ძირს ჩამოშვებული შავი აბრეშუმის ვუალიანი კუნკულები რომ ეხურათ. წვერიან სახეზე მუქი წენგოსფერი დასდებოდათ, ხშირწარბებიანი თვლების გარშემო ყავისფერი რგოლები აჩნდათ. თვლები ზეთისხილს მიუგავდათ. ამან ეკატერინა გერასიმოვნას აფიქრებინა: აღმოსავლეთის ქვეყნის მართლმადიდებელთა ეკლესიის რომელიღაც დელეგაცია პატრიარქთან ოფიციალური ვიზიტიდან ბრუნდებაო...

ინტერნატს რომ მიუახლოვდა, დაინახა თავისი ამხანაგები, ჯოხით ხელში ძლივძლივობით რომ მილოდავდნენ ინტერნატისაკენ. ისინიც სეირნობიდან ბრუნდებოდნენ სასადილოდ, დაწითლებულები და დამშეულები.



გასახდელში მათ უფროსი დიასახლისი შეხვდა და შეიტყო ბინა, სახლ-
მმართველობიდან კიდევ დარეკეს და შეგახსენეს ნოვოსელოვის დაკრძალვის
შესახებ, თან დაინტერესდნენ, გამოსვენების დროს მაინც თუ ჩამოხვალთ.

— არ ჩავალ, — თქვა ეკატერინა გერასიმოვნამ.

— თუ კიდევ დარეკეს?

— გადაეცით, რომ არ ჩავალ. — უნდოდა ეთქვა „არ შემძლიაო“, მაგ-
რამ ამის მაგივრად თქვა ის, რასაც ფიქრობდა: — არა მსურს!

თქვა ეს და კარებისკენ წავიდა. იქვე ახლოს წითელხავერდგადაფარებულ
მაგიდაზე იდგა მცირე ზომის თაბაშირის ლენინის ბიუსტი.

სადილის შემდეგ ეკატერინა გერასიმოვნას ადგილობრივი ათწლედის მოს-
წავლევები ეწვივნენ, სამი ბიჭი და ორი გოგო — ისინი კვალისმაძიებლები იყ-
ვნენ. ყოველთვის თვეში ერთხელ მოდიოდნენ ხოლმე იმ იმედით, რომ ეკატე-
რინა გერასიმოვნა მისი რევოლუციური წარსულიდან ან სამოქალაქო ომის
ისტორიიდან უამბობდა რაიმეს.

ბევრი რამ უკვე კიდევ შეიტყვეს მისგან, მაგალითად, რევოლუციამდელ
მაისობაზე სამარინის ტყეში, სადაც იები ყვაოდა და სადაც ეკატერინა გერა-
სიმოვნა ჟანდარმებმა დააპატიმრეს.

მოსწავლეებს აბრეშუმის პიონერული ყელსახვევები ეკეთათ. ეკატერინა
გერასიმოვნას გვერდით ისხდნენ და დიდხანს ხმას არ იღებდნენ. ერიდებოდათ.
ბოლოს ერთი სხვაზე უფრო თამამი გოგონა, მუხლებზე რომ ბატისტის წინ-
საფარს ისწორებდა, შეეკითხა:

— დიდდა ია, გვითხარით, თქვენ იცნობდით ბაბუა ლენინს?

— არა, არ ვიცნობდი, — სინანულით ამოიოხრა ეკატერინა გერასიმოვ-
ნამ. — ნახვით კი მინახავს, მაგრამ გაცნობით არასოდეს გამიცვნია.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ბელადებიდან აბა ვის იცნობდით? — შეცვლილი ბავშვური ხანით შე-
ეკითხა ახლა ერთ-ერთი ბიჭი.

ეკატერინა გერასიმოვნა ოდნავ შეყოყმანდა და მერე უპასუხა:

— მაგალითად, ამხანაგ ფრუნზეს ვიცნობდი.

— გვიამბეთ ამხანაგ ფრუნზეს შესახებ! — ერთხმად შეეხვეწნენ პიონე-
რები და უბის წიგნაკები მოიმარჯვეს.

...და ეკატერინა გერასიმოვნამ დაიწყო თხრობა, თუ როგორ აიღეს პე-
რეკობი...

ქარლ სენდბერგი

გადაეცით ეს წერილი დიმიტრი შოსტაკოვიჩს

1942 წლის 26 ივლისი

თარგმნა

ილიარ ივანოვი

გასულ კვირას,
შუადღისას მთელ ამერიკაში
ქუხდა თქვენი მეშვიდე სიმფონია...
მილიონები უსმენდნენ, მილიონები
მუსიკალურ პორტრეტს რუსეთისას —
დახუნძლულს სევდითა და სისხლით,
ფოთოლცვენამდე,
ვიდრე თოვლი ითოვლებოდა,
წერდით მუსიკას.

სახანძრო რაზმის მებრძოლი,
თქვენ ხშირად თავქუდმოგლეჯილი
გამორბიხართ ქუჩაში,
რათა ჩააქროთ ცეცხლი —
ნაცისტების ბომბებისაგან ასვეტილი,
ხოლო შემდეგ კი
ბრუნდებით შინ და წერთ მუსიკას...

როცა მოსკოვის რადიო ქვეყნიერებას ამცნობს
ახალ ამბებს,
ის პირველ სიტყვას ამბობს პრემიერ სტალინზე,
მერე კი
მარშალ ტიმოშენკოზე და
კომპოზიტორ შოსტაკოვიჩზე.



დაკლაკნილი, ცეცხლიანი ფრონტის ხაზი
 ყულფივით შემოხვევია მოსკოვს,
 მაგრამ წითელი არმია გმირულად ებრძვის
 უსაშინელეს სამხედრო ურჩხულს,
 კაცობრიობას რომლის მსგავსიც
 არ ახსოვს ჯერაც.

ზეიმობს საშინელება, —
 კოშმარი ფოლადის წვიმისა,
 წრიალებენ,
 სისინებენ,
 წივიან ავიამზიდები;
 მათ ხრიალში, ღრიანცელში, გნიასში
 მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ გესმით:
 — სიკვდილი,
 — სიკვდილი,
 — სიკვდილი!

მეტყვიამფრქვევენი და მეზენიტენი
 ცაზე აქრობენ ფოლადის წვიმას,
 რომელიც მერე მიწიდან ზევით
 აღიმართება, აიწვართება,
 როგორც ციდან გადმომჩქეფარე წვიმა,
 ან თოვლის მტვერი ჟამს გრიგალისა.

სპილოებივით ღრიალებენ ტანკები
 და დედამიწას აზანზარებს ფოლადის მუხლუხობი,
 ტყვიის მოწამლული ღრუბლები კი
 მარტოდენ უბედურებას თესავს.

წითელი არმიას აღმართული ამ კაცის მკვლელთა,
 ვანდალთა წინარე;
 გზავნის იგი ფრონტზე
 საბრძოლო ახალ-ახალ იარაღებს,
 რადგან მას ევალება ახლა
 ნაცისტ ველურ ურდოთა გაცამტვერება;
 იგია ახლა
 სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი.

მსოფლიო სულგანაბული მისჩერებია რუსეთს,
 სწორედ ამ დროს
 ამერიკელი გენერალი დუგლას მაკარტური
 შორეული ბატანიდან ურეკავს სტალინს:
 „დიდებულია, სწორუბოვარია!“

ჩვენ ვგებულობთ თქვენზე,
დიმიტრი შოსტაკოვიჩ,
რომ ყოველ დღე წერთ მუსიკას,
მერე ეს მუსიკა
კაცობრიობას ამცნობს თმის საშინელებას.

...და არის ხალხი,
რომლის დედაქალაქზე უბედურება ჰკიდია,
მაგრამ მერე რა? —
იგი თამამად ეუბნება ქვეყნიერებას:
— ჩვენ გვყავს ჩვენი კომპოზიტორი,
ის წერს მუსიკას იმ დროსაც, როცა
სეტყვასავით ცვივიან ბომბები.

ბერლინში არ იწერება ახალი სიმფონიები,
პარიზში, პრაღაში, ვარშავაში,
ბრიუსელში, ამსტერდამში, კოპენჰაგენში, ოსლოში,
ყველგან, სადაც არიან ნაციისტები და ამყარებენ
„ახალ წესრიგს“ —
არ იწერება ახალი სიმფონიები.

მოსკოვში კი თქვენ ცხოვრობთ,
მისტერ შოსტაკოვიჩ,
ოცდათექვსმეტი წლის ასაკში
ექვსი სიმფონია დაწერეთ
და ახლა მეშვიდეზე რომ მუშაობთ.

ორმოცდამეორი წლის გაზაფხულის მზე
აღხობს თოვლის შვავსა და ლოხს, —
სიცივე გამოედინება ხეთა ფესვებს,
ბრძოლები კი რუსეთში ვარვარდება
აგვისტოს ალხვიით;
ისმის სისხლისა და ფოლადის მჭახე ხმა.

მოდის ზაფხული და თქვენ,
მისტერ დიმიტრი შოსტაკოვიჩ,
პარტიტურასა და მიკროფირს დებთ
კონსერვის პატარა ქილაში.

შემდეგ კი
მოსკოვიდან უძველესი სპარსეთის,
უძველესი ეგვიპტის გავლით;
ქაიროდან ნიუ-იორკში უმოკლესი გზით,
იგზავნება ეს პატარა,
ფირებიანი კონსერვის ქილა.



მერე?
 მერე კი მანესტრო ტოსკანინი
 ოთხმოცდათორმეტი სხვადასხვა ინსტრუმენტისაგან
 შემდგარ ორკესტრს უხსნის,
 თუ როგორ მოექცნენ მას და...
 ქუსს მუსიკა ეთერში, —
 მილიონობით მსმენელი ისმენს...

რანაირად აჟღერდა იგი?
 რას, რას გვაუწყებს ოკეანის გაღმა,
 ბადრავს, წყალქვეშა ნავეებს,
 თვითმფრინავებს რაზე უყვება, ნეტა?

არაფერი განცხრომის,
 არაფერი ტირში სამიზნე კვიცის,
 ან თეთრი ბილეთის მსგავსი,
 რომლის მოგების შემდეგ
 გარანტირებული გაქვს
 უამრავი ქონება და კომფორტი.

ის იწყება მსხმოიარე ხეთა ჩურჩულით,
 მინდვრებისა და ყანების სუნთქვით,
 თავგანწირული შრომის სუფევით.

ღრმად გვეჭრება სულში და გვახსენებს,
 რომ უნდა იდგეს ჟამი მშვიდობის,
 ხომ შეუძლია ადამიანს
 ბედნიერების რიტი დაიჭიროს,
 რათა მერე
 თავდავიწყებით უსმინოს მის ჭიკჭიკს.

ამის დასაცავად, ყოველივე ამის დასაცავად
 გრგვინავს დღეს საბრძოლო ნაღარა და იარაღი —
 აღესრულა სიმშვიდე...
 იწყება ბრძოლა უკანასკნელი,
 იწყება ერისა და ხალხის გამოცდა...
 დგას მძიმე ორდალია
 მთელი კაცობრიობის გაჩენისა.

აღზევდა მუსიკა და იბრძვის,
 იბრძვის და იმარჯვებს.
 საქვეყნოდ, ამაყად აცხადებს,
 უმჯობესია ასგზის სიკვდილი,



ვიდრე სამშობლო წაბილწონ და
წაგვართვან ნაცისტებმა;
გაგვხადონ ყურმოჭრილი მონები.

ალაგ-ალაგ თქვენს სიმფონიაში,
მისტერ შოსტაკოვიჩ,
არის ადგილი, რომ თამამად შეიძლება
გავიმეოროთ მაკარტურის სიტყვები:
„დიდებულია, სწორუბოვარია!“

საბჭოთა ხალხს შეუძლია დროებითი უკანდახვევა,
დროებითი მარცხის თმენა,
რათა მიამზადოს გრანდიოზული კონტრშეტევა...
გავა კიდევ რამდენიმე წელი და...
ეს ხალხი ნაღდად გაიმარჯვებს.

მან იცის, როდის იყოს ჩუმად,
როდის იბრძოდოს,
ან როგორ იმღეროს
ომის მტვრიან გზებზე...
როგორ უნდა თქვას ბლინდაეებში:
„ჩვენ გვევალება დავიცვათ რუსეთი დედა“.

...ბევრმა,
ძალიან ბევრმა
უკვე მოისმინა სიმფონია,
კონსერვის ქილით მიღებული, რომელიც
ჩვენთან მოსკოვიდან მოვიდა
ქაიროსა და მანჰატანის გავლით...
მოვისმინეთ და...
თავს დაბლა გიკრაავთ,
მისტერ დიმიტრი შოსტაკოვიჩ!

თქვენი სიმღერა დასტურია
მომღერალი ხალხის უკვდავებისა, —
რომელსაც ბედად ერგო მისია,
იყოს გადამრჩენელი
მთელი კაცობრიობის მომავალისა.

□



საქართველოს მწიგნობართა კავშირი

X ე ი მ ზ X ო ი ს ი

უ ლ რ ს ე

ინგლისურიდან თარგმანა

წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ნიკო ყიასაშვილმა

„ულისეს“ მეექვსე ეპიზოდი (სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი ჰომეროსული სახელწოდებით „ჰადესი“) შეესატყვისება „ოდისეას“ მეთერთმეტე წიგნს, რომელშიც ჰომეროსის გმირი ბევრი განსაცდელის გამოვლის შემდეგ მიწისქვეშეთისა და მიცვალებულთა სულების მბრძანებლის ჰადესის სამფლობელოში ჩადის დედისა და გარდაცვლილ მეგობართა სულების სანახავად. ბლუმის „ჩასვლა“ ჯოჯონეთში (დიგნემის დაკრძალვა დუბლინის კათოლიკურ საფლავში) გარეგნულად არაფრით არ გავს ჰომეროსის გმირის თავგადასავალს. სიუჟეტური ანალოგია აქ მინიმუმამდეა დაყვანილი. უფრო სწორედ, არც არავითარი სიუჟეტური ანალოგია არ არის. აქაც, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, კლასიკური სქემა, მითად ქცეული კლასიკური ლიტერატურის მოდელი, ჯოისს ჭირდება მხოლოდ როგორც ბიძგი თანამედროვე ოდისეის (ბლუმის) სულიერი მარტვილობის პაროდიულ პლანში წარმოსახვისათვის.

დამკრძალავი კორტეჟის მარშრუტი ჯოისს ჩვეულებრივი გულმოდგინებით აქვს დახატული. გამოყენებულია ვინმე მეთიუ კეინის დაკრძალვის რეალური ამბავი. აღწერილია დუბლინის ქუჩები, ხიდები, ძეგლები, ცალკეული სახლებიც კი, რომლებზეც გაივლის ან რომელთაც ჩაუვლის ეს კორტეჟი. მაგრამ ასეთ ზედმიწევნით სიზუსტეს შესაძლოა მხოლოდ დუბლინელი მკვიდრისათვის აქვს მნიშვნელობა, ხოლო მეთიუ კეინის წყალობით მიღწეული „ნამდვილობის“ ეფექტი დაკარგულია თვით ირლანდიელისათვისაც კი. დიგნემის დასაფლავების საგულდაგულო დოკუმენტურობა და ნატურალისტურობა თანამედროვე მკითხველისათვის მხოლოდღა პირობითი ფონია ბლუმის ხასიათის შემდგომი განვითარებისათვის.

მეთიუ კეინის დაკრძალვაზე უფრო „მყარი“ და „გამძლე“ სააღმშენებლო მასალაა კლასიკური თუ მითოლოგიური რემინისცენცია: კორტეჟი ოთხჯერ გადაივლის წყალს — დოდერს, ლიფის, გრენდ კენელსა და როიალ კენელს, რომლებიც საიქიოს ოთხ მდინარეს შეესატყვისება — სტიქსს, აქერონტს, კოკიტოსსა და ფლეგეთონტს; სასაფლაოს ზედამხედველი ჯონ ო'კონელი — საიქიოს მეუფე ჰადესი ანუ პლუტონია, ხოლო მისი ცოლი კი — პროზებრინა (პერსეფონე) და ა. შ. კორტეჟი ჩაუვლის დუბლინის ქუჩებში და მოედნებზე აღმართულ ქანდაკებებს, რომლებიც ჰადესში ჩასულ ოდისეის წინაშე გამოცხადებულ გარდაცვლილ გმირთა სულების ჯოისისეული გამოძახილება (დენიელ ო'კონელი, მაგალითად, ჰერაკლეა,

ხოლო პარნელის მომავალი ძეგლის ადგილას დადებული ქვა უთუოდ ახლად გარდაცვლილი აგამემნონის ასოციაციას იწვევს). თავდაპირველად ჯოისი აპირებდა ჰადესის ეპიზოდის კიდევ უფრო მეტად გამდიდრებას ჰომეროსული მასალით. ასე, მაგალითად, მას განზრახული ჰქონდა გამოეყვანა ალკმეონის მიერ მოკლული საკუთარი დედის ერიფილეს ხული, მაგრამ ეს პერსონაჟი მხოლოდ მწერლის ერთ-ერთ სამუშაო სქემაში დარჩა.

მაგრამ არც მხოლოდ ეს კლასიკური და ჰომეროსული ანალოგია თუ პარალელია გადაწყვეტი და პირველხარისხოვანი ეპიზოდის დედააზრის გარკვევისათვის. ყველა ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ-ლიტერატურულ რეალიასა თუ რემინისცენციაში ჩადებულია ძირითადი — ბლუმის ხასიათი, ბლუმის სიმბოლო, „ბლუმის ეფექტი“.

ჯოისი კვლავაც რთულ, მრავალპლანოვან ასოციაციურ ხატოვანებას მიმართავს, რისი მთლიანად შენარჩუნება თარგმანში მეტად ძნელია ინგლისური და ქართული სიტყვების შეუსაბამობის გამო მათი „ეტიმოლოგიური ასოციაციების“ შესაძლებლობის მონახვის თვალსაზრისით, მაგრამ ეს არა მარტო ენობრივ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ზოგი ასოციაცია ისე ღრმად არის ჩამალული ტექსტში, რომ მის გაგება-გაშიფვრას მხოლოდ კომენტარი თუ უშველის. ასე, მაგალითად, დიგნემის დაკრძალვაზე შეამჩნევენ ვილაც უცნობს ლაბადაში, რომელიც უცებ უკვალოდ გაქრება. ჰაინზი „მაკინტოშს“ გვარად მიიჩნევს და დაკრძალვაზე დამსწრეთა სიაში ჩასწერს. სანამ ის „მაკინტოშს“ მარცვლავს და იწერს, ბლუმს აგონდება ერთ-ერთი ოპერეტის სიმღერა „კელი ხომ არავის უნახავს“ და ისიც გონებაში მარცვლავს ან უფრო სწორედ ასობად დაჰყოფს დაკარგული კელის სახელს „კანი ენი ლასი ინი“. როგორი განათლებული მკითხველიც არ უნდა წარმოვიდგინოთ, იგი ამ ეფემერულ პერსონაჟს — მაკინტოშს მხოლოდ ვილაც მისტიკურ უცნობად აღიქვამს ერთმანეთისათვის კარგად ნაცნობ დუბლინელთა წრეში. ამ შემთხვევაში ასეთი პერსონაჟი დაახლოებით ისეთ ფუნქციას ასრულებს, როგორც რომელიმე თეატრალურ დადგმაში თუ ფილმში რეჟისორის მიერ შემოყვანილი, სცენურ მოქმედებას მოწყვეტილი, ყველასაგან განზე მდგარი უცნობი ნიღაბში. ეს მისტიკური უცნობი თავალი რაღაც ავტორისეული „კონტროლის“, ავტორისეული „თანდასწრების“ ეფექტს ემსახურება. მაგრამ ჯოისს, გარდა „ჩვეულებრივი განათლებული მკითხველისა“, მხედველობაში ჰყავს ხოლმე აგრეთვე მისი რომანის რთულ სქემაში ჩახედული სპეციალისტიც. სტიუარტ გილბერტმა, ვალერი ლარბომ და მათი ორიენტაციის ბევრმა სხვა მკვლევარმა იმდენი რთული და დახლართული სქემა შექმნეს, რომ ყოველთვის ბოლომდე ნათელი არ არის ასეთი მრავალპლანიანი ასოციაციების მკითხველზე სათანადო შემოქმედების ეფექტი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯოისი დიდ იმედებს არც ამყარებდა ამა თუ იმ ასოციაციისა თუ სიმბოლოს დამატებით კონოტაციებზე. იგი ალბათ კმაყოფილდებოდა იმით, რომ სხვადასხვა მკითხველი სხვადასხვა დოზით, განსხვავებულ პლასტებამდე მიჰყვებოდა ავტორის ჩანაფიქრს და თუ ვინმე ამ მრავალპლანიან ასოციაციიდან ამა თუ იმ პლანს ველარ ამოიკითხავდა, ამით ნაწარმოების ძირითადი ღირებულება, მისი ძირითადი სატქმელი არ დაზარალდებოდა.

მაკინტოში (როგორც ლაბადის, ისე გვარის სახით) არა ერთხელ გვხვდება „ულისეში“. ჩვენი ეპიზოდის შემთხვევაში ბლუმის ცნობიერებაში ეს სახელი რამდენიმე ასოციაციას იწვევს: გარდა იმისა, რომ დაკარგული მაკინტოში დაკარგულ კელის აგონებს, სწორედ ამ ოპერეტის სიტყვების გახსენების შედეგად აგონდება ბლუმს ოთხი სახარების ცნობილი ილუსტრირებული გამოცემა, რომელსაც ჰქვია „კელს“ (ანდა იქნებ ლონდონის ცნობილი საცნობარო წიგნი „კელი!“), აგრეთვე დაკარგული გასაღები (ინგლისურად გასაღებია „კიი“), თვით ასო „კანი“ კაბალისტური ტრადიციის მიხედვით დაკავშირებულია რიცხვ თერთმეტთან როგორც ქრისტეს აღდგომის სიმბოლოსთან (ეს კი თავისთავად ტომას ელიოტის „უნაყოფო მიწის“ რემინისცენციასა თუ პარალელურ ასოციაციას ბადებს) და ა. შ. ასოციაციის პლანები ამით არ ამოიწურება: „ელ“ ღმერთის ებრაული სახელწოდებაა და ამდენად დუბლინელ მოქალაქეებში გარეული უცნობი მისტიკური პიროვნება ღმერთის სიმბოლოც არის. ღმერთის ცნება კი „ულისეს“ ავტორისეულ კონცეფციასა და სიმბოლიკაში სადღაც თვითონ ბლუმსაც შეიცავს. ამავე დროს მაკინტოში არა მარტო რიცხვ თერთმეტთან, არამედ ცამეტთანაც არის დაკავშირებული, რადგან იგი ჭირისუფალთა შორის მეცამეტეა. ცამეტი კი სიკვდილის რიცხვია და ამდენად მაკინტოშიც ავის მომასწავებელი ღმერთია (აკი ეს მისტიკური ხაზი დიგნემის დაკრძალვის ეპიზოდში თავდება ვირის ყროყინით, ხოლო ვირი კი რო-

მაელებს ავის მაუწყებელ ცხოველად მიაჩნდათ და შუა საუკუნეებში იგი საეჭვო მოციქულ თომას უკავშირდებოდა). ამას გარდა, ირლანდიური გვარის ნაწილაკი „მაკ“ (მაკინტოში) ნიშნავს ძეს, შვილს, რაც ისევ და ისევ მამა-შვილის, მამა ღმერთისა და ქრისტეს, დედალოსისა და იკაროსის, მამა ჰამლეტისა და უფლისწული ჰამლეტის და ა. შ. ასოციაციურ ძეწვეს უკავშირდება.

არსებობს მოსაზრება, რომ „ულისეს“ ყოველი მესამე ეპიზოდი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. პირველი „მესამე“ იყო „პროტეოსი“, რომელიც აჯამებდა სტივენ დედალოსის ექსპონირების, რომანში შემოყვანის, მის ხასიათში ჩაღრმავების პროცესს. მეორე „მესამე“ (ე. ი. მეექვსე ეპიზოდი „ჰადესი“) ასევე მნიშვნელოვანია უკვე ბლუმის ხასიათის სრულქმნის თვალსაზრისით („ჰადესი“ თავისებურად ეხმარება „პროტეოსს“ შექსპირული ალუზიებითაც: შექსპირი სტივენ დედალოსის ცნობიერების ნაკადის კომპონენტი უფროა ვიდრე ბლუმისა, მაგრამ ამ შემთხვევაში ბლუმის ცნობიერებაშიც რამდენჯერმე გაიელვებს შექსპირული რემინისცენცია, როგორც ბლუმისა და სტივენის პოტენციალური სულიერი ნათესაობის თავისებური ხიდი). ამ ეპიზოდში მთელი სიმძაფრით ჩანს დუბლინელი ოდისევსის გასაოცარი, შემადრწუნებელი მარტოობა. თუ პირველ, საკუთრივ ბლუმისეულ ეპიზოდში („კალიფსო“, „საუნჯე“ № 1, 1976) დახატულია გმირის გაუცხოება ოჯახურ ურთიერთობაში, ხოლო მეორეში („ლოტოფაგები“, „საუნჯე“ № 4, 1976) მისი სიცოცხლეს მოკლებული, მოდუნებული, არარეალური, მხოლოდ მიწერ-მოწერით გაბმული სასიყვარულო „კავშირი“, „ჰადესში“ უკვე ნაჩვენებია ბლუმის სრული უთვისტომობა, მისი უცხოობა დუბლინის მკვიდრთა შორის ან უფრო სწორედ დუბლინის მიერ მისი სრული იგნორირება. ბლუმს დუბლინის იქით არ გააჩნია არსებობის ფორმა, ის ამ ქალაქის ნაწილია, მისი ღვიძლი შვილი, ტიპური მოქალაქე და ამავე ღრმს მას არავინ ანგარიშს არ უწევს, არავინ მიიჩნევს სრულფასოვან თანამოქალაქედ. სამგლოვიარო კორტეჟის მონაწილენი, ჯოისის მოთხრობების კრებულის „დუბლინელების“ ფურცლებიდან გადმოსული პერსონაჟები, მას ზემოდან ან უფრო სწორედ აღმაცერად უყურებენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მისი სახელიც კი სწორედ არავინ იცის (საერთოდ ცოლის გარდა მას ყველა მხოლოდ გვარით მიმართავს). ჯოისი ისეთ „სისასტიკესაც“ კი იჩენს თავისი კეთილი გმირისადმი, რომ პედილიგნემის ამ ყველაზე გულწრფელ და პედანტ ჭირისუფალს მომავალში წესიერად ვერც კი გაახსენებინებს დასაფლავების თაობაზე დაწერილი საგაზეთო ცნობის ავტორს: ისე გამოდის, რომ იმათაც კი, ვინც დიგნემის დასაფლავებაზე არ იყო და ბლუმის წყალობით მოიხსენიეს, მასზე მეტი ყურადღება ერგოთ დუბლინისაგან.



მარტინ კანინგემმა პირველმა შეჰყო ცილინდრიანი თავი ჭრი-
ალა ეტლში, მარჯვედ შეხტა და დაჯდა. ბატონი პაუერი უკან
მიჰყვა და აწოწილი ფრთხილად მოიკაკვა¹.

— აბა, ამოდით, საიმონ.

— ჯერ თქვენ, თქვა ბატონმა ბლუმმა.

ბატონმა დედალოსმა სასწრაფოდ დაიხურა ცილინდრი და ეტლში ჩაჯდა, თან ამბობდა:

— დიახ, დიახ.

— ყველანი აქა ვართ? იკითხა მარტინ კანინგემმა. ჰა, ამოდით, ბლუმ.

ბატონი ბლუმი ავიდა და თავისუფალი ადგილი დაიკავა. თან კარი მაგრად მიიჯახუნა. ხელი გაყო სახელურში და ეტლის ღია ფანჯრიდან მიაჩერდა ჩამოშვებულ ფარდებს ავენიუს გასწვრივ. ერთი გადაწეულია: ბებრუხანა იჭყი-

¹ მარტინ კანინგემი და ჯეკ პაუერი ჯოისს გამოყვანილი ჰყავს „დუბლინელებში“ (მოთხრობა „ღვთის წყალობა“).

ტება. ფანჯარაზე მიჭყლეტილი ცხვირი გაუთეთრდა. თავის ბედის ვარსკვლავს ემადლიერება, მას რომ აცდა. გასაოცარია, როგორ ინტერესს იჩენენ ქალები ცხედრისადმი. უხარიათ ჩვენი წასვლა, მოსვლით დიდ ხლაფორთს რომ გადაეყრით ხოლმე. ეს საქმე თითქოს ზედგამოჭრილია მათთვის. მითქმა-მოთქმა კუნჭულებში. ფოსტლებით დაფლატუნობენ, ეშინიათ არ გაიღვიძოსო. შემდეგ ასწორებენ. აცმევენ. მოლი და ქალბატონი ფლემინგი საწოლს ასწორებენ². ცოტა თქვენსკენ გასწიეთ. ჩვენი სუღარა. კაცმა არ იცის მკვდარს ვინ მოგვეკარება. დაბანვა. მკონი ფრჩხილებსა და თმას აჭრიან. ცოტას კონვერტში ინახავენ. მაინც გაეზრდება. ჭუჭყიანი სამუშაო.

ყველა იცდიდა. არაფერი ითქვა. გვირგვინებს თუ ალაგებენ. რაღაცა მაგარზე ვზივარ. აჰ, საპონი უკანა ჯიბეში. ჯობია სხვაგან გადავიტანო. შესაფერდროს მოვუცდი.

ყველა იცდიდა. მერე ბორბლების ხმა გაისმა წინ, შემდეგ უფრო ახლოს, მერე ცხენის ფლოქვების ხმა. შენჯღრევა. მათი ეტლი დაიძრა ჭრილით და ქანობით. უკან დანარჩენი ფლოქვები და ჭრილა ბორბლები ამოძრავდნენ. ჩაიარეს ავენიუს დარაბებმა და მეცხრე ნომერმა³, შავნაჭერშემოკრული დასაკაკუნებლით, ღია დაგდებული კარით. ნელა.

წყნარად იცდიდნენ, მუხლებს ერთმანეთს ახლიდნენ, ვიდრე ტრამვაის ხაზზე გადაუხვევდნენ. ტრიტონვილ როუდ. უფრო ჩქარა. ბორბლები ქვაფენილს მისდევდნენ რახრახით და კარის ჩარჩოში შუშები ზანზარებდნენ.

— რა გზით მივყავართ? იკითხა ბატონმა პაუერმა და ორივე ფანჯრიდან გაიხედა.

— აირიშტაუნი, თქვა მარტინ კანინგემმა. რინგსენდი. ბრანზუიკის ქუჩა. ბატონმა დედალოსმა გაიხედა და თავი დააქნია.

— შესანიშნავი ძველი ჩვეულებაა, თქვა მან. სასიამოვნოა, რომ ჯერ არ გადავარდნილა⁴.

ერთხანს ყველა თავის ფანჯრიდან უყურებდა კეპებს და შლიაპებს, გამვლელები რომ იხდიდნენ. პატივისცემა. ეტლმა უოტერი ლეინთან ტრამვაის ხაზიდან უფრო სწორ გზაზე გადაუხვია. ბატონმა ბლუმმა თვალი მოჰკრა მოხდენილ ახალგაზრდა კაცს, ძაძებში ჩაცმულს, ფართოფარფლებიან ქუდს⁵.

— თქვენმა მეგობარმა ჩაიარა, დედალოს, თქვა მან.

— რომელმა?

— თქვენმა ვაჟიშვილმა და მემკვიდრემ.

— აბა სად? თქვა ბატონმა დედალოსმა და გვერდზე გადაიხარა.

ეტლმა ჩაუარა საკანალიზაციო თხრილებს, გაჭირავებული სახლების წინ ათხრილ მიწას, კუთხეში შეტორტმანდა, კვლავ ტრამვაის ხაზზე გადავიდა და

² ბლუმის ცნობიერებაში თანდათან ამოტივტივდება მისი 11 წლის შვილის რუდის სიკვდილის სურათი. ფლემინგი ბლუმების შინა მოსამსახურეა.

³ დიგნემის მისამართია ნიუბრიჯ ავენიუ № 9.

⁴ იგულისხმება მიცვალებულის გატარება ქალაქის ცენტრში, რათა მოქალაქეებს საშუალება მიეცეთ ქუდის მოხდით პატივი სცენ მის ხსოვნას (მარშრუტი — „აირიშტაუნი, რინგსენდი, ბრანზუიკის ქუჩა“ — ქალაქის ცენტრში გადის).

⁵ სტივენ დედალოსი კვლავ ჰამლეტურ ასოციაციას იწვევს (ძაძებში ჩაცმული, „ჰამლეტური ქუდი“). ამავე დროს, კვლავ ჩნდება პირველი ეპიზოდის ასოციაცია ავაზასთან (მოხდენილი, შავი).

ბორბლების რახრახით განაგრძო გზა. ბატონი დედალოსი უკან მიესვენა და თქვა:

— ის ბრიყვი მალიგანი თან ახლდა? მისი fidus Achates? ⁶

— არა, თქვა ბატონმა ბლუმმა. მარტო იყო.

— ალბათ თავის ძალუა სელისთან ბრძანდებოდა, თქვა ბატონმა დედალოსმა, გულდინგების მოდგმა, ერთი გალოთებული ვეჭილი და კრისი, მამიკოს პაწია ფუნა, ბრძენი ბავშვი, რომელიც საკუთარ მამას ცნობს. ⁷

ბატონ ბლუმს უხალისოდ გაეღიმა რინგსენდ როუდზე. ძმები უოლისების შუშის ქარხანა. დოდერის ხიდი.

რიჩი გულდინგი და საბუთების პორტფელი. გულდინგი, კოლის და უორდი, ასე ეძახის თავის ფირმას ⁸. ოხუნჯობანი ცოტა არ იყოს და დაუხავსდა. დიდი დარდიმანდი ვინმე კი იყო. იგნაციუს გალაპერთან ⁹ ერთად ვალსს ცეკვავდა ერთ კვირა დილას სტეიმერის ქუჩაზე, თავზე დიასახლისის ორი ქუდი ქინძის-თავით დაემაგრებინა. მთელ ღამეებს გიჟობდა. ახლა ნელ-ნელა ყველაფერმა გაუხსენა: თუნდაც ეს ხერხემლის ტკივილი. ცოლი ზურგს უუთოვებს. გონია აბებით მოვირჩინო. პურის ნამცეცებია, სხვა არაფერი. დაახლოებით ექვსასი პროცენტი მოგება.

— ვილაც ნაძირალებში გაერია, ჩაიბურტყუნა ბატონმა დედალოსმა. ეგ გათახსირებული, ბინძური მალიგანი პირწავარდნილი არამზადაა. მთელ დუბლინში სახელი აქვს გატეხილი. მაგრამ მაცხოვრისა და წმიდა ღვთისმშობლის შეწევნით ამ დღეებში დავჯდები და დედამისს თუ მამიდამისს, თუ ვინცაა, ერთ ისეთ წერილს მივწერ, თვალებს ჭიშკარივით გაუღებს. მაგ ვაჟბატონს ერთი კარგად დავუზელავ დუნდულებს ¹⁰.

მისი ყვირილი ბორბლების ხმაურს ფარავდა.

— არ დავუშვებ, რომ მისმა ნაბიჭვარმა ძმისწულმა შვილი დამიღუპოს. დახლიდარის ნაშიერი. ბაბთებით ვაჭრობდა ჩემი ბიძაშვილის პიტერ ჰოლ მაკსუინის დუქანში. ვერ მივართვი.

გაჩუმდა. ბატონმა ბლუმმა მისი გაჯავრებული ულვაშებიდან მზერა ბატონი პაუერის მშვიდ სახესა და მარტინ კანინგემის თვალებსა და დარბაისლურად მოქანავე წვერზე გადაიტანა. ყაყანა თავნება კაცი. საკუთარი შვილითაა აღვსილი. მართალია. ექნება რამე დასატოვებელი. პატარა რუდის რომ ეცოცხლა. ენახა როგორ გაიზრდებოდა. გაეგონა მისი ხმა სახლში. მოლის გვერდით გაეგლო იტონის კოსტუმში გამოწყობილს ¹¹. ჩემი ძე. მე მის თვალში.

⁶ „ერთგული აქატე“ (ლათ.) — ენეასის მეგობარი („ენეიდა“). ხშირად იხმარება ირონიული მნიშვნელობით. აღსანიშნავია, რომ „ენეიდას“ მეექვსე წიგნში ენეასი და აქატე სწორედ ენეასის ჯოჯოხეთში (ჰადესში) ჩასვლის წინ არიან აღწერილნი.

⁷ ჰომეროსის ტელემაქე ათინას ეუბნება: „დედაჩემისაგან ვიცი, რომ მისი ძე ვარ. სხვა რა გითხრა, განა მომაკვდავმა შეიძლება იცოდეს, ვინ არის მამამისი?“ (თარგ. ზ. კიკნაძის და თ. ჩხენკელის). შექსპირის „ვენეციელ ვაჭარში“ ლანსელოტ გობო მამამისს ეუბნება: „კაცი ბრძენი უნდა იყო, საკუთარი შვილი რომ იცნო“ (თარგ. ვ. ჭელიძის).

⁸ კოლის და უორდის ფირმა ნამდვილად არსებობდა. ჯოისი მას მოგონილ „გულდინგს“ უმატებს.

⁹ „დუბლინელების“ პერსონაჟი (მოთხრობა „პატარა ღრუბელი“).

¹⁰ ფოლსტაფის რეპლიკა შექსპირის „ჰენრი მეოთხედან“ (ნაწ. მეორე, მოქ. 2, სურ. 1).

¹¹ ბიჭების ძვირფასი, მოდური კოსტუმი (იტონის არისტოკრატიული კოლეჯის მოწაფეთა ტანსაცმლის მიბაძვით).

უცნაური განცდაა ალბათ. ჩემგან. ალალ-ბედზე. უთუოდ იმ დილას რეიმონდ-ტერასზე, ფანჯარასთან რომ იდგა და უყურებდა ამ საქმეში გართულ ორ ძალს კედელთან წარწერით ნუ იქმნ ბოროტსა¹². პოლიციის სერჟანტი ქვემო-დან იღრიჭებოდა. ის პირისფერი პერანგი ეცვა, გარღვეული, გაკერვა რომ არ აღირსა. მოდი, დავწვეთ, პოლდი. ღმერთო, ვკვდები ისე მინდა. ასე იწყება სიცოცხლე.

მაშინ დაორსულდა. გრეისტონის კონცერტზე უარის თქმა მოუხდა. ჩემი ძე მასში. ცხოვრებაში ხელს შევუწყობდი. შევუწყობდი. ფეხზე დავაყენებდი. გერმანულსაც ვასწავლიდი.

— ხომ არ ვვაგვიანდება? იკითხა ბატონმა პაუერმა.

— ათი წუთიც, საათს დახედა და თქვა მარტინ კანინგემმა.

მოლი. მილი. იგივე, მხოლოდ გაწყალებული. ბიჭურად იგინება. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! მაინც საყვარელი გოგოა. მალე ქალი გახდება. მალინგერი. ძვირფასო მამიკო. ახალგაზრდა სტუდენტი. დიახ, დიახ: ისიც ქალი. ცხოვრება. ცხოვრება.

ეტლი გადაქანდა და მათი ოთხი სხეული დაირწა.

— კორნის შეეძლო უკეთესი ურთობი მოეცა, თქვა ბატონმა პაუერმა.

— შეეძლო, თქვა ბატონმა დედალოსმა, თვალებს რომ არ აელმებდეს. გამიგეთ?

მარცხენა თვალი მოჭუტა. მარტინ კანინგემმა პურის ნამცეცები გადაბერტყა ბარძაყებს ქვემოდან.

— ღმერთო ჩემო, თქვა მან, ეს რაღაა? ნამცეცები?

— როგორც ჩანს, ვილაცას პიკნიკი გაუმართავს, თქვა ბატონმა პაუერმა. ყველამ აწია ბარძაყები და უკმაყოფილოდ შეათვალიერა დაობებული, გაცრეცილი ტყავი. ბატონმა დედალოსმა ცხვირი აიბზუა, შუბლი შეიკრა და თქვა:

— ან იქნებ ვცდები. როგორ ფიქრობთ, მარტინ?

— მეც ამან გამაკვირვა, თქვა მარტინ კანინგემმა.

ბატონმა ბლუმმა ბარძაყი დაუშვა. კიდევ კარგი აბაზანა მივიღე. ფეხები სუფთა მაქვს. კარგი კი იქნებოდა ქალბატონ ფლემინგს ეს წინდები უკეთესად დაეკემსა.

ბატონმა დედალოსმა მორჩილად ამოიოხრა.

— ბოლოს და ბოლოს, თქვა მან, ეს ყველაზე ბუნებრივი რამ არის.

— ტომ კერნანი არ გამოჩენილა? იკითხა მარტინ კანინგემმა, თან წვერის ბოლო ნაზად მოიგრიხა.

— როგორ არა, უპასუხა ბატონმა ბლუმმა. ჩვენს უკანაა ნედ ლამბერტ-თან და ჰაინზთან ერთად¹³.

— თვითონ კორნი კელეპერი? იკითხა ბატონმა პაუერმა.

— სასაფლაოზეა, თქვა მარტინ კანინგემმა.

— დღეს დილით მაკკოი შემხვდა, თქვა ბატონმა ბლუმმა. ვეცდები მოვიდეო.

ეტლი უცებ შეჭერდა.

¹² პრესვიტერიანული ეკლესიის მოწოდება საუთ სირკულარ როუდზე.

¹³ ნედ ლამბერტი დუბლინის ცენტრში, მარცვლეულის საწყობში მუშაობს. ჯო ჰაინზი შემთხვევითი სამუშაოს ძებნაშია; იგი „დუბლინელების“ პერსონაჟია (მოთხრობა „სუროს დღე“).



— რა მოხდა?

— გავიჭედეთ.

— სადა ვართ?

ბატონმა ბლუმმა თავი გაჰყო ფანჯარაში.

— გრენდ კენელზე, თქვა მან.

გაზის ქარხანა. ამბობენ ყივანახველას არჩენსო. კიდევ კარგი მილის არა ჰქონია. საბრალო ბავშვები! კრუნჩხვებისაგან დალურჯდებიან ხოლმე. რა უსამართლობაა. შედარებით იოლად გადარჩა სახადებს. მხოლოდ წითელა. სელის თესლის ჩაი. ქუნთრუშა, გრიპის ეპიდემია. სიკვდილის სარეკლამო აგენტები. ხელიდან ნუ გაუშვებთ შემთხვევას. აგერ ძალღების თავშესაფარი. საწყალი ბებერი ათოსი! კარგად მოექეცი ათოსს, ლეობოლდ, ეს ჩემი უკანასკნელი სურვილია. იყავნ ნება შენი¹⁴. ჩვენ მათ ვემორჩილებით, როცა საფლავში არიან. მომაკვდავის ნაჯღაბნი. გულთან მიიტანა, დარდს გადაჰყვა. წყნარი ცხოველი. საერთოდ მოხუცებს ასეთი ძალღები ჰყავთ.

წვიმის წვეთი ქუდზე დაეცა. დაინახა როგორ მოკირწყლა უკან რუხი ქვაფენილი შხაპუნა წვიმამ. მეჩხერი. უცნაურია. როგორც საცერში. ასეც ვფიქრობდი. ჩემი ფეხსაცმელი ჭრაჭუნობდა, ახლა გამახსენდა.

— ამინდი იცვლება, წყნარად თქვა მან.

— სამწუხაროა კარგი ამინდი რომ არ გაგრძელდა, თქვა მარტინ კანინგემმა.

— მოსავალს ჭირდება, თქვა ბატონმა პაუერმა. მზე ისევ გამოდის.

ბატონმა დედლოსმა ღრუბელს ამოფარებულ მზეს ახედა და მდუმარე წყევლა გაუგზავნა ზეცას.

— ბავშვის საჯდომივით უნდოა, თქვა მან.

— დავიძარით.

ეტლმა კვლავ დააბრუნა თავისი ჭრიალა ბორბლები და მათი სხეულები ნელა დაირწინენ. მარტინ კანინგემმა უფრო სწრაფად მოიგრიხა წვერის ბოლო.

— ტომ კერნანი გადასარევი იყო წუხელ, თქვა მან. პედი ლეონარდი კი პირში დასცინოდა.

— ო, ერთი გააჯავრეთ, მარტინ, გულიანად თქვა ბატონმა პაუერმა. ერთი მოგასმენინათ, საიმონ, როგორ ლაპარაკობს ბენ დოლარდის მიერ „გაკრეჭილი ბიჭუნას“¹⁵ შესრულებაზე.

— გადასარევია, პომპეზური ტონით თქვა მარტინ კანინგემმა. ეს ამ უბრალო ბალადის ყველაზე ელვარე შესრულებაა, მარტინ, რაც კი ოდესმე მომისმენია.

— ელვარე შესრულება, სიცილით თქვა ბატონმა პაუერმა. ეს მისი საყვარელი გამოთქმაა. და კიდევ, რეტროსპექტიული ორანჟირება.

— წაიკითხეთ დენ დოსონის გამოსვლა? იკითხა მარტინ კანინგემმა.

¹⁴ მათე, 6, 10. სტივენ დედლოსისაგან განსხვავებით, ბლუმმა არ განიცდის სინდისის ქენჯნას, რადგან იგი სიკვდილის წინ მშობელს არ „ამხედრებია“. ძალღების და კატების თავშესაფარი, რომლის დანახვაც ბლუმს მამამისის ძალღს ათოსს გაახსენებს, ისევ და ისევ ნამდვილი რეალია — დამკრძალავი კორტეჟის მარშრუტი ცხოველებისადმი სისასტიკის აღსაკვეთად დაარსებული საზოგადოების შენობას ჩაუვლიდა.

¹⁵ ცნობილი ირლანდიური სიმღერა, რომელსაც ჯონისი ხშირად გაიხსენებს რომანის შემდგომ თავებში.

— ჯერ არ წამიკითხავს, თქვა ბატონმა დედალოსმა. სად არის?

— დღევანდელ გაზეთში.

ბატონმა ბლუმმა შიდა ჯიბიდან ამოაძრო გაზეთი. წიგნი უნდა გამოვუცვალო მოლის.

— არა, არა, წამოიძახა ბატონმა დედალოსმა. მოგვიანებით, გეთაყვა.

ბატონმა ბლუმმა თვალი გააყოლა გაზეთის კიდეს და სამგლოვიარო განცხადებებზე შეჩერდა. კალაგანი, კოლმენი, დიგნემი, ფოსეტი, ლოური, ნაუმანი, პიკი, ეს რომელი პიკია? ის ყმაწვილი ხომ არა, კროსბისთან და ალენთან რომ იყო? არა. სექსტონი, ერბრაიტი. გაცრეცილ ქალაღზე ტიპოგრაფიული საღებავით ნაბეჭდი ასოები მალე ხუნდება. მაღლი პაწია ყვავილსა¹⁶. გულდათუთქულნი დავტირით. ენით გამოუთქმელი მწუხარებით. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 88 წლის ასაკში. ქვინლენის ორმოცი. ქრისტე ღმერთი შეეწიოს მის სულს.

ერთი თვე გავიდა, რაც ჰენრი წავიდა
და დაგვიკოდა გული,
ოჯახი მოელის იმქვეყნად იხილოს
ცად აფრენილი სული 17.

კონვერტი ხომ გავხიე? დიახ. სად წავიღე წერილი მას შემდეგ რაც აბაზანაში წავიკითხე? ჟილეტის ჯიბე მოისინჯა. ყველაფერი რიგზეა, იქ არის. რაც ჰენრი წავიდა. სანამ მოთმინების ფიალა ამევესება.

სკოლა. მიიღის ხე-ტყის ფირმის ეზო. ეტლების სადგომი. ორილა დარჩა. ყვინთავენ. გატენილი მუცლებით. თავში ქერი უყრიათ. მესამე მუშტარს დაატარებს. ერთი საათის უკან იქ გავიარე. მეეტლებმა ქუდები მომიხადეს.

უეცრად ტრამვაის გაჩერებაზე ბატონი ბლუმის ფანჯარასთან მეისრის ზურგი წამოიმართა. ნუთუ არ შეუძლიათ გამოიგონონ რაიმე ავტომატური, გაცილებით უფრო მოსახერხებელი, რომ ბორბლები თავისით? კი მაგრამ, მაშინ ეს კაცი სამუშაოს დაკარგავდა? კი მაგრამ, მაშინ მეორე კაცი იშოვიდა სამუშაოს ამ ახალი გამოგონების წყალობით.

ენშიენტ კონსერტ პოლ¹⁸. პროგრამაში არაფერია. კაცი მოყვითალო-მოყავისფრო კოსტუმში სამგლოვიარო ნიშნით მკლავზე. მაინც და მაინც დიდი გლოვა არ ეტყობა. ცოლის ნათესავი თუა.

წმიდა მარკოზის პირქუშ ამბიონს ჩაუარეს, რკინიგზის ხიდქვეშ, ჩაუარეს დედოფლის თეატრს: აფიშები სიჩუმეში. იუჯინ სტრეტონი¹⁹. ქალბატონი ბენდმენ პალმერი²⁰. ნეტავ ამ საღამოს „ლიაზე“²¹ თუ მოვხვდები. მე ვთქვი მემეთქი... ანდა „კილარნის შროშანზე“²². ელსტერ გრაიმზის საოპერო დასი. სრულიად განახლებული პროგრამა. მომავალი კვირის ნესტიანი მყვირალა

16 ალფრედ ტენისონის ლექსის რემინისცენცია.

17 ტიპიური ლექსი-ეპიტაფია, ხშირად რომ იბეჭდებოდა იმდროინდელი გაზეთების სამგლოვიარო სვეტში.

18 კერძო საკონცერტო დარბაზი გრეიტ ბრანზუიკის ქუჩაზე.

19 იუჯინ სტრეტონი (1861-1918) ამერიკელი ზანგი ზომღერალი.

20 ინგლისელი მსახიობი, რომელიც „ულისეში“ ადრეც არის ნახსენები (იხ. „საუნჯე“, 1976, № 4, გვ. 112).

21 პიესა „ლია, ებრაელი ქალიშვილი“ (იხ. იქვე).

22 დუბლინში გახმაურებული ოპერეტა.

აფიშები. „ბრისტოლის გასართობი“²³. მარტინ კანინგემს შეუძლია მიშოვოს საშვი გეიტის თეატრში. ერთი-ორჯერ დავაღვევინებ. თხა ვიყიდე, თხა გავყიდე²⁴.

ნაშუადღევს შემოვივლის. მოლის სიმღერები.

პლასტო²⁵. სერ ფილიპ კრემპტონის ქანდაკება შადრევნით. ვინ იყო?²⁶

— გამარჯობათ, თქვა მარტინ კანინგემმა და შუბლთან ხელის მიტანით მიესალმა.

— ვერა გვხედავს, თქვა ბატონმა პაუერმა. არა, გვხედავს. გამარჯობათ.

— ვინ? იკითხა ბატონმა დედალოსმა.

— შმაგი ბოილენი, თქვა ბატონმა პაუერმა. აგერ ქოჩორს ინიავებს.

სწორედ ახლა ვფიქრობდი.

ბატონი დედალოსი მისასალმებლად გადაიხარა. პასუხად რედ ბენკის კარიდან ჩალის ქუდის თეთრმა დისკომ გაიეღვა: ჩაიარა.

ბატონმა ბლუმმა მარცხენა ხელის ფრჩხილებზე დაიხედა, შემდეგ მარჯვენასი. ფრჩხილები, დიახ. ნეტავ რა მოსწონთ მოსწონს მასში?²⁷ პეწი. უკანასკნელი კაცი მთელს დუბლინში. ამით ცხოვრობს. ისინი ზოგჯერ გრძნობენ როგორ ადამიანთან აქვთ საქმე. ინსტინქტი. მაგრამ ასეთი ტიპი. ჩემი ფრჩხილები. აგერ დავყურებ: კოხტად მოჭრილი. და შემდეგ: ჩემთვის ვფიქრობ. სხეული თანდათან ცოტა ურბილდება. ამას თუნდაც იმიტომ ვატყობ, რომ მახსოვს როგორი იყო. ალბათ ეს იმიტომ ხდება, რომ კანი გადაჭიმვას ვერ ასწრებს, როცა ხორცი იკლებს. მაგრამ ნაკვთები იგივეა. ნაკვთები იგივე შერჩა. მხრები. თეძოები. იმ საღამოს, საცეკვაოდ რომ იცვავდა. დუნდულებში გამოჩრილი პერანგი.

ხელებს მუხლები მოუჭირა და, კმაყოფილმა, ცარიელი მზერა შეავლო მათ სახეებს.

ბატონმა პაუერმა იკითხა:

— როგორ მიდის გასტროლების საქმე, ბლუმ?

— ო, შესანიშნავად, თქვა ბატონმა ბლუმმა. ბევრი კარგი მესმის. შესანიშნავი აზრია, იცით...

— თქვენც მიბრძანდებით?

— არა, თქვა ბატონმა ბლუმმა. კაცმა რომ თქვას, კლერის საგრაფოში ვარ წასასვლელი ჩემს საქმეებზე. გადაწყვიტეს დიდი ქალაქები მოიარონ. რასაც ერთში წააგებს კაცი, მეორეში მოიგებს.

— მართალია, თქვა ბატონმა კანინგემმა. მერი ანდერსენიც გასტროლებზეა.

— კარგი შემსრულებლები გყავთ?

²³ მეტად პოპულარული მუსიკალური კომედია გასული საუკუნის მიწურულში.

²⁴ ბლუმი გულისხმობს, რომ მას კანინგემის გამასპინძლება საბოლოოდ ბილეთის ფასი დაუჭდება.

²⁵ დუბლინელი მექუდე (ბლუმს მასთან შეძენილი ქუდი ახურავს).

²⁶ სერ ფილიპ კრემპტონი (1777-1858) — დუბლინელი ქირურგი. ამჟამად მისი ძეგლი აღარ დგას.

²⁷ ბლუმი ცდილობს თავიდან მოიშოროს ფიქრი მოლიზე (ბოილენთან დაკავშირებით), მაგრამ წამდაუწუმ უბრუნდება მას („რა მოსწონთ ადამიანებს“ და „რა მოსწონს მოლის“).

— იმპრესარიო ლუის უერნერია²⁸, თქვა ბატონმა ბლუმმა. ნამდვილად საუკეთესო ძალებია. ჯ. ს. დოილი და მაკკორმეკი²⁹, იმედია, და... ფაქტიურად, ყველაზე კარგები.

— და მა დ ა მ, ღიმილით თქვა ბატონმა პაუერმა. ბოლო, თუმცა არა უკანასკნელი.

ბატონმა ბლუმმა თავაზიანი მოკრძალებით გაასავსავა ხელები. სმით ო'ბრაიენი, ვიღაცას ყვავილების კონა დაუდვია. ქალი. გარდაცვალების დღე თუა. კიდევ ბევრ წელს ვუსურვებ. ეტლმა ფარელის ქანდაკებას³⁰ შემოუარა და მათი მოდუნებული მუხლები უხმოდ შეაერთა.

ზოო... დაძინძილი მოხუცი გამყიდველი საქონელს თავაზობდა, პირი დაეღო: ზოო...

— ოთხი ზოონარი ერთი პენი.

ნეტავი სასამართლოდან რისთვის დაითხოვეს. ჰქონდა თავისი კონტორა ჰიუმის ქუჩაზე. იმავე სახლში, მოლის მოგვარე რომ დგას. ტუიდი, უოტერფორდის პროკურორი. მას შემდეგ სულ ამ ცილინდრს ატარებს. ძველი დიდების გადმონაშთი³¹. ესეც მგლოვიარე. როგორ დაცემულა, საბრალო! ხელიდან ხელში აწოდებენ, როგორც ბურნუთს — მიცვალებულისათვის ღამის თევისას. ო'კალაგენი სულს ღაფავს.

და მა დ ა მ. თორმეტის ოცი წუთია. ადგა. ქალბატონი ფლემინგი მოსულია დასალაგებლად. თმას ივარცხნის, ღიღინით: *voglio e non vorrei*. არა: *vorrei e non*³². თან თმის ბოლოებს დაჰყურებს, ბოლოჭამია ხომ არ გაუჩნდა. *Mitrema un poco il*³³. რა ლამაზად წარმოთქვამს *tre*-ს: თითქოს ქვითინებს. შაშვი. შაშვი მგალობელი. ხომ ამბობენ, შაშვი მგალობელიო, მისთვის ზედგამოჭრილი იყო.

წამით თვალი შეავლო ბატონი პაუერის სანდომიან სახეს. საფეთქლებთან შეჭალარავებული. მა დ ა მ: ღიმილით. ღიმილითვე ვუპასუხე. ღიმილი შორს წაგვიყვანს³⁴. იქნებ უბრალო თავაზიანობა³⁵. კარგი ყმაწვილია. ნეტა თუ მართალია, ქალს ინახავსო? ვერაფერი სასიამოვნოა ცოლისათვის. ხო, ამბობენ, ვინ მითხრა, არაფერი ხორციელიო. ადვილი წარმოსადგენია, როგორ მალე მობეზრდებოდათ. ხო, კრაფტონი შეხვდა იმდღეს, ერთი გირვანქა ხორცი რომ მიჰქონდა იმ ქალთან. სად მუშაობს? მგონი ჯიურის თუ მოირას სასტუმროს ბარში.

28 1904 წლის 16 ივნისს („ულისეს“ მოქმედების დრო) ბელფასტში, ალსტერ ჰოლში მართლაც იმ დროს ცნობილი მსახიობი მერი ანდერსენი (მადამ დე მარანო) ასრულებდა ჯულიეტას როლს (აივნის სურათში). მისი იმპრესარიო ლუის უერნერი იყო.

29 იმ დროს ირლანდიაში მეტად პოპულარული ბარიტონი და ტენორი.

30 ირლანდიელი პროტესტანტი ბელადის ო'ბრაიენის ძეგლის ავტორი იყო ფარელი.

31 ბლუმის შინაგან მონოლოგში გამოყენებულია ირლანდიური სიმღერის სიტყვები.

32 ბლუმი ასწორებს ადრე დაშვებულ შეცდომას: „მე მინდოდა და არ მინდოდა“ (იტ. იხ. „საუნჯე“ № 1, 1976, გვ. 210).

33 „ჩემი გული უფრო ძლიერად ძვერს“ (იტ.). მოცარტის „ღონ ჟუანის“ ერთ-ერთი დუეტის სიტყვები.

34 პოპულარული ამერიკული სიმღერის სიტყვები.

35 ბლუმი თავს იტყუებს: ბოილენის დანახვას ჩემი ცოლის გასტროლებზე ლაპარაკი რომ მოჰყვა — უბრალო შემთხვევითობააო.

უზარმაზარ წამოსასხამიანი განმათავისუფლებლის³⁶ ქანდაკების ქვეშ გაიარეს.

მარტინ კანინგემმა იდაყვი გაჰკრა ბატონ პაუერს.

— რუბენის მოდგმისა³⁷, თქვა მან.

მაღალმა, შავწვერა კაცმა, ჯოხზე დაყრდნობილმა, ელვერის მაღაზიის³⁸ კუთხეს ფეხის თრევით შემოუარა, თან ზურგზე შემოდებული მოკრუნჩხული ხელი დაანახვა მათ.

— მთელი თავისი პირველყოფილი სილამაზით, თქვა ბატონმა პაუერმა. ბატონმა დედალოსმა თვალი გააყოლა ფეხის თრევით მიმავალ კაცს და მშვიდად თქვა:

— ჯანდაბამდის გზა ჰქონია!³⁹

ბატონი პაუერი სიცილისაგან გადაფიჩინდა და სახე აარიდა ფანჯარას, როცა ეტლმა გრეის ქანდაქებას ჩაუარა⁴⁰.

— ჩვენ ყველანი ვყოფილვართ მასთან, გულახდილად თქვა ბატონმა კანინგემმა.

მისი მზერა ბატონი ბლუმის მზერას შეხვდა. წვერზე ხელი მოითათუნა და დაუმატა:

— თითქმის ყველანი⁴¹.

ბატონი ბლუმი მოულოდნელად გამოცოცხლდა და მოსაუბრეთა სახეებს გზნებით მიახალა:

— ერთ შესანიშნავ ამბავს ყვებიან რუბენ ჯ-სა და შვილის შესახებ.

— მენავებზე? იკითხა ბატონმა პაუერმა.

— დიახ. საშინლად კარგი რამ არის, არა?

— რა არის? იკითხა ბატონმა დედალოსმა. მე არ გამიგონია.

— ერთი გოგო იყო ჩარეული ამ საქმეში, დაიწყო ბატონმა ბლუმმა, და მან გადაწყვიტა თავისი ვაჟიშვილი მენის კუნძულზე გაეგზავნა, შორს ცოდვისაგან, მაგრამ როცა ორივე...

— რაო? იკითხა ბატონმა დედალოსმა. მაგ წვინტილიანმა ღლაპმა?

— დიახ, თქვა ბატონმა ბლუმმა. ორივე გემისაკენ მიდიოდა და მან დააპირა დაეხრჩო...

³⁶ იგულისხმება ადრე ნახსენები დენიელ ო'კონელი.

³⁷ ე. ი. ებრაელი. რუბენი — იაკობისა და ლიას უფროსი შვილი (შესაქმე, 29, 32).

³⁸ „ელვერის სპილოს პალატა“ — სეკვილის ქუჩაზე მდებარე მაღაზია, რომელიც წყალგამძლე ტანსაცმლით ვაჭრობდა.

³⁹ ჯოისის ბევრ რეალიასა თუ ალუზიას დაკარგული აქვს კონკრეტული მხატვრული ფუნქცია: უნდა ვიცოდეთ, მაგალითად, რომ სტივენ დედალოსი ავტობიოგრაფიული პერსონაჟია და რომ ჯოისის მამას ფული ჰქონდა ნასესხები სწორედ ებრაელ მევახშე რუბენ დოდისაგან; ამ კომენტარის გაუთვალისწინებლად საიმონ დედალოსის რეაქცია რუბენის დანახვაზე მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ ამ ებრაელთან შეხვედრა დუბლინელებს არ სიამოვნებთ (რადგან, ალბათ, ბევრს მართებს მისი). უკომენტაროდ მიღებული ასეთი ეფექტიც ჯოისს სავსებით აკმაყოფილებდა.

⁴⁰ სერ ჯონ გრეი — დუბლინელი საზოგადო მოღვაწე.

⁴¹ იგულისხმება, რომ მევახშე რუბენ ჯ-თან ყველა დაიარებოდა, გარდა ბლუმისა. ქვემოთ მოთხრობილი ამბავი ნამდვილად იყო აღწერილი მაშინდელ დუბლინის პრესაში.

— დაახრჩვეთ ბარაბა! ⁴² წამოიძახა ბატონმა დედალოსმა. ღმერთმანი, არაფერი მექნებოდა საწინააღმდეგო.

ბატონმა პაუერმა ხელაფარებულ ნესტოებში ჩაიხითხითა.

— არა, თქვა ბატონმა ბლუმმა, შვილმა თვითონ...

მარტინ კანინგემმა უხეშად შეაწყვეტინა.

— რუბენ ჯ. და შვილი ნავმისადგომს მიჰყვებოდნენ მდინარის პირას მენის კუნძულის გემისაკენ, როცა ის ძაღლის ლეკვი უცებ გაუსხლტა ხელიდან, მოაჯირს გადაახტა და პირდაპირ ლიფიში.

— ღმერთო ჩემო! წამოიძახა შეშინებულმა ბატონმა დედალოსმა. დაილუპა?

— დაილუპა! იყვირა მარტინ კანინგემმა. როგორ არა! მენავემ კავი გამოსდო შარვლის უბეში და მამამისს დაუსვა ნაპირზე. ცოცხალ-მკვდარი. ნახევარი ქალაქი იქ იყო.

— დიახ, თქვა ბატონმა ბლუმმა. მაგრამ სასაცილო ის არის...

— და ჯ. რუბენმა, თქვა მარტინ კანინგემმა, მენავეს ერთი ფლორინი აჩუქა შვილის გადარჩენისთვის.

ყრუ ოხვრა მოისმა ბატონი პაუერის პირზე აფარებული ხელის ქვემოდან.

— ო, მართლა აჩუქა, გაიმეორა მარტინ კანინგემმა. გმირულად. ვერცხლის ფლორინი.

— რა შესანიშნავია, არა? რიხიანად თქვა ბატონმა ბლუმმა.

— შილინგი და რვა პენსი ზედმეტი მიუცია, მშრალად თქვა ბატონმა დედალოსმა.

ბატონი პაუერის ყრუ სიცილი გაისმა ეტლში.

ნელსონის სვეტი ⁴³.

— რვა ქლიავი ერთი პენი! რვა ერთ პენად!

— მეტი სერიოზულობა გვმართებს, თქვა მარტინ კანინგემმა.

ბატონმა დედალოსმა ამოიოხრა.

— ისე კი, თქვა მან, უბედურ პედის არ ეწყინებოდა. თვითონ უყვარდა სასაცილო ამბების მოყოლა.

— ღმერთო შემინდე! თქვა ბატონმა პაუერმა და სველი თვალები თითებით მოიწმინდა. საწყალი პედი! ერთი კვირის წინ რომ ვნახე, ჯანმრთელი, რას ვიფიქრებდი, ასე თუ გავაცილებდი. წავიდა ჩვენგან.

— იმას უნდა ეთქვა, კაცი ვარ და ქუდი მხურავსო, თქვა ბატონმა დედალოსმა. მოულოდნელად გამოგვეცალა.

— შეტევა, თქვა მარტინ კანინგემმა. გული.

მწუხარედ დაირტყა ხელი გულზე.

ანთებული სახე: აღმოდებული. ვისკის მომეტებული ხმარება. ცხვირის სიწითლის წამალი. იქამდე უნდა დალიო, სანამ ლალივით არ გაგიხდება. დიდძალი ფული დახარჯა მის შესაფერადებლად.

⁴² ქრისტოფერ მარლოს „მალტიელი ებრაელის“ (1589) მთავარი მოქმედი პირი ბარაბა თვითონ ვარდება მტრისთვის დაგებულ ხაფანგში (მდუღარეში იხრჩობა).

⁴³ ნელსონის სვეტი ამჟამად დუბლინში აღარ დგას. 1966 წ. უცნობმა პირებმა იგი ააფეთქეს. ვარაუდობენ, რომ ეს ირლანდიელმა ნაციონალისტებმა მოიწოდებდნენ 1916 წლის აჯანყების 50 წლისთავზე.

ბატონი პაუერი სევდიანად გასცქეროდა სახლებს, გვერდზე რომ მიცურავდნენ.

— უეცრად მოკვდა, საწყალი, თქვა მან.

— საუკეთესო სიკვდილი, თქვა ბატონმა ბლუმმა.

მათმა ფართოდ გახელილმა თვალებმა შეხედეს.

— არავითარი წვალება, თქვა მან. ერთი წამი და ყველაფერი გათავდა. როგორც ძილში სიკვდილი.

არავინ არაფერი თქვა.

ქუჩის ეს მხარე მკვდარია. დღისით არაფერი არ ხდება, მიწის მაკლერები, სასტუმრო უალკოჰოლო სასმელებით, ფოლკნერის საცნობარო წიგნები, სამოქალაქო სამსახურის კოლეჯი, გილის მაღაზია, კათოლიკური კლუბი. ხელმარჯვე უსინათლოთა ინსტიტუტი. რატომ? რაღაც მიზეზია. მზე ან ქარი. ღამითაც. ბუხრის მწმენდავები და მოახლეები. განსვენებული მამაო მეთიუს მფარველობით⁴⁴. ლოდი პარნელის ქანდაკებისათვის. შეტევა. გული⁴⁵.

თეთრი ცხენები თეთრი ჯიღებით როტუნდას კუთხიდან გამოვარდნენ. პაწაწა კუბომ გაიელვა. ჩამარხვას ჩქარობენ. სამგლოვიარო ეტლი. უცოლო. შავრა დაოჯახებულისათვის, ამლაცი შინაბერასათვის. თავის ფერი მონაზონისათვის.

— საცოდაობა, თქვა მარტინ კანინგემმა. ბავშვი.

ქონდრის კაცის სახე სოსანი და დანაოჭებული პატარა რუდის სახესავით. ქონდრის კაცის სხეული, ცვილივით დარბილებული, თეთრად გაწყობილ ფიჭვის ყუთში. დამარხვა დამკრძალავი საზოგადოების ხარჯზე. კვირაში თითო პენი თითო ბელტისათვის. ჩვენი. პაწია. მაიმუნი. შვილიკო. უაზრობა. ბუნების შეცდომა. თუ ჯანმრთელია დედისაგანაა. თუ არა და მამისაგან. შემდგომში მეტი იღბალი.

— საბრალო პაწია არსება, თქვა ბატონმა დედალოსმა. მორჩა წვალებას.

ეტლი ნელა მიბორგავდა ზემოთ რატლენდ სკვერის⁴⁶ ბორცვზე. ქვაზე გაისმის. ძვლების ზრიალი. ღატაკი კაცის. ხვედრი ტიალი⁴⁷.

— ცხოვრების შუაგულში⁴⁸, თქვა მარტინ კანინგემმა.

— მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, თქვა ბატონმა პაუერმა, როცა კაცი თვითონ ისწრაფავს სიცოცხლეს.

მარტინ კანინგემმა უცებ ამოიღო საათი, ჩაახველა და ისევ უკან ჩაიღო.

— ამაზე მეტი შერცხვენა ოჯახისათვის წარმოუდგენელია, დასძინა ბატონმა პაუერმა.

— დროებითი შეშლილობა, უთუოდ, გადაჭრით თქვა მარტინ კანინგემმა. მეტისმეტად მკაცრად ნუ განვსჯით.

⁴⁴ კორტეჟი ჩაუვლის თეობალდ მეთიუს (1790-1861) ქანდაკებას. მეთიუ ირლანდიაში ლოთობის წინააღმდეგ იბრძოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე (პედი დიგნემი კი, ბლუმის ვერსიით, სწორედ ლოთობამ მოკლა).

⁴⁵ ამჯერად დიგნემის სიკვდილის მიზეზი კი არ იგულისხმება, არამედ პარნელის დიაგნოზი. კორტეჟი ჩაუვლის ლოდს, რომელიც პარნელის მომავალი ქანდაკების ადგილას იღო „ულისეს“ მოქმედების დროს (1904).

⁴⁶ ახლანდელი პარნელის მოედანი.

⁴⁷ აკვიატებული სიმღერის სიტყვები.

⁴⁸ ინგლისური ლოცვანის ერთ-ერთი აფორიზმია: „ცხოვრების შუაგულში მკვდრები ვართ“.

— ამბობენ, ვინც ამას სჩადის, ლაჩარიაო, თქვა ბატონმა დედალოსმა.

— ჩვენი განსასჯელი არ არის, თქვა მარტინ კანინგემმა.

ბატონმა ბლუმმა ერთი კი დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ კვლავ მოკუმა პირი. მარტინ კანინგემის დიდი თვალები. ახლა განზე იყურება. გამგები, ჰუმანური კაცია. ჭკვიანი. შექსპირს მიუგავს სახე. კეთილ სიტყვას არასოდეს დაგზარდება. აქ ამის პატიება არ იციან, არც ბავშვის მკვლელობის. ქრისტიანულ დაკრძალვას არ აღირსებენ⁴⁹. უწინ საფლავში ხის პალოს დაასობდნენ და გულში გაუტარებდნენ ხოლმე. თითქოს ისედაც დაკოდილი არ ყოფილიყოს. თუმცა ზოგჯერ მერე სინანულს გრძნობენ. მდინარის ფსკერზე უპოვიათ ჩალას ჩაბლაუჭებული. შემომხედა. და მერე რა საშინელი ლოთი ცოლი ჰყავს. რამდენჯერ მოუწყო ბინა და ის კი მისი სახელით თითქმის ყოველ შაბათს ავეჯს აგირავენს. სიცოცხლე გაუმწარა. ქვის გულიც ვერ გაუძლებდა. ორშაბათ დილით ყველაფერი თავიდან დაიწყო. ბორბალს მხრით მიაწეჭი⁵⁰. ღმერთო, რას გავდა იმდღეს, დედალოსმა მითხრა, იქ იყო. გაღეშილი დარბოდა ოთახში და მარტინის ქოლგით ლაზღანდარობდა:

აზიის თვალს მეძახიან,
აზიის თვალს,
გეიშას⁵¹.

თვალი ამარიდა. იცის⁵². ქვაზე გაისმის.

გამოძიების დღეს. მაგიდაზე წითელიარლიყიანი ბოთლი. სასტუმროს ოთახი, ნადირობის სურათებით მორთული. დახშული ჰაერი. მზის შუქი ვენეციური დარაბების ჭუჭრუტანებიდან. გამომძიებლის ყურები, დიდი და ბალნიანი. დერეფნის მორიგე ჩვენებას იძლევა. ჯერ იფიქრა სძინავსო. მერე თითქოს ყვითელი ზოლები შეამჩნია პირისახეზე. საწოლის ფეხებთან ჩაცურებულა. დასკვნა: ზედმეტი დოზა. სიკვდილი უბედური შემთხვევის შედეგად. წერილი ჩემს შვილს ლეოპოლდს.

აღარავითარი ტკივილი, ვეღარასოდეს გაიღვიძებ. ხვედრი ტიალი.

ეტლმა გრუხუნით სწრაფად გადაიარა ბლესინგტონის ქუჩა. ძვლების ზრიალი.

— საკმაოდ ჩქარა კი მივდივართ, თქვა მარტინ კანინგემმა.

— ღმერთმა ქნას, გზაზე არ ამოგვაყირავოს, თქვა ბატონმა პაუერმა.

— ესღა გვაკლდა, თქვა მარტინ კანინგემმა. ხვალ დიდი მარულა იმართება გერმანიაში. გორდონ ბენეტისა⁵³.

⁴⁹ თუმცა კათოლიკური ეკლესია კვლავაც ცდილობდა არ დაეშვა თავისმკვლელის დაკრძალვა საერთო სასაფლაოზე რელიგიური წესის დაცვით, მაგრამ ინგლისური კანონმდებლობა ამის უფლებას უკვე კარგა ხანია იძლეოდა.

⁵⁰ მინიშნება სიზიფოსის ჯაფაზე, რაც „ოდისეას“ ჰადესის ეპიზოდში გვხვდება და რაც „ულისეშიც“ შემდგომ რამდენჯერმე მოიხსენიება.

⁵¹ ოპერეტიდან „გეიშა“ (მუსიკა ჯეიმზ ფილიპის, ლიბრეტო ჰარი გრინბენკის).

⁵² კანინგემმა იცის, რომ ბლუმის მამამ თავი მოიკლა. სხვებისაგან განსხვავებით იგი გულისხმიერებას იჩენს ბლუმისადმი, როცა ცდილობს, რომ პაუერის უტაქტობით გამოწვეული ტკივილი შეუწულოს „თვითმკვლელის შვილს“.

⁵³ ამერიკელი სპორტმენი და ჟურნალისტი, რომელმაც 1900 წ. გერმანიაში საფუძველი ჩაუყარა ამ მარულას.

— დიახ, თქვა ბატონმა დედალოსმა. ღმერთმანი, ღირს მაგის ნახვა.
 ბარკლის ქუჩაზე რომ ჩაუხვიეს, წყალსაცავთან არღანმა უღარდელი სიმ-
 ღერა მიაყოლა. კელი ხომ არავის უნახავს? ⁵⁴ კანი ენი ლასი ინი. სამგლოვი-
 არო მარში საულიდან ⁵⁵. ანტონიოს გავს. საძაგელია. მშრალზე დარჩენა, ო,
 რა ძნელია ⁵⁶. პირუეტი! Mater Misericordiae ⁵⁷. ეკლზის ქუჩა. ჩემი სახლი
 იქვეა ⁵⁸. დიდი შენობაა. განუკურნელთა პალატა. ნამეტანი სანუგეშოა. ღვთის-
 მშობლის თავშესაფარი მომაკვდავთათვის. საცხედრეც იქვე ქვემოთ. მოხუცი
 ქალბატონი რაიორდენი სადაც გარდაიცვალა ⁵⁹. ქალები საზარლად გამოიყუ-
 რებიან. მისი საჭმლის ჯამი, პირში კოვზს ჩრიან. შემდეგ შირმას მიაფარებენ.
 იქ მოკვდესო. სიმპათიური ახალგაზრდა სტუდენტი, ფუტკრის ნაკბენი რომ შე-
 მიხვია. მითხრეს სამშობიაროში გადავიდაო. ერთი უკიდურესობიდან მე-
 ორეში.

ეტლმა კუთხეს შემოურბინა: გაჩერდა.

— რა მოხდა?

დადალული საქონლის ნახირმა, შუაზე გაყოფილმა, ფანჯრებს ჩაუარა,
 ბლავილით, ნაბადამოკრული ფლოქვეებით მოუხეშავად მიაბოტებდნენ და კუ-
 დებს ზანტად ირტყამდნენ ფუნაშემხმარ გაძვალტყავებულ გავაზე. მათ გარ-
 შემო და მათ შორის წითელ ნიშნიანი ცხვრები დარბოდნენ და შიშს ბლავი-
 ლით იოკებდნენ.

— ემიგრანტები, თქვა ბატონმა პაუერმა.

— ჰოო-ჰო! დაიყვირა მენახირის ხმამ და მისმა შოლტმა მათ ფერდებზე
 გაიტყლაშუნა. ჰოო-ჰო! მიდი!

ჰო, მართლა, ხუთშაბათია. ხვალ საქონლის დაკვლის დღეა. დეკეულები.
 კაფი ⁶⁰ თითოს დაახლოებით ოცდაშვიდ გირვანქა სტერლინგად ჰყიდდა. ალ-
 ბათ ლივერპულისაკენ. როსტბიფი ძველი ინგლისისათვის ⁶¹. ყველაზე კარ-
 გებს ყიდულობენ. თავ-ფეხი და ჯიგარი კი დაკარგულია: მთელი ეს ნედლე-
 ული, ტყავი, ბეწვი, რქა. ერთ წელიწადში ბლომად გროვდება. მკვდარი ხორ-
 ცით ვაჭრობა. სასაკლაოების ხარჯი — დაბახანებისათვის, საპნისათვის, მარგა-
 რინისათვის. ნეტავი თუ არ მოუშლიათ ის ძველი ხრიკები: უხვირო ხორცს
 თუ ყიდულობენ პირდაპირ მატარებლიდან კლონსილაში.

ეტლი გზას მიიკვლევდა ნახირში.

— ვერაფერი ვერ გამიგია, რატომ არ გაჰყავს ქალაქის საბჭოს ტრამვაის
 ხაზი პარკის ჭიშკრიდან ნავთსადგურამდე, თქვა ბატონმა ბლუმმა. მთელი ეს
 საქონელი შეიძლებოდა პირდაპირ გემებამდე გადაეყვანათ.

— იმის მაგივრად, რომ მთავარი ქუჩა ჩაეხერგათ, თქვა მარტინ კანინ-
 გემმა. სწორია. უნდა გაიყვანონ.

⁵⁴ პოპულარული ოპერეტული სიმღერების ციკლიდან.

⁵⁵ ჰენდელის ორატორია „საული“ (მოქ. 3).

⁵⁶ იმავე ოპერეტული სიმღერების ციკლიდან.

⁵⁷ „გულმოწყალე ღვთისმშობელი“ (ლათ.) — დუბლინის საავადმყოფო, რომელსაც სპეცია-
 ლური პალატა ჰქონდა განუკურნებელი ავადმყოფებისათვის.

⁵⁸ ბლუმის მისამართია ეკლზის ქ. № 7.

⁵⁹ რაიორდენი ჯოისის გამოყვანილი ჰყავს „პორტრეტში“ (დანტეს სახელით). მისი პრო-
 ტოტიპი (დანტე კონვეი) ბავშვების აღმზრდელი იყო ჯოისების ოჯახში.

⁶⁰ ჯოზეფ კაფი — საქონლით მოვაჭრე დუბლინელი.

⁶¹ „ძველი ინგლისური როსტბიფი“ ცნობილი ინგლისური სიმღერაა.

— დიახ, თქვა ბატონმა ბლუმმა, და იმაზეც მიფიქრია ხშირად, რომ ქალაქის საბჭოს დამკრძალავი ტრამვაი ჰქონდეს, როგორც მილანშია. ხაზი გაიყვანონ სასაფლაოს ჭიშკრამდე და სპეციალური ტრამვაები, კატაფალკი, ეტლი და საერთოდ ყველაფერი. ხომ გესმით, რისი თქმა მსურს?

— ო, ეს მეტიმეტი მოინდომეთ, თქვა ბატონმა დედალოსმა. პულმანის ვაგონი სალონ-რესტორნით.

— კორნი ამით დიდს ვერაფერს იხეირებს, დასძინა ბატონმა პაუერმა.

— რატომ? იკითხა ბლუმმა და ბატონ დედალოსს მიუბრუნდა. უფრო რიგიანი არ იქნებოდა განა, ვიდრე ასე ჭენებით ორ-ორი, გვერდიგვერდ?

— შესაძლოა მართალიც იყოთ, დაეთანხმა ბატონი დედალოსი.

— მაშინ, თქვა მარტინ კანინგემმა, იმისთანა სურათის მოწმე აღარ ვიქნებოდით, ერთხელ კატაფალკი რომ ამოყირავდა დანფის კუთხეში და კუბო გზაზე გადმოვარდა.

— საშინელება იყო, თქვა ბატონი პაუერის შეშფოთებულმა სახემ, და გვამი გზაზე გადავარდა. საშინელებაა! ⁶²

— პირველი მოვიდა დანფის კუთხესთან, თქვა ბატონმა დედალოსმა და თავი დაუქნია, გორდონ ბენეტის თასი.

— დიდება შენდა ღმერთო! ღვთისმოსავი ხმით თქვა მარტინ კანინგემმა.

ბუხ! გადატრიალდა. კუბო გზაზე დაებერტყა. თავი აეხადა. პედი დიგნეში გამოვარდა და გადავარდა გაშეშებული, მტვერში, ყავისფერ სრულ კოსტუმში. წითელი სახე: ახლა ნაცრისფერი. პირი დაფჩენილი. კითხულობს რა მოხდაო. სწორია, რომ აუკრავენ ხოლმე, საშინლად გამოიყურება დაფჩენილი. თანაც შიგნეულობა მალე იხრწნება. უკეთესია, თუ ყველა ხვრელს დაუცობენ. დიახ, იმასაც. ცვილით. სფინტერი მოეშლება ხოლმე. ყველაფერი დაილუქოს.

— დანფის ლუდხანა, გამოაცხადა ბატონმა პაუერმა, როცა ეტლმა მარჯვნივ გაუხვია.

დანფის კუთხე. სამგლოვიარო ეტლები ჩამწკრივებულან, მწუხარების ლუდში ჩასახშობად. შესვენება გზის პირას. ჩინებული ადგილი ლუდხანისათვის. უკან რომ გამოვბრუნდებით, ალბათ შევჩერდებით და მის სადღეგრძელოს დავლევთ. ნუგეშს გადავალთ ერთმანეთთან. ცხოვრების ელექსირი.

მაგრამ დავუშვათ, რომ მართლა მომხდარიყო. სისხლი თუ დაედინებოდა, ვთქვათ, გადაგორებისას ლურსმანს რომ წამოგებოდა? ალბათ, ჰოც და არაც. დამოკიდებულია რა ადგილას. სისხლის მიმოქცევა წყდება. მაინც შესაძლოა ცოტაოდენი გამოყოლოს არტერიიდან. კარგი იქნებოდა წითელ სუდარაში რომ მარხავდნენ: მუქ წითელ სუდარაში.

დუმილით გაიარეს ფიბსბორო როუდი. ცარიელმა კატაფალკმა ჩაკჩაკით ჩაიარა, სასაფლაოდან მომავალმა: თითქოს შვევით.

⁶² ბლუმის ცნობიერებაში რამდენჯერმე გაელვებული სიმღერის თემა (ქვაფენილზე დაგორებული გვამის ძვლების რახა-რუხი) რეალურ საშინელებად წარმოუდგათ მგზავრებს, მას შემდეგ რაც მარტინ კანინგემმა კონკრეტული შეთხვევა გაიხსენა. ამ ეპიზოდის მთავარი ხაზი ბლუმის ცნობიერების დინებაა და თვით ცხოვრებისეული ფაქტებიც მხოლოდ მის დასადასტურებლად თუ გამოსახატავად ჭირდება ავტორს (ამასთან: „თქვა სახემ“, ისევე როგორც, „შეხედეს თვალებმა“, „დაიყვირა ხმამ“ და სხვ. ჯოისის ავტორისეული თხრობის თავისებური ატრიბუტებია).

კროსგანის ხიდი: როიალ კენელ⁶³.

წყალი ღმუილით მოეხეთქებოდა რაბებში. კაცი იდგა ტორფის გროვათა შორის მოქანავე კარჭაპზე⁶⁴. რაბის გასწვრივ ტივზე ცხენი იყო დუშაყ-გაყრილი. „ბუგაბუს“ ბაქანზე⁶⁵.

მათი თვალები უთვალთვალებდნენ. ლერწმით დაფარულ წყნარ არხზე მიცურავდა იგი ტივით ზღვის ნაპირისაკენ მთელ ირლანდიაზე, ბაგირს გამობმული, შლამით, ტალახდაცობილი ბოთლებით, ძაღლის ლეშით ჩახერგილ ჩალიანში. ათლონი, მალინგერი, მოიველი⁶⁶. ფეხითაც შემეძლო არხის გაყოლებით ჩასეირნება მოლის სანახავად. ან ველოსიპედით. დამეჭირავებინა ძველი ჯაბახანა, სანდო. ერთი იმდღეს რენის აუქციონზე იყიდებოდა, თუმცა ქალისა. ნაოსნობის განვითარება. ჯეიმზ მაკკენის ჰობი: ჩემი მეორე ნაპირზე გადაყვანა⁶⁷. მიმოსვლის იაფი საშუალება. მარჯვე საფეხურებით. სახლხომალდები. სუფთა ჰაერზე. კატაფალკებიც. ზეცისაკენ ცურვით. იქნებ წინასწარ არც მივწერო. მოულოდნელად მივადგები, ლექსლიპი, კლონსილა⁶⁸. ისევ ქვევით, რაბიდან რაბში, დუბლინისაკენ. ტორფთან ერთად მიდღენდის ჭაობებიდან. სალამი. ყავისფერი ჩალის ქუდი აიწია, პედი დიგნემს მიესალმა⁶⁹.

ჩაუარეს ბრაიენ ბოროიმჰის ლუდხანას⁷⁰. უკვე ახლოსაა.

— საინტერესოა, როგორ არის ჩვენი მეგობარი ფოგარტი, თქვა ბატონმა პაუერმა.

— ტომ კერნანს უნდა ჰკითხოთ, თქვა ბატონმა დედალოსმა.

— ეგ როგორ, თქვა მარტინ კანინგემმა. ალბათ ცრემლებად იღვრება.

— თუმც თვალს განშორდა, თქვა ბატონმა დედალოსმა, მაგრამ გულში მარად იცოცხლებს⁷¹.

ეტლმა მარცხნივ გადაუხვია ფინგლას როუდზე.

მარჯვნივ ქვისმთელის ეზო. უკანასკნელი გადასახვევი. მიწის პატარა ნაგლეჯზე გამოჩნდა შეჯგუფებული მღუმარე ფიგურები. თეთრი, მჭმუნვარე, წინ გაშვერილი მშვიდი ხელებით, მწუხარებაში ჩამუხლულნი, თითაწეულნი. ქანდაკებების ნატეხები, ქვაში ნაკვეთნი. თეთრ მღუმარებაში: მომუ-

63 დუბლინის მთავარი არხი.

64 მინიშნება მეზობირე ქირონზე, რომელმაც ენეასი მდინარე სტიქსზე გადაიყვანა მისი ჰადესში ყოფნის დროს. აქედან ჩანს, რომ ჯოისი „ჰადესის“ ეპიზოდში არა მარტო „ოდისეას“ მეთერთმეტე წიგნს გულისხმობს, არამედ „ენეადის“ მეექვსე წიგნსაც.

65 მინიშნება სატირულ ბალადაზე.

66 როიალ კენელის სისტემაში შემავალი ადგილები.

67 ჯეიმზ მაკკენი — გრენდ კენელის კომპანიის თავმჯდომარე. ამ კომპანიის მიზანი იყო პროპაგანდა გაეწია არხზე ნაოსნობისათვის. მაკკენი სწორედ 1904 წ. გარდაიცვალა („ულისეს“ მოქმედების დრო) და იგი ზემოთ მინიშნებული ქირონის „როლს“ ასრულებს ჰადესში ბლუმის მოგზაურობის ეპიზოდში.

68 ლექსლიპი მდინარე ლიფიზე მდებარეობს, ხოლო კლონსილა კი როიალ კენელზე.

69 მთელი ეს პასაჟი ბლუმის „ჰადესში ჩასვლის“ ყველაზე კონკრეტულ მინიშნებას წარმოადგენს.

70 ბრაიენ ბორუ (ბოროიმჰი) (926-1014) — ირლანდიის მეფე, რომელმაც დაამარცხა დანიელები კლონტარფთან (ამჟამად დუბლინის ჩრდილო-აღმოსავლეთი). ლუდხანის კარზე დღესაც არის გამოხატული მეფის სურათი ბრძოლის დროს.

71 პოეტისა და კომპოზიტორის ჯორჯ ლინლის (1798-1865) სიმღერის სიტყვები.

დარენი. შეიძინეთ, საუკეთესო. ტ. ჰ. დენანი, საფლავის ძეგლთა ოსტატი და მოქანდაკე.

ჩაუარეს.

გზისპირას მნათე ჯიმი გირის სახლის წინ ბებერი მაწანწალა იჯდა, უზარმაზარი ყავისფრად დამტვერილი პირდაფხენილი ფეხსაცმლიდან ბუზღუნით ბერტყავდა ტალახსა და ქვიშას. მთელი სიცოცხლე ნაწანწალები.

მერე პირქუშმა ბაღებმა ჩაიარეს, თითო-თითოდ: პირქუშმა სახლებმა. ბატონმა პაუერმა თითი გაიშვირა.

— აგერ იქ მოკლეს ჩაილდზი, თქვა მან. ბოლო სახლი.

— დიახ, დიახ, თქვა ბატონმა დედალოსმა. საშინელი შემთხვევა. სიმორ ბუშმა დაიხსნა⁷². საკუთარი ძმა მოკლა. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ.

— ბრალდებას სამხილი არ გააჩნდა, თქვა ბატონმა პაუერმა.

— მხოლოდ არაპირდაპირი, თქვა ბატონმა კანინგემმა. ეს არის მართლმსაჯულების პრინციპი. ჯობია ოთხმოცდა ცხრამეტი დამნაშავე გამართლდეს, ვიდრე ერთი უდანაშაულოდ გამტყუნდეს⁷³.

გაიხედეს. მკვლელის კარმიდამო. პირქუშად ჩაიარა. ჩარაზული, მიტოვებული. გაუმარგლავი ბალი⁷⁴. ყველაფერი ჩაოხრდა. უდანაშაულოდ გამტყუნდეს. მკვლელობა. მკვლელის ხატი მოკლულის თვალებში. უყვართ ასეთი რამეების წაკითხვა. ბაღში ნაპოვნი კაცის თავი. ქალს ტანთ ეცვა... როგორ ეწვია სიკვდილი. კიდევ ერთი დანაშაული. გამოყენებული იარაღი. მკვლელი ჯერ კიდევ თავისუფლად დადის. ნივთიერი სამხილი. ფეხსაცმლის თასმა. გვამი უნდა ამოითხაროს. ჭირმა თავი მალაო. მკვლელობა მაინც გამყლავნდება⁷⁵.

ამ ეტლში სივიწროვეა. შეიძლება არ მოეწონოს ასე შეუტყობინებლად რომ მივადგე. ქალებთან სიფრთხილეა საჭირო. ერთხელ ნიფხავჩახდილს თუ მიატანე, აღარასოდეს გაპატიებენ. თხუთმეტისა.

სასაფლაოს მაღალი მესერი თვალებში აუჭრელდათ. თალხი ალვის ხეები, აქა-იქ თეთრი ძეგლები. ძეგლები გახშირდა, ხეებს შორის ჩაჭედოილი თეთრი სილუეტები, უხმოდ მისცურავენ თეთრი ძეგლები და ფრაგმენტები, პაერში უსასოოდ გაშვერილი ხელებით⁷⁶.

ფერსო ტროტუარს გაეხახუნა: გაჩერდნენ. მარტინ კანინგემმა ხელი გამოჰყო, სახელური დასწია და მუხლით გაალო კარი. გამოვიდა. ბატონი პაუერი და ბატონი დედალოსიც გამოჰყვნენ.

⁷² ვეჭილი სიმორ ბუში იცავდა სემუელ ჩაილდზს, რომელსაც საკუთარი ძმის — ტომას ჩაილდზის მკვლელობა ბრალდებოდა. რიჩარდ ელმანის ცნობით, ჯოისი ესწრებოდა ამ გახმაურებულ პროცესს (1899 წ.).

⁷³ „ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათვის ცოდვილისა, რომელმან შეინანოს, ვიდრეა არა ოთხმოც და ათ-ცხრამეტა მათ მართალთა, რომელთა არა უხმს სინანული“ (ლუკა, 15, 7). ცნობილი ინგლისელი იურისტი სერ უილიამ ბლეკსტონი (1723-80) წერდა: „უკეთესია ათი დამნაშავე გამართლდეს, ვიდრე ერთი უდანაშაულო იტანჯოს“.

⁷⁴ „თითქოს ქვეყანა იყოს ბალი გაუმარგლავი“ („ჰამლეტი“, 1, 2).

⁷⁵ გავრცელებული გამოთქმა (გვხვდება, მაგალითად, ჩოსერთან). შესაძლოა ჰამლეტურ რემინისცენციასაც წარმოადგენდეს („მაგრამ თვით ცოდვა სასწაულად შექმნის ლაღადსა“, 11, 2).

⁷⁶ მინიშნებულია ენეასის მიერ საიქიოს პირველი ხილვა.

ახლა სხვაგან გადაიტანე ეგ საპონი. ბატონი ბლუმის ხელმა სწრაფად გახსნა უკანა ჯიბე და ქალაღმნიწებებულ საპონი შიდა ჯიბეში გადაიტანა. ეტლიდან გადმოვიდა, თან ჯიბეში ჩაიღო გაზეთი, რომელიც ჯერ კიდევ მის მეორე ხელს ეჭირა.

უბადრუკი დასაფლავებაა: კატაფალკი და სამი ეტლი. რა მნიშვნელობა აქვს. კუბოს ამწევნი, ოქროს ლაგამი, რექვიემი, სალიუტი გასროლით. სიკვდილის ზარზეიმი. ბოლო ეტლის უკან ხელზე მოვაჭრე იდგა ნამცხვრისა და ხილის ხონჩასთან. მაგარი ნამცხვრები, ერთმანეთზე მიწებებული: ნამცხვრები მკვდრებისათვის. ძაღლის ბისკვიტი⁷⁷. ვინ ჭამა? უკან გამობრუნებულმა ჭირისუფლებმა.

თანამგზავრებს გაჰყვა. ბატონი კერნანი და ნედ ლამბერტიც მიჰყვნენ, ჰაინზი კი უკან მისდევდა მათ. კორნი კელეჰერი ღია კატაფალკთან იდგა. ორი გვირგვინი გადმოიღო. ერთი ბიჭს მისცა.

ბავშვის პროცესია რაღა იქნა?

ცხენებმა ფინგლასიდან ჩამოიარეს⁷⁸. მიაბიჯებდნენ მძიმედ, წვალებით. სასაფლაოს მყუდროებაში ჭრიალა ფურგონს მიათრევდნენ, რომელზეც გრანიტის ლოდი იდო. მეფორნემ, ცხენებს წინ რომ მიუძღვოდა, ქული მოიხადა.

ახლა კუბო. ჩვენზე ადრე მოსულა, შენ მკვდარი დაუძახე⁷⁹. ცხენმა თავი მოაბრუნა და ჯილა მოღრეცილი უყურებს. ჩამქრალი მზერა: ხამუთი უჭერს, სისხლის ძარღვს ან რაღაცას აწვება. ნეტავი თუ იციან, რას ეზიდებიან აქ ყოველ დღე? დღეში ოცი-ოცდაათი დასაფლავება იქნება. ამის გარდა მაუნტ ჯერომი პროტესტანტებისათვის⁸⁰. დასაფლავება მთელ დედამიწის ზურგზე ყველგან ყოველ წუთს. მოხვეტავენ და ერთბაშად მიწაში ყრიან. ათასობით ყოველ საათს. მეტისმეტად ბევრია მსოფლიოში.

ჭირისუფლები ჭიშკრიდან გამოვიდნენ: ქალი და გოგონა. ყბებჩაცვენილი ჰარპია⁸¹, აფთარი დედაკაცი, ბერეტი მოღრეცია. გოგონას სახე ჭუჭყითა და ცრემლებით მოთხუპნილი. ქალის ხელი უჭირავს და შეჰყურებს, თუ მანიშნებს აბღავლდით. თევზის სახე, გაცრეცილი, მკვდრისფერი.

დაქირავებულმა ჭირისუფლებმა კუბო მხარზე შეიდგეს და ჭიშკარში შეიტანეს. ამხელა მკვდარი ტვირთი. თვითონ მემძიმა საკუთარი თავი, აბაზანიდან რომ გამოვედი. ჯერ გვამი შემდეგ გვამის მეგობრები. მერე კორნი კელეჰერი და ბიჭი მოჰყვნენ გვირგვინებით. ეს ვიღაა მათ გვერდით? აა, მაზლი.

ყველანი უკან გაჰყვნენ.

მარტინ კანინგემმა ჩურჩულთ თქვა:

⁷⁷ „ძაღლის ბისკვიტი“ — არა მარტო სიმეგრის გამო, არამედ კვლავ „ენეიდას“ ასოციაციითაც: სიბილა, როცა ენეასს საიქიოში შეუძღვება, სამთავა ძაღლ-ურჩხულს კერბერუსს ბანგიან მორგვს მიუგდებს.

⁷⁸ ფინგლასი — დასახლება სასაფლაოს ჩრდილო-დასავლეთით, სადაც ქვის სამტეხლოა მოთავსებული.

⁷⁹ დიგნემი ამ შემთხვევაში ჰომეროსის ელპენორია, რომელიც სთხოვს ოდისევსს — დაბრუნდეს ცირცეს კუნძულზე და მისი ცხედარი დაკრძალოს.

⁸⁰ მაუნტ ჯერომი — პროტესტანტების სასაფლაო დუბლინში.

⁸¹ ჰარპიები — ქალისთავიანი ფრთოსანი ურჩხულები.

— ერთი სიკვდილი გავათავე, როცა თქვენ თვითმკვლელობაზე ლაპარაკობდით ბლუმის თანდასწრებით.

— რაო? ჩურჩულით თქვა ბატონმა პაუერმა. რატომ?

— მამამისმა ხომ თავი მოიწამლა, ჩურჩულით თქვა მარტინ კანინგემმა. „დედოფლის სასტუმროს“ პატრონი იყო ენისში. ხომ გაიგონეთ, კლერში მივდივარო. წლისთავია.

— ღმერთო ჩემო! ჩურჩულით თქვა ბატონმა პაუერმა. პირველად მესმის. თავი მოიწამლა!

უკან მიიხედა იქით, სადაც სახე, შავი ფიქრიანი თვალებით, მათთან ერთად კარდინალის⁸² მავზოლეუმისაკენ მიდიოდა. ლაპარაკით.

— დაზღვეული თუ იყო? იკითხა ბატონმა ბლუმმა.

— მე მგონი კი, უპასუხა ბატონმა კერნანმა, მაგრამ პოლისი მეტად ძვირად ჰქონდა დაგირავებული. მარტინი ცდილობს უმცროსი არტეინში მოაწყოს⁸³.

— რამდენი შვილი დარჩა?

— ხუთი. ნედ ლამბერტი ამბობს, ვეცდები ერთ-ერთი გოგო ტოდთან მოვაწყოო⁸⁴.

— სამწუხარო ამბავია, თანაგრძობით თქვა ბატონმა ბლუმმა. ხუთი პატარა ბავშვი.

— დიდი უბედურებაა საბრალო ცოლისათვის, დასძინა ბატონმა კერნანმა.

— ნამდვილად, დაეთანხმა ბატონი ბლუმი.

ახლა კი აჯობა ქმარს.

ფეხსაცმელზე დაიხედა, თვითონ რომ გაწმინდა და გააკრიალა. ქმრის სიკვდილს მოესწრო, ქმარი დაჰკარგა. მისთვის უფროა მკვდარი, ვიდრე ჩემთვის. ერთი უნდა მოესწროს მეორის სიკვდილს. ჰკვიანი ხალხის ნათქვამია. ქვეყანაზე ქალი მეტია, ვიდრე კაცი⁸⁵. ანუგეშე, თქვენი საშინელი დანაკლისი. იმედი მაქვს, მალე თან გაჰყვებით. მარტო ინდუსი ქვრივები. თორემ სხვას მითხოვდებოდა⁸⁶. მას? არა. თუმცა ვინ იცის რა მოხდება? ქვრივობა ის ქვრივობა აღარ არის მას შემდეგ, რაც ბებერი დედოფალი მოკვდა. ზარბაზნის ლაფეტზე მოჰყავდათ. ვიქტორია და ალბერტი. ფროგმორის გლოვა⁸⁷. მაგრამ ბოლოს მაინც გაირჩვა ორიოდე ია შლიაპაში. გულის სიდრმეს

82 იგულისხმება ლუბლინის არქიებისკოპოსი კარდინალი მაკ კეიბი (1816-1885).

83 ე. ი. ლატაკ ბავშვთა თავშესაფარში.

84 „ტოდი, ბერნზი და კომპანია“ — ფართლელის საწარმო ლუბლინში, სადაც, სხვათა შორის, ერთ დროს ჯოისის და — მეი ჯოისი მუშაობდა.

85 ერთ დროს პოპულარული სახუმარო სიმღერა, რომელიც თავდებოდა სიტყვებით: „რატომ არ შეიძლება ყველა კაცს სამი ცოლი ჰყავდეს?“

86 გარდაცვლილი ქმრისათვის თავის შეწირვის რიტუალი („სუტი“) ინდოეთში მე-19 საუკუნის დასაწყისში აიკრძალა, მაგრამ აქა-იქ ზოგჯერ მე-20 საუკუნეშიც სრულდებოდა.

87 დედოფალი ვიქტორია თავის ქმარს ალბერტს სიკვდილამდე გლოვობდა (ე. ი. 40 წლის მანძილზე). უინძორის სასახლეში მან ააგო საგვარეულო აკლდამა (ფროგმორის მავზოლეუმი), სადაც თვითონაც არის დაკრძალული დედამისისა და პრინც ალბერტის გვერდით. უინძორის საზაფხულო რეზიდენციაში ყოფნისას, დედოფალი ყოველ დღე ინახულებდა ხოლმე აკლდამას.

მაინც ამოება⁸⁸. ყოველივე ეს ჩრდილისათვის. მხოლოდ მეუღლე, მეფე კი არა. მისი ვაჟი იყო არსებითი. რაღაც ახალი, საიმედო, არა წარსულის მსგავსი, მას რომ დაბრუნება სურდა, ელოდა. აღარასოდეს დაბრუნდება. რომელიღაც პირველი უნდა წავიდეს: მარტოდ-მარტო მიწაში: და აღარასოდეს ჩაუგორდეს თბილ ლოგინში⁸⁹.

— როგორ ბრძანდებით, საიმონ? რბილად თქვა ნედ ლამბერტმა, თან ხელი ჩამოართვა. მთელი საუკუნეა აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს.

— როგორც არასდროს. როგორ არიან ყველანი მშვენიერ ქალაქ კორკში?⁹⁰

— კორკის პარკის მარულაზე ვიყავი აღდგომის ორშაბათს, თქვა ნედ ლამბერტმა. ყველაფერი ძველებურად არის. არაფერი შეცვლილა. დიკ ტაივისას გავჩერდი.

— დიკი როგორღაა, კაცური კაცი?

— აღარაფერი შერჩა თავსა და ზეცას შორის, უპასუხა ნედ ლამბერტმა.

— ღმერთო შენი სახელის ჭირიმე! თქვა ბატონმა დედალოსმა, თან განცვიფრება დაიოკა. დიკ ტაივი გამელოტდა?

— მარტინი შესაწირავის შეგროვებას აპირებს ბავშვებისათვის, თქვა ნედ ლამბერტმა და თითი წინ გაიშვირა. თითო სულიდან რამდენიმე შილინგს. როგორმე რომ იარსებონ, სანამ დაზღვევის საქმე გაირკვეოდეს.

— დიახ, დიახ, ყოყმანით თქვა ბატონმა დედალოსმა. წინ უფროსი ბიჭია?

— დიახ, თქვა ნედ ლამბერტმა, ცოლის ძმასთან. იმის უკან ჯონ ჰენრი მენტონია. მაგან ერთ გირვანქა სტერლინგზე მოაწერა ხელი.

— მჯერა მოაწერდა, თქვა ბატონმა დედალოსმა. ხშირად მითქვამს საბრალო პედისათვის, მაგ სამუშაოს არ შერეშვა-მეთქი. ჯონ ჰენრიზე უარესები დადიან ამ ქვეყანაზე.

— როგორ დაჰკარგა სამუშაო? იკითხა ნედ ლამბერტმა. სვამდა?

— ეგ ბევრ კარგ კაცს სჭირს, ამოიოხრა ბატონმა დედალოსმა.

სასაფლაოს ეგვტერის კართან შეჩერდნენ. ბატონი ბლუმი პატარა ბიჭის უკან დადგა, გვირგვინი რომ ეჭირა. დაჰყურებდა მის გადატკლევცილ თმას და წვრილ გაღარულ კისერს ახალთახალ საყელოს შიგნით. საბრალო ბიჭი! იქ იყო, როცა მამა? ორივე უგონოდ. უკანასკნელ წუთს გონს მოსვლა და უკანასკნელად ცნობა. რამდენი რამის გაკეთებას შეძლებდა. ო'გრედის

⁸⁸ ჰამლეტი ჰორაციოს ეუბნება: „აბა, მაჩვენე ჯერ ისეთი კაცი მე სადმე, რომელიც მონად ვნებათღელვას არ გახდომია, და მასაც შენებრ აქ ჩავისვამ, აქ, გულის სიღრმეს!“ (111, 2).

⁸⁹ ბლუმის შინაგან მონოლოგში ჩანს იმ დროს გავრცელებული კრიტიკული დამოკიდებულება დედოფალ ვიქტორიას ზომას გადაცილებული გლოვისადმი თავისი „ჩრდილის“ სიკვდილის გამო (ალბერტი პრინცი-კონსორტი იყო და არა მეფე). ამავე დროს, მინიშნებულია დედოფლის მიერ სრული იგნორირება ტახტის მემკვიდრისა, რომელიც მხოლოდ სამოცი წლის ასაკში იქნა დაშვებული სახელმწიფო საქმეებთან (როცა ვიქტორიას გარდაცვალების შემდეგ მეფე ედვარდ მეშვიდე გახდა).

⁹⁰ ირლანდიური სიმღერის რემინისცენცია.

სამი შილინგი მმართვეს⁹¹. გაიგებდა? დაქირავებულმა ჭირისუფლებმა კუბო ეგვეტერში შეიტანეს. თავი საით უღვეს?

ცოტა ხნის შემდეგ სხვებს შეჰყვა თვალების ჭუტვით სინათლიდან ჩრდილში. საკურთხეველის წინ შემალლებაზე იდგა კუბო, ოთხი მაღალი ყვირელი სანთლით კუთხეებში. მუდამ ჩვენს წინ. კორნი ეკლესიის გვირგვინები დაუწყო თავით. ბიჭს ანიშნა დაიჩოქეო. ჭირისუფლები აქა-იქ ჩაიჩოქნენ სალოცავ მერხებთან. ბატონი ბლუმი ემბაზს მოეფარა და როცა იჩოქებდა, ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, საგულდაგულოდ დაფინა ძირს და მარჯვენა მუხლით დაიჩოქა. ფრთხილად დაიდო მარცხენა მუხლზე შავი ცილინდრი. კიდევზე ხელი მოჰკიდა და მორჩილად დახარა თავი.

კარებში ეკლესიის მსახური შემოვიდა, რაღაცით სავსე სპილენძის სათლით ხელში. მას თეთრებში ჩაცმული პატერი მოჰყვა. ცალი ხელით ოლარს ისწორებდა, მეორეთი კი გომბეშოს მუცელზე მიდებულ პატარა წიგნი ეჭირა. მე დაგისვამთ კითხვას: წიგნს ვინ წაიკითხავს?⁹²

კატაფალკთან შეჩერდნენ და პატერმა ხრინწიანი ხმით დაიწყო წიგნიდან კითხვა.

მამაო კუბე. მახსოვდა, გვარი კუბოს მიუგავდა. *Dominenamine*⁹³. ხარივით დრუნჩი აქვს. წარმოდგენას ხელმძღვანელობს, ჩასკვნილი ქრისტიანი⁹⁴. ვაი იმას, ვინც ალმაცერად შეხედავს: პატერი. შენ ხარ კლდე⁹⁵. ფაშვი გაუსკდება იონჯით დასუქებული ცხვარივით, დედალოსი ამბობს. ღიპი ადევს მოწამლული ძაღლის ლეკვივით. რა გასაოცარ გამოთქმებს არ მოიგონებს ეს კაცი. ჰმ: ფაშვი გაუსკდება.

— *Non intres in iudicium cum servo tuo, Domine*⁹⁶.

უფრო დიდი წარმოდგენისანი ხდებიან საკუთარ თავზე, როცა ლოცვებს ლათინურად უკითხავენ. რეჟეიმი. კრებით შემოსილი მოზარენი⁹⁷. შავ-არშიიანი ბარათი. შენი გვარი ეკლესიის წიგნში. ცივი ადგილი კია. კარგი კვება ჭირდება, მთელი დილა ზის ამ ბნელში, ქუსლს ქუსლზე ირტყავს და ელოდება: შემდეგი, გეთაყვა. თვალებიც გომბიოსი აქვს. რამ გაბერა ასე? მოლის კომბოსტო ბერავს. იქნებ აქაურმა ჰავამ. ალბათ ცუდი გაზითაა სავსე. აქ უთუოდ ბლომად გროვდება ცუდი გაზი. მაგალითად ყასბები: უმ ბიფშტექსს ემსგავსებიან. ვინ მეუბნებოდა? მერვინ ბრაუნი⁹⁸. წმიდა უერბეგის აკლდამაში

91 პაროდია სოკრატეს უკანასკნელ სიტყვებზე: „ასკლეპიოსის მამალი მმართვეს; მიმიხედეთ, რომ ვალი დაუბრუნდეს“ (პლატონის „ფედონი“).

92 რომელიღაც საბავშვო ლექსის სიტყვები.

93 ბლუმი ამახინჯებს ლათინურ გამოთქმას: „ღვთის სახელით“.

94 პაროდია ანგლიკანურ ეკლესიაში გავრცელებულ მოძღვრებაზე, რომლის თანახმად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელ სხეულს, როგორც ზნეობისა და ჭეშმარიტი რწმენის მატარებელ ჭურჭელს.

95 „და მე გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი... (მათე, 16, 18). პეტრეს ადრე ერქვა სიმონი და მას იესო სახელს შეუცვლის (ბერძნულად „პეტრა“ კლდეს ნიშნავს).

96 „არა განსაჯო მონა შენი, უფალო“ (ლათ.).

97 პროფესიონალი მოზარენი იაფფასიან ნაჭრისაგან (კრებისაგან) იკერავდნენ ტანსაცმელს.

98 მოთხრობა „მკვდრების“ პერსონაჟი („დუბლინელები“). 1904 წ. დუბლინის ზოგად ცნობარში მოხსენებულა, როგორც მუსიკის მასწავლებელი და ორლანისტი.

მშვენიერი ძველი ორდანი ასორმოცდაათი წელი⁹⁹. ზოგჯერ კუბოების გახვრეტა უხდებათ ცუდი გაზის გამოსაშვებად და დასაწვავად. გამოხეთქს ხოლმე: ცისფერი. ერთხელაც რომ შეისუნთქო, კარგად მენახე.

მუხლისკვერი მტკივა. ოო. მომეშვა.

პატერმა ბიჭის სათლიდან ბუნიკიანი ჯოხი ამოიღო და კუბოზე დააქნია. შემდეგ შემოუარა და ისევ დააქნია. შემდეგ უკან მობრუნდა და ისევ სათლში ჩადო. როგორიც იყავი განსვენებამდე. ეს ყველაფერი წიგნში წერია: ასე უნდა გააკეთოს.

— Et ne nos inducas in tentationem¹⁰⁰.

მსახური წრიბინა დისკანტით პასუხობდა. ხშირად მიფიქრია, უკეთესი იქნებოდა მსახურებად ბიჭები რომ ჰყავდეთ. ასე თხუთმეტ წლამდე. მერე უკვე, რა თქმა უნდა...

ნაკურთხი წყალი იყო, ალბათ. გამოაფხიზლებს. გაბეზრებული იქნება ამ საქმიანობით, მაგ რაღაცას რომ უქნევს აქ მოტანილ ცხედრებს. რა იქნებოდა შეეხედა, ვის უქნევდა. ყოველ ცისმარე დღეს ახალი პარტია: შუახნის კაცები, ბებერი დედაკაცები, ბავშვები, მუცელს გადაყოლილი ქალები, წვეროსანი კაცები, მელოტი საქმოსნები, ჭლექიანი ქალიშვილები ბელურას ვიწრო მკერდით. მთელი წლის მანძილზე ერთი და იგივე ლოცვას კითხულობს და ზემოდან წყალს ასხურებს: იძინე. ახლა დიგნემს.

— In paradisum¹⁰¹.

სამოთხეში მიდისო, თქვა, ან სამოთხეშიაო. ყველაზე ამას ამბობს. დამქანცველი ჯაფაა. მაგრამ რაღაც ხომ უნდა ითქვას.

პატერმა წიგნი დახურა და გავიდა. მსახური გაჰყვა. კორნი კელეჰერმა გვერდითა კარი გააღო და მესაფლავეები შემოვიდნენ, კვლავ ასწიეს კუბო, გაიტანეს და ურიკაზე დადგეს. კორნი კელეჰერმა ერთი გვირგვინი ბიჭს მისცა და მეორე კი მაზღს. ყველანი გაჰყვნენ მათ გვერდითა კარებში და რბილ, რუხ ჰაერზე გავიდნენ. ბლუმი უკანასკნელი გამოვიდა, დაკეცილ გაზეთს ისევ ჯიბეში იჩრიდა. მიწას დარბაისლურად დაჰყურებდა, სანამ ურიკა მარცხნივ გაგორდა. ლითონის ბორბლებქვეშ ხრეშიან ბილიკზე ხრაშუნი ისმოდა და მოუხეშავი ფეხსაცმლის წყება კუბოს მისდევდა საფლავეთა შორის.

ტამ-ტა-რა, ტამ-ტა-რა-რა. ღმერთო. აქ რა მადლიდინებს.

— ო'კონელის საფლავი¹⁰², ჩაილაპარაკა ბატონმა დედალოსმა.

ბატონი პაუერის რბილმა თვალებმა მაღალი ობელისკის წვერს ახედეს.

— განისვენებს, თქვა მან, თავისი ხალხით გარემოცული, ბებერი დენ ო'. მაგრამ მისი გული რომს მარხია, რამდენი გატეხილი გული მარხია აქ, საიმონ!

⁹⁹ ხანძრის შემდეგ წმ. უერბერგის ტაძარი რესტავრირებული იყო 1759 წ. მაშინ დაიდგა ხსენებული ორდანიც, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესოდ იყო აღიარებული ბრიტანეთის კუნძულებზე.

¹⁰⁰ „და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა“ (ლათ. მათე, 6, 13).

¹⁰¹ „სასუფეველში“ (ლათ.).

¹⁰² ო'კონელი გარდაიცვალა გენუაში 1847 წ. მისი გული რომის წმ. აგათას ირლანდიურ კოლეჯში დაკრძალეს, ხოლო ცხედარი კი დუბლინის სასაფლაოზე.

— მისი საფლავი იქ არის, ჯეკ, თქვა ბატონმა დედალოსმა. მალე მის გვერდით გამჭიმავენ¹⁰³. დე, ღმერთმა მიხმოს, როცა იქნება ნება მისი.

გული აუჩუყდა და ჩუმად აქვითინდა, თან ცოტა ფეხი ეშლებოდა. ბატონმა პაუერმა ხელი შეაშველა.

— სადაც არის, უკეთ არის, თქვა მან დაყვავებით.

— ალბათ, თქვა ბატონმა დედალოსმა და სუსტად ამოიოხრა. ის ალბათ ზეცაშია, თუკი ზეცა არსებობს.

კორნი კელეპერმა გზა დაუთმო ჭირისუფლებს.

— ჭირსა და უბედურებაში ვხვდებით ერთმანეთს, თავაზიანად წამოიწყო ბატონმა კერნანმა.

ბატონმა ბლუმმა თვალები დახუჭა და ორჯერ მწუხარედ დახარა თავი.

— ხალხი ცილინდრებს იხურავს, თქვა ბატონმა კერნანმა. ალბათ ჩვენთვისაც შეიძლება. ჩვენლა დავრჩით. სასაფლაო დიდი სახიფათო ადგილია.

ქუდები დაიხურეს.

— ღირსეულმა მამამ სხაპასხუპით ჩაათავა წირვა, რას იტყვი? საყვედურის კილოთი თქვა ბატონმა კერნანმა.

ბატონმა ბლუმმა დინჯად დახარა თავი, თან მკვირცხლ ჩასისხლიანებულ თვალეში ჩახედა. ფარული გამოხედვა, ფარული, გამომცდელი თვალეები. მასონი, მგონი: დარწმუნებული არა ვარ. ისევ მის გვერდით. ჩვენლა დავრჩით. ერთ ბედ ქვეშ¹⁰⁴. იმედია, სხვა რამეს იტყვის.

ბატონმა კერნანმა დასძინა:

— უნდა მოგახსენოთ, ირლანდიური ეკლესიის წირვა მაუნდ ჯერომში უფრო უბრალოა, უფრო შთამბეჭდავი.

ბატონი ბლუმი ფრთხილად დაეთანხმა. ენა, რა თქმა უნდა, სულ სხვა საქმეა¹⁰⁵.

ბატონმა კერნანმა საზეიმო ხმით თქვა:

— მე ვარ აღდგომა და ცხოვრება¹⁰⁶. კაცს შიგ გულში წვდება.

— ნამდვილად, თქვა ბატონმა ბლუმმა.

შენ გულს შეიძლება, მაგრამ რა ჭირად უნდა ჯეილს, სული რომ განუტევა და ექვს ფუტ სიგრძესა და ორ ფუტ სიგანეს რომ ზომავს? იქ ვერ მისწვდება. ვნებათა სასუფეველი. დამსხვრეული გული. ბოლოს და ბოლოს, ტუმბო, ყოველ დღე ათასობით გაღონ სისხლს რომ ტუმბავს. ერთ მშვენიერ დღეს დაეცობა და მოგჭამა ჭირი. აქ რამდენიც გინდა ყრია: ფილტვები, გულები, ღვიძლები. ძველი დაყანგული ტუმბოები: გათავდა და მორჩა. აღდგომა და ცხოვრება. ერთი რომ მოკვდები, მკვდარი ხარ და მკვდარი. ახლა კიდევ განკითხვის დღეო. ყველას საფლავებიდან ამოყრიან. ლაზარე, გამოვედ გარე!¹⁰⁷ ისიც გამოვიდა და ადგილიც დაჰკარგა. აშავდით! განკითხვის დღეა! და ბიჭებიც გაფაციცებით დაეძებენ თავის ღვიძლს, ფილტვებს და სხვა ხარა-

103 იგულისხმება სტივენის დედის მერი გულდინგ-დედალოსის საფლავი.

104 იქ მყოფთა შორის მხოლოდ კერნანი და ბლუმი არ არიან კათოლიკენი.

105 იგულისხმება, რომ ირლანდიურ ეკლესიაში ინგლისურ ენაზე წირავენ და არა ლათინურზე.

106 იოანე, 11, 25.

107 იოანე, 11, 43.

ხურას. რა ეშმაკს იპოვნე ამ სისხამ დილას. ერთი პენიუეტი ფხვნილი თავის ქალაში. თორმეტი გრამი ერთი პენიუეტი. ტროანული წონა 108

კონი კელეპერი წამოეწია და ფეხი აუწყო მათ.

— ყველაფერმა ჩინებულად ჩაიარა, თქვა მან. არა?

მთვლემარე მზერა შეავლო ყველას. პოლიციელის მხრები. თავისი ტრა-
ლა-ლაი-ლათი.

— ასეც უნდა ყოფილიყო, თქვა ბატონმა კერნანმა.

— რაო? ჰა? თქვა კორნი კელეპერმა.

ბატონმა კერნანმა დააშოშმინა.

— ვინ არის ის ყმაწვილი ჩვენს უკან, ტომ კერნანთან ერთად რომ მო-
დის? იკითხა ჯონ ჰენრი მენტონმა. სახეზე მეცნობა.

ნედ ლამბერტმა უკან მიიხედა.

— ბლუმი, თქვა მან, მაღამ მერიონ ტუიდი რომ იყო, უფრო სწორედ,
არის, სოპრანო, ამისი ცოლია.

— აა, ვიცი, როგორ არა, თქვა ჯონ ჰენრი მენტონმა. კარგა ხანია აღარ
მინახავს. სასიამოვნო შესახედი ქალი იყო. მიცეკვია მასთან, ასე, თხუთმეტი-
ჩვიდმეტი წლის წინათ, მეტ დილონისას რაუნდტაუნში 109. ისე, ხელის მოსა-
კიდებელი კი ჰქონდა.

უკან მომავალ ხალხს შორის გაიხედა.

— რას აკეთებს? იკითხა. სად მუშაობს? საკანცელარიო ნივთებით არ
ვაჭრობს? მახსოვს ერთხელ კეტელბანში წავეჩხუბე.

ნედ ლამბერტმა ჩაიღიმა.

— კი, წინათ, თქვა მან, უიზდომ ჰელისთან. საშრობებს ასაღებდა 110.

— ღმერთო შენი სახელის ჭირიმე, თქვა ჯონ ჰენრი მენტონმა, რამ მი-
ათხოვა ასეთ ლენჩს? ძალიან კეკლუცი იყო მაშინ.

— ახლაც, თქვა ნედ ლამბერტმა. ქმარი განცხადებების შემკრებად მუ-
შაობს.

ჯონ ჰენრი მენტონის დიდი თვალეზი წინ იყურებოდნენ.

ურიკამ გვერდითა ბილიკზე გადაუხვია. მწვანეში მოფარებულმა ზორბა
კაცმა მოწიწებით მოიხადა ცილინდრი. მესაფლავეებმა კეპებზე წაივლეს
ხელი.

— ჯონ ო'კონელი, თქვა ბატონმა პაუერმა, კმაყოფილმა. მეგობარს არა-
სოდეს არ ივიწყებს.

ბატონმა ო'კონელმა მდუმარედ ჩამოართვა ყველას ხელი. ბატონმა დე-
დალოსმა თქვა:

— აგერ, ისევ თქვენთან მოვედი.

— ძვირფასო საიმონ, დაბალი ხმით უპასუხა სასაფლაოს მეტვალყურემ.
მე სულაც არ მინდა, რომ ჩემი მუშტარი იყოთ.

ნედ ლამბერტსა და ჯონ ჰენრი მენტონს მიესალმა და მარტინ კანინგემს
ამოუდგა გვერდში, თან ზურგს უკან ორ გასაღებს ათამაშებდა.

108 პენიუეტი 24 გრამს უდრიდა და არა თორმეტს.

109 რაუნდტაუნი (ახლანდელი ტერინიური) — დუბლინის სამხრეთ განაპირა დასახლება.

110 ბლუმის სამსახურებრივი საქმიანობა ქრონოლოგიურად ძნელი დასადგენია. თვითონ
ერთგან ამბობს — ჰელისთან მუშაობა დავიწყე, როცა მთლი შევირთე (1888) და იქ დაახ-
ლოებით ექვსი წელი ვიმუშავეო.

— გაიგეთ ის ამბავი, იკითხა მან, კუმბელი მალკეის შესახებ?

— არ გამიგია, თქვა მარტინ კანინგემმა.

ყველამ ერთხმად გადახარა ცილინდრები და ჰაინზმაც ყური მიუშვია. მეთვალყურემ ცერები გაუყარა თავის ოქროს საათის ძეწკვს და შემპარავი ხმით გაებაასა მათ არაფრისმთქმელ დიმილს.

— ამბობენ, თქვა მან, ორი მთვრალი მოსულა აქ ერთ ნისლიან საღამოს თავისი მეგობრის საფლავის მოსაძებნად. მალკეი კუმბელი იკითხეს და მათაც უთხრეს სადაც არის იგი დასაფლავებული. ნისლში ერთხანს იბოდიალეს და ბოლოს მაინც მიაგნეს საფლავს. ერთმა ძლივს ამოიკითხა: ტერენს მალკეი. მეორე თვალეზმოჭუტული შეჰყურებდა ქვრივის მიერ დადგმულ მაცხოვრის ქანდაკებას.

მეთვალყურემ თვალი მოუჭუტა ერთ-ერთ საფლავს, გვერდზე რომ ჩაუარეს და განაგრძო:

— და როცა თვალეზმოჭუტულმა მაცხოვრის ქანდაკება შეათვალიერა — „აბა, რა ჭირი მიუგავს იმ კაცს“, თქვა მან. „ეს მალკეი არ არის“, თქვა მან. „ვისი ნახელავიც არ უნდა იყოს“.

მათი დიმილით დაჯილდოვებული, ოდნავ ჩამორჩა და კორნი კელეჰერს დაუწყო საუბარი, ქვითრები გამოართვა, გზა და გზა ფურცლავდა და ათვალიერებდა.

— ეს განგებ გააკეთა, აუხსნა ჰაინზს მარტინ კანინგემმა.

— ვიცი, თქვა ჰაინზმა, ვიცი.

— გასამხნევებლად, თქვა მარტინ კანინგემმა. კეთილი გულით: სხვა არაფერი.

ბატონი ბლუმი აღტაცებული შეჰყურებდა მეთვალყურის ზორბა ტანს. ყველას სურს კარგ დამოკიდებულებაში იყოს მასთან. წესიერი კაცია, ჯონ ო'კონელი, ხალასი. გასაღებები: გასაღებების რეკლამასავით: ფიქრი არ არის, გარეთ ვერავინ გავა, გასასვლელ საშვებს არ ვიძლევი. Habeas corpus¹¹¹. ერთი, დაკრძალვის შემდეგ მაგ რეკლამას უნდა მივხედო. დავაწერე ბოლსბრიჯი კონვერტზე, მართასთან მიწერილ წერილს რომ წავაფარე, როცა შემაწყვეტინა? იმედია ფოსტაში არ გაიხხირა. გაპარსვა აჯობებს. ჭალარა შერეული წვერი. პირველი ნიშანია, როცა კაცს თმაში ჭალარა გაუჩნდება და გუნებაც შეეცვლება. თმაში გარეული ვერცხლის ძაფები¹¹². როგორი საქმეა ასეთი კაცის ცოლობა. საოცარია, როგორ ეყო საერთოდ გამბედაობა ეთქვა გოგოსათვის ცოლად გამომყევით. მოდი სასაფლაოზე ვიცხოვროთ. დაახარბა. იქნებ პირველად ჟრუანტელმაც დაუარა. სიკვდილთან გაარშიყება... ღამის ჩრდილები დალივლივებენ და გარშემო მკვდრები გაშოტილან. საფლავთა ჩრდილები ოდეს საფლავნი პირს იხსნიან¹¹³ და დენიელ ო'კონელი ვგონებ შთამომავალი უნდა იყოს, ვინ ამბობდა ხოლმე ამას, ნამეტანი ნაყოფიერ იყო და ამავე დროს დიდი კათოლიკე, თითქოს გოლიათი წყვდიადში. ცთომილი სხივი. საფლავების გაზი. ქალის ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანე, თუ გინდა რომ ჩაისახოს. ქალები განსაკუთრებით მგრძნობიარე ხალხია. ლო-

111 „აქვს სხეული“ (ლათ.). სწორი ფორმაა Habeat corpus.

112 სიმღერის სიტყვები.

113 „ჰამლეტი“, 111, 2.

გინში მოჩვენებების შესახებ უამბე, რომ დაიძინოს. როდისმე გინახავს მოჩვენება? მე კი მინახავს. უკუნეთი ღამე იყო. საათმა თორმეტი ჩამორეკა. მაინც მთელი ღამე კოცნობენ, სათანადოდ თუ მომართეს. ბო-ზები თურქების სასაფლაოზე. ყველაფრის სწავლა შეუძლიათ, ახალგაზრ-დობიდანვე თუ ასწავლეს. აქ შეიძლება ახალგაზრდა ქვრივიც მოძებნო. კა-ცებს ეს უყვართ. სიყვარული საფლავთა შორის. რომეო¹¹⁴. სიამოვნების საკმაში. სიკვდილის შუაგულში ცოცხლები ვართ¹¹⁵. უკიდურესობათა თან-ხვედრა. საბრალო მიცვალებულთა ტანტალოსის სატანჯველი. შებრაწული ბივშტექსის სუნი დამშეულთ, საკუთარ ჯიგარს რომ ლოდნიან. სურვილი: ხალხი გააღიზიანო. მოლის რომ უნდოდა ამის გაკეთება ფანჯარასთან. მაინც რვა შვილი ჰყავს.

ბევრი უნახავს მიწაში ჩადებული თავის ცხოვრების მანძილზე. ჩალაგე-ბულან მის გარშემო მინდორ-მინდორ. წმინდა მინდვრები. მეტი ადგილი დარ-ჩებოდა ფეხდგომელას რომ მარხავდნენ¹¹⁶. დამჯდარს ან დაჩოქილს ვერ და-მარხავ. ფეხდგომელას? ერთ მშვენიერ დღეს მეწყერის დროს იქნებ მისი თავი მიწის ზემოთ ამოიწიოს გაშვერილ ხელთან ერთად. ნიადაგი ალბათ ფიჭა-სავითაა: წაგრძელებული უჯრედები. როგორც კარგად კი უვლის, შეკრეჭილი ბალახი და კორდები. მის ბაღს მაიორი გემბლი მაუნტ ჯერომს ეძახის. მართ-ლაც რომ. ძილის ყვავილები უნდა ხარობდეს. ჩინელების სასაფლაოზე დიდ-რონი ყაყაჩოები საუკეთესო ოპიუმს იძლევიან, მასტიანსკიმ მითხრა. ბოტა-ნიკური ბაღი აქვეა. მიწაში შეწოვილი სისხლია, რომ ახალ სიცოცხლეს ბა-დებს. იგივეა, რომ ამბობენ, ებრაელები ქრისტიან ბიჭს კლავდნენო¹¹⁷. ყვე-ლას თავისი ღირსება გააჩნია. კარგად შენახული მსუქანი გვამი ჯენტლემე-ნისა, ეპიკურიელის, დაუფასებელია ხილის ბაღისათვის. გარიგება. ამასწინათ გარდაცვლილი რევიზორისა და ბუღალტრის უილიამ უილკინსონის ცხედ-რისათვის სამი გირვანქა, ცამეტი შილინგი და ექვსი პენსი, მადლობით.

მე ვიტყვოდი, ნიადაგი საკმაოდ გაპოხიერებული იქნება გვამის სასუქით, ძვლით, ხორციით, ფრჩხილებით, საცხედრეები. საშინელებაა. მწვანე და ვარ-დისფერი ხდებიან, იხრწნებიან. ნესტიან მიწაში მალე ლპებიან. გამხდარი მო-ხუცები უფრო მაგრები არიან¹¹⁸. მერე ქონივითა თუ ყველივით ხდებიან. მერე გაშავებას იწყებენ, ბადაგი ჩამოღვენთავთ. მერე გამოშრებიან. თავის ქალის ჩრჩილები. რა თქმა უნდა უჯრედები, თუ რაც არი, სიცოცხლეს გა-ნაგრძობენ. იცვლებიან. არსებითად მუდმივად ცოცხლობენ. ველარაფრით რომ ვერ იკვებებიან, იკვებებიან საკუთარი თავით.

მაგრამ ისინი ალბათ ათასობით მატლებს წარმოშობენ. ნიადაგში სულ რომ ფუთფუთებენ, როგორც გოგონები თავში. თავი გიბრუს მოგონებისგან.

114 მინიშნება პოპულარულ სიმღერაზე „სიყვარული ვარდებში“ (აგრეთვე ბრაუნინგის ლექსისა „სიყვარული ნანგრევებში“). ბლუმის ეს ბანალური რემინისცენცია თავისებურად უკავშირდება სტივენისებურ შექსპირულ ალუზიებს („რომეო და ჯულიეტას“ უკანასკნელი სურათი).

115 ზემოთ ნახსენები ინგლისური ლოცვანის პერიფრაზირებული სტრიქონი.

116 დაკრძალვის ძველი ირლანდიური წესი.

117 ერთ-ერთი ლეგენდა ებრაელების შესახებ (ჯერ კიდევ ადრე ქრისტიანული ანტისემი-ტიზმის გამოძახილი).

118 შექსპირული რემინისცენცია: ბლუმი იხსენებს მესაფლავეთა სცენას „ჰამლე-ტიდან“ (V, 1).

კონტა ზღვისპირელი ფოგონებისა¹¹⁹. საკმაოდ ხალისიანად კი გამოიყურება. ძალა ემატება, როცა ხედავს სხვები მასზე ადრე რომ ჩადიან საფლავში. საინტერესოა როგორ უყურებს ცხოვრებას. ანეგდოტებსაც რომ ყვება: გულის ვარამს იჭარვებს. თუნდაც ბიულეტენის შესახებ. სპერჯენმა ზეცას მიაბარა სული დილის 4 საათზე. საღამოს 11 საათია (სასაფლაოს დაკეტვის დროა). ჯერ არ მოსულა. პეტრე. მიცვალებულებიც, ყოველ შემთხვევაში მამაკაცები, სიამოვნებით მოისმენენ კარგ ანეგდოტს და ქალები კი მოდის ახალ ამბებს. მწიფე მსხალი ან ქალების პუნში, ცხელი, მაგარი და ტკბილი. სინესტის წინააღმდეგ. კაცმა ხომ უნდა გაიცინოს ზოგჯერ და ისევ ასეთნაირად აჯობებს. მესაფლავეები „ჰამლეტში“. ადამიანის გულის შესანიშნავ ცოდნას ამჟღავნებს¹²⁰. არ უნდა გაბედო გარდაცვლილის შესახებ ოხუნჯობა ორი წლის განმავლობაში მაინც. *De mortuis nil nisi prius*¹²¹. ჯერ გამოიგლოვე. ძნელია წარმოიდგინო მისი დაკრძალვა. ანეგდოტსა ჰგავს. ამბობენ, საკუთარ გარდაცვალების ცნობა თუ წაიკითხე, დიდხანს იცოცხლებო. მეორე სუნთქვას გაგიხსნის. სიცოცხლის განახლებული კონტრაქტი.

— ხვალისათვის რამდენი გყავთ? იკითხა მეთვალყურემ.

— ორი, თქვა კორნი კელეჰერმა. თერთმეტის ნახევარზე და თერთმეტზე.

მეთვალყურემ ქალაღები ჯიბეში ჩაიწყო. ურიკა შეჩერდა. ჰირისუფლები გაიყვნენ და თხრილს ორივე მხრიდან შემოეწყვნენ, თან ფრთხილად უვლიდნენ საფლავებს. მესაფლავებმა კუბო ასწიეს და თავით თხრილის კიდებზე დადეს. თოკები ამოუყარეს.

ვასაფლავებთ. ჩვენ აქ კეისრის დასაკრძალავად მოვსულვართ¹²². მისი მარტის თუ ივნისის იღები¹²³. მან არ იცის, ვინ არის აქ და არც არა ენაღვლება რა.

ნეტა ვინ არის ის მაკინტოშიანი აყლაყუდა? არა, მაინც ნეტა ვინ არის? რას არ მივცემდი, რომ ვიცოდე ვინ არის. ყოველთვის ვილაც გამოჩნდება მოულოდნელად, სიზმარშიაც რომ არ გინახავს. შეეძლო მარტოხელად გაეტარებინა მთელი სიცოცხლე. დიახაც, შეეძლო. და მაინც ვილაცა სჭირდება, რომ სიკვდილის შემდეგ მიწა მიაყაროს, თუმცა კი საკუთარ საფლავს თვითონაც გაითხრიდა. ჩვენ ყველას ასე გვემართება. მხოლოდ ადამიანი ასაფლავებს მკვდარს. არა, ჭიანჭველაც. პირველი, რაც ყველას თავში მოსდის. და ასაფლავე მკვდარი. დავუშვათ რობინზონ კრუზო მართლაც არსებობდა. მაშ პარასკევას დაუსაფლავებია¹²⁴. კაცმა რომ თქვას, ყოველი პარასკევი ხუთშაბათს ასაფლავებს.

რა იქნება რობინზონო
კარმილამო მოგიზომონ.

119 ბლუმს კვლავ ბოილენის სიმღერა აგონდება.

120 შექსპირის მკვლევართა სენტიმენტალური სენტენცია.

121 ლათინური ანდაზაა *De mortuis nil nisi bonum* („მკვდარზე არაფერი თქვა კარგის გარდა“). ბლუმის ვარიანტია — „მკვდარზე არაფერი თქვა ვადაზღე“.

122 „იულიუს კეისარი“, 111, 2.

123 მარტის იღები 15 მარტია (ამ დღეს მოკლეს კეისარი). ივნისის იღები კი დივნემის გარდაცვალების დღეა — 13 ივნისი.

124 ბლუმს ეშლება — რობინზონ კრუზო კუნძულზე არ მომკვდარა (თუმცა, როგორც შემდგომ ირკვევა, მას წაყითხული აქვს დეფოს რომანი).

საბრალო დიგნემი! უკანასკნელად წევს მიწაზე საკუთარ ყუთში. კაცი რომ დაფიქრდები, ხე-ტყის დიდი ხარჯია. სულ დაიღრღნება. შეეძლოთ გამოეგონათ კოხტა კატაფალკი, რომელიც სპეციალური ფიცრით პირდაპირ ჩააცურებდა. ერთი კია, რომ შეიძლება სხვა მოქალაქის გამონაცვალზე დაწოლას არ დათანხმდნენ. მეტისმეტად აზიზნი არიან. მშობლიურ მიწას მიმაბარეთ. ერთი მუჭა მიწა წმინდა ქვეყნიდან¹²⁵. მხოლოდ დედასა და მკვდრად შობილ ბავშვს დებენ ერთ კუბოში. მესმის რასაც ნიშნავს ეს. მესმის. დაცვას იგი რაც შეიძლება დიდხანს მიწაშიც კი¹²⁶. ირლანდიელის სახლი მისი კუბოა¹²⁷. დაბალწამირება კატაკომბებში, მუმიები, სულ ერთი და იგივეა.

ბატონი ბლუმი განზე იდგა, ცილინდრით ხელში, და შიშველ თავებს ითვლიდა. თორმეტი. მე მეცამეტე ვარ. არა. მაკინტოშიანი ყმაწვილია მეცამეტე. სიკვდილის რიცხვი. სად ჯანდაბიდან გაჩნდა? ეგვტერში არ იყო, შემიძლია დავიფიცო. სულელური ცრურწმენაა ცამეტის შესახებ.

მშვენიერი რბილი შალის კოსტუმი აცვია ნედ ლამბერტს. სოსანისფერა გადაჰკრავს. ერთი ასეთი მეც მქონდა, როცა ლომბარდ სტრიტ უესტზე ვცხოვრობდით. დიდი კოხტაპრუწა ვინმე იყო თავის დროზე. დღეში სამ კოსტუმს იცვლიდა. ერთი ჩემი ნაცრისფერი კოსტუმი უნდა გადავაბრუნებინო მკერავს. გაუ! შეღებილია. მისი ცოლი. დამავიწყდა რომ უცოლოა. დიასახლისი მაინც მიხმარებოდა მაგ ძაფების ამოძრობაში.

კუბომ ჩაყვინთა, თვალს მოეფარა, საფლავზე გადალაჯებულმა მესაფლავეებმა ნელა ჩაუშვეს. გაიმართნენ და განზე გადგნენ: ყველანი ქუდმოხდილები. ოცი.

პაუზა.

უცებ ყველანი სხვა ვინმედ რომ ვიქცეთ.

სადღაც ვირმა დაიყოყნა. იწვიმებს. არც ისეთი ვირია. ამბობენ, მკვდარი ვირი არავის უნახავსო¹²⁸. სიკვდილის ერცხვინებათ. იმალებიან. საბრალო მამაც წავიდა.

ნელმა სასიამოვნო სიომ ჩურჩულით წამოუბერა შიშველ თავებს. ჩურჩული. საფლავის თავზე ბიჭს გვირგვინი ეჭირა ორივე ხელში და წყნარად ჩაჰყურებდა შავ პირლია ორმოს. ბატონი ბლუმი უკან ამოუდგა წარმოსადეგ კეთილ მეთვალყურეს. კარგად შეკერილი სერთუკი. მუშტრის თვალით უყურებს ყველას, ალბათ უნდა გამოიცნოს შემდეგი ვინ იქნება. ისე კი, კაი ხნის მოსვენებაა. ველარაფერს გრძნობ. მხოლოდ იმ მომენტს გრძნობ. მეტად უსიამოვნოა ალბათ. პირველად ვერც დაიჯერებ. უთუოდ შეცდომაა: სხვა იქნება. იქნებ მოპირდაპირე სახლი გეცადათ. მოიცათ, მე მინდოდა, მე ჯერ არ. შემდეგ მომაკვდავის ჩაბნელებული ოთახი. სინათლე უნდათ¹²⁹. ჩურჩულებენ შენს გარშემო. გინდა პატერი მოგიყვანოთ? შემ-

¹²⁵ ძველი ებრაული ადათი: თუ პალესტინაში ვერ დამარხავდნენ, იქიდან მოტანილი ერთი მუჭა მიწა მაინც უნდა დაეყარათ მიცვალებულის თავქვეშ.

¹²⁶ კიდევ ერთი ებრაული ადათის გახსენება სტივენისა და დედამისის ურთიერთობის ასოციაციას იწვევს (იხ. მეორე ეპიზოდი „ნესტორი“, „ხომლი“, № 6, 1971).

¹²⁷ ცნობილი ანდაზის პერიფრაზი („ინგლისელის სახლი მისი ციხე-სიმაგრეა“).

¹²⁸ ირლანდიელები ამბობენ: „სამი რამ არის, რაც არავის არასოდეს არ უნახავს: მთიელის წვივისაკრავი, მკვდარი ვირი, მკალავის დასაფლავება“.

¹²⁹ გოეთეს უთქვამს სიკვდილის წინ: „სინათლე, მეტი სინათლე!“

დეგ უაზრო ბუტბუტი და ბოდვა. ბოდვაში ყველაფერს დაყაჭავ, რასაც მთელი სიცოცხლე მალავდი. სულთაბრძოლა. ბუნებრივად არ ძინავს. ამო- უწიე ქვედა ქუთუთო. უყურებენ ცხვირი ხომ არ წაუწვეტდა, ჩანა ხომ არ ჩამოუვარდა, ფეხის გულები ხომ არ გაუყვითლდა. ბალიში გამოაცალე და იატაკზე მოათავე ყველაფერი, რაკილა განწირულია¹³⁰. იმ სურათში მომაკვ- დავ ცოდვილს ეშმაკი ქალს რომ აჩვენებს. სიკვდილის წინ პერანგის ამარა ეხუტება. „ლუციას“ უკანასკნელი მოქმედება. „ნუთუ ველარასოდეს გიხი- ლავ?“¹³¹ ჰოპლა! სულს განუტევებს. როგორც იქნა გათავდა. ხალხი ერთხანს ილაპარაკებს შენზე: დაგივიწყებენ. არ დაგავიწყდეს ილოცო მისთვის. ილოცე მისი სულისათვის. პარნელისთვისაც კი. სუროს დღე იწურება¹³². მერე სხვე- ბიც მიჰყვებიან: ცვივიან ორმოში ერთმანეთის მიყოლებით.

ახლა მისი სულის მოსახსენებლად ვლოცულობთ. იმედია კარგად გრძნობ თავს და ჯოჯოხეთში არა ხარ. ჰავა გამოიცვალე და ეგ არი. ცხოვრების ვაის გაეყარე, სალხინებლის ვუის შეეყარე.

ოდესმე კი უფიქრია ორმოზე, მას რომ ელოდება? ამბობენ, იმაზე ფიქ- რობ, როცა მზეზე შეგაყრუოლებსო¹³³. ვიღაც ზედ დააბოტებს. სცენარიუსი გაფრთხილებს. მალე თქვენი გამოსვლაა. ჩემი აგერ იქ ფინგასთან, ადგილი რომ ვიყიდე. დედა, საბრალო დედა, და პაწია რუდი.

მესაფლავეებმა ნიჩბები აიღეს და კუბოს მძიმე ბელტები დააყარეს. ბა- ტონმა ბლუმმა სახე მიაბრუნა. ცოცხალი რომ იყოს? ვაიმე! რა საზარლობაა! არა, არა: მკვდარია, რა თქმა უნდა. რა თქმა უნდა, მკვდარია. ორშაბათს მოკ- ვდა. რაღაც კანონი უნდა არსებობდეს, გულში უნდა ჩხვლეთდნენ და დარ- წმუნდნენ ანდა ელექტროსაათი ან ტელეფონი კუბოში და რაღაც ბრეზენტის სასუნთქის მაგვარი რამ. უბედურების ნიშანი. სამი დღე. ცოტა ბევრი მოუვათ ზაფხულის თვეებში. ანდა უკეთესია უცებ მოიშორო თავიდან, როგორც კი დარწმუნდები რომ არა.

მიწა თანდათან უფრო რბილად ეცემოდა. დაიწყო დავიწყება. თვალთა- გან შორს, გულიდან შორს.

მეთვალყურე შორიახლოს მიდგა და ქუდი დაიხურა. საკმარისია. დამს- წრეებმა სათითაოდ გადაიყარეს გულიდან დარდი და შეუმჩნევლად დაიხუ- რეს ქუდები. ბატონმა ბლუმმა დაიხურა ცილინდრი და წარმოსადეგი ფიგურა დაინახა, საფლავებს შორის რომ მოიკვლევდა გზას. დინჯად, მძიმედ მოაბი- ჯებდა მწუხარების ველზე.¹³⁴

ჰაინზი რაღაცას ინიშნავდა თავის ბლოკნოტში. აჰ, გვარებს. კი მაგრამ, ხომ ყველა იცის. არა: ჩემსკენ მოდის.

— გვარებს ვიწერ, თქვა ჰაინზმა დაბალი ხმით. თქვენი სახელი? არ მახსოვს.

— ლ, თქვა ბატონმა ბლუმმა. ლეოპოლდი. შეგიძლიათ მაკოიც ჩაწე- როთ. მთხოვა.

¹³⁰ მოხუცი გლეხის სიკვდილის აღწერა ემილ ზოლას „მიწაში“.

¹³¹ დონიცეტის ოპერა „ლამერმურელი ლუციას“ გმირის არია სიკვდილის წინ.

¹³² პარნელი გარდაიცვალა 1891 წ. 6 ოქტომბერს. მისი სიკვდილის წლისთავზე თანამოაზ- რეები სუროს ფოთოლს ატარებდნენ. იხ. „სუროს დღე“ („დუბლინელები“).

¹³³ ძველი ცრურწმენის მიხედვით, როცა ადამიანს მზეზე გააყრუოლებს, მის საფლავეზე ვიღაც გადაივლის ხოლმე.

¹³⁴ ვირგილიუსის რემინისცენცია („ენეიდა“, 6, 441).

— ჩარლი, თქვა ჰაინზმა, ჩაიწერა. ვიცი. ერთხანს „ფრიმენში“ მუშაობდა.

კი, მუშაობდა, სანამ მორგში იშოვნოდა სამსახურს ლუის ბირნთან. გაკვთა კარგი რამ მოიგონეს ექიმებისათვის. რაღაცას დაეძებენ, გონიათ, რომ იციან. სამშაბათს მოკვდა. დაითხოვეს. რამდენიმე განცხადების ფული შეაგროვა და დაითესა. კარგად მენახე. ამიტომაც მე მთხოვა. კი ბატონო. მივხედავ მაგ საქმეს, მაკკოი. გმადლობთ: დიდად დამავალებთ. დე დავალებულად იგრძნოს თავი: არაფერი დამიჯდება.

— ერთი გვითხარით, თქვა ჰაინზმა, იმ ყმაწვილს თუ იცნობთ, აი იქ რომ იდგა, ის რომ ეცვა...

მიიხედ-მოიხედა.

— მაკინტოში. დიახ, დავინახე, თქვა ბატონმა ბლუმმა. სად წავიდა?

— მაკინტოში, თქვა ჰაინზმა, თან ჩხაპნიდა, არ ვიცი ვინ არის. მაკინტოში?

გვერდზე გადგა, თან აქეთ-იქით იყურებოდა.

— არა, დაიწყო ბატონმა ბლუმმა. დამიგდეთ ყური, ჰაინზ!

ვერ გაიგონა. რაო? სად გაქრა? უკვალოდ. ხომ არავის უნახავს? კანი ენი ლასი ინი¹³⁵. გაქრა. ღმერთო დიდებულო, რა დაემართა?

მეშვიდე მესაფლავე მიუახლოვდა ბატონ ბლუმს თავისუფალი ნიჩბას ასაღებად.

— ო, ბოდიში!

სწრაფად გადგა განზე.

ორმოში თანდათან ყავისფერი, ნოტიო მიწა გამოჩნდა. ამოიწია. თითქმის ბოლომდე. სველი ბელტები სულ უფრო მაღლა იწევდნენ და ბოლოს მესაფლავეებმა ნიჩბები მიაყუდეს. რამდენიმე წამით ისევ ქუდი მოიხადა ყველამ. ბიჭმა თავისი გვირგვინი კუთხეს მიაყუდა; ცოლისძმამ თავისი ზემოდან დაადო. მესაფლავეებმა ქუდები დაიხურეს და მიწიანი ნიჩბები ურიკასაკენ წაიღეს. შემდეგ ნიჩბის პირები ოდნავ დაარტყეს მიწას: გასუფთავდა. ერთი ბალახის მოსაგლეჯად წაიხარა. ერთიც ამხანაგებს ჩამოშორდა, მხარზე იარაღ-გადებული მიდიოდა, იარაღს პირი ცისფრად უელავდა. მეორე საფლავის თავთან მდუმარედ ახვევდა თოკს. თავის ჭიპლარს¹³⁶. ცოლისძმა მიბრუნდა და რაღაც ჩაუდო თავისუფალ ხელში. ჩუმი მადლობა. ნუ შეწუხდებით, ბატონო. თავის გაქნევა. მე ვიცი. ეს თქვენ.

ნელ-ნელა დაიშალნენ, უმიზნოდ, სხვადასხვა ბილიკებით, აქა-იქ საფლავზე წარწერის წასაკითხად თუ შეჩერდებოდნენ ცოტა ხნით.

— მოდი ბელადის საფლავს ჩავუაროთ, თქვა ჰაინზმა. დრო გვაქვს.

— ჩავუაროთ, თქვა ბატონმა პაუერმა.

მარჯვნივ გაუხვიეს, თავის ზანტ ფიქრებს მიჰყვნენ. ბატონი პაუერის ყრუ ხმამ სასოებით წარმოთქვა:

¹³⁵ ე. ი. „კელი“, ზემოთ ნახსენები ოპერეტული პერსონაჟი („კელი ხომ არავის უნახავს?“).

¹³⁶ იშვიათი შემთხვევა, როცა ბლუმისა და სტივენის ასოციაციები ერთმანეთს კვეთს („ყველას ჭიპლარი ბოლოებით ერთმანეთზე მიბმული...“ იხ. „პროტეოსი“, „ხომლი“, № 6, 1971).

— ზოგი ამბობს, ამ საფლავში საერთოდ არ წევსო. კუბო ქვებით გამოტენესო. ერთ მშვენიერ დღეს ისევ მოგვევლინებაო.

ჰაინზმა თავი გააქნია.

— პარნელი აღარასოდეს არ დაბრუნდება, თქვა მან. იგი იქ არის, მიწა იყო და მიწად იქცა. განანათლოს.

ბატონი ბლუმი ხეივანში შეუმჩნეველი მიდიოდა დამწუხრებული ანგელოზების, ჯვრების, მომტვრეული სვეტების, საგვარეულო აკლდამების, ქვის იმედების გვერდით, ლოცვად რომ აღეპყროთ თვალები, ძველი ირლანდიის გულებისა და ხელების გვერდით¹³⁷. უფრო უპრიანი იქნებოდა ამ ფულის დახარჯვა ცოცხლებისათვის საქველმოქმედოდ. ვილოცოთ სულთათვის მონისა შენისა. ვითომ ვინმე ნამდვილად? ჩაფალი, მორჩი და გაათავე. ნახშირით ჩააცურე. მერე ერთად მიაქუჩე, დროს მოიგებ. სულის მოსახსენებელი დღე¹³⁸. ოცდაშვიდში მის საფლავზე მივალ¹³⁹. ათი შილინგი მეზადეს. მარგლის ხოლმე. თვითონაც დაბერდა. ორად მოხრილი ბალის მაკრატელს აჩხაკუნებს. სიკვდილის კართან. ვინც გარდაიცვალა. ვინც წავიდა ამ ცხოვრებიდან. თითქოს საკუთარი ნებით წავიდნენ. დაითხოვეს, ყველანი. ვინც ფეხები გაშფიკა. უფრო საინტერესო იქნებოდა ეთქვათ რას წარმოადგენდნენ სიკვდილამდე. მავანი და მავანი. ეტლის თვლების ოსტატი, ლინოლიუმს ვასაღებდი. გირვანქაში ოცდა ხუთ პროცენტს ვიხდიდი¹⁴⁰. ანდა ქალის საფლავზე ტაფა. შესანიშნავად ვშუშავდი ცხვრის ხორცს კართოფილითა და ხახვით. ეკლოგა სოფლის სასაფლაოზე ვისი ლექსია უორდსუორდის თუ ტომას კემპბელის¹⁴¹. პროტესტანტები იტყვიან განისვენაო. მოხუცი დოქტორ მანენის საფლავი. უდიდესმა მკურნალმა მიიხმო თავისთან. ეს მათთვის ღვთის სამყოფელია. შესანიშნავი აგარაკი. ახლად შელესილი და შეღებილი. იდეალური ადგილი თამბაქოს გასაბოლებლად და „ეკლესიის მოამბის“¹⁴² საკითხავად. საქორწინო განცხადებებს არასოდეს არ ალამაზებენ. დაუანგული გვირგვინები ეკიდა მოაჯირებზე, ბრინჯაოს კილიტას ყვავილწნულები. ამ ფულად ამაზე უკეთესს რას იყიდი. მაინც ყვავილები უფრო პოეტურია. ესენი მოსაწყენია, არასოდეს ჭკნებიან: არაფერს გამოხატავენ. უკვდავნი.

ჩიტი მშვიდად იჯდა ალვის ტოტზე. ფიტულასავით. საქორწინო საჩუქარს გავდა, ოლდერმენმა ჰუპერმა რომ მოგვართვა. ქმა! ბოლოც არ შეურხევია. იცის, რომ შურდულს არავინ ესვრის. მკვდარი ცხოველი კიდევ უფრო საბრალოა. სულელმა მილიმ პაწია მკვდარი ჩიტი რომ დამარხა ასანთის კოლოფში, გვირილას გვირგვინი და დაწყვეტილი ყვავილწნული საფლავზე.

მაცხოვრის გული: ყველას დასანახად. გული მისი ხელზე დაუდვია¹⁴³. განზე უნდა იდგეს და ნამდვილი გულივით წითლად იყოს შეღებილი. ირლან-

137 ირლანდიური სიმღერის სიტყვები.

138 რომაული კათოლიკური ეკლესიის მიხედვით 2 ნოემბერი.

139 ყოველ 27 ივნისს ბლუმი მამამისის საფლავს მოინახულებს ხოლმე.

140 ე. ი. გაკოტრდა (მოვალეებს ერთ მეოთხედსღა უხდიდა).

141 ბლუმს ეწლება: „ეკლოგა სოფლის სასაფლაოზე“ არც უორდსუორდს და არც კემპბელს არ დაუწერია: იგი ეკუთვნის ტომას გრეის (1716-1771).

142 კონსერვატული ანგლიკანური გაზეთი, რომელშიც ბევრი პირადი ხასიათის განცხადება იბეჭდებოდა.

143 იაგო ეუბნება როდერიგოს: „ეს ხომ იმას ჰგავს, გული ჩემი ხელზე დავიდო...“ („ოტელო“, 1, 1).

დია იყო მისი საოცნებო სახელი ან სხვა რამ ამგვარი. კმაყოფილი არ ჩანს. რატომ აყენებენ ასეთ ტანჯვას? ნეტავ თუ მოფრინდებიან ჩიტები და აკენკავენ, როგორც ბიჭი ხილიანი კალათით, მაგრამ არაო, რადგან ბიჭის უნდა შეშინებოდათო. აპოლონი ¹⁴⁴.

რამდენია! ესენი ყველანი ერთ დროს დუბლინის ქუჩებში დადიოდნენ. ამ ქვეყნიდან წასული მორწმუნენი. როგორცა ხარ შენ ახლა, ასეთნი ვიყავით ჩვენც.

ამას გარდა, ყველა როგორ უნდა გახსოვდეს? თვალები, სიარული, ხმა. ხმა კიდევ ხო: გრამაფონი. გრამაფონი ყველა საფლავზე ანდა შეიძლება სახლშიც გქონდეს. სადილის მერე კვირადღეს. დაგვიდე ერთი საბრალო მოხუცი დიდი პაპა კრააკ! ჰელოჰელოჰელო დიდადმიხარის კრააკ დიდადმიხარის-თქვენინახვა ჰელოჰელო მიხხ ფხხიკ. ისევე მოგაგონებს ხმას, როგორც ფოტოსურათი მოგაგონებს სახეს. სხვაფრივ, ასე ხუთმეტი წლის შემდეგ სახეს ვერც გაიხსენებ. ვთქვათ ვისი? ვთქვათ იმ ყმაწვილის, რომელიც მოკვდა, ჰელის „სიბრძნეში“ როცა ვმუშაობდი.

რტსტსტრ! კენჭების ჩხრიალი. მოიცა. შეჩერდი.

ყურადღებით ჩაიჭყიტა ქვის აკლდამაში. რაღაც ცხოველი. მოიცა. აგერ მირბის.

მსუქანი რუხი ვირთხა აკლდამის ნაპირზე მიიპარებოდა და კენჭებს ატოკებდა. დიდი გაქექილი ვინმეა: დიდ პაპასთან: ყოველი კუნჭული იცის. რუხი ცოცხალი არსება გაწვა პლინტუსის ქვეშ, გახოხდა. კარგი ადგილია განძის დასამალად.

იქ ვინ ცხოვრობს? რობერტ ემერის ნეშტი ასვენია. რობერტ ემეტი ¹⁴⁵ დაკრძალეს აქ მამხალეების შუქზე, არა? შემოვლაზეა.

კუდიც მიიმალა.

ასეთი ვაჟბატონი კარგ დღეს არ დააყრის გვამს. ძვლებს გამოუხრავს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი. ჩვეულებრივი ხორცია მათთვის. გვამი გაფუჭებული ხორცია. ყველი რაღაა? რძის გვამი. „ჩინეთის მოგზაურობებში“ წამიკითხავს ¹⁴⁶, ჩინელები ამბობენ, თეთრკანიანს გვამის სუნი უდისო. კრემაცია უკეთესია. მღვდლები სასტიკი წინააღმდეგი არიან. სხვა ფირმისათვის ირჯებიან. საბითუმო ვაჭრობა, საკრემაციო ღუმელები, ჰოლანდიური ფირმა. შავი ჭირიანობა. კირის ორმოები მათ შესაყლაპად. სიკვდილის კამერა ¹⁴⁷. ნაცარი ნაცარს. ანდა ზღვაში დამარხვა. ფარსთა ღუმელის კოშკი სადღაა?

¹⁴⁴ ძველი ბერძნული გადმოცემის მიხედვით, მხატვრის მიერ ნატურალისტური სიზუსტით დახატულ ბიჭსა და ყურძნით სავსე კალათის სურათს ჩიტები მიესივნენ; მხატვარს ეწყინა, ყურძენი უკეთ დამიხატია, ვიდრე ბიჭი, თორემ ჩიტებს მისი უნდა შეშინებოდათო. ბლუმს ამ გადმოცემის ერთ-ერთი ვარიანტი ახსენდება, მაგრამ ეშლება მხატვრის მასწავლებლის სახელი (აპოლოდორე).

¹⁴⁵ რობერტ ემერის ხსენება ბლუმის ცნობიერებაში იწვევს რობერტ ემეტის (1778-1803) ასოციაციას. ნაპოლეონმა დაპირებული დახმარება ვერ აღმოუჩინა აჯანყებულ პატრიოტს ემეტის, რის შედეგადაც იგი დამარცხდა და სიკვდილით იქნა დასჯილი.

¹⁴⁶ ბლუმის წიგნის თაროზე აღმოჩნდება უცნობი ავტორის წიგნი „ჩინეთის მოგზაურობანი“.

¹⁴⁷ კირის ორმო უმალეს სასჯელადაც გამოიყენებოდა.

ფრინველების ულუფა¹⁴⁸. მიწა, ცეცხლი, წყალი. ყველაზე სასიამოვნო და-
ხრჩობააო. მთელი შენი სიცოცხლე წამით გაგიეღვებს. მაგრამ მობრუნება-
ზე კი ნურას უკაცრავად. აი ჰაერში კი ვერ დაკრძალავ. მფრინავი მანქანი-
დან. საინტერესოა ერთმანეთში ამბავი თუ დატრიალდება ხოლმე, როცა
ახალი ვინმე ჩადის ქვევით. მიწისქვეშა კომუნიკაცია. იმათ გვითხრეს. გასაკ-
ვირი რაა. მათი ჩვეულებრივი რაციონი. ბუზები უკვე შეესევინან, სანამ სულ
მოკვდებოდეს. დიგნემის სუნიც მიუვიდათ. მათთვის სიმყრალეს მნიშვნელობა
არა აქვს. გვამის მარლივით თეთრი ფხვიერი ფაფა: სუნი, გემო მკვავზე თეთ-
რი თაღამისა.

წინ ალაყაფის კარი ბზინავდა: ჯერ კიდევ ღიაა. კვლავ საამქვეყნოში. აქ
საკმარისად დავყავით. ყოველ მოსვლაზე თითქოს გაიხლოვებს. უკანასკნელად
რომ ვიყავი, ქალბატონ სინიკოს ასაფლავებდნენ¹⁴⁹. საბრალო მამიკოც.
სიყვარული, რომელიც კლავს¹⁵⁰. დამე ფარნის შუქზეც კი ამოჩიქნიან ხოლ-
მე მიწას, როგორც იმ პროცესის დროს, მე რომ წავიკითხე, ახლად დასაფლა-
ვებული ქალების ანდა სულაც წყლულებდახსნილი გახრწნილი გვამების ამო-
საღებად. ჟრუანტელი დაგივლის. სიკვდილის შემდეგ გამოგეცხადები. ჩემს
აჩრდილს დაინახავ სიკვდილის შემდეგ. ჩემი აჩრდილი აგედევნება სიკვდი-
ლის შემდეგ. სხვა ქვეყანა არსებობს სიკვდილის შემდეგ სახელად ჯოჯოხეთი.
მე არ მიყვარს ის მეორე ქვეყანაო, მწერდა¹⁵¹. აღარც მე. ჯერ კიდევ ბევრი
რამ დამრჩა სანახავი და მოსასმენი და შესაგრძნობი. გრძნობდე ცოცხალ
თბილ არსებათ შენს გვერდით. დეე ეძინოთ თავიანთ მატლიან საწოლებში.
ამჯერად ვერ მივართვი ჩემი თავი. თბილი ლოგინები: თბილი, სისხლსავსე
ცხოვრება.

გვერდითა ბილიკიდან მოულოდნელად დინჯი ბაასით გამოჩნდა მარტინ
კანინგემი.

ნოტარიუსი, ვგონებ. სახე მეცნობა. მენტონი. ჯონ ჰენრი, ნოტარიუსი,
ფიცსა და ჩვენებებს ამოწმებს. დიგნემი მის კონტორაში მუშაობდა, მეტ დი-
ლონისას დიდი ხნის წინათ. მხიარული საღამოები მეტ დილონისას. ცივად
მოხარშული ნანადირევი, სიგარები, ტანტალოსის ჭიქები¹⁵². ოქროს გული,
ჭეშმარიტად. დიახ, მენტონი. გავაცოფე იმ საღამოს მინდორზე ბურთი რომ
მოვახვედრე. შემთხვევით მომიხვდა: ჩამეჭრა. ასე ძალიან რაზე შემეჩავრა.
სიძულვილი პირველი ნახვისთანავე¹⁵³. მოლი და ფლოი დილონი იასამნის
ბუჩქის ძირას ერთმანეთს ეხვევიან, იცინიან. კაცებმა ასე იციან, მონუსხულე-
ბი არიან ხოლმე ქალების გვერდით.

ცილინდრი ჩაჭყლეთილი აქვს. უთუოდ ეტლში.

წამოეწია:

148 სპარს ცეცხლთაყვანისმცემელთა (ფარსთა) ადათის მიხედვით, მიცვალებულს კოშკში
მოათავსებდნენ და ფრინველებს დააკორტნიებდნენ.

149 იხ. მოთხრობა „უბედური შემთხვევა“ („დუბლინელები“).

150 ოსკარ უაილდის „რედინგის ციხის ბალადის“ რემინისცენცია.

151 იგულისხმება მართას წერილი ბლუმისადმი („ულისეს“ ზოგიერთ გამოცემაში „ქვეყნის“
ნაცვლად „სიტყვაა“ დაბეჭდილი).

152 იგულისხმება საიდუმლო სარქველიანი დასალევი ჭურჭელი.

153 ძველი ანდაზური გამოთქმის (სიყვარული პირველ ნახვისთანავე) ბლუმისეული ვარი-
ანტი. შესაძლოა პაროდული მინიშნებაც რომეოსა და ჯულიეტას პირველ შეხვედრაზე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— უკაცრავად ბატონო, თქვა ბლუმმა.
შეჩერდნენ.

— თქვენი ცილინდრი ოდნავ ჩაჭყლეთილია, თქვა ბატონმა ბლუმმა და მიუთითა.

ჯონ ჰენრი მენტონი ერთ ხანს მიაშტერდა, ადგილიდან არ იძროდა.

— აგერ, მიეშველა მარტინ კანინგემი და იმანაც მიუთითა.

ჯონ ჰენრი მენტონმა ცილინდრი მოიხადა, ჩაჭყლეთილი ადგილი გაასწორა და ხაო პალტოს სახელოზე გაისვა ფრთხილად. ისევ თავზე დაიხურა.

— ახლა რიგზეა, თქვა მარტინ კანინგემმა.

ჯონ ჰენრი მენტონმა ოდნავ დახარა თავი მადლობის ნიშნად.

— გმადლობთ. ცივად თქვა მან.

ჭიშკრისაკენ მიდიოდნენ. ბატონი ბლუმი, შეცბუნებული, რამდენიმე ნაბიჯით ჩამორჩა, რომ ვერ გაეგონა რაზე ლაპარაკობდნენ. მარტინი ჭეშმარიტებას აფრქვევს. მარტინს შეუძლია ამისთანა ყეყეჩი ისე გააცუროს, რომ ვერც მიხვდება.

ლოქორას თვალები. არა უშავს რა. იქნებ ინანოს კიდევ, როცა მიხვდება. ამით ამოვიგებ.

გმადლობთ. როგორი დიდსულოვანი ვართ ამ დილას.

□

••